

ISSN 1987-5789
ESSN 2587-5426



ეკონომიკა და ბიზნესი **ECONOMICS and BUSINESS**

2

ტომი XII Volume
2020

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რეფერირებადი და რეცენზირებადი
საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი

Refereed and Reviewed International Scientific and Analytical Journal of the
Faculty of Economics and Business,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University



გამოდის 2008 წლის იანვრიდან ორ თვეში ერთხელ,
2015 წლიდან - კვარტალურად
Publish since January 2008 once in two months,
since 2015 – Quarterly

რედაქციის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N2
თსუ მაღლივი კორპუსი, III სართული, 317-316
ტელ. +995 32 2 25 04 84

**მთ.რედაქტორი: 599794949, მოადგილე - 599103816, პ/მდ. - 599218384,
მთ.სპეც. – 577970280**

Address: Tbilisi, University str. N2.

Tel: Chief Editor - 599794949, Deputy Chief Editor -599103816, Responsible Secretary –
599218384, Chief Specialist – 577970280
Tel: +995 32 2 25 04 84 - 9781, 9763, 9724

eb.tsu.ge
e-mail: ebf.journal@tsu.ge

სარედაქციო კოლეგია

თსუ პიროვნებები: **იუხი ანანიაშვილი**, **თეიმურაზ ბეიძე**, **სიმონ გელაშვილი**, **ივანე გვედესიანი**, **ივანე გოგობია** (ხედაქტოხის მოადგილე), **თამაზ ზუბიაშვილი** (პასუხისმგებელი მდივანი), **ნუგზახ თოდუა**, **იხაკი კოვზანაძე**, **მუხთაზ მალხაძე**, **ედგუა მუქვაბიშვილი** (მთავარი ხედაქტოხი), **დავით ნახმანია**, **ნუგზახ პაიჭაძე**, **ლევან საბაუხი**, **დემურ სიჭინავა**, **მიხიან ტუსაშვილი**, **გიორგი ლალანიძე**, **თეიმურაზ შენგელია**, **ეთეხ სახაიშვილი**, **იოსებ ხელაშვილი**; პიროვნებები: **ჰამაზ აბესაძე** - პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, **ანზორ აბხადავა** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, **იოსებ აჩუაძე** - ქუთაისის უნივერსიტეტი, **გიორგი თუჩქია** - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, **მეხაბ კაკულია** - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, **მუხიან კვახაცხელია** - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, **პაატა კოლუაშვილი** - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, **შადვა მაჭავახიანი** - ევროპული უნივერსიტეტი, **ვლადიმერ პაპავა** - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, **დადი სენიაშვილი** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, **ავთანდილ სილაგაძე** - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, **ვლადიმერ ღლონტი** - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, **ნიკოლოზ ჩხიდაძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, **მინიერ ჯიბუტი** - საქართველოს ეკონომიკური მეცნიერებათა აკადემიის პიროვნები.

სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები

მინიერ აღტმანი - ჩიდილოეთ კახილინას უნივერსიტეტი, პიროვნები, მეხედიგ კოლეჯის ბიზნესის სკოლის სტუდენტისა და ტუჩიზმის მენეჯმენტის პიროვნების დირექტორი (აშშ); **ვოლფგანგ ვენგი** - ბეჩინის ტექნიკური უნივერსიტეტი, პიროვნები (გერმანია); **იოსებ მ. კინგი** - ოსტონის უნივერსიტეტის კოლეჯის ეკონომიკისა და სოციალური მეცნიერებების გამოყენებითი ეკონომიკის კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი, პიროვნები (ნორვეგია); **დმიტრი დუკანენკო** - კიევის ვალიმ ჰეგმანის სახელობის ნაციონალური ეკონომიკური უნივერსიტეტის ხედაქტოხი, პიროვნები (უკრაინა); **იხაკი მანაგაძე** - სიდჰოუდ ბანკის სამეთვალყუეო საბჭოს თავმჯდომარე, J. Stern&Co Investment ოფისის კონსულტანტი, დირექტორი (დიდი ბრიტანეთი); **გეგოხი ნ. მენქიუ** - ჰაივადის უნივერსიტეტი, პიროვნები (აშშ); **იან მიხალევი** - ვაიშავის უნივერსიტეტის ეკონომიკური მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პიროვნები (პორტუგალია); **დადი ნიდი** - იდინოსის უნივერსიტეტი, ემიგრაციის პიროვნები (აშშ); **დმიტრი სოხოკინი** - ხუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კოხესპონდენტი (რუსეთი); **ამეზიან ფეგუინი** - გენობის ადვების უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის პიროვნები (საფხანგეთი); **ელიზაბეთ რაკო** - ჯოჯა ვაშინგტონის უნივერსიტეტის გეოგრაფიისა და საერთაშორისო ურთიერთობების პიროვნები (აშშ); **ტომას ჰადელმა** - ტაიუს უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, პიროვნები (ესტონეთი).

EDITORIAL BOARD

TSU Professors: **Iuri Ananiashvili**, **Teimuraz Beridze**, **George Gaganidze**, **Simon Gelashvili**, **Revaz Gvelesiani**, **Revaz Gogokhia** (Deputy Redactor), **Eter Kharashvili**, **Ioseb Khelashvili**, **Irakli Kovzanadze**, **Murtaz Maghradze**, **Elguja Mekvabishvili** (Editor-in-Chief), **Davit Narmania**, **Nugzar Paichadze**, **Levan Sabauri**, **Temur Shengelia**, **Demur Sichinava**, **Nugzar Todua**, **Mirian Tukhashvili**, **Tamaz Zubiashvili** (Executive Secretary), Professors: **Ramaz Abesadze** – Paata Gugushvili Economic Institute Director, **Anzor Abralava** – Georgian Technical University, **Ioseb Archvadze** – Kutaisi University, **Nikoloz Chikhladze** – Akaki Tsereteli State University, **Vladimer Glonti** – Batumi Shota Rustaveli State University, **Mikheil Djibuti** – Georgian Academy of Economic Sciences President, **Merab Kakulia** – Georgian Institute of Public Affairs (GIPA), **Murman Kvaracelia** – Sukhumi State University, **Paata Koguashvili** – Georgian Academy of Agricultural Sciences Academician, **Shalva Machavariani** – European University, **Vladimir Papava** – Georgia National Academy of Sciences Academician, **Dali Sekh-niashvili** – Georgian Technical University, **Avtandil Silagadze** – Georgia National Academy of Sciences Academician, **George Turkia** – Georgian Institute of Public Affairs (GIPA).

FOREIGN MEMBERS OF THE EDITORIAL BOARD

Michael A. Altman – Director, Hospitality and Tourism Management Program, Meredith College School of Business, North Carolina University (USA); **Ameziane Ferguène** – Professor of Economics at Grenoble Alps University (France); **Toomas Haldma** – Tartu University (Estonia); **Roswitha M. King** – Leader of Research Group ‘Applied Economics,’ Faculty of Economics and Social Sciences, Ostfold University College (Norway); **Dmytro Lukianenko** – Vadym Hetman Kyiv National Economic University, Rector, Professor (Ukraine); **Irakli Managadze** – Chairman of Silk Road Bank Supervisory Board, Senior Advisor and Consultant at J.Stern & Co Investment Office Acad. Doctor (UK); **Gregory N. Mankiw** – Harvard University, Professor (USA); **Jan Mikhalek** – University of Warsaw, Dean of the Faculty of Economic sciences, Doctor of Economic Sciences, Professor (Poland); **Larry Neal** – Illinois University Emeritus Professor (USA); Dean of the Faculty of Economics and Business Administration, Professor. **Dmitry Sorokin** – Corresponding Member of the Russian Academy of Sciences, Doctor of Economic Sciences, Professor; **Wolfgang Weng** – Berlin Technical University, Professor.

ს ა რ ჩ ე ვ ი

მრგვალი მაგილა „კორონომიკა“

ედგუჯა მექვაბიშვილი - გლობალური კორონომიკური კრიზისის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე (შესავლის ნაცვლად)	9
ვლადიმეჲ პაპავა - კორონომიკა და თვისებრივად ახალი ეკონომიკური კრიზისი	13
გიოხგი ლალანიძე - მსოფლიო ეკონომიკა პანდემიამდე, პანდემიის დროს და პანდემიის შემდეგ	17
იჩაკვი კოვზანაძე - ეკონომიკის გამონვევები და პერსპექტივები COVID-19 ინფექციის ფონზე	25
იამაზ აბესაძე - გლობალიზაცია და პანდემიის ეკონომიკური პრობლემები	31
მიხეილ ჯიბუჯი - პოლიტეკონომიის ვირუსული ვარიაციები	37
მეხაბ კაკულია - კორონომიკური კრიზისის გაკვეთილები საქართველოსთვის	44
თეიმუხაზ შენგელია - გლობალური ეკონომიკის რეცესია და საქართველოს პოსტვირუსული განვითარება	55
იოსებ აჩივადე - სახელმწიფოს ფუნქციის ტრანსფორმაცია პოსტპანდემიურ პერიოდში	63
ვახტანგ ჭაჩაია - კორონომიკა – საფრთხე თუ შესაძლებლობა?!	68
გიოხგი ბენაშვილი - კორონომიკა - ეკონომიკური პოლიტიკის ხელახალი გააზრების აუცილებლობა	72

ეკონომიკური თეორია ◊ ეკონომიკური პოლიტიკა

ადექსანდრე თვადჭხედიძე, ავთანდილ სიღაგაძე - COVID-19 კორონავირუსის პანდემიის გავლენა ნედლი ნავთობის ფასზე წინასწარი სტატისტიკური ანალიზი	82
თეიმუხაზ ბეჩიძე - ეკონომიკური ზრდა: თვისებრივი და რაოდენობრივი განსაზღვრულობა	89
ბადგი გეჩბაია, გელა მამუდაძე, პაატა ახოშიძე, ნანუდი მახაჩაძე, მიხზა სუქნიშვილი - ეროვნული წარმოების კონკურენტუნარიანობა და საექსპორტო ბაზრებზე გასვლის სტრატეგიები	100

მიკროეკონომიკა ◊ მაკროეკონომიკა ◊ ეკონომეტრიკა

ეხეკლე პიხვედი - საქართველოს ეკონომიკური მოდელის დარგობრივი ანალიზი..... 114

ღავით ქედითე - საინვესტიციო პროექტები, როგორც ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელი ბერკეტი 134

ფინანსები და საბანკო საქმე ◊ აღრიცხვა, აუდიტი

ბესიკ ბოლქვაძე - სადივიდენდო პოლიტიკის რეგულირების მექანიზმები საქართველოს ბიზნესსექტორში 147

ბიზნესი ◊ მენეჯმენტი ◊ მარკეტინგი ◊ ტურიზმი

იოსებ ხელაშვილი - საქართველოში ტურიზმის ზეგავლენა ქვეყნის დარგობრივ ეკონომიკაზე 152

დემოგრაფია ◊ სოციალური პოლიტიკა

მეხაბ ხმალაძე, ქეთევან ჩიგაძე - ეთნოდემოგრაფიული პროცესები და ეთნოკონფლიქტები საქართველოში 176

სხვადასხვა

თეიმურაზ ჯოჯუა - წიგნის ფასი XI საუკუნეში 186

მიხეილ ჯიბუცი - ერთი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური ტერმინის შესახებ 200

გამოხმაურება აკადემიკოსების **ვლადიმერ პაპავასა** და **ავთანდილ სილაგაძის** ერთი მნიშვნელოვანი ტერმინოლოგიური წინადადების შესახებ 205

ჩვენი იუბილარები

პროფესორი ნუგზარ პაიჭაძე 80 წლისაა 210

სსოვნა ნათელი

დიდ მეცნიერთა ღირსეული მოწაფე შტრიხები პროფესორ ლეო ჩიქავას პორტრეტისათვის 214

CONTENTS

ROUND TABLE “KORONOMICS”

Elguja Mekvabishvili - Global Coronomic Crisis Influence on the Georgian Economy (instead of introduction)	9
Vladimer Papava - Coronomics and Qualitatively New Economic Crisis	13
Giorgi Gaganidze - The World Economy before, during and after the Pandemic	17
Irakli Kovzanadze - Challenges and Prospects of the Economy against the Background of COVID-19 Infection	25
Ramaz Abesadze - Globalization and the Economic Problems of the Pandemic	31
Mikhail Djibuti - Viral Variations of Political Economy	37
Merab Kakulia – Lessons of Coronomic Crisis in Georgia	44
Temur Shengelia - Recession of the Global Economy and Post-Virus Development of Georgia	55
Ioseb Archvadze - Transformation of the State Function in the Post-Pandemic Period	63
Vakhtang Charaia - Coronomics: Danger or Opportunity?!.....	68
Giorgi Benashvili – Coronomics - The Necessity To Reassess Economic Policy	72

ECONOMIC THEORY ◊ ECONOMIC POLICY

Alexander Tvalchrelidze , Avtandil Silagadze – COVID-19 Coronavirus Pandemic Influence on Crude Oil Prices. A Preliminary Statistical Analysis.....	82
Teimuraz Beridze - Economic Growth: Qalitative & Qantitative Determinants (Metodological Aspect)	89
Badri Gechbaia, Gela Mamuladze, Paata Aroshidze, Nanuli Makharadze, Mirza Suqnishvili - Competitiveness of National Production and the Strategies for Entering Export Markets	100

MICROECONOMICS ◊ MACROECONOMICS ◊ ECONOMETRICS

Erekle Pirveli - Sectoral Analysis of the Economic Model of Georgia	114
David Chelidze - Investment Projects as a Stimulating Lever of Country's Economic Growth	134

FINANCE ◊ BANKING ◊ ACCAUNTING, AUDITING

Besik Bolkvadze - Regulating Aspects of Dividend Policy in the Business Sector of Georgia	147
--	-----

BUSINESS ◊ MANAGEMENT ◊ MARKETING ◊ TOURISM

<i>Ioseb Khelashvili</i> - The Impact of Tourism on the Country's Sectoral Economy in Georgia (By the example of food and beverage industry)	152
---	-----

DEMOGRAPHY ◊ SOCIAL POLICY

<i>Merab Khmaladze, Ketevan Chitaladze</i> - Ethno-Demographic Processes and Ethnic Conflicts in Georgia	176
---	-----

MISCELLANEOUS

<i>Teimuraz Jojua</i> - A Manuscript Cost in the 11 th Century (Based on a Colophon from a Georgian Manuscript (Vind.Georg.3) Held at Austrian National Library)	186
<i>Mikhael Djibuti</i> – About One of the Important Economic Terms	200
<i>Responses</i> about one important terminological proposition from Academicians <i>Vladimer Papava</i> and <i>Avtandil Silagadze</i>	205

ANNIVERSARIES

<i>Professor Nugzar Paichadze - 80</i>	210
---	-----

BRIGHT MEMORY

A Worthy Disciple of Great Scientists: Touches to the Portrait of Professor <i>Leo Chikava</i>	214
---	-----

მრგვალი მაგიდა „კორონომიკა“ ROUND TABLE – “KORONOMCS”

გლობალური კორონომიკური კრიზისის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე (შესავლის ნაცვლად)



გასული წლის დეკემბრის შუა რიცხვებში მსოფლიო საინფორმაციო საშუალებებში პირველი ცნობები გაჩნდა ჩინეთში, კერძოდ, ვუჰანის პროვინციაში უცნობი, ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის სახიფათო ვირუსული დაავადების შესახებ, რომელსაც მოგვიანებით COVID-19 (კორონავირუსი) უწოდეს. დეკემბრის ბოლოს ჩინეთის ხელისუფლებამ ოფიციალურად აღიარა ამ დაავადების არსებობა. 2020 წლის 30 იანვარს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ COVID-19 გლობალურ საფრთხედ, ხოლო 11 მარტს - პანდემიად გამოაცხადა. 2020 წლის 21 მარტს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის შემოღების შესახებ. ამჟამად ეს დაავადება მსოფლიოს 200-ზე მეტ ქვეყანაშია გავრცელებული. ყოველდღიურად მატულობს დაინფიცირებულთა და გარდაცვლილთა, ისე როგორც გამოჯანმრთელებულთა რაოდენობა. სულ უფრო ხშირად საუბრობენ პანდემიის მეორე ტალღის შესაძლებლობაზე.

COVID-19-ის ვირუსმა უმძიმესი დარტყმა მიაყენა როგორც ეროვნული სახელმწიფოების, ისე გლობალურ ეკონომიკას. ამას ადასტურებს შემდეგი სტატისტიკური მონაცემები - გაეროს პროგნოზით, მიმდინარე წელს მსოფლიო ეკონომიკა 3.4%-ით შემცირდება. საერთაშორისო სავალუტო ფონდი ვარაუდობს 4.0%-ით, ხოლო მსოფლიო ბანკი - 5.2%-ით შემცირებას (ავტორის მიერ გამოყენებული ყველა მონაცემი აღებულია ელექტრონული წყაროდან <https://bitlyTcSmoq/>). ასევე საპროგნოზო შეფასებით, მიმდინარე წელს ევროკავშირის ეკონომიკა შემცირდება 7.5%-ით, მათ შორის: იტალიის - 9.1%-ით, ესპანეთის - 8.0%-ით, საფრანგეთის - 7.2%-ით და ა.შ. აშშ-ში ეკონომიკის 5.9%-იან ვარდნას პროგნოზირებენ. აზიის განვითარების ბანკის მაისის თვის ანგარიშში კორონავირუსის მიერ მსოფლიო ეკონომიკისათვის მიყენებული ზარალი 5.8-8.8 ტრლნ აშშ დოლარის ფარგლებშია შეფასებული, რაც გლობალური მთლიანი სამამულო პროდუქტის (GDP) 6.4%-დან 9.7% შეადგენს. მსოფლიო ვაჭრობის მოცულობა, სავარაუდოდ, 1.7-2.6 ტრლნ დოლარით შემცირდება, მსოფლიო ტურიზმის დანაკარგებს 1.2-1.5 ტრლნ აშშ დოლარის ფარგლებში ვარაუდობენ. მხოლოდ განვითარებად ქვეყნებში დასაქმება შესაძლებელია 25 მლნ სამუშაო ადგილით შემცირდეს. აშშ-ში მოსალოდნელ ზარალს 4.0 ტრლნ დოლარით აფასებენ, რაც ამ ქვეყნის მთლიანი სამამულო პროდუქტის თითქმის 10%-ია.

ამგვარად, სახეზეა პანდემიური შოკით პროვოცირებული მეორე გლობალური ეკონომიკურ-ფინანსური კრიზისი, რომელმაც სამეცნიერო ლიტერატურაში „კორონომიკური კრიზისის“ სახელწოდება მიიღო (ვ. პაპავა, 2020, კორონომიკა და ეკონომიკა კრიზისის წინაშე - <https://for.ge/view/182671/koronomika-da-economica-krizisis-winase.html> და სხვ.) მოცემული კრიზისის ორ მთავარ თავისებურებას შეიძლება გაეხვას ხაზი. პირველი კრიზისის წარმქმნის მიზეზშია, რომელიც გამონვეულია არა ეკონომიკური სისტემის შიგნით არსებული წინააღმდეგობებით, არამედ სამედიცინო ფაქტორით. ჯერჯერობით არ არსებობს კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა და მისი ეფექტიანი მკურნალობის პრეპარატი. ასევე უცნობია კორონომიკური კრიზისის დაძლევის გზები და არ არსებობს პოსტკრიზისული ეკონომიკური განვითარების აპრობირებული მექანიზმები. აღნიშნული გარემოება შეშფოთებას ბადებს მსოფლიო საზოგადოებაში. მართალია, ბევრ ქვეყანაში ეპიდემიის პიკი გადალახულია და დაწყებულია შეზღუდვების შერბილების პროცესი, რაც, პირველ რიგში, ეკონომიკური აუცილებლობითაა ნაკარნახევი, მაგრამ დღეს ვერავინ ამბობს რამდენ ხანს გასტანს კიდევ ეპიდემია ან რა შესაძლო ფორმებს შეიძენს იგი მომავალში.

შექმნილ სიტუაციაში სულ უფრო ხშირად გაისმის ხმები დეგლობალიზაციის პროცესის დაწყების შესახებ, რასაც, ჩვენი აზრით, არ გააჩნია რეალური საფუძველი. საკითხის სიცხადისათვის რამდენიმე ფაქტს გა-

ვიხსენებთ ისტორიიდან. ინტერნაციონალიზაცია, როგორც გლობალიზაციის წინაპირობა და შემადგენელი ნაწილი, რამდენჯერმე სერიოზულად შეფერხდა მე-20 საუკუნეში და 21-ე საუკუნის დასაწყისში. ეს გამოწვეული იყო პირველი და მეორე მსოფლიო ომებით, „დიდი დეპრესიით“, 2007-2009 წლების „დიდი რეცესიით“ და სხვ. გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ გაჩნდა წარმოების ლოკალიზაციის ტენდენცია, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილება კრიზისით განპირობებული უმუშევრობის პრობლემის შერბილების მექანიზმის სახით. იგულისხმება, რომ უპირატესობა ენიჭება სამუშაო ადგილების შექმნას ქვეყნის შიგა და არა შრომის გლობალურ ბაზრებზე. პარადოქსულია, რომ ლოკალიზაციის ტენდენცია აშშ-ში აღმოცენდა, რომელიც გლობალიზაციის ბირთვი და ლოკომოტივია. ნებისმიერ შემთხვევაში, მსგავსი შეფერხებები დროებითი ხასიათისაა. ვფიქრობთ, ასევე დროებითი იქნება COVID-19 პანდემიით გამოწვეული გლობალიზაციის ამჟამინდელი შეფერხებაც.

კორონომიკული კრიზისის მეორე თავისებურება მის განსაკუთრებულ სიღრმეშია. მეცნიერები თანხმდებიან იმაში, რომ ეს კრიზისი თავისი სიმწვავეთ და დამანგრეველი ზემოქმედებით აღემატება 2007-2009 წლების გლობალურ ფინანსურ კრიზისს და უთანაბრდება 1930-იანი წლების „დიდ დეპრესიას“. შეიძლება ითქვას, რომ მისი სახით ჩვენ საქმე გვაქვს გლობალურ „დიდ დეპრესიასთან“. აღნიშნულის გათვალისწინებით, ძალიან რთული და საკმაოდ ხანგრძლივი იქნება ამ კრიზისიდან გამოსვლის პროცესი: სავარაუდოა, რომ გლობალური და ცალკეული ქვეყნების ეკონომიკებისათვის პანდემიით მიყენებული ზარალის გათვალისწინებით, წამყვანი ქვეყნები 2022 წლამდე ვერ შეძლებენ 2019 წლის ეკონომიკური დონის მიღწევას.

კორონავირუსის ეპიდემიას ჩვენი ქვეყნისთვისაც არ აუვლია გვერდი. უაღრესად მძიმე ზეგავლენა იქონია კორონავირუსიდან გამოწვეულმა კორონომიკურმა კრიზისმა საქართველოს ეკონომიკაზე. წინასწარი ვარაუდით, ქვეყნის მთლიანი სამამულო პროდუქტი 4.0% - 5.0%-ით შემცირდება. მკვეთრად გაიზრდება ქვეყნის საგარეო ვალი. უკვე 2020 წლის მაისში ტურიზმის ინდუსტრიის შემოსავლები 97%-ით შემცირდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, უცხოეთიდან გადმორიცხულმა თანხებმა კი 9.3%-ით იკლო. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობამ შეძლო დროულად განეხორციელებინა ამ დაავადების წინააღმდეგ მიმართული როგორც წმინდა სამედიცინო, ისე ეკონომიკური ხასიათის ღონისძიებები. მათი დაწვრილებითი ანალიზი და შეფასებები წინამდებარე ჟურნალში წარმოდგენილია ცნობილი ქართველი და ახალგაზრდა თაობის მეცნიერ-ეკონომისტების მიერ.

რთული აღმოჩნდა ანტიკრიზისული პროგრამის შემუშავება და განხორციელება, რასაც განაპირობებდა ბოლო ათწლეულების განმავლობა-

ში ჩამოყალიბებული საქართველოს ეკონომიკის სამომხმარებლო ხასიათი - მისი მნიშვნელოვანი დამოკიდებულება ტურიზმზე, საქონლისა და მომსახურების იმპორტზე და უცხოეთში წასული საქართველოს მოქალაქეების ფულად გზავნილებზე. ეს ის სფეროებია, რომლებიც ყველაზე უფრო მეტად დაზიანდა კორონომიკული კრიზისისაგან. მთავრობის ანტიკრიზისულ გეგმაში პრიორიტეტი მიენიჭა სოციალურ საკითხებს - კრიზისისაგან ყველაზე მეტად დაზარალებული ადამიანების სოციალურ დაცვას, რომელიც განხორციელდა როგორც პირდაპირი სუბსიდირებით, ისე მონეტარული დახმარებით. უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნესთან მიმართებაშიც დასაქმებულთა ინტერესების დაცვას მიენიჭა უპირატესობა.

დასასრულ, პრობლემის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ასპექტს უნდა მივაქციოთ ყურადღება. ეკონომიკური თეორიიდან კარგად არის ცნობილი, რომ ეკონომიკური კრიზისი არა მხოლოდ ძველის დამანგრეველი, არამედ ახალი ეკონომიკური რეალობის შემქმნელი ძალაა, რაც ნათლად ჩანს კრიზისის ცნების სხვადასხვა ენაზე გამოხატველ ტრანსკრიფციებში - ბერძნულად „კრიზისი“ ნიშნავს „გადაწყვეტას“, ლათინურად - „გაყოფას“ და „გარდატეხას“, ჩინურად - „საფრთხეს“ და „შესაძლებლობას“. შესაბამისად, კორონომიკური კრიზისი განხილული უნდა იქნეს არა მხოლოდ სოციუმის და მისი შემადგენელი ნაწილის - ეკონომიკის მდგრადობის სერიოზული გამოცდა, არამედ როგორც „შესაძლებლობების ფანჯარა“ ახალი, უფრო ეფექტიანი და პროგრესული ეკონომიკური სტრუქტურების ჩამოყალიბებისათვის. ვინ და როგორ გამოიყენებს ამ შანსს, ამაზე დიდად იქნება დამოკიდებული ცალკეული კომპანიების წარმატება თუ მთელი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივა.

გვინდა ვისარგებლოთ შემთხვევით და მადლობა გადავუხადოთ კოლეგებს შემჭიდროვებულ დროში ღრმაშინაარსიანი და მრავალმხრივი ანალიზით გაჭერებული სტატიების წარმოდგენისათვის. **პრობლემის აქტუალურობიდან გამომდინარე, გათვალისწინებულია მოცემული მასალის ქართულ-ინგლისურ ენებზე ცალკე ბროშურად ბეჭდური და ელექტრონული ფორმატით გამოცემა.**

პროფ. ელგუჯა მექვაბიშვილი

ჟუხნად“ეკონომიკა და ბიზნესის“

მთავარი ხელაქვლი

კორონომიკა და თვისებრივად ახალი ეკონომიკური კრიზისი

ვლადიმერ პაპავა

აკადემიკოსი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

vladimer.papava@tsu.ge

თანამედროვე მსოფლიო მოიცვა ახალი COVID-19 ვირუსის გლობალური გავრცელებით გამოწვეულმა საფრთხეებმა, რამაც დღის წესრიგში თვისებრივად ახალი პრობლემები დააყენა. მათ შორის მნიშვნელოვანია, შექმნილ ვითარებაში როგორ გავუძღვეთ ეკონომიკას და რა ცვლილებებს საჭიროებს ის მომავალი რისკების შესამცირებლად.

ჩამოყალიბებული ტრადიციის თანხმად, ეკონომისტები, როგორც წესი, იკვლევდნენ ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენას ზოგადად ჯანდაცვის სისტემაზე, მოსახლეობის ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და ინფექციურ დაავადებათა გავრცელებაზე.

დღეს უკვე პირიქით დაისვა საკითხი იმის შესახებ, რომ კორონავირუსი არის ფართომასშტაბიანი ეკონომიკური კრიზისის გამომწვევი, რომ კორონავირუსი პრაქტიკულად „ეკონომიკურ პანდემიად“ გარდაიქმნება (Riley, 2020).

კორონავირუსის გავრცელების ეკონომიკაზე ზეგავლენის პრობლემაზე ყურადღების გამახვილების მიზნით მისასალმებელია შრილანკელი პროფესორის აჯით დე ალვისის მიერ ახალი ტერმინის „კორონომიკსი“ („Coronomics“) შექმნა, რომელიც მიიღება ორი ტერმინის - „კორონა“ და „ეკონომიკსის“ გაერთიანებით და შეისწავლის კორონავირუსის უარყოფით ეკონომიკურ შედეგებს (Alwis, 2020). მოგვიანებით გამოჩნდა სხვა მსგავსი ტერმინიც - „კორონანომიკა“ („Coronanomics“) (Eichengreen, 2020).

კორონომიკის აქტუალურობა არამარტო იმითაა განპირობებული, რომ დღეს სახეზეა კორონავირუსის პანდემია, არამედ იმითაც, რომ მსგავსი ტიპის გლობალური საფრთხეები არც მომავალშია გამორიცხული და ამის გათვალისწინება აუცილებელია როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ისე მომავალი ეკონომიკური პროექტების განხორციელებაში.

უნდა გავაცნობიეროთ, რომ ჩვენ ვდგავართ არა კლასიკური ტიპის, არამედ თვისებრივად ახალი გლობალური ეკონომიკური კრიზისის წინაშე, როცა მისი გამომწვევი მიზეზები არა ენდოგენური, არამედ ეგზოგენური ხასიათისაა, ანუ როცა ეს მიზეზები გენერირებულია არა ეკონომიკაში, არამედ პროვოცირებულია ეკონომიკის ფარგლებს გარეთ არსებული წყაროს - კორონავირუსის სწრაფი გავრცელების შედეგად. ამ ფაქტორის

გათვალისწინებით, როგორც ცალკეული ქვეყნები, ისე მთელი მსოფლიო დგას კლასიკური ეკონომიკური კრიზისისგან განსხვავებული, ახალი ტერმინით - „კორონომიკური კრიზისის“ წინაშე (Papava, 2020).

კორონომიკური კრიზისის სიღრმე დამოკიდებულია იმაზე, თუ პანდემია რამდენ ხანს გასტანს. სხვა სიტყვებით, **დღეს ეკონომიკა მედიცინის მძევალია.**

მსოფლიოს სიდიდით მეორე ეკონომიკის მქონე ქვეყნაში - ჩინეთში დაიხურა არაერთი კომპანია, მსგავსი სირთულეების წინაშე დადგნენ აშშ და ევროკავშირის განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნები.

რეალურად ის ინსტრუმენტები, რომელთა გამოყენებაც ყველაზე აქტიურად განიხილება, ძირითადად უკავშირდება 2008-2009 წლების გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის გამოცდილებას, თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ ამ კრიზისის წყარო ეკონომიკაში იყო, მაშინ, როცა კორონომიკური კრიზისი პირდაპირაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად წარმატებული იქნება მედიცინა კორონავირუსის დამარცხებაში.

ფაქტია, რომ კორონავირუსმა დააზარალა ტურისტული სექტორი, ზიანი მიაყენა სამგზავრო ავიაგადაზიდვებს, საფონდო ბაზრებებზე დაფიქსირებული ვარდნა კი ეკონომიკის რეალურ სექტორზე უშუალოდ აისახა. 2008-2009 წლების გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის გამოცდილებიდან გამომდინარე, ეკონომისტების ხელთაა ისეთი ინსტრუმენტები, როგორცაა საგადასახადო შეღავათების დაწესება, ცენტრალური ბანკების მიერ საპროცენტო განაკვეთების შემცირება და ლიკვიდურობის უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარება, მთავრობის მხრიდან მოსახლეობის ყველაზე შეჭირვებული ნაწილის სოციალური დაცვის გაძლიერება. რა თქმა უნდა, ამ ღონისძიებების გარდა, პრიორიტეტულია მთავრობის მიერ ჯანდაცვის დაფინანსების გაზრდა. ის, თუ რამდენად საკმარისი იქნება ამ ღონისძიებების გატარება კორონომიკური კრიზისის პირობებში, დიდად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რა დრო დასჭირდება მედიცინას კორონავირუსისგან სამკურნალო პრეპარატის, ასევე შესაბამისი ვაქცინის შექმნას, დამზადებასა და გავრცელებას.

საყურადღებოა, რომ ჩამოთვლილი ღონისძიებები, საბოლოო ანგარიშით, გამოიწვევს საბიუჯეტო დეფიციტის ზრდას და დიდი ალბათობით, ეს იქნება პანდემიით მოცული ყველა ქვეყნის საკმაოდ მნიშვნელოვანი პოსტკრიზისული პრობლემა. მაშასადამე, აუცილებელია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს ის ეკონომიკური ღონისძიებები, რომლებიც გასატარებელია კორონომიკური კრიზისის და პოსტკრიზისულ პერიოდებში.

ის, რომ ეკონომიკა თითქმის გაჩერდა აშშ-ში, ჩინეთსა და ევროპის არაერთ ქვეყანაში, აუცილებლად აისახება არამართო მოთხოვნის შემცირებაზე, არამედ კიდევ უფრო მეტად - მიწოდების შემცირებაზე.

მოთხოვნის შემცირებასთან შედარებით, მიწოდების უფრო მეტად შემცირება, უშუალოდ აისახება ინფლაციის ზრდაზე. მისი მოთხოვნა ცენტრალური ბანკების ხელთ არსებული ინსტრუმენტებით მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი, თუ გაიზრდება საპროცენტო განაკვეთები. ეს კი, თავის მხრივ, ისევ და ისევ უარყოფითად აისახება მიწოდებაზე და, საბოლოო ანგარიშით, ეკონომიკურ ზრდაზე.

კორონავირუსის გავრცელებამ გარკვეული ბიძგი მისცა იმ იდეებს, რომლებიც ეწინააღმდეგება თავისუფალ ვაჭრობას, თუმცა აშკარაა, რომ ის ქვეყნები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან გლობალიზაციას, ეკონომიკურად უფრო მეტად დაზარალებიან სწორედ პანდემიის პირობებში (Frankel, 2020; Mohamed, 2020). იმის გათვალისწინებით, რომ პანდემია გლობალური ფენომენია და კორონომიკური კრიზისი მთელი მსოფლიოს საფრთხეა, იზოლაციონიზმი და დეგლობალიზაცია მსოფლიო ეკონომიკისთვის აშკარად დამღუპველი გზაა. პირიქით, პოსტკრიზისულ პერიოდში აუცილებელია მოხდეს ღირებულებათა და მიწოდებათა ჯაჭვების დივერსიფიკაცია, რამაც უნდა უზრუნველყოს შესაძლო რისკების შემცირება (Derviş, Strauss, 2020).

აქედან გამომდინარე, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ჩინეთში თავმოყრილი მსხვილი კომპანიების დეკონცენტრაცია, რაც მომავალში ხელს შეუწყობს იმ რისკების შემცირებას, რომლებიც დაკავშირებულია გლობალურ საფრთხეებთან.

კორონომიკამ დაგვანახა, რომ მსხვილი კომპანიებისათვის შესაძლოა განსაკუთრებით მიმზიდველი გახდეს ჩინეთიდან თავიანთი ქარხნების გატანა იმ ქვეყნებში, რომლებსაც ჩინეთთან უკვე აქვთ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება.

ევროპასთან მიმართებით ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ისეთი ქვეყნები (მაგალითად, ისლანდია, საქართველო, შვეიცარია, და სხვ.), რომელთაც თავისუფალი ვაჭრობა ერთდროულად აქვთ ევროკავშირთანაც და ჩინეთთანაც. თუმცა, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს პოსტსაბჭოთა საქართველო, რომელიც გეოგრაფიულად ევროკავშირსა და ჩინეთს შორისაა და ის მდებარეობს ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ სატრანსპორტო დერეფანში. აქვე გასათვალისწინებელია აშშ-ის დაინტერესებაც - ჰქონდეს საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება (Rapoza, 2020). საქართველოს გამოყენება რეგიონულ ეკონომიკურ ჰაბად (ისმაილოვი, პაპავა, 2007, გვ. 170-176) პოსტკრიზისული განვითარების ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად შეიძლება ჩაითვალოს (Papava, 2020).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცალკე განხილვის თემაა ის სირთულეები და გამოწვევები, რომლის წინაშეც დადგა საქართველო კორონომიკური კრიზისის პირობებში (პაპავა, ჭარაია, 2020).

ლიტერატურა:

- ისმაილოვი ე., პაპავა ვ. (2007). ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები. თბილისი, „დიოგენე“.
- პაპავა ვ., ჭარაია ვ. (2020). კორონომიკური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკის ზოგიერთი გამოწვევა. GFSIS, ექსპერტის აბრი, No. 136, <<https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/136-expert-opinion-geo.pdf>>.
- Alwis A. de. (2020). Coronomics – Plan Your Eggs and the Basket! Daily FT, February 25, <<http://www.ft.lk/columns/Coronomics-%E2%80%93-Plan-your-eggs-and-the-basket-/4-695109>>.
- Derviş K., Strauss S. (2020). What COVID-19 Means for International Cooperation. Project Syndicate, March 6, <https://www.project-syndicate.org/commentary/global-cooperation-can-prevent-next-pandemic-by-kemal-dervis-and-sebastian-strauss-2020-03?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=cba7e1c6a1-sunday_newsletter_15_03_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-cba7e1c6a1-93567601&mc_cid=cba7e1c6a1&mc_eid=e9fb6cbcc0>.
- Eichengreen B. (2020). Coronomics 101. Project Syndicate, March 10, <https://www.project-syndicate.org/commentary/limits-macroeconomic-tools-coronavirus-pandemic-by-barry-eichengreen-2020-03?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=cba7e1c6a1-sunday_newsletter_15_03_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-cba7e1c6a1-93567601&mc_cid=cba7e1c6a1&mc_eid=e9fb6cbcc0>.
- Frankel J. (2020). Will the Coronavirus Trigger a Global Recession? Project Syndicate, February 24, <https://www.project-syndicate.org/commentary/coronavirus-global-recession-prospects-by-jeffrey-frankel-2020-02?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=11fa1362d7-sunday_newsletter_01_03_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-11fa1362d7-93567601&mc_cid=-11fa1362d7&mc_eid=e9fb6cbcc0>.
- Mohamed A. (2020). Protectionism Is No Cure for Pandemics. Project Syndicate, April 24, <https://www.project-syndicate.org/commentary/protectionism-will-prolong-the-covid19-pandemic-by-amina-mohamed-2020-04?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=871db40e9f-sunday_newsletter_26_04_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-871db40e9f-93567601&mc_cid=871db40e9f&mc_eid=e9fb6cbcc0>.
- Papava V. (2020). Coronomic Crisis: When The Economy Is A Hostage To Medicine. Eurasia Review. Journal of Analysis and News, March 29, <<https://www.eurasiareview.com/29032020-coronomic-crisis-when-the-economy-is-a-hostage-to-medicine-oped/>>.
- Rapoza K. (2020). Why Does Everyone Suddenly Want A Free Trade Deal With Georgia? Forbes, March 5, <<https://www.forbes.com/sites/kenrapoza/2020/03/05/why-does-everyone-suddenly-want-a-free-trade-deal-with-georgia/#18be024850e6>>
- Riley C. (2020). Coronavirus is fast becoming an ‘economic pandemic.’ CNN Business, February 25, <<https://edition.cnn.com/2020/02/24/business/coronavirus-global-economy/index.html>>.

მსოფლიო ეკონომიკა პანდემიამდე, პანდემიის დროს და პანდემიის შემდეგ

გიორგი ლაღანიძე

პროფესორი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
giorgi.gaganidze@tsu.ge

21-ე საუკუნის ცოდნა მსოფლიო ეკონომიკის შესახებ გარკვეულად წააგავდა მე-20 საუკუნის მსოფლიო ეკონომიკის შესახებ ცოდნას 1929 წლამდე. მაშინაც და ეხლაც ყველას ეგონა, რომ ეკონომიკურ მეცნიერებაში ყველაფერი შესწავლილია, ყველაფერი კარგად ვიცით და ყველა გამოწვევაზე გვაქვს პასუხი. ნიშანდობლივია, რომ 2008 წლის კრიზისისგან შესაბამისი დასკვნები გამოტანილი არ იქნა. 2008 წლის ეკონომიკური კრიზისის თავისებურება იყო ის, რომ კრიზისი დაიწყო არა ქარბნარმოებიდან ან სხვა ეკონომიკური ველიდან, არამედ პირდაპირ საფინანსო სექტორიდან. კრიზისის დაძლევა უზარმაზარი ფინანსური რესურსების მობილიზებით გახდა შესაძლებელი, თუმცა მისი მექანიზმი და გამომწვევი მიზეზები ისევ გამოუკვლევია დარჩა. 2020 წლის კრიზისი სრულიად განსხვავებულია. ამ კრიზისს პირდაპირ შეიძლება ვუწოდოთ „ხელთქმნილი“, ვინაიდან ეკონომიკური აქტიურობის შეჩერების გადაწყვეტილება მიღებული იქნა და ეკონომიკური მსხვერპლი გაღებულ, რათა გადარჩენილიყო ადამიანების სიცოცხლე. უმძიმესი იქნება კრიზისიდან გამოსვლა. ეს საკითხი ყველა სახელმწიფოს ძალაუფლებით აღჭურვილმა პირებმა კარგად გაიაზრეს და თავიდანვე დაასახელეს ეკონომიკის გაჩერების დასრულების თარიღები. და მაინც, რა გვიჩვენა კრიზისმა? რა გაკვეთილები უნდა ვისწავლოთ და რა უნდა გავითვალისწინოთ სამომავლოდ? როგორია ჩვენი საექსპორტო პოტენციალი და შესაძლებლობები? რომელი ბაზრები უნდა გახდნენ საექსპორტო პოტენციალის უკეთ გამოყენებისათვის საუკეთესო? ამ საკითხებზე თავისი პოზიციები გამოთქმული აქვთ ქართველ მეცნიერ ეკონომისტებს.

მსოფლიო ეკონომიკა პანდემიამდე

პანდემიამდე მსოფლიო ეკონომიკაში თითქოს ყველაფერი ნათელი იყო - არსებობდა სხვადასხვა ეკონომიკური კლასტერები – მაღალგანვითარებულ ტექნოლოგიებზე და მომსახურების სფეროზე ორიენტირებული ეკონომიკები, მაღალგანვითარებული რესურსულად მდიდარი ეკონომიკები; სწრაფად განვითარებადი ეკონომიკები, რომლებიც ცდილობდნენ

საწარმოო აქტიურობებიდან ტექნოლოგიურ აქტიურობებზე გადასვლას; განვითარებადი ეკონომიკები, რომლებიც ეძებდნენ თავიანთ ადგილს მსოფლიო ეკონომიკაში და დაბალგანვითარებული, გადარჩენაზე ორიენტირებული ეკონომიკები. სამწუხაროდ, ჩვენ მესამე ტიპს მივეკუთვნებით. აღიარებული იქნა “ვაშინგტონის კონსენსუსის” უდავო უპირატესობა და ყველა ეროვნულ მთავრობას მიეცა რჩევა ემოქმედა ამ მიმართულებით. უნდა ითქვას, რომ გადასახადების შემცირება, ეკონომიკის დერეგულაცია, სავალუტო კონტროლის შესუსტება ძალიან პოპულარული გახდა მსოფლიოში. ნაკლები ყურადღება ექცეოდა იმ ფაქტს, რომ საწყისი სწრაფი ზრდის შემდეგ, რაც ძირითადად აიხსნება ელემენტარული ეკონომიკური წესრიგის დამყარებით, სახელმწიფოები აწყდებოდნენ სერიოზულ პრობლემებს ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით. ლოზუნგი - „ბაზარი ყველაფერს დაარეგულირებს“ - ალბათ ყველაზე მეტად მუშაობდა მე-19 საუკუნის ბოლოს, როდესაც ტექნოლოგიური დონე ძალიან დაბალი იყო. გლობალიზაციამ თვითონვე შექმნა გლობალიზაციის კონკურენტული ფენომენი - ერთი მხრივ, მუდმივად უნდა აუმჯობესებდეს საკუთარ მაჩვენებლებს და, მეორე მხრივ, ამით ხელს უწყობდეს სხვებს მაჩვენებლების გაუმჯობესებაში და კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში. მასობრივი წარმოების მუდმივი ზრდა ამავედროულად აბრკოლებს წარმოების ზრდის შესაძლებლობებს. ეკონომიკური ზრდისთვის აუცილებელი ხდება მოთხოვნის განუხრელი ზრდა, რაც ფაქტობრივად შეუძლებელია განვითარებულ ქვეყნებში, სადაც მიღწეულია მოხმარების ძალიან მაღალი დონე. მეორეს მხრივ, ისინი, ვინც ქმნიან მატერიალურ საგნებს, იღებენ იმდენად მცირე ანაზღაურებას, რომ ვერ ხდებიან ამ პროდუქციის მომხმარებლები. ანუ, უნდა ვაწარმოოთ იქ, სადაც იაფია, მათთვის, ვისაც შეუძლია იყიდოს, ხოლო ისინი, ვინც იაფად აწარმოებენ, თვითონ მყიდველები ვერ ხდებიან, ვინაიდან მათ იაფად უნდა გადაუხადოთ. ამ პარადოქსიდან გლობალური ეკონომიკა უნდა გამოსულიყო და ეკონომიკურ თეორიაში ცნობილი ფინანსური კაპიტალიზმი უნდა შეცვლილიყო, მაგრამ რით? მეცნიერთა გარკვეული ნაწილი ითვალისწინებდა ინფორმაციის როლისა და მნიშვნელობის ზრდას და ამიტომ ახალ ფაზას დაერქვა საინფორმაციო ფაზა. გაჩნდა ინდუსტრია 4.0. იდეები, სადაც აქცენტი გადადის ისეთ ასპექტებზე, როგორცაა მონაცემთა დიდი ბაზები, დამატებული რეალობა, ღრუბლოვანი ტექნოლოგიები და კვანტური კომპიუტერები. ფაქტობრივად, ეკონომიკური კრიზისი უნდა მომხდარიყო და სწორედ ამიტომაც მსოფლიოს ცნობილი ინტელექტუალები საუბრობდნენ ამ ფაქტის აუცილებელ ხდომილებაზე, თუმცა გაურკვეველი იყო მისი ფორმა. მსოფლიო ეკონომიკაში, როდესაც მოხდა ურთიერთდამოკიდებულების ასეთი ზრდა, საკმარისი იყო მის ერთ-ერთ მსხვილ მოთამაშეს შექმნოდა პრობლემები, რომ ეს პრობლემები სასწრაფოდ გამხდარიყო გლობალური. 2008 წელს

კრიზისი დაიწყო აშშ-ში, ხოლო 2020 წელს ჩინეთში. პირველის დაძლევა მოხერხდა, ვინაიდან საფინანსო სექტორში მოხდა კრიზისის ლოკალიზაცია, მეორე კრიზისი შეეხო ყველა სექტორს ერთდროულად და ყველა სახელმწიფო ცდილობს ეს კრიზისი არ შეეხოს ფინანსურ სექტორს, მაშინ რადგანაც მართლაც მსოფლიო კრიზისი დადგება. ეკონომიკური კავშირების მაქსიმალური გლობალიზაცია ობიექტურად უნდა მისულიყო იმ მიჯნაზე, როდესაც შემდგომი გლობალიზება მოხდებოდა პოლიტიკური გაერთიანებების გაღრმავებით, ან ერთ-ერთ ადგილას მცირე პრობლემა გახდებოდა გლობალური. ამდენად გლობალიზაციის ეკონომიკური პარადოქსი შესაძლებელია ასე ჩამოვაყალიბოთ: ეკონომიკური კავშირების გლობალიზაცია სულ უფრო და უფრო მყიდვს ხდის ეკონომიკური სისტემის მდგრადობას და დაცულობას. შესაბამისად, პანდემიის შემდეგ მსოფლიო ეკონომიკა აუცილებლად იქნება განსხვავებული.

მსოფლიო ეკონომიკა პანდემიის დროს

პანდემიამ აჩვენა, რომ თანამედროვე მსოფლიოში ადამიანის სიცოცხლე მართლაც ყველაზე მაღალი ფასეულობაა. პრაქტიკულად ყველა სახელმწიფომ მიიღო ეკონომიკური თვალსაზრისით უმძიმესი გადაწყვეტილება და თვითონ გააჩერა საკუთარი ეკონომიკა. ამ შემთხვევაში მიზანი უაღრესად ჰუმანური იყო: ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის შენარჩუნება. კარგია, რომ მსოფლიო ლიდერებმა ერთხმად აღიარეს მორალური იმპერატივი – არ შეიძლება ადამიანების სიცოცხლის რაოდენობრივი შედარება, არსებობს რაღაც, რასაც არა აქვს ფასი, ის შეუფასებელია. პანდემიური ეკონომიკა ძალიან ჰგავს ომის სამობილიზაციო ეკონომიკას, სადაც ფული თავისუფლად ცირკულირებს, თუმცა ჩნდება ისეთი ელემენტები, რომლებიც ძალიან ღირებულია ფულთან ერთად: დაშვება, ნებართვა, საშვი და ა.შ. საბედნიეროდ, ამ ეტაპზე მსოფლიოში არ შეინიშნება კვების პროდუქტების ნაკლებობა, რაც აუცილებლად გამოიწვევდა სამობილიზაციო ეკონომიკისათვის დამახასიათებელ პირდაპირი განაწილების სისტემების ამოქმედებას და სასურსათო ან სხვა სახის ტალონებს. სამობილიზაციო ეკონომიკა, რომ კარგი არაა ეს ყველამ დაინახა, მაგრამ ეს იყო ერთადერთი პასუხი ჯერ-ჯერობით უცნობი საფრთხის წინაშე. როგორც ყოველთვის, ისევ გამოჩნდნენ ავტარკიული მეურნეობის დამცველები, რომელთა მთავარი დევიზია – „რა მნიშვნელობა აქვს რა ჯდება, ჩვენ თვითონ ვაწარმოოთ“. სამწუხაროდ, როგორც აღმოჩნდა, ისეთი ტექნოლოგიურად მარტივი პროდუქტის, როგორც პირბადეა, წარმოება საკმაოდ რთულია და ადგილობრივმა წარმოებამ თავი ვერ გაართვა ამ ამოცანას. ალბათ, სამომავლოდ აჯობებს გვექონდეს ამ ტიპის, ანუ პერსონალური დაცვის პროდუქციის საკმარისი მარაგები, რომლებსაც განკარგავს და ოპერატიულად განაგებს ჯანდაცვის სამინისტრო.

ამავდროულად პანდემიამ აჩვენა ადაპტირების განსხვავებული უნარები. თუ განვიხილავთ საქართველოს მაგალითს, მაშინ ცხადია, რომ განათლებისა და ჯანდაცვის სისტემებმა გამოავლინეს ადაპტირების ძალიან მაღალი დონე და სწორედ ეს უნდა გახდეს მდგრადი კონკურენტული უპირატესობის საფუძველი საქართველოსათვის. როდესაც საუბარია საწარმოო სიმძლავრეების რეორიენტაციაზე, ცხადია. ეს მოხდება იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად ადაპტირების უნარები აქვთ სწორედ ჯანდაცვისა და განათლების სისტემებს. პანდემიის პირობებში კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ მარტივია იმ პროდუქციის და მომსახურების მიწოდება, სადაც მყიდველი და გამყიდველი არაა აუცილებელი ურთიერთქმედებდნენ დროის რეალურ რეჟიმში, ანუ სხვა სიტყვებით, არაა საჭირო მომხმარებლის ყოფნა პროდუქციის ან მომსახურების მისაღებად. თუმცა, სადაც ეს აუცილებელია, იქ წარმოიშვა გადაულახავი წინააღმდეგობა (თმის შეჭრა, ქირურგიული დახმარება და ა.შ). სამომავლოდ ავტომობილის შეკეთებისათვის სტანდარტული აპლიკაცია საშუალებას მისცემს მომხმარებელსა და მომსახურების გამწვევს დისტანციურად დაუკავშირდნენ ერთმანეთს, შეთანხმდნენ მომსახურების ძირითად პარამეტრებზე, განახორციელონ შეკვეთების მიღება და ანაზღაურება. სამწუხაროდ, პერსონალური პირადი ჰიგიენის მომსახურების გაწევა დისტანციურად შეუძლებელი იქნება, თუმცა არ უნდა გამოვრიცხოთ ისეთი სპეციალური პროგრამებისა და სასწავლო კურსების წარმოქმნა, სადაც მომხმარებლებს ასწავლიან თუ როგორ ჩაატარონ ეს პროცედურები. პანდემიამ აჩვენა, რომ სამომავლოდ შესაძლებელი იქნება პროცესების მაქსიმალური ავტომატიზაცია, რაც საშუალებას მოგვცემს დისტანციური მოქმედების უპირატესობები გამოვიყენოთ. ყველაზე უფრო მეტად პანდემიამ დაგვანახა სამომავლოდ სამუშაო ადგილების მდგრადობის პრობლემა. ფაქტობრივად, სამუშაო ადგილები გადავა ვირტუალურ რეჟიმში, რასაც აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ასპექტები. პანდემიამ ასევე გვიჩვენა, რომ სოციალური დაცულობის თანამედროვე სისტემა გახდა უდიდესი პრობლემა სახელმწიფოების ფინანსური მდგრადობისათვის. პანდემიიდან გამოსვლის შემდეგ სახელმწიფო ვალი ყველა ქვეყანაში გაიზრდება. ამდენად, მიზანშეწონილია ეხლავე გადაიხედოს საპენსიო სისტემები და ისინი გადავიდნენ მთლიანად ნებაყოფლობით საფუძველზე. სახელმწიფოებს აღარ შეეძლებათ გადაიხადონ სამომავლოდ საპენსიო თანხები, რის გამოც უნდა განხორციელდეს ერთი მხრივ, საგადასახადო, ხოლო მეორე მხრივ - საპენსიო რეფორმები. ასევე ძალიან ძლიერი ბიძგი მიეცემა 3 განზომილებიანი ბეჭდვის ტექნოლოგიების გამოყენებას და ყველაფერს, რაც ადგილობრივ რესურსებთან იქნება დაკავშირებული. მიზანშეწონილია თავიდან გადაფასდეს არსებული მინერალური და სამშენებლო რესურსები. ამასთან ერთად, ულტრათანამედროვე ტექნოლოგიების საფუძველზე მოხდეს ამ რესურსების ბაზაზე პროდუქციის შექმნა.

ამ კონტექსტში მიზანშეწონილია განვიხილოთ საქართველოს საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები 2020 წლის პირველ კვარტალში. საქართველოს სასაქონლო საგარეო ვაჭრობის პრობლემებზე გამოქვეყნდა ბევრი პუბლიკაცია, შეიქმნა ფუნდამენტური მონოგრაფია, სადაც გაანალიზებულია საგარეო ვაჭრობის პრობლემები (1).

ვინაიდან ამ ეტაპზე გვაქვს მხოლოდ 2020 წლის I კვარტლის მაჩვენებლები, შედარებაც ამ მაჩვენებლებით უნდა შემოიფარგლოს.

საქართველოსათვის, როგორც პატარა და ღია ეკონომიკისათვის მსოფლიო კრიზისი ყოველთვის მეტად მტკივნეულია. საგარეო ბაზრების გახსნილობა და ქართული ექსპორტის ამ ბაზრებზე განთავსება ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი წინაპირობაა. ამასთან ერთად, ქართული ექსპორტის დაბალი დივერსიფიკაცია, საექსპორტო სასაქონლო ჯგუფების მცირე რიცხვი აღნიშნულ პრობლემას კიდევ უფრო აღრმავებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წლის პირველ კვარტალში მსოფლიო მხოლოდ შედიოდა ეკონომიკურ კრიზისში და ამდენად უარესი დღეები ეკონომიკური თვალსაზრისით წინ გვაქვს. 2020 წლის პირველ კვარტალში ექსპორტი შემცირდა 5.9%-ით, ხოლო იმპორტი 1.4%-ით. იმპორტის შემდგომი შემცირება განპირობებული იქნება ტურიზმის ინდუსტრიის გაჩერებით და გარკვეულწილად წაადგება სავაჭრო დეფიციტის პრობლემის შემსუბუქებას. ამდენად ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ექსპორტის ვარდნის ანალიზი. ამ მიკროანალიზისათვის შერჩეული გვაქვს 4 სასაქონლო ჯგუფი საქართველოს ექსპორტში: ფეროშენადნობები, ყურძნის ნატურალური ღვინოები, სამკურნალო საშუალებები და აზოტოვანი სასუქები. მონაცემები მოცემულია ცხრილი N1-ში.

საექსპორტო სასაქონლო ჯგუფები

ცხრილი 1

	2020 1 კვარტალი (ათასი აშშ დოლ)	2019 1 კვარტალი (ათასი აშშ დოლ)	2020 1 კვარტალი ტონა ან სხვა	2019 1 კვარტალი ტონა ან სხვა
ფეროშენადნობები	58.2	95.61	60,152	83,820
ყურძნის ნატურალური ღვინოები	48,976	44,261	14049572	15721488
სამკურნალო საშუალებები	12,17	52,36	254,9	681,2
აზოტოვანი სასუქები	30,41	35,4	172,7	185,2

აქვე უნდა გავაკეთოთ რამდენიმე შენიშვნა: ყურძნის ნატურალური ღვინოების შემთხვევაში საზომი ერთეულია პირობითი ბოთლი, სამკურნალო საშუალებების შემთხვევაში საზომ ერთეულად ტონის გამოყენება გამოწვეულია იმით, რომ სხვა საზომი არა გვაქვს. ამდენად ტონები გვაძლევენ ძალიან უხეშ, მაგრამ გარკვეულ წარმოდგენას კუთრი ღირებულების (ფასის ფარდობა წონასთან ან სხვა საზომთან) შესახებ. ასეთი ანალიზი აუცილებელია, რათა სწორად განვსაზღვროთ როგორც მოთხოვნის საფასო, ასევე სხვა, მოცულობითი პარამეტრები. გარდა ყურძნის ნატურალური ღვინოებისა, სადაც კუთრი ღირებულება მცირედ მაინც გაიზარდა 3,12-დან 3,15 დოლარამდე ერთ პირობით ბოთლზე, სხვაგან სახეზეა კლება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ექსპორტის ლომის წილი მოდის რუსეთის ფედერაციაზე (26,4 მლნ აშშ დოლარი 2020 წლის პირველ კვარტალში), სადაც ეპიდემიოლოგიური ვითარება მწვავედება, ამ სასაქონლო ჯგუფის სამომავლო ბედი ასევე ძალიან რთულად გვესახება. ყველა სხვა შემთხვევაში გვაქვს კუთრი ღირებულების კლება. განსაკუთრებით ეს ეხება სამკურნალო საშუალებებს, სადაც პროდუქციის ფიზიკური რაოდენობაც შემცირდა ისევე, როგორც მისი კუთრი ღირებულება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დარჩა დაბალი დამატებული ღირებულების პროდუქცია.

ფეროშენადნობებისა და აზოტოვანი სასუქების შემთხვევაში ვარდნა საკმაოდ მაღალია, რაც მიგვანიშნებს, რომ ორივე ამ მიმართულებას დასჭირდება სერიოზული დახმარება მთავრობის მხრიდან. ეს პროდუქცია წარმოადგენს იმ ბედნიერ გამონაკლისს, როცა სამრეწველო პროდუქციის შენარჩუნება მოხდა საბჭოთა პერიოდიდან. ამ პროდუქციის მწარმოებელი საწარმოები წარმოადგენენ მთელი რეგიონებისათვის უმნიშვნელოვანეს სამრეწველო ცენტრებს და მათი შენარჩუნება აუცილებელია. ამ პრობლემის სიმწვავეზე მიუთითებს აკად. ვლ. პაპავა (10). ამდენად მაღალი ალბათობით უნდა ვივარაუდოთ, რომ შემდგომი ვარდნა მსოფლიო ეკონომიკაში შეასუსტებს მოთხოვნას ამ პროდუქციაზე, ხოლო ადგილობრივი ბაზრის მხრიდან მოთხოვნის არარსებობა თუნდაც მცირედიტაც ვერ შეარბილებს დარტყმის სიმძიმეს. ამ ვითარებაში მიზანშეწონილია განხილული იქნას ფეროშენადნობების შემდგომი გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის ასორტიმენტი და პრიორიტეტი მიენიჭოს ამ მიმართულებით მომუშავე კომპანიებს. მათთვის შესაძლებელია განსაკუთრებული ეკონომიკური გარემოს ფორმირება, თუ ისინი განახორციელებენ ინვესტირებას საქართველოში. სამწუხაროდ, პანდემიის შემდგომ ეკონომიკის აღმავლობა მაინც დაუკავშირდება საგარეო ბაზრებზე წვდომის ზრდას. საქართველოსათვის ამოცანა იგივე იქნება – უფრო მაღალი დამატებული ღირებულების მქონე სამრეწველო პროდუქციის შექმნა და გლობალიზაციის გაღრმავება.

მსოფლიო ეკონომიკა პანდემიის შემდეგ

მოსაზრებები, რომ პანდემიის შემდეგ მსოფლიო ეკონომიკა უფრო ავტარკიული გახდება, მოკლებულია სერიოზულ მეცნიერულ საფუძველს. შეიცვლება და აუცილებლად გამკაცრდება სამედიცინო/ეპიდემიოლოგიური მოთხოვნები ყველა ტიპის პროდუქციაზე, რაც საქართველოს მსგავს ქვეყნებს, გარკვეული მიზანმიმართული მუშაობის შემთხვევაში, აძლევს შესაძლებლობას მოიზიდოს თავის ტერიტორიაზე ახალი საწარმოო სიმძლავრეები, ანუ გახსნილი საგარეო ბაზრების უპირატესობას მიწოდების ჯაჭვის დამოკლება და კარგი სამედიცინო/ეპიდემიოლოგიური ვითარება ემატება. ამ ფაქტორების კომბინაციით შესაძლებელია გარკვეული წარმატების მიღწევა. პანდემიის შემდეგ მსოფლიო ეკონომიკა ისევ გააგრძელებს სწრაფვას გლობალიზაციისაკენ. ასევე უნდა აღინიშნოს, ის ფაქტი, რომ გლობალიზაციის პარადოქსი – გლობალიზაციის ყოველი შემდეგი ეტაპი გლობალურ ეკონომიკას უფრო მოწყვლადს, ხდის, ხოლო კრიზისიდან გამოსვლა შესაძლებელია მხოლოდ გლობალიზაციის გაღრმავებით – უცვლელი რჩება.

ფაქტია, რომ ციფრულ ეკონომიკას მიეცა ძალიან ძლიერი პრაქტიკული სტიმული. ამის ერთ-ერთი გამოხატვის ფორმა იქნება ქსელური კომპანიების კიდევ უფრო სწრაფი ტემპით ზრდა, უმაღლესი განათლების დისტანციურ რეჟიმზე გადაყვანა, ვირტუალური მაღაზიების ფორმირების დაჩქარება, სადაც შესაძლებელი იქნება პროდუქციის უფრო დეტალური შესწავლა შესაბამისი პროგრამების მეშვეობით. მაგალითად, ტანსაცმლის მოზომვა ვირტუალურად. ასეთ ვითარებაში გლობალიზაციის ეპოქაში წარმოქმნილი „წითელი დედოფლის“ ფენომენი კიდევ უფრო აქტუალური გახდება და გლობალური კონკურენცია უფრო გამკაცრდება. სრულიად უნიკალურ მნიშვნელობას იძენს კომუნიკაციებზე წვდომის ხარისხი და სიჩქარე. საქართველო ორიენტირებული უნდა იყოს საშუალოვადიან პერსპექტივაში ასეთი კომპანიების მოზიდვაზე. ვირტუალურ სივრცეში მომუშავე კომპანიებს აქვთ დაბალი დანახარჯები და ამდენად მათთვის სტანდარტული დაბეგვრის შეთავაზება არ იქნება ეფექტიანი. მიზანშეწონილია, საქართველომ განიხილოს საფოსტო მისამართის ან ვებ მისამართის მიხედვით კომპანიების რეგისტრაციისა და დაბეგვრის მექანიზმები. ასეთი მიდგომა აუცილებელი იქნება, რათა მოხდეს ახალი ინვესტიციების მოზიდვა. მიზანშეწონილია მსხვილი ფარმაცევტული კომპანიებისათვის საწარმოო სიმძლავრეების საქართველოში გადმოტანის შეთავაზება. გარკვეული პერიოდით ეს კომპანიები საერთოდ უნდა განთავისუფლდნენ გადასახადებისაგან, ხოლო კომპანიაში მომუშავე პირების საშემოსავლო გადასახადი დაფიქსირდეს 10%-ის დონეზე.

ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობის პროგრამის გამოცხადება უდავოდ წინგადაგმული ნაბიჯია, თუმცა ამ პროგრამას წირდება თანამედ-

როვე ინდუსტრიული პოლიტიკის შექმნა, რომელმაც, ერთი მხრივ, უნდა გააერთიანოს არსებული რესურსები, ხოლო მეორე მხრივ - უფრო ნათლად წარმოაჩინოს საქართველოს სხვადასხვა უპირატესობები.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ: პანდემიის შემდეგ გლობალიზაციის პროცესი გადრმავედება, თუმცა მნიშვნელოვნად გაიზრდება პანდემიებთან მედეგობის მნიშვნელობა; ციფრული ეკონომიკა გახდება მსოფლიო ეკონომიკური განვითარების მაგისტრალური მიმართულება; გლობალური კონკურენტუნარიანობისათვის უმნიშვნელოვანესი გახდება მონაცემთა დიდი ბაზების მართვასთან დაკავშირებული დანახარჯები; პატარა ღია ეკონომიკებმა გეზი უნდა აიღონ არა ამწყობ საწარმოებზე, არამედ ინდუსტრია 4.0.-ის შემდეგ ეტაპზე, კერძოდ კვანტური კომპიუტერების წარმოებაზე; საქართველოს საგარეო ვაჭრობაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ პროდუქციის წარმოებას და ექსპორტს, რომელსაც გააჩნია მაღალი კუთრი ღირებულება; დასაქმების ძირითადი პრიორიტეტი უნდა გახდეს სამეწარმეო აქტიურობის მაქსიმალური ხელშეწყობა და ახალი კომპანიების შექმნა; გადაიხედოს დაბეგვრის სისტემები და განხილულ იქნას საფოსტო ან ვებგვერდის მისამართით კომპანიების დაბეგვრის შესაძლებლობები.

ლიტერატურა:

- ლალანიძე.(2018).საქართველოსსაგარეოვაჭრობისდეფიციტისაღმოფხვრის სტრატეგიული მიმართულებები (ბ. რამიშვილის თანაავტორობით), მონოგრაფია, თბილისი, გამომცემლობა “უნივერსალი“.
- Gaganidze G. (2018). Strategic Directions to Decrease the Georgian Foreign Trade Deficit. “Universal”, (co-author B. Ramishvili), Tbilisi, ISBN 978-9941-26-277-7.
- Gaganidze G. (2018). Foreign Trade of Georgia, Moldova and the Ukraine with the European Union After Signing the Association Agreement, Ecoforum, vol. 7, N1.
- Gaganidze G. (2017). Creation of the Efficiency Export Strategies in Modern Period, Ekonomisti, International Scientific-Analytical Journal, N4, vol. XIII.
- Gaganidze G. (2018). Country Competitiveness as the Basis for the Creation of the Efficient Export Strategy, International Conference ICABMIT, 13-14 November, Cannes, France.
- Gaganidze G.(2018). Foreign Trade of Georgia; East and Central European States Comparative Analysis (co author B. Ramishvili), Ecoforum, vol. 7, N2 (15).
- Gaganidze G. (2019). The Gravitational Model Foreign Trade of Georgia (co-author T.Mundjishvili). Proceedings of the Fourth International Conference of European Academy of Science, January 20-30, Bonn, Germany.
- IMF (2020) World Economic Outlook:The Great Lockdown. Washington.D.C.
- Gaganidze G.(2016). Georgian Export Potential Utilization on the EU Market, Journal of International Management Studies, vol.16, N1.
- Papava V. (2013). Economic Reforms in Post-Communist Georgia: Twenty Years After. New York: Nova Science Publishers.

- Silagadze A., Zubiashvili T. (2015). Parameters of the European Union and the Post-Soviet Georgia's Economy. Refereed International Journal of Business and Management Studies (IJBMS), pp. 441-448.
- Silagadze A., Atanelishvili T. (2014). The Main Economic Indicators of the EU and Georgia "Topical Problems of the Development of Economy and Economic Science." Collection of scholarly works of Paata Gugushvili Institute of Economics TSU, pp.50-52.
- Kharashvili, E. (2016). Demand for Georgian Wine and the Evaluation of Competitive Advantage Factors of Viticulture and Winemaking Sector TSU, scientific and practical journal, Economics and Business, N4.
- ეფექტიანი საექსპორტო სტრატეგიების ფორმირება თანამედროვე პირობებში, ეკონომისტი, საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი, 2017, N4, ტომი XIII.
- Mekvabishvili E., Atanelishvili T. (2017). Globalization: Emigration and Transactions. <http://www.ecoforumjournal.ro/infe.php/eco/article/view/628>
- Papava V. (2013). Economic Reforms in Post-Communist Georgia: Twenty Years After. New York: Nova Science Publishers.
- Silagadze A., Zubiashvili T. (2015). Parameters of the European Union and the Post-Soviet Georgia's Economy. Refereed International Journal of Business and Management Studies (IJBMS), pp. 441-448.
- Kharashvili E. (2016). Demand for Georgian Wine and the Evaluation of Competitive Advantage Factors of Viticulture and Winemaking Sector TSU, scientific and practical journal, Economics and Business, N4.

ეკონომიკის გამოწვევები და პერსპექტივები COVID-19 ინფექციის ფონზე

ირაკლი კოვზანაძე

პროფესორი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

irakli.kovzanadze@tsu.ge

უკვე ფაქტია, რომ პანდემიამ მსოფლიო ეკონომიკა რეცესიის ფაზაში შეიყვანა. მისი გავლენა უფრო ძლიერი და მტიკვნიული არის და იქნება, ვიდრე 2008 წელს დაწყებული ფინანსური კრიზისი, ან თუნდაც 2014 წლის ეკონომიკური მოვლენები. კორონავირუსი მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს ტრადიციულ მსოფლიო ეკონომიკურ წესრიგზე, პროცესებზე, ცვლის და მომავალში კიდევ უფრო შეცვლის მას.

ჩვენ საქმე გვაქვს, ეკონომიკური თვალსაზრისით, უპრეცედენტო მოვლენასთან, როდესაც დარტყმა ეკონომიკაზე ხორციელდება ორი

მხრიდან – მოთხოვნის შოკისა და მიწოდების შოკის სახით. ამასთანავე, არაორდინალურია მიზეზიც, რაც არის არა მაკროეკონომიკური, ფისკალური, მონეტარული, ან თუნდაც დარგობრვი, არამედ მიზეზი დევს საზოგადოებრივ ჯანდაცვაში.

სანამ უშუალოდ ახალი კორონავირუსის ეკონომიკურ გავლენასა და გამოწვევებზე ვიმსჯელებდეთ, მოკლედ შევეხებით მსოფლიო ეკონომიკის მდგომარეობას პანდემიის წინა პერიოდში.

2018 წლიდან გამწვავდა აშშ-ს (მსოფლიოს უდიდესი ეკონომიკა, მსოფლიო მშპ-ს 21.4%) და ჩინეთს (მსოფლიოს მეორე ეკონომიკა, მსოფლიო მშპ-ს 14.1%) შორის ე.წ. „სავაჭრო და სატარიფო ომი“, რომელიც გამოიხატა ჩინეთიდან იმპორტის და ინვესტიციების შეზღუდვაში (დაახლოებით 550 მლრდ. აშშ დოლარის ღირებულების ჩინური იმპორტი დაიბეგრა 15-30%-იანი საბაჟო მოსაკრებლით). აშშ-მ ასევე განახორციელა „ჩრდილოამერიკული თავისუფალი ვაჭრობის ზონის“ (NAFTA - შედიან აშშ, კანადა, მექსიკა) კორექტირება და ახდენს ევროკავშირთან (მსოფლიო მშპ-ს დაახლოებით 20%) არსებული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების პირობების რევიზიას საკუთარი ინტერესების გთვალისწინებით.

ამასთანავე, 2014 წლიდან მკვეთრ რყევებს განიცდის და დაღმავალ ტრენდზეა ნავთობის ფასები. Brent-მარკის ნავთობი 2014 წლის ივნისში 115 აშშ დოლარი ბარელზე პიკური ფასიდან 2017 წელს საშუალოდ 53 აშშ დოლარამდე, 2018 წელს - 69 აშშ დოლარამდე, 2019 წელს - 60 აშშ დოლარამდე დაეცა, 2020 წლის განვლილი არასრული 5 თვის განმავლობაში კი 19-57 აშშ დოლარის ფარგლებში მერყეობს.

ბოლო წლებია მცირდება ფასები წიაღისეულზე, ტექნიკურ ლითონებსა და ძირითად სანედლეულო ჯგუფებზე.

ზემოაღნიშნულმა ტენდენციებმა, ასევე 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის გავლენამ და 2014 წლის ეკონომიკურმა მოვლენებმა განაპირობეს მსოფლიოში ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებული და ტრადიციულად ქცეული ეკონომიკური პროცესების და ტენდენციების რღვევა და კორექტივები, რაც გამოიხატა ცალკეულ სახელმწიფოებში და რეგიონებში ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირებაში, ვალუტების კურსის რყევაში, ზოგიერთ შემთხვევაში – ინფლაციის მკვეთრ ზრდაში, და პირიქით – დეფლაციურ ტენდენციებში.

მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ეკონომიკებიდან პოზიტიური ტრენდი შეინიშნებოდა მხოლოდ აშშ-ს ეკონომიკაში (მშპ-ს ზრდა - 2.3%, დაბალი ინფლაცია - 1.6%, უმუშევრობა - 3.5%, საუკეთესო მაჩვენებელი უკანასკნელი დაახლოებით 50 წლის განმავლობაში), პრაქტიკულად ყველა სხვა ეკონომიკაში მდგომარეობა არასტაბილური და დამაფიქრებელი იყო (მათ შორის - 2019 წელს ჩინეთის ეკონომიკის ზრდის ტემპი, დაახლოებით 6%, უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალ ნიშნულზე იყო).

აი, ასეთ, შეიძლება ითქვას – მყიფე, გაურკვეველი, არაპროგნოზირებადი ეკონომიკური ვითარებით და აბსოლუტურად მოუზმადებელი დახვდა

მსოფლიო კოვიდინდექსის გამოჩენას. პანდემიამ შეაჯანჯლარა მსოფლიო, პარალიზება გაუკეთა და ძირს დაანარცხა ეკონომიკები.

შეფასების გაკეთება ჯერ კიდევ ნადრევია, პროგნოზის გაკეთება კი ძალზედ სარისკო, თუმცა საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის, აშშ-ს ვაჭრობის დეპარტამენტის, აშშ-ს შრომის დეპარტამენტის, ასევე ავტორიტეტული კვლევითი ორგანიზაციების მონაცემებით გარკვეული სურათი უკვე გამოიკვეთა.

აშშ-ს ეკონომიკური ზრდა 2020 წლის პირველ კვარტალში დაფიქსირდა მინუს 4.8% (წლის შედეგებით 5-6%-იან ვარდნას პროგნოზირებენ), უმუშევრობა გაიზარდა 14.7%-მდე (და მომავალში სავარაუდოდ 25-30%-ს მიაღწევს), სამომხმარებლო დანახარჯები შემცირდა 50%-ით, კაპიტალური დანახარჯები – 20%-ით, ექსპორტი – 35%-ით და ა.შ. წინასწარი მონაცემებით, ჩინეთის ეკონომიკას 2020 წელს ექნება 1976 წლის შემდგომ ყველაზე დაბალი ეკონომიკური ზრდა, მკვეთრად გაიზრდება უმუშევრობა, შემცირდება ექსპორტი, არის დეფლაციის რისკი. ოპტიმისტური პროგნოზით, ევროზონის ქვეყნების ეკონომიკა, სავარაუდოდ, 5-7%-ით შემცირდება, რუსეთის ეკონომიკა 6-8%-ით, ჩვენს მეზობელ თურქეთში - 7-9%-ით და ა.შ.

მკვეთრი და მუდმივი ვოლოტილობებია ფინანსურ ბაზრებზე. 2020 წლის მარტში, ევროპასა და ამერიკაში ფინანსური ინდექსების 1987 წლიდან ყველაზე მკვეთრი ვარდნა დაფიქსირდა.

მსოფლიოს, 1929-1933 წლების დიდი დეპრესიის შემდგომ, ასეთი რეცესია და ვარდნა არ ახსოვს. უკეთეს შემთხვევაში, პანდემიამდელ მაჩვენებლებს ეკონომიკები შეიძლება დაუბრუნდნენ მხოლოდ 1-2 წლის შემდეგ.

მსოფლიო შევიდა ეკონომიკის შეკუმშვის, შემცირებული გადახდისუნარიანი მოთხოვნის, იაფი ფულის, ჭარბი ვალეების, ფინანსური რყევების პერიოდში.

ამ რეალობების და გამოწვევების წინაშე დგას დღეს მსოფლიო და მათ შორის საქართველო.

ასეთ ვითარებაში, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების დაძლევის ღონისძიებების განხორციელების წინა ხაზზე გამოდის 3 მიმართულება:

1. ფისკალური ღონისძიებები, რაც გულისხმობს მოსახლეობის სოციალურ მხარდაჭერას და ბიზნესის სტიმულირებას;
2. მონეტარული ღონისძიებები, რაც კონცენტრებულია ეკონომიკისთვის იაფი ფულის მიწოდებაზე;
3. საფინანსო-საბანკო სისტემის მდგრადობის უზრუნველყოფა.

2020 წლის მაისის მონაცემებით, გლობალურად ფისკალური მხარდაჭერის მიზნებისათვის მთავროებებმა ჯამურად გამოყვეს 9 ტრლნ აშშ დოლარი (მ.შ. პირდაპირი საბიუჯეტო დახმარებების სახით გათვალისწინებულია 4.4 ტრლნ აშშ დოლარი, 4.6 ტრლნ დოლარი კი სესხების, გარანტიების და კაპიტალური ინექციების მიზნებისათვის), ქვეყნების ცენტრალური ბან-

კები მკვეთრად (ხშირ შემთხვევაში უპრეცედენტოდ) ამცირებენ საპროცენტო განაკვეთებს და სადისკონტო ოპერაციებით დამატებით ლიკვიდობას აწვდიან ბაზარს, ამუშავებენ საფინანსო ინსტიტუტების რეზოლუციის და სანაციის მექანიზმებს.

2019 წელი საქართველომ დაასრულა 5.1%-იანი ეკონომიკური ზრდით, 11.6%-მდე შემცირებული უმუშევრობის დონით და 7%-იანი ინფლაციით. ჩვენი საზოგადოების მთავარ გამოწვევას სწორედ ფასების ზრდა, ჭარბვალიანობა და განკარგვადი შემოსავლების სიმწირე წარმოადგენდა.

2020 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, საქართველოში მშპ-ს 1.5% -ით ზრდა დაფიქსირდა (თუმცა, ცალკე აღებულ მარტის თვეში უკვე მინუს 2.7%, ანუ ეკონომიკის შემცირებას ქონდა ადგილი), ინფლაცია კვლავ 7%-ის ფარგლებშია. სავარაუდოდ, კრიზისის გავლენა კიდევ უფრო გამძაფრდება უახლოესი 6 თვის განმავლობაში. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, რომ მტკიცებულ დარტყმას მიიღებს ტურიზმის სექტორი (9.3 მლნ ვიზიტორი და 3.2 მლრდ აშშ დოლარი შემოსავალი 2019წ.), გვექნება ფულადი გზავნილების შემცირება (1.5 მლრდ აშშ დოლარი წმინდა შემოდიდება 2019 წ.), შემცირდება ექსპორტი, რომელის ზრდაც, ბოლო წლებია, სტაბლურად 10-12%-ით უსწრებდა იმპორტის ზრდის ტემპებს, სავარაუდოდ, კიდევ უფრო შემცირდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, გვექნება შემცირება მშენებლობაში, უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობაში, ვაჭრობაში და ა.შ.

საქართველოს მთავრობამ ღიად განაცხადა, რომ ქვეყანაში მოსალოდნელია რეცესია და მოახდინა ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებლის კორექტირება 4.5%-ით ზრდიდან ეკონომიკის მინიმუმ 4%-იან შემცირებამდე. ამასთანავე, სახელმწიფო ბიუჯეტი კრიზისული მენეჯმენტისთვის დახარჯავს დაახლოებით 3.9 მლრდ ლარს:

- სხვადასხვა კატეგორიის მოქალაქეებზე ზრუნვასა და მათ სოციალურ დახმარებაზე დაიხარჯება 1 მლრდ 35 მლნ ლარს;
- ეკონომიკაზე ზრუნვასა და მენარმეობის მხარდაჭერაზე - 2 მლრდ 110 მლნ ლარი;
- ჯანდაცვის სისტემის გაძლიერებასა და პანდემიასთან ბრძოლაზე - 350 მლნ ლარი;
- კაპიტალური ხარჯები დამატებით გაიზრდება 300 მლნ ლარით და ა.შ.

შემუშავდა ანტკრიზისული გეგმა, რომელიც გარდა მოსახლეობის სოციალური მხარდაჭერისა, კონცერტირდება რამდენიმე მიმართულებით, ესენია:

- ტურიზმის ამოქმედება, რომელიც მოიცავს საგადასახადო შეღავათებს, განთავსების ობიექტების, კვების ობიექტების, ტურისტული კომპანიების და გიდების მხარდაჭერას და ა.შ.

• ზრუნვა სოფელსა და ფერმერებზე - მ.შ. **სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა სტიმულირება**, აგროდიზელთ ხელ-

შენწყობის პროგრამა, შეღავათიანი აგროკრედიტი, აგრონარმოების ხელ-შენწყობის პროგრამა, აგროდაზღვევა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდამჭერი პროექტები და ა.შ.

- ბიზნესის მხარდაჭერა - მ.შ. სესხის და ლიზინგის სუბსიდირება, საკრედიტო საგარანტიო სქემა, მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერა და ა.შ.

მთლიანობაში, კრიზისული მენეჯმენტისა და პოსტკრიზისული ეკონომიკის აღდგენისათვის საქართველო გეგმავს დაახლოებით 9 მლრდ ლარის ალოკაციას, მათ შორის დაახლოებით 4.5 მლრდ ლარი საჯარო სექტორის კუთხით, ხოლო 4.5 მლრდ ლარი კი ბიზნესსექტორის კუთხით სესხების, გარანტიების და ა.შ. მიწოდების გზით. ცხადია, ამ რესურსების ათვისების პროცესში მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იყოს მთავრობის ვალის მშპ-თან თანაფარდობა, რაც არსებული დაახლოებით 43%-დან, სავარაუდოდ, 60%-ს დაუახლოვდება.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ მიმდინარე წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, საქართველოში მოქმედმა 15-მა კომერციულმა ბანკმა ჯამურად 747 მლნ ლარის ზარალი მიიღო, რაც ქვეყნის მშპ-ს დაახლოებით 1.5%-ია, ხოლო მოზიდული დეპოზიტების 2.9% - 1.22 მლრდ ლარი ქართულმა კომერციულმა ბანკებმა „აქტივების შესაძლო დანაკარგების“ ნაწილში დაარეზერვეს, რაც კრიზისიდან გამომდინარე, სესხებზე შესაძლო დანაკარგების თანხას ასახავს, თუმცა მათი საოპერაციო საქმიანობა ჯერ კიდევ მომგებიანი რჩება. საქართველოს საბანკო სისტემას გააჩნია საკმარისი კაპიტალიზაციის დონე და ლიკვიდობა, რათა დარტყმას გამკლავებოდა და მისცა მათ საშუალება (ხელისუფლებასთან კონსულტაციის შედეგად) 6 თვით გადაევადებინათ მსესხებლებზე დარიცხული პროცენტის მოთხოვნა მისი კაპიტალიზაციის გარეშე. ამის გაკეთება შესაძლებელი გახდა იმის გამო, რომ, ერთი მხრივ, გონივრული საზედამხედველო პოლიტიკის შედეგად კომერციულ ბანკებს აქვთ კაპიტალის საკმარისი ბუფერი, რომელიც საშუალებას იძლევა „შეინოვოს“ ზარალი, მეორე მხრივ კი - საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დრულად აამოქმედა ლიკვიდობის მიწოდების დამატებითი ინსტრუმენტები (SWOP ოპერაციები და სხვა), რათა დაეკომპენსირებინა შემცირებული ფინანსური ნაკადები კომერციულ ბანკებში და რასაც პერსპექტივაში ლარის სესხებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირება უნდა მოყვეს.

მდგომარეობა არაორდინარულია, ყოველ ახალ დღეს რეალობის ახალი სურათი შემოაქვს. ასეთ ვითარებაში მოქმედების ოპტიმალურ სცენარს არ იცნობს არც ეკონომიკის თეორია და მითუმეტეს – პრაქტიკა. ცხადია, დიდი გამოწვევების წინაშე ვდგავართ, თუმცა, როგორც იტყვიან, „პესიმისტისთვის გამოწვევა ტრაგედიაა, ოპტიმისტისთვის კი – შესაძლებლობა“.

ლიტერატურა:

- კოვზანაძე ი. (2019). „საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური უზრუნველყოფის პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე“, „ეკონომიკა და ბიზნესი“, თბილისი, №1.
- Kovzanadze I. (2018). „Global Economy Post-Crisis to Sustainable Development“, iUniverrse Inc., Bloomington.
- Kovzanadze I. (2010). „Systemic and Borderline Banking Crises: Lessons Learned for Future Prevention“, iUniverrse Inc., New York, Bloomington.
- Ковзанадзе И. (2010). „Уроки мирового кризиса: необходима новая модель регулирования экономики“, «Вопросы экономики», Москва, , № 4;
- www.geostat.ge;
- www.gov.ge;
- www.mof.ge;
- www.economy.ge;
- www.nbg.gov.ge;
- www.img.org;
- www.worldbank.org;
- www.ebrd.com.

გლობალიზაცია და პანდემიის ეკონომიკური პრობლემები

რამაზ აბესაძე

პროფესორი

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის
ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი
ramazabesadze@yahoo.com*

პანდემიის ეკონომიკური პრობლემები წარმოიშვება მსოფლიოში ინფექციურ დაავადებათა მასობრივი გავრცელების დროს მთავრობების მიერ ადამიანთა უსაფრთხოების მიზნით გატარებული აკრძალვითი ღონისძიებების განხორციელების გამო. სამეურნეო აქტიურობის შეკვეცა იწვევს საბაზრო მექანიზმების შეზღუდვას, საწარმოთა ფუნქციონირების ნაწილობრივ ან სრულ შეწყვეტას, რომელსაც მოსდევს ეკონომიკური ვარდნა, საზოგადოების დიდი ნაწილის კეთილდღეობისა და კომფორტის გაუარესება. პანდემია უარყოფითი ბუნებრივი მოვლენაა და შეიძლება გლობალურ ბუნებრივ კატასტროფებს შევადაროთ. ეკონომიკაზე პანდემიის გავლენას **ეკონომიკის პანდემიური შოკი** შეიძლება ვუწოდოთ. პანდემია ეკონომიკაზე უშუალოდ არ მოქმედებს. მისი ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენა შეწყდება მაშინვე, როდესაც ის გავლენას ვერ მოახდენს ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე. ამიტომ, პანდემიური ეკო-

ნომიკური შოკის მთლიანად მოხსნა დამოკიდებულია ვირუსის მოქმედების ხასიათზე (ეპიდემია ჩაცხრება თავისით თუ არა) ან მედიცინაზე (შეიქმნება თუ არა ვაქცინა, ან წამალი ვირუსის წინააღმდეგ). შესაძლებელია ითქვას, რომ დღევანდელი ეკონომიკა მედიცინის მძევალია (პაპავა ვ., ჭარაია ვ. 2020), მაგრამ მედიკოსებს ამაში ბრალი არ მიუძღვით, ვინაიდან ახალი კორონავირუსის შესწავლას, წამლის ან ვაქცინის მიგნებას დრო სჭირდება. პირიქით, სწორედ მედიკოსთა რეკომენდაციების საფუძველზე ხერხდება პანდემიის უარყოფითი შედეგების შემცირება, ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის გადარჩენა.

დღევანდელი პანდემიური შოკის თავისებურება არის ის, რომ უარყოფითი ეკონომიკური შედეგები გამოწვეულია მთავრობის მიერ მიღებული დიდმასშტაბიანი შეზღუდვებით ეკონომიკური საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში. ეკონომიკური შოკების დროს ყურადღება მახვილდება მათი გამომწვევი მიზეზების დადგენასა და აღმოფხვრაზე. პანდემიური შოკის მიზეზი სახეზეა და მთავრობების მიერ მართულია. მთავრობას შეუძლია გაზარდოს ან შეამციროს შოკის მოქმედება აკრძალვების გაზრდისა და შემცირების, ან ანტიკრიზისული პროგრამების განხორციელების გზით. ეს შოკი გამოწვეულია არა ეკონომიკის რომელიმე სფეროში წარმოქმნილი კრიზისის შედეგად, არამედ მას აქვს სისტემური ხასიათი, ვინაიდან, აკრძალვების გამო, მეტნაკლები სიდიდით ზარალდება ეკონომიკის ყველა სფერო. ეკონომიკის დანაკარგები დიდია, რადგან დღევანდელი ეკონომიკის მასშტაბები უზარმაზარია და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები ძალზე მჭიდრო. დღეს უკვე სახეზეა გლობალური ეკონომიკური რეცესია: უმუშევრობის ზრდა, მცირე და საშუალო ბიზნესების გაკოტრება, ტურიზმისა და ავიაციის სექტორის ჩამოშლა, ნავთობზე ფასების კატასტროფული შემცირება, რეკორდული ვარდნა საფონდო ბაზარზე და ა. შ.

რასაკვირველია, პანდემიური შოკის მართვა განსხვავდება ეკონომიკურისაგან. მისი მოხსნა დამოკიდებულია არა მთავრობის მიერ გატარებულ ეკონომიკურ ღონისძიებებზე, არამედ ვირუსის გავრცელების ვადებზე, მასშტაბებსა და აგრესიულობაზე. ასევე, მაგალითად, თუ ფინანსური კრიზისის დროს, უპირველეს ყოვლისა, გადასარჩენი იყო მსხვილი ბანკები, დღეს, უმთავრესად, გადასარჩენია მიკრო, მცირე და საშუალო სიდიდის საწარმოები: მცირე მაღაზიები, სასტუმროები, რესტორნები, სწრაფი კვება, სილამაზის სალონები, ატელიები, ბარები, კაფეები, ტურისტული კომპანიები და ა. შ. თითქმის შემოსავლების გარეშე დარჩენ თვითდასაქმებულები, შემოქმედებითი და ბევრი სხვა სფეროს წარმომადგენლები. პანდემიის დროს იზრდება ეკონომიკის იმ სფეროების მნიშვნელობა და მასშტაბები, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებულნი ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობასთან (სურსათით უზუნველყოფა, მედიცინა, სააფთიაქო სისტემა, სატვირთო გადაზიდვები, ონლაინ ვაჭრობა, ონ-

ლაინ სწავლება, დისტანციური სამსახური და სხვ.). პანდემიამ გვიჩვენა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია როგორც სამედიცინო სისტემის, ისე სოფლის მეურნეობის განვითარება, პირველის - როგორც სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ხოლო მეორის - როგორც სურსათით უზრუნველყოფის სფერო.

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური რეცესია გამოწვეულია პანდემიით, დღეისათვის უკვე ჩამოყალიბდა წმინდა ეკონომიკური ხასიათის ნეგატიური პროცესები (უმუშევრობა, სიღარიბის ზრდა, ინფლაცია, ვალუტის გაუფასურება, ეროვნული ადამიანი-კაპიტალის, დანაზოგების, შიგა და უცხოური ინვესტიციების, საზღვარგარეთიდან ფულადი გზავნილების შემცირება და სხვ.), რომელიც ვრცელდება მთელ ეკონომიკაზე და, შესაძლებელია, პანდემიური შოკი ღრმა ეკონომიკურ კრიზისში გადაიზარდოს, რომლის დაძლევა პანდემიის მოხსნის შემდეგაც ბევრ სირთულესთან იქნება დაკავშირებული. მდგომარეობას ართულებს ის, რომ აღნიშნული შოკი გლობალური ხასიათისაა.

თანამედროვე პანდემიის პირობებში მთავრობას უწევს ოქროს შუალედის მოძებნა ადამიანის ჯანმრთელობას, მის სიცოცხლესა და ეკონომიკურ ვარდნას შორის, თუმცა პირველი უმთავრესია. ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს, როგორც უმაღლეს ფასეულობას, რასაკვირველია, უპირატესობა უნდა მიენიჭოს, მაგრამ უკიდურესი გადახრა როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს, გამოიწვევს როგორც ადამიანთა, ისე ეკონომიკის ძლიერ დაზარალებას. მაგალითად, თუ მთავრობა უგულვებელყოფს ადამიანთა უსაფრთხოებას და თვითდინებაზე მიუშვებს პროცესებს, კატასტროფულად გაიზრდება დაავადებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობა, რაც ასეთივე გავლენას მოახდენს ეკონომიკაზე ეროვნული ადამიანი-კაპიტალის შემცირებისა და დაავადებულთა მკურნალობის ხარჯების დიდი მასშტაბების გამო. თუ მთავრობა ძლიერ შეზღუდავს ეკონომიკურ საქმიანობას, მოიშლება ეკონომიკური სისტემა, გაიზრდება უმუშევრობა, შემცირდება შემოსავლები, დაიწყება შიმშილი, დაიძაბება სოციალური გარემო და ამით შესაძლებელია გაიზარდოს სიკვდილიანობა, რომ არაფერი ვთქვათ კეთილდღეობის გაუარესებაზე. მაშასადამე, მთავრობა იძულებულია წავიდეს გარკვეულ დათმობაზე როგორც ადამიანთა უსაფრთხოების, ისე ეკონომიკის საწინააღმდეგოდ და ამით მიიღოს პანდემიიდან თავის დაღწევის ყველაზე უკეთესი შედეგი.

გლობალიზაციას არაერთი დადებითი მხარე აქვს, მაგრამ მას აქვს ასევე ნეგატიური მხარეც. მაგალითად, რომელიმე ქვეყანაში წარმოშობილი უარყოფითი პროცესი შესაძლებელია მთელ მსოფლიოში სწრაფად გავრცელდეს. დღეს სწორედ ჩინეთში წარმოშობილი ეპიდემიის მსოფლიოში გავრცელებას აქვს ადგილი. ადამიანთა მსხვერპლი იმდენად დიდია და საფრთხე იმდენად საშიში, რომ იგი პანდემიად გამოცხადდა.

პანდემია გლობალური პრობლემაა, მაგრამ ის არ არის უშუალოდ გლობალიზაციის შედეგი. ის აჩქარებს ინფექციის გავრცელებას, მაგრამ პანდემია, უფრო მეტად, თვით ინფექციის თავისებურებაა. ის მსოფლიოში ვრცელდებოდა მაშინაც, როდესაც არათუ გლობალიზაციის, არამედ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დონეც კი უმნიშვნელო იყო. მაგალითად, „შავი ჭირის“ (ჟამის), „შავი სიკვდილის“, „ქოლერის“, „ესპანური გრიპის“ და სხვ. პანდემიები, რომელთაც ადამიანთა დიდი მსხვერპლი და ღრმა ეკონომიკური კრიზისები მოჰყვა. გლობალიზაციის გაღრმავებასთან ერთად, მედიცინის განვითარების შედეგად, პანდემიათა უარყოფითი შედეგები მცირდება. ამაზე მეტყველებს „ლორის გრიპის“, „ატიპური“, და „ფრინველის გრიპის“ პანდემიები.

კორონავირუსი უფრო სწრაფად ვრცელდება და თუ სასწრაფო ზომები არ იქნებოდა მიღებული, შესაძლებელია ადამიანური მსხვერპლი უფრო დიდი ყოფილიყო. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ კორონავირუსს შედარებით ნაკლები აგრესიულობა ახასიათებს. მიღწევები მედიცინაში და მსოფლიოში ჯანდაცვის სისტემათა განვითარების დონე, დაავადებულთა განკურნების გაცილებით მეტ შესაძლებლობებს იძლევა, ვიდრე წარსულში.

მიუხედავად პანდემიების მდიდარი გამოცდილებისა, მსოფლიო მაინც ძალზე მოუმზადებელი შეხვდა კორონავირუსის პანდემიას არა სამედიცინო, არამედ მის წინააღმდეგ გლობალური ბრძოლის თვალსაზრისით. ბიოლოგიური კატასტროფის საფრთხის დასაძლევად 85 ტრილიონიანი მსპ-ის მქონე მსოფლიომ საჭირო სახსრები ვერ გამოიხატა (ჭითანავა ნ. 2020). ეს გამოწვეულია იმით, რომ ეკონომიკის გლობალიზაციის დონე წინ უსწრებს პოლიტიკური გლობალიზაციის დონეს. პოლიტიკური მზაობის შემთხვევაში, ეკონომიკური გლობალიზაციის დონე დღეისათვის საშუალებას იძლევა ასეთი სახის ინფექციების დროს მსოფლიომ იმოქმედოს მყისიერად. საერთო ძალებით წარმოშობის კერაშივე მოსპოს ის ან ძლიერ შეზღუდოს მისი გავრცელების არეალი და მასშტაბები, არ დაუშვას ეპიდემიის პანდემიად ჩამოყალიბება. დღევანდელი ვითარება კი გვიჩვენებს, რომ ცალკეული ქვეყნები იყვნენ მაყურებლთა როლში ან დამოუკიდებლად მოქმედებდნენ. არადა, პანდემიის აღმოფხვრა შეუძლებელია ძალების გაერთიანების გარეშე. თუ ინფექციის კერა რომელიმე ქვეყანაში დარჩება, არსებობს მისი თავიდან გავრცელების საშიშროება სხვა ქვეყნებში.

ქვეყნების დღევანდელმა თვითიზოლაციამ გააჩინა გარკვეული ანტიგლობალისტური შეხედულებები, თუმცა, აუცილებელია გლობალური მასშტაბით ძალების გაერთიანება. საჭიროა შეიქმნას საერთაშორისო ორგანიზაცია ყველა ქვეყნის მონაწილეობით (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციასთან ერთად), რომელიც მოახდენს სწრაფ რეაგირებას ეპიდემიებზე, განახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს მსოფლიო მასშტაბით და ხელს შეუშლის მის გავრცელებას სხვა ქვეყნებში. ამის უზრუნველ-

საყოფად უნდა არსებობდეს შესაბამისი ფონდიც. მსოფლიო მზად უნდა იყოს ახალი ინფექციებისაგან თავდასაცავად.

არსებობს მოსაზრებები, რომ კორონავირუსის პანდემიის შემდეგ შემცირდება გლობალიზაციის დონე, ქვეყნები აირჩევენ პროტექციონისტულ პოლიტიკას, თვითკმარობის პოლიტიკას, რაც შეუძლებლად მიგვაჩნია, ვინაიდან ეს გამოიწვევს გლობალური პრობლემების (ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, სიღარიბის დაძლევის, ომისა და მშვიდობის, ბუნებრივი რესურსების ამონურვის, სასურსათო უსაფრთხოების, კლიმატის ცვლილების, ეკოლოგიური, კოსმოსისა და ოკეანეების ათვისების პრობლემა და სხვ.) გადაჭრის შესაძლებლობების შემცირებას, ყველა ქვეყანაში ეკონომიკის შეკვეცას, შემოსავლების და, შესაბამისად, დანახარჯების შემცირებას სამეცნიერო კვლევებზე, ინოვაციებზე, საბოლოო ანგარიშით, ეკონომიკური განვითარების შეაფერხებას მთელ მსოფლიოში. რაც შეეხება ექსპორტის ზრდისა და იმპორტჩანაცვლებადი დარგების განვითარების ხელშეწყობას, ეს დღესაც აქტუალურია.

გლობალიზაციის პროცესი ობიექტური რეალობაა და ის კვლავ გაგრძელდება, მაგრამ კორექტივების შეტანა მასში აუცილებელია. საჭიროა ჯანდაცვის გაძლიერება, მისი ორგანიზაციის ახალი ფორმების შემუშავება და დანერგვა. ასევე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სავალუტო კურსის პრობლემას, უნდა განხორციელდეს სავალუტო კურსის საერთაშორისო რეგულირება, ვინაიდან ცალკეული ქვეყნისათვის სტაბილური სავალუტო კურსის შენარჩუნება თითქმის შეუძლებელია, მასზე მოქმედი საერთაშორისო, ბევრ შემთხვევაში, სუბიექტური და სტიქიური ფაქტორის გამო.

თანამედროვე პანდემიის პირობებში მოსალოდნელია მოვლენათა განვითარების ორი სცენარი – მოკლევადიანი და გრძელვადიანი. პირველი სცენარის შემთხვევაში ეპიდემია თავისთავად ჩაცხრება მთელ მსოფლიოში ან გამოგონებული იქნება ვაქცინა და დაავადების სამკურნალო წამალი. პირველ შემთხვევაში ეკონომიკის აღდგენა შესაძლებელი იქნება მოკლე დროში, ვინაიდან სახელმწიფო და კერძო დანაზოგები, სამუშაო ადგილები და ადამიანდკაპიტალი ძირითადად შენარჩუნებული იქნება. მეორე შემთხვევაში აუცილებელი გახდება ეკონომიკური საქმიანობის გაძლიერება პანდემიის პირობებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო დანაზოგები ამოიწურება, სამუშაო ადგილები და ადამიანდკაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილი გაჩანაგდება, დაისადგურებს სიღარიბე, შიმშილი და ა.შ. ასეთ შემთხვევაში საჭირო გახდება სახელმწიფოს მიერ ადგილობრივი და გარედან მოზიდული სახსრების მიმართვა სამუშაო ადგილების აღსადგენად. სახელმწიფომ და კერძო სექტორმა დანახარჯები უნდა გასწიონ ადამიანთა დაინფიცირების თავიდან ასაცილებლად, ძირითადად, შესაბამისი ტექნიკური საშუალებების (სამუ-

შაო ძალის ეკიპირება, ავტომატიზაციის ამაღლება, რობოტიზაცია, დისტანციური სწავლება და საქმიანობა, დასაქმებულთა ტრასპორტირება, სამუშაო ადგილების დეზინფექცია და ა. შ.) გამოყენებისათვის, ისე, როგორც ეს ხდება გარეგანი ეფექტების (ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების მეშვეობით) აღმოსაფხვრელად. ასევე გაიზრდება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები დაავადებულთა სამკურნალოდ.

პანდემიის დროს სახელმწიფოს როლი აქტიურდება. სწორედ მის ხელში გადადის როგორც ადამიანთა უსაფრთხოების, ისე ეკონომიკური საქმიანობის შენარჩუნების ძირითადი ბერკეტები. სახელმწიფოს გარეშე შეუძლებელი იქნება პანდემიასთან ბრძოლა და მისი შედეგების აღმოფხვრა ეკონომიკასა და საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში. ასეთ ექსტრემალურ პირობებში თითქოს უფრო ეფექტიანია სახელმწიფო საკუთრების არსებობა. ამის გათვალისწინება შესაძლებელია მომავალში, სახელმწიფო საკუთრების წილის გაზრდის მიმართულებით, მაგრამ არსებულ საწარმოთა ნაციონალიზაცია მიუღებელია, ვინაიდან მოხდება საბაზრო მექანიზმების მოშლა და წარმოიშობა სოციალური დაძაბულობა.

კორონავირუსის პანდემიასა და მის ეკონომიკურ შედეგებთან დაკავშირებით, ჩვენ ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ პანდემიასთან ბრძოლისა და პოსტპანდემიურ პერიოდში გასატარებელი ღონისძიებები (მექვაბიშვილი ე. 2020). საკმაოდ ხანგრძლივი პანდემიური შოკი თანდათან ემსგავსება წმინდა ეკონომიკურ კრიზისს და პანდემიის დამთავრების შემდეგ შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ისეთი ინსტრუმენტები კრიზისიდან გამოსვლისა, როგორც გამოიყენებოდა დიდი დეპრესიის, მეორე მსოფლიო ომისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად გამოწვეული ეკონომიკური ვარდნისა და 2009-2010 წლების მსოფლიო ფინანსური კრიზისების დაძლევის დროს, რომელიც მოიცავს ფისკალურ, მონეტარულ, ინსტიტუციურ და სხვა ინსტრუმენტთა ერთობლიობას. მოკლევადიანი პანდემიური ეკონომიკური შოკიდან გამოსვლას კი გაცილებით მცირე დრო და დანახარჯები დასჭირდება და ბევრ შემთხვევაში კერძო სექტორი, ძირითადად, თავისთავად აღიდგენს პანდემიამდე არსებულ მდგომარეობას, თუმცა სახელმწიფოს აქტიური დახმარებაც აუცილებელი იქნება განსაკუთრებით იმ სფეროებისადმი, რომლებმაც დიდი დანაკლისი განიცადეს.

უნდა ითქვას, რომ საქართველოში ძირითადად დროულად მოხერხდა სათანადო ზომების განხორციელება ვირუსის გავრცელების წინააღმდეგ, რის შედეგადაც შენელდა ინფექციის გავრცელების პროცესი და მიღწეული იქნა სხვა ქვეყნებთან შედარებით ადამიანთა მსვერპლის ძალზე დაბალი მაჩვენებელი, შენარჩუნდა ადამიანის საარსებო პირობებისა და ქვეყნის ფუნქციონირებისათვის საჭირო ეკონომიკური საქმიანობის გარკვეული დონე. საერთაშორისო დახმარებების მობილიზებისა და

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ხერხდება დახმარებების განწესა როგორც მოსახლეობის, ისე ბიზნესისათვის. თუმცა, ალბათ, საჭიროა დახმარების გავრცელება იმ თვითდასაქმებულებზეც, რომლებიც არ იყვნენ დარეგისტრირებულნი, არ შეუძლიათ შესაბამისი დამადასტურებელი საბუთების წარმოდგენა, მაგრამ მძიმე ეკონომიკურ პირობებში იმყოფებიან.

უკვე მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე (მაგალითად, დაავადებულთა განკურნების მაღალი შანსი, ეპიდემიის მასშტაბების შემცირება, ჩვევების ჩამოყალიბება მოსახლეობაში ვირუსისაგან თავდასაცავად, სოციალური დისტანცირება, ონლაინ საქმიანობა და სხვ.), აუცილებელია მკაცრი შეზღუდვების მოხსნა, რომ არ მივიდეთ ეკონომიკურ კოლაფსამდე და სოციალური დაძაბულობის უკიდურეს გამწვავებამდე. კარგია, რომ საქართველოში ეს პროცესი უკვე დაიწყო. შესაბამისი ვაქცინის ან წამლის აღმოჩენამდე ქვეყანამ უნდა მოახერხოს პანდემიის (ეპიდემიის) პირობებში ცხოვრება. გასათვალისწინებელია არამხოლოდ შიგა პრობლემები, არამედ სხვა ქვეყნებში არსებული მდგომარეობა, რათა ინფექციის ხელახალი გავრცელება არ მოხდეს.

მომავალში, როგორც მთელ მსოფლიოში, ისე საქართველოში, კორონავირუსული პანდემიის გამოცდილებიდან გამომდინარე, ყურადღება უნდა გამახვილდეს მედიცინის, ბიოტექნოლოგიებისა და ჯანდაცვის სისტემების, სოფლის ეკონომიკის, ციფრული ეკონომიკისა და ხელოვნური ინტელექტის განვითარებაზე. ფართოდ უნდა დაინერგოს ონლაინ სწავლება, ონლაინ ვაჭრობა და დისტანციური საქმიანობა, რაც, გარდა ადამიანთა უსაფრთხოებისა, გამოიწვევს რესურსების მნიშვნელოვან ეკონომიასა და დროის დანაზოგს.

თანამედროვე ეტაპზე ადამიანთა კეთილდღეობის ამაღლება სულ უფრო და უფრო დამოკიდებული ხდება პროგრესულ თვისებრივ ცვლილებებზე ეკონომიკაში (ეკონომიკურ განვითარებაზე). ამდენად, მომავალში საქართველოში გენერალური მიმართულება უნდა გახდეს **ეკონომიკის ინოვაციური განვითარება**. ქვეყნის ინოვაციურმა სისტემამ უნდა შეძლოს ინოვაციების გენერირება ან იმპორტი. თავდაპირველად უპირატესობა უნდა მიენიჭოს ინოვაციების იმპორტს, ხოლო შემდეგ, საკუთარ კვლევებზე დაფუძნებული ინოვაციების განხორციელებას (თუ გვინდა ქვეყნის კონკურენტუნარიანობა ამაღლდეს). ამ პროცესში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს მეცნიერებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ეკონომიკური განვითარების პროცესს საფუძველი გამოეცლება და სასურველი შედეგი ვერ მიიღწევა.

სწორედ ინოვაციების განხორციელების შედეგად, კაცობრიობის ერთიანი მოქმედებით, შეიძლება გადაიჭრას დღეისათვის მსოფლიოში არსებული სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გლობალური პრობლემები, მათ შორის ისიც, რომელსაც პანდემია ჰქვია.

ლიტერატურა:

- პაპავა ვ., ქარაია ვ. (2020). ეკონომიკური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკის ზოგიერთი გამოწვევა.
- <https://www.gfsis.org/ge/publications/opinion-papers>
- ქითანავა ნ. (2020). განსაცდელმა გააზრებულ ნაბიჯების გადადგმა უნდა შეგვადლებინოს.
- <http://iverioni.com.ge/16752-nodar-tcithanava-gansacdelma-gaazrebuli-nabijeb-is-gadadgma-unda-shegvadzlebinos.html>
- მექვაბიშვილი ე. (2020). ინტერვიუ გაზეთში „თბილისის უნივერსიტეტი“.
- http://newspaper.tsu.ge/ge/news/view/KSIWclIG?fbclid=IwAR0I0aLHMRwweTmu-w0xJU2OJ9Aq_kvPl7c8g8H1KmfNIA5d2CXfgtwl5whc

პოლიტეკონომიის ვირუსული ვარიაციები

მიხეილ ჯიბუტი

პროფესორი

საქართველოს ეკონომიკური

მეცნიერებათა აკადემიის პედაგოგი

m_djibuti@yahoo.com

საგანგებო მდგომარეობა

2020 წლის 11 მარტს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ კორონავირუსით ინფექციის COVID-19-ის პანდემიად გამოცხადების შემდეგ, მთელი მსოფლიო ფიზიკურ არსებობაზე - ჯამრთელობასა და სიცოცხლეზე შიშიანობამ მოიცვა. ვირუსის გავრცელების პროცესი მსოფლიო მასშტაბით, ხოლო მასთან ბრძოლა ლოკალურად - ცალკეული ქვეყნების მიხედვით განვითარდა. ევროპული გაგებით ოთხი - საქონლის, მომსახურების, სამუშაო ძალისა და კაპიტალის გადაადგილების თავისუფლებიდან, ყველაზე შეზღუდული - სამუშაო ძალის გადაადგილება, კიდევ უფრო მეტად და თითქმის აბსოლუტურად შეიზღუდა. ერთმანეთის თანმიმდევრობით ქვეყნები, მართალია, საკარანტინო მიზნებით და გარკვეული დროით, მაგრამ რეალურად დაიხურა/დაიკეტა სხვა ქვეყნის მოქალაქეებისთვის. წამყვანმა ქვეყნებმა დაიწყეს თვითიზოლაციაზე გადასვლა, ჩაიკეტა საზღვრები, მთავრობებმა დაიწყეს ეგონისტური გადაწყვეტილებების მიღება ...

2020 წლის 21 მარტს საქართველოში გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა*. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ საქართველოში შეიქმნა სიტუაცია, როდესაც შეიძლებოდა დამოუკიდებლად სისტემური გადაწყვეტილებების მიღება და წესრიგის ბევრი მექანიზმის გა-

* 21 აპრილამდე და შემდეგ გაგრძელდა მისი ვადა 22 მაისამდე.

მართვა, თან ეკონომიკის გაჯანსაღება, ანუ ის, რასაც უწოდებენ კრიზისის, როგორც შანსის გამოყენებას (ჯიბუჭი მ. 2020).

ეს იყო პროფესიული გამოწვევა. სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია სამთავრობო მუშაობის ინსაიდერული „სამზარეულო“, ამიტომ ჩვენი „აუტსაიდერული“ მიდგომა საგანგებო მდგომარეობისათვის დასაწყისშივე შემდეგი იყო: ატიპური მდგომარეობის, არაეკონომიკური-ბიოლოგიური ფაქტორებით გამოწვეული ეკონომიკური პრობლემების ზრდის ხარისხის განსაზღვრის საფუძველზე, უნდა შედგეს საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების საგანგებო გეგმა სხვადასხვა სცენარითა და პერიოდისთვის და შესაბამისი საგანგებო ბიუჯეტი.

მთავრობაში უნდა შეიქმნას უმაღლესი ეკონომიკური საბჭო, რომელშიც თავს მოიყრის საქართველოს ყველა ეკონომიკური პროფილის ინსტიტუტის, სასწავლო და სამეცნიერო, ბიზნესისა და პროფკავშირების, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები. საგანგებო ეკონომიკური გეგმაც ამ საბჭოს ეგიდით უნდა შეიქმნას, რომ მას თავიდანვე დიდი კონსუსის დატვირთვაც ჰქონდეს.

ამრიგად, სასწრაფოდ უნდა იქნეს შეტანილი კორექტივები ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების სცენარებში 2020 წლისათვის, განხორციელდეს საბიუჯეტო პოლიტიკის რაციონალიზება და 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ძირეული გარდაქმნა, ხარჯების ოპტიმიზება და მობილიზება ახალი კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლისათვის და მისი გავრცელების შედეგად პირდაპირი და ირიბი სოციალურ-ეკონომიკური უარყოფითი შედეგების სალიკვიდაციოდ.

ამასთან, დაცული უნდა იქნეს სასურსათო და კიბერუსაფრთხოება, რათა პირველმა რეალურ სივრცეში უზრუნველყოს ადამიანთა ფიზიკური არსებობა, მეორემ კი - ვირტუალურ სივრცეში გადატანილი, თითქმის მთელი სახელმწიფო, ბიზნეს და ადამიანური, ურთიერთობების უწყვეტობა.

26 მარტს მთავრობას წარვუდგინეთ ქვეყანაში ახლადწარმოქმნილი სასიცოცხლო მნიშვნელობის გამოწვევების დასაძლევად ახალი სახელმწიფო პროგრამების იდეა და მოკლე აღწერილობა (ჯიბუჭი მ. 2020).

სამწუხაროდ, მთავრობა არ წავიდა რთული, მაგრამ მომავალსა და პერსპექტივაზე ორიენტირებული გზით და აირჩია მარტივი, „ხანძრის ჩაქრობის“ პრინციპით მოქმედება. ამასთან, მთავრობის ხედვა ამ მოქმედებაში დაეფუძნა მიდგომას, რომ მისი მოქმედება მიმართულია ორ ფრონტზე: ერთი, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის, ხოლო მეორე, ეკონომიკის გადარჩენაზე. ეს მიდგომა, ზოგადად ეკონომიკის გადარჩენა, ისევე როგორც ყველას დავეხმაროთ, ჩვენი აზრით, მცდარია. საქართველოს ეკონომიკაში კორონავირუსის გარეშეც ბევრი რამ კვდებოდა და ეხლა იმის გადარჩენაზე სახელმწიფო ზრუნვა თავიდანვე უშედეგობაზეა განწირული, ამასთან, გამოიწვევს რესურსების გაფანტვას და არ მისცემს სახელმწიფოს გადამწყვეტი პროგრამების შესრულებაზე კონცენტრაციის საშუალებას.

პანდემიისა და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის შეკავების პროტოკოლი

საგანგებო მდგომარეობის ერთი თვის თავზე აშკარა გახდა, რომ ხელისუფლება ვერ ახერხებს ვერც პროგრამის წარმოდგენას და ვერც მენტალურ გარდევას და თავის საქმიანობას წარმართავს სხვა სახელმწიფოების მიერ განხორციელებული პოლიტიკის ანალოგიის პრინციპით ქართული გარემოს პრიორიტეტების სპეციფიკის თავისებური გააზრებით. თანაც, არ შეაქვს კორექტივები სახელმწიფო ბიუჯეტში, რის გამოც ბევრი მხარჯავი სუბიექტი ისე მოქმედებს, თითქოს არაფერი არ ხდებოდეს. ბევრი საბიუჯეტო ხარჯის სახეობა მასმედიაში აღმოჩნდება დროსა და სიტუაციის შეუსაბამო და საზოგადოების გულისწყრომას იწვევს, მაგრამ მათი ხარჯვა კანონითაა დადგენილი. იმ იმედით, რომ მთავრობა მაინც წავიდოდა სისტემური მიდგომის გზით, 21 აპრილს მთავრობას მიეცა რეკომენდაცია „პროტოკოლის“ სახით.

პოლიტიკის მოდელის არჩევა

დღეს მსოფლიოში აშშ-ს გარდა (რომელსაც საერთოდ არ აქვს პრობლემა აშშ-ს დოლარის მსოფლიო ფულის რანგში ყოფნის გამო), სულ რამდენიმე ქვეყანაა, რომელსაც შეუძლია ეკონომიკური კატაკლიზმების (რეცესია, კრიზისი), ან სხვა უბედურებების (ომი, მიწისძვრა, პანდემია და სხვ.) დროს ეკონომიკური და სოციალური მდგრადობის, წონასწორობის შესანარჩუნებლად უზარმაზარი ფული „ჩაასხას“ ეკონომიკის მანქანის ავზში და ეს მანქანა არ გააჩეროს. კორონავირუსის ინფექციის ეპიდემიის დროს სწორედ ეს გზა აირჩია აშშ-მ, იაპონიამ, გერმანიამ და სხვა ეკონომიკურად ძლიერმა ქვეყნებმა.

მეორე ჯგუფი, ის ქვეყნებია, და ასეთია მსოფლიო ქვეყნების 80%-ზე მეტი, რომელთაც ზემოთ აღნიშნული შესაძლებლობები არ გააჩნიათ ეკონომიკის მასშტაბიდან, საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობიდან, ეკონომიკის ღიაობა/ჩაკეტილობის, ეკონომიკის სტრუქტურისა და სხვა მიზეზების გამო. ასეთი ქვეყნებისათვის სიტუაციის მართვის პროტოკოლი მდგომარეობს მკაცრი საბიუჯეტო-ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებაში. ეს ძალიან მტკივნეული პროცესია, რომელიც სოციალური სფეროს შეკვეცასაც გულისხმობს. ამის კარგი მაგალითია საბერძნეთი. საერთაშორისო ორგანიზაციები, მათ შორის, საერთაშორისო სავალუტო ფონდი ამ პროტოკოლის მომხრეა მოცემული ჯგუფის ქვეყნებისთვის (2007-2009 წლების ფინანსური კრიზისის დროს მათი მთავარი რეკომენდაცია ეს იყო).

მესამე ჯგუფია ჩინეთი, კუბა, ჩრდილოეთ კორეა და კიდევ რამდენიმე „არასტანდარტული“ ქვეყანა - მათი ქცევა ეკონომიკაში პოლიტიკის არსებული სისტემის დომინანტით მიმდინარეობს, სუბიექტივიზმზეა და-

ფუძნებული და განზოგადებას არ ექვემდებარება - ინდივიდუალური ხასიათისაა.

დასკვნა: აციკლინი კიბოს უმჯობესი მოვლენების დროს სამი სახის პოლიტიკა გამოიყენება: 1. ეკონომიკაში ფულის „უზომო ჩასხმის“, 2. უმკაცრესი საბიუჯეტო პოლიტიკისა და ხაჩუბის საკუთარ შემოსავლებთან შესაბამისობის უზუნველყოფის და 3. „ზეცენტრალიზებული და ახასტანდახტული“. საქართველომ მეოხე ტიპის პოლიტიკა უნდა გააგახოს, ხადგანაც მას პიხვედი და მესამე ტიპის პოლიტიკის გაგახების შესაძლებლობა ახ აქვს.

საქართველოს მოქმედების ინდივიდუალური პროტოკოლის აუცილებლობა

საქართველო მიეკუთვნება მეორე ჯგუფის ქვეყნებს. შესაბამისად, მთავარი დასკვნა ისაა, რომ საქართველოს არ შეუძლია, ის ვერ შეძლებს ნებისმიერი დანახარჯების ფასად პანდემიასთან ბრძოლას, მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ეკონომიკის ფუნქციონირების სტატუს - კვოს შენარჩუნებას.

საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მეგობარი ქვეყნების დახმარებები, საშინაო და საგარეო ვალი, შემოწირულობები - არსებული შემზღუდველი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორი მაქსიმუმითაც არ უნდა მოვიზიდოთ ის, ვერ იქნება იმ ზომის, რომ გამოვიყენოთ ეკონომიკაში ფულის „ჩასხმის“ აშშ-ის მაგვარი მიდგომა (ამისათვის საკმარისი არაა მოსალოდნელი 3 მლრდ აშშ დოლარი იმ შემთხვევაშიც კი, რომ ეს ფული იყოს თავისუფლად და უპირობოდ გამოყენებადი).

საქართველოსათვის მთავარი შიდა წყაროებია, როდესაც მობილიზებულ უნდა იქნეს ყველა შესაძლო წყაროდან რესურსი, მოხდეს ხარჯების ოპტიმიზება და განხორციელდეს უმკაცრესი მომჭირნეობა ხარჯებზე.

ამ საერთო პროტოკოლური მიდგომის გარდა, ყველა ქვეყანას და საქართველოსაც, მოუნვეს გაითვალისწინოს სპეციფიკა - ეს არ არის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები წმინდა სახით, მისი გამომწვევია პანდემია და ამავე დროს, დეფორმირებულია ღია ეკონომიკის სისტემა და ქვეყნები გადავიდნენ პროტექციონისტურ პოლიტიკაზე, ან ახლოს არიან ამ მდგომარეობასთან.

დასკვნა: სახედმწიფო ვადის აღება საქართველოსათვის ძალიან შეზღუდულია და თანაც, საეჭვოა ვადის იმ ზომით აღება, რომ ხაჩუბის სტატუს-კვო უცვლელი დაჩქეს. ახსებობს აგხეთვე დროის პიობდემა - ხოდის იქნება ეს. მანამდე საქართველომ ზემომჭიხნეობის ხეჭიმით უნდა მოახდინოს იმ ხესუხების მობილიზება, ხაც გააჩნია. უპიხვედესი ყუხადღება სახედმწიფო ბიუჯეტს უნდა მიექცეს. საქართველოს ახ აქვს იმის შესაძლებლობა, რომ სახედმწიფო ბიუჯეტიდან ახსებული ხაჩუბიც შეინაჩქუნოს და ახადიც დაუმაგოს. ამიგომ, ახსებული ხაჩუბი უნდა შეკვეცოს იქ, სადაც შესაკვეცია და გაზაჩდოს იქ, სადაც ამას ახადი ვითაჩება მოითხოვს. შედეგად, სასწაფოდ შეიმუშაოს და დაამტკიცოს საგანგებო ბიუჯეტი.

საქართველოს მოქმედების საგზაო რუკა ძირითადი მიმართულებებით

საქართველოსათვის მოქმედების ინდივიდუალური სახელმძღვანელო ლოგიკურად უნდა იყოს: (1) მოსახლეობის გადარჩენა კორონავირუსის ინფექციისაგან და მათი (2) სურსათზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მინიმუმ შიმშილის თავიდან აშორების დონეზე. რადგანაც საქართველო ღია ეკონომიკის ქვეყანაა და მსოფლიოში პროტექციონიზმის ტენდენციები ქმნის საფრთხეს, რომ ფულის არსებობის შემთხვევაშიც, შეუძლებელი გახდეს საბაზო, სასიცოხლო პროდუქციის შექმნა, საქართველოს მოუწევს ამ უკანასკნელისათვის (3) ფორსირებულად შიდა რესურსების მობილიზება და მაქსიმალურად იმპორტის ჩამნაცვლებელი ეკონომიკის განვითარება, პირველ რიგში, სასურსათო პროდუქციის წარმოების კუთხით. ამასთან, ასევე (4) ფორსირებულად საჭირო იქნება ინტერნეტიზაციის გაფართოება, საინფორმაციო უსაფრთხოების ერთიანი სისტემის შექმნა, ერთიანი სახელმწიფო კოორდინაციით.

ამრიგად საქართველოს რეალობას ართულებს ის, რომ ფულადი რესურსების უმკაცრესი ეკონომიის პირობებში, მას მოუწევს ხარჯების გაზრდა არამარტო პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, არამედ ახალი ხარჯების განევა სასურსათო და ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემების შესაქმნელად.

ფორმულა ასეთია: ადამიანების გადარჩენა და ამისათვის საჭირო ეკონომიკის შენარჩუნება, და სადაც საჭიროა - განვითარება.

ამ ჩარჩოს გარეთ, ყველაფერი მინიმიზებულია, ხოლო კონკურენტულ სფეროებში სიტუაცია ყალიბდება ფორსმაჟორული გარემოს შესაბამისად, გაჭირვებაზე ხელის მომთბობთა და სპეკულაციის წინააღმდეგ უმკაცრესი რეპრესიული ღონისძიებების პირობებში.

დასკვნა: ნათქვამიდან გამომდინარე, საქაჩვედოს მთავრობის მოქმედების საგზაო რუკა - სახელწოდებით - „გამაჩვეების პიოგჰამა“, „თავდაცვის პიოგჰამა“, ან სხვა ჩაიმე ოპტიმისტუი! ადგენს ოთხ ახად პიოგჰამას ((1) პანდემიასთან ბიძოლის, (2) სასუხსათო უსაფხთხოების უზუნვედყოფის, (3) სუხსათისა და კვების პიოდექტების წაჩმოების განვითაჩების (გაზაფხულის ფაქტოი სოფდის მეუჩნეობისათვის), (4) ინტეჩნეტიზაციის გაფაჩთოება, ციფხური მმაჩთვედობის გაუმჯობესება და ინფოჩმაციური უსაფხთხოების სისტემის შექმნა), ახდენს ძიჩითადი მიმაჩთუდებების ძიჩეუდ ჩევიზიას და საბიუჯეტო ხაჩების გადაღაგებასა და ოპტიმიზებას.

ფინანსირების მთავარი წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

სახელმწიფო ბიუჯეტში მისაღებ შესაძლებელი დამალული ფინანსური რესურსების „მოძიება“ უნდა განსხვავდებოდეს ტრადიციული მიდ-

გომებისაგან, საჭიროა, როგორც ბიუჯეტში რესურსების ძიებისათვის ევროკავშირის ლიდერების სხდომაზე აღინიშნა, კრეატიული, კონსტრუქციული, ინოვაციური მიდგომა. ეს უნდა იყოს არა რაღაც „სეკვესტრი“ თითოეული მხარჯავი სუბიექტისაგან ხარჯების ჩამოჭრის სახით, არამედ სრულიად ახალი საბიუჯეტო წესრიგი, რომელიც მოითხოვს საკანონმდებლო, ინსტიტუციურ და მხარჯავი სუბიექტებისა და პროგრამების ცვლილებებსა და გადალაგებას და ანტიკრიზისული ფონდის შექმნას.

ბიუჯეტის ადაპტაცია შეცვლილ სიტუაციასთან უნდა მოხდეს ხარჯების შემცირების გამო, მაგრამ როგორც შემოსავლების წყაროების შემცირების გამო (ეკონომიკური ზრდა -4,5 % +4,5%-ის ნაცვლად, საგადასახადო შემოსავლების შემცირება), აგრეთვე სახელმწიფოს ეკონომიის, მომჭირნეობის პოლიტიკის შედეგად.

ხარჯების შემცირება ბიუჯეტიდან „ამოვარდნილი“ შემოსავლების გამო - ამას ზუსტად დაიანგარიშებს შესაბამისი სტრუქტურები. ხარჯების სტრუქტურა უნდა შეიცვალოს აგრეთვე ახალი ფაქტორებით გამოწვეული ხარჯების ზრდის გამო (ლარის კურსის გამო საგარეო ვალების ზრდა).

პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლისა და ზემოთ მითითებული კიდევ სამი ახალი პროგრამის დასაფინანსებლად და გაუთვალისწინებული ხარჯებისათვის უნდა შეიქმნას საგანგებო ანტიკრიზისული ფონდი - საგანგებო მთავარი ღერძი. ბიუჯეტის ამ ფონდში გარდა საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციებისა და დონორების, აგრეთვე საქველმოქმედო სახსრებისა, უნდა შევიდეს თანხები, მიღებული ხარჯების შემცირებიდან ბიუჯეტიდან მომჭირნეობის პოლიტიკის შედეგად.

დასკვნა:

1. საგანგებო პირობების განხორციელებისათვის უნდა შეიქმნას ანტიკრიზისული ფონდი, ხოლო ახაპიზონობიხებადი ფაქტორები ქმნის იმის აუცილებლობას, რომ ამ ფონდში მოუდოწედი ხისკების შემთხვევისათვის ახსებობდეს თავისუფალი ფური .

2. 2020 წლის დამტკიცებული სახედმწიფო ბიუჯეტში შესაძლებელია ამ ფონდისათვის 1,5 – 2,0 მლრდ ღახის სახსრების გამოთავისუფლება უმკაცრესი მომჭირნე ხეჭიმზე გადასვლის შემთხვევაში.

3. აღნიშნული ახის ფასი, რომელსაც ქვეყანა იხდის მაშინ , თუ ამ გადაწყვეტილებას მიიღებს უახლოეს დღეებში, ხოლო საკითხის გადაგების შემთხვევაში, ამ ფასის სიდიდე შეიძლება შეუწვდომდად ძვირი გახდეს ქვეყნისათვის.

ხელისუფლების „ანტიკრიზისული გეგმა“

24 აპრილს „ანტიკრიზისული გეგმის“ სახით წარმოდგენილ (http://government.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=541&info_id=75972) იქნა მთავრობის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები, მათი დაფინანსების

ოდენობით და არც ერთი სხვა სისტემური, ნორმატიული ან მარეგულირებელი ცვლილება (პენსიის ინდექსაციის გარდა).

მთავრობამ ვერ შეძლო სისტემური და კომპლექსური ანტიკრიზისული პროგრამის წარმოდგენა, რომელიც იქნებოდა დაფუძნებული პროგრამულ მიდგომაზე და მოიცავდა კრიზისთან ბრძოლას ყველა ფრონტზე - ფასები, ფორსმაჟორულ სიტუაციაში გაკოტრების პროცესებს, ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილება, სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების ფუნქციონირებას, კულტურას და ა.შ. მან წარმოადგინა მმართველობისათვის ყველაზე მარტივი ტიპის მოქმედების გეგმა, რომელიც შინაარსობრივად კრიზისის შედეგების დაძლევის კი არა, არამედ კრიზისის შედეგებთან ადაპტაციის ღონისძიებებისაგან შედგება (ჭიბუტი მ. 2020).

„ანტიკრიზისული გეგმა“ სხვა არაფერია, თუ არა „ჩვეულებრივი სამოქმედო სტრატეგიულ გეგმაში კორექტირება“ (ჭიბუტი მ. 2020). ახალი გამოწვევების შესაბამისი პროგრამების დამატება, ძველი პროგრამების რევიზია ახალ გარემოებათა შესაბამისად და მათი განხორციელებისათვის ფინანსური რესურსების მოძიება და ყველაფერი ამის ასახვით დამტკიცებული ბიუჯეტის ტრანსფორმაცია საგანგებო ბიუჯეტად.

აღმოჩნდა, რომ ხელისუფლებამ ან არ გააკეთა, ან ვერ შეძლო ანტიკრიზისული გეგმის, როგორც სისტემური და კომპლექსური დოკუმენტის წარმოდგენა, სადაც მოცემული იქნებოდა მეცნიერულად დადგენილი „გეგმის წესრიგის“ შესაბამისად პროგრამები, მიზნები და ამოცანები, მათი განხორციელების ღონისძიებები, პასუხისმგებელი შემსრულებლები, სათანადო დაფინანსება და საგანგებო ბიუჯეტი, მისაღწევი მიზნები გაზომვად ინდიკატორებსა და მაჩვენებლებში.

სიტუაცია არ შეცვლილა - 7 მაისი - „ტურიზმის ამოქმედების ანტიკრიზისული გეგმის“, 12 მაისს - „განათლების ანტიკრიზისული გეგმისა“ და „სოფლის მეურნეობის სამინისტროს ანტიკრიზისული გეგმა „ბრუნვა სოფელზე“ წარმოდგენის შემდეგ. მთავრობა ვერ გაშორდა ჩამოყალიბებულ სტერეოტიპებს და არსებული პროგრამების გაძლერებით შემოიფარგლა.

საგანგებო სიტუაციის შემდეგ

ხელისუფლებამ ვერ მოახერხა საგანგებო მდგომარეობით ესარგებლა და ქვეყანაში არსებული წესრიგის ხარისხი გაეზარდა. მან გაუშვა შანსი კარგად გამოეყენებინა საგანგებო მდგომარეობა, ახალი გამოწვევების შესაბამისად შეექმნა პროგრამები, მოეხდინა ბიუჯეტის ოპტიმიზაცია და მომჭირნეობის რეჟიმის განხორციელება, საბიუჯეტო სახსრების გადანაწილება და საგანგებო ბიუჯეტის მიღება ეკონომიკის განვითარების ახალი რეალობებიდან გამომდინარე, რითაც მოემზადებინა ქვეყანა ნებისმიერი სცენარით შემდგომი განვითარებისათვის. უფრო მეტიც, კრიზისის წინააღმდეგ მოქმედების პოლიტიკის საფუძვლად აიღო არასწორი ორი-

ენტირი - ე. წ. ეკონომიკაში „ფულის ჩასხმის“ – განვითარებული ქვეყნების ანალოგიურად, იმის ნაცვლად, რომ გამოეყენებინა ინდივიდუალური პოლიტიკა ქვეყნის რესურსებიდან გამომდინარე. ამასთან, ჩვენი აზრით, მთავრობამ დაუშვა შეცდომა, რომ 2020 წლის სახემწიფო ბიუჯეტში ცვლილებები მარტშივე არ განახორციელა. აღნიშნულის შედეგები საგანგებო სიტუაციის მოხსნისთანავე გამომჟღავნდება და საგანგებო ბიუჯეტს ქვეყანა მაინც ვერ ასცდება, თუმცა დიდი ალბათობით, უკვე განვითარების ვარიანტების არჩევის შესაძლებლობის გარეშე.

ლიტერატურა:

- ჯიბუტი მ. საშველი (26.03.2020). <http://iverioni.com.ge/16749-mikheil-jibuti-sashveli.html>
- ჯიბუტი მ. (24.04.2020). რას გვიზადებს მთავრობა -ანტიკრიზისულ გეგმას, თუ ღონისძიებათა ხარჯთაღრიცხვას
- ხელისუფლების „ანტიკრიზისული გეგმის“ სწრაფი წნწნ ტესტი, (25.04.2020)-
-<http://iverioni.com.ge/16771-mikheil-jibuti-khelisuflebis-antikrizisuli-gegmis-sts-rafi-tstststs-testi.html>
- http://government.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=288&info_id=76050
- http://government.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=288&info_id=76154df
- http://government.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=288&info_id=76108
- http://government.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=541&info_id=75972
- http://government.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=288&info_id=76050
- http://government.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=288&info_id=76154df
- http://government.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=288&info_id=76108

კორონომიკური კრიზისის გაკვეთილები საქართველოსთვის

მერაბ კაკულია

პროფესორი

საქართველოს საზოგადოებრივ

საქმეთა ინსტიტუტი (GIIPA)

merab.kakulia@gmail.com

კაცობრიობა არაერთხელ ყოფილა ეკონომიკური კრიზისების მოწმე, რომელთაგანაც განსაკუთრებით გამოირჩევა 1929-1933 წლების დიდი დეპრესია და 2008-2009 წლების დიდი რეცესია, მაგრამ მსოფლიო ეკონომიკა არასდროს მდგარა ისეთი მასშტაბური გამომწვევის წინაშე, როგორც დღეს. კორონომიკური* კრიზისი არ არის არც ციკლური და არც სტრუქტურული

* კორონომიკა - ეს არის ეკონომიკა კორონავირუსის პანდემიის ტყვეობაში. ცნე-ბა შემოიტანა შრილანკელმა პროფესორმა აჯით და ოლვისმა (Ajith De Alwis).

ეკონომიკური მოვლენა, იგი კორონავირუსის პანდემიით პროვოცირებული კრიზისია, რაც განაპირობებს კიდევ, მის სპეციფიკას.

ეს რომ ტიპური ეკონომიკური კრიზისი იყოს, საკმარისი იქნებოდა სახელმწიფოს მხრიდან მოთხოვნის მასშტაბური სტიმულირება, მათ შორის შინამეურნეობათა წახალისება უფრო მეტი ხარჯების გასაწევად (Rogoff, 2020). ამჯერად, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ამოცანიდან გამომდინარე, სახელმწიფოები აიძულებენ ადამიანებს შინაიზოლაციის რეჟიმში იცხოვრონ, რაც:

- ზრდის უმუშევრობას, ანუ ზღუდავს შინამეურნეობების მიერ შემოსავლის გენერირების უნარს;

- აძლიერებს უარყოფით მოლოდინებს და შინამეურნეობათა მომჭირნეობას.

იმავედროულად, ადამიანების ეკონომიკური ქმედუნარიანობის შეზღუდვა წარმოშობს **მიწოდების უძლიერეს შოკსაც**, რაც გამოიხატება:

- ეკონომიკის დარგების უმეტესობის მთლიანად ან ნაწილობრივ პარალიზებაში;

- მიწოდების ლოკალური და გლობალური ჯაჭვების წყვეტაში.

შეიძლება ითქვას, რომ საქმე გვაქვს კოლოსალურ გლობალურ კრიზისთან, რომლის დროსაც მოთხოვნისა და მიწოდების შოკები მთელ მსოფლიოში სინქრონულად ეხლართება ერთმანეთს, რაც მკვეთრად ზრდის კრიზისის კუმულატურ ეფექტს.

მიუხედავად იმისა, რომ კორონავირუსის პანდემია ჯერ არ დასრულებულა და მისი ყველა ეკონომიკური შედეგი ჯერ არ დამდგარა, **უკვე შეიძლება მსჯელობა კორონომიკური კრიზისის გაკვეთილებზე, რომელიც დღის წესრიგში აყენებს ქვეყნის განვითარების მოდელის სრულყოფის/ცვლილების აუცილებლობას.**

შინამეურნეობათა მოხმარების პარალიზება

კორონომიკურმა კრიზისმა მკვეთრად შეამცირა შინამეურნეობათა მიერ საქონლისა და მომსახურების შეძენა, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა უპირატესად მოხმარებაზე ორიენტირებულ ეკონომიკებში, მათ შორის დასავლეთში*. შინამეურნეობათა მოხმარება 2010-2015 წლებში საშუალოდ მთლიანი შიგა პროდუქტის 76,7%-ს შეადგენდა, მომდევნო წლებში ამ მაჩვენებელმა საგრძნობლად იკლო - მშპ-ის 67%-დე (2019), თუმცა, ის ჯერ კიდევ მაღალია. ევროზონის ქვეყნებში აღნიშნული მაჩვენებელი 53%-ს არ აღემატება, საშუალოდ მსოფლიოში კი - 60%-ს (TheGlobalEconomy.Com, 2018).

მოხმარების პარალიზება გამოიწვია ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს ობიექტების დიდი უმრავლესობის დაკეტვამ და სამუშაო ადგი-

* საქართველოში მომხმარებლური ეკონომიკის მოდელის შესახებ უფრო ვრცლად იხ.: (Papava, 2015).

ლების მასობრივმა დაკარგვამ ქვეყნის ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორში. შესაბამის მონაცემთა ანალიზი გვაჩვენებს, რომ უმუშევრობის დონე კორონომიკური კრიზისის შედეგად შესაძლოა, სულ ცოტა, გაორმაგდეს. თუ გავითვალისწინებთ, რომ შინამეურნეობათა დანაზოგები საქართველოში ერთობ მწირია, ადვილი წარმოსადგენია თუ რამდენად შესუსტდა მოსახლეობის მყიდველობითი უნარი. ამასთან, საქართველოში არ მოქმედებს ისეთი ავტომატური მაკრო სტაბილიზატორი, როგორცაა უმუშევართა დაზღვევა, რომლის გაფართოებას კორონომიკური კრიზისის პირობებში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ნობელიანტი ეკონომისტი პოლ კრუგმანი (Krugman, 2020).

საქართველოს მთავრობამ გადამწყვიტა ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის მოხმარების საფასურის ანაზღაურების გარდა, თითოეულ უმუშევარს, ვინც ადრე დაქირავებით იყო დასაქმებული, 6 თვის განმავლობაში თვეში 200 ლარი გადაუხადოს, რაც ერთი შრომისუნარიანი ადამიანის საარსებო მინიმუმის ტოლია, თუმცა, 6-ჯერ და მეტად ნაკლებია კრიზისამდე დაქირავებით დასაქმებულთა საშუალოთვიურ ნომინალურ ხელფასზე. რაც შეეხება სამუშაოდაკარგულ თვითდასაქმებულებს, რომლებიც კრიზისამდე დასაქმებულთა ნახევარს შეადგენდნენ, ისინი ერთჯერადად 300 ლარს მიიღებენ. ცხადია, ეს მხოლოდ უმნიშვნელოდ თუ გაზრდის სამომხმარებლო ხარჯებს.

დადგა დრო, საქართველოშიც ამოქმედდეს უმუშევართა დაზღვევის სისტემა, რაც საშუალებას მისცემს შინამეურნეობებს რამდენადმე მაინც გაუმკლავდნენ ნებისმიერი ტიპის კრიზისის დარტყმებს. **სტრატეგიულ ამოცანად კი უნდა დაისახოს მომხმარებლური ეკონომიკის მოდელიდან უპირატესად მწარმოებლური ეკონომიკის მოდელზე თანმიმდევრული გადასვლა.**

შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილების ნაკადების დაშრეტა

საქართველოს უპირატესად მომხმარებლური ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია დამოკიდებულება უცხოეთიდან შრომითი მიგრანტების ფულად გზავნილებზე, რისი მოცულობაც ქვეყნის მშპ-ის 10%-ს აღწევს (2019). წარსულში, ფულადი გზავნილები მათზე დამოკიდებულ ქვეყნებში, ანტიციკლურ როლს ასრულებდა, რადგანაც კრიზისის დროს მიგრანტები თავიანთ ქვეყნებში, როგორც წესი, მეტ ფულს რიცხავდნენ. ახლა, როდესაც კორონომიკური კრიზისი თითქმის ყველა ქვეყანას მოიცავს, ფულად გზავნილებზე დამოკიდებულების მაღალი ხარისხი, პირიქით, კრიზისის გაღრმავების ფაქტორად იქცა.

ამას ემატება, ნავთობზე მსოფლიო ფასების უპრეცედენტო ვარდნა, რაც ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნებიდან (მაგალითად, რუსეთიდან) ფუ-

ლად გზავნილებზე დამოკიდებულ ეკონომიკებს, რომელთაც საქართველოც მიეკუთვნება, კიდევ უფრო მეტ ზიანს აყენებს (The World Bank, 2020b). საქართველოს შემთხვევაში, ვითარებას ისიც ამწვავებს, რომ პანდემიამ ძლიერი დარტყმა მიაყენა აგრეთვე ფულადი გზავნილების სხვა ძირითად დონორ ქვეყნებს (მაგალითად, აშშ-ს, იტალიას და სხვ). საერთო ანგარიშით, 2020 წლის აპრილში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ფულადი გზავნილების ნაკადი 42,3%-ით შემცირდა, მათ შორის რუსეთიდან - 2,6-ჯერ, აშშ-დან 33%-ით, იტალიიდან - 27%-ით, საბერძნეთიდან - 37%-ით. ამგვარი დინამიკა მნიშვნელოვნად ზღუდავს შინამეურნეობათა სამომხმარებლო ხარჯებს და ართულებს კრიზისიდან გამოსვლას.

გრძელვადიან პერიოდში მიზანშეწონილია გადაიდგას ნაბიჯები ფულად გზავნილებზე ქვეყნის ეკონომიკის დამოკიდებულების შემცირების მიმართულებით, რაც ძირითადად ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებისა და ექსპორტის ზრდის საფუძველზე შეიძლება მოხდეს. ნიშანდობლივია, რომ, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, მეზობელ სომხეთში ფულად გზავნილებზე დამოკიდებულება 2004-2018 წლებში მშპ-ის 22%-დან 12%-დე შემცირდა, მაშინ როდესაც საქართველოში - 7%-დან 11,5%-დე გაიზარდა (The World Bank, 2018).

მომსახურების ეკონომიკის სუსტი მედეგობა

კორონავირუსის პანდემიამ განსაკუთრებით ძლიერი დარტყმა მომსახურების სექტორს (ტურისტული ინდუსტრია, ტრანსპორტი, ვაჭრობა, უძრავი ქონებით ოპერაციები და სხვა) მიაყენა, რომლის წილი საქართველოს ეკონომიკაში, საქსტატის მონაცემების მიხედვით, 74%-ს აღწევს (2019), რაც მნიშვნელოვნად აღემატება მაღალგანვითარებული ინდუსტრიული ქვეყნების შესაბამის საშუალო მაჩვენებელს. უნდა აღინიშნოს, რომ მომსახურების სექტორის სიდიდე საქართველოში არ არის ინდუსტრიული განვითარების შედეგი, ისე როგორც ეს ქვეყნების დასახელებულ ჯგუფშია.

გარეშე შოკების მიმართ მომსახურების სფეროს ძალიან მაღალი სენსიტიურობიდან გამომდინარე, ქვეყნის განვითარების დღის წესრიგში დგება **ეკონომიკის რეალური სექტორის (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, ენერჯეტიკა) სწრაფი განვითარების ხარჯზე მომსახურების სექტორზე დამოკიდებულების შემცირების სტრატეგიული ამოცანა.**

კორონომიკურმა კრიზისმა ყველაზე მეტად ტურისტული ინდუსტრია დააზარალა. უშუალოდ ტურიზმზე საქართველოს ეკონომიკის დაახლოებით 8% მოდის, მაგრამ მასთან დაკავშირებული სხვა ეკონომიკური აქტივობის გათვალისწინებით, ტურიზმის წილი ქვეყნის მშპ-ში 26,3%-ს აღწევს (World Travel & Tourism Council, 2020b). ეს იმას ნიშნავს, რომ ტურიზმს ძალიან მაღალი მულტიპლიკაციური ეფექტი აქვს. ევროკავშირის ქვეყნების ანალოგიური საშუალო მაჩვენებელი მხოლოდ 10%-ს შეადგენს (World Travel & Tourism Council, 2020a). შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი **ქვეყნის ეკონომიკა**

ზედმეტადაა დამოკიდებული ტურიზმზე, რაც სერიოზულ რისკს ქმნის განვითარებისთვის. აქედან გამომდინარე, პოსტკრიზისულ პერიოდში, სანამ გლობალური ტურისტული ინდუსტრია აღდგება, **მიზანშეწონილია ტურიზმის ექსტენსიური განვითარების მოდელიდან ინტენსიური განვითარების მოდელზე გადასვლა,** რაც იმას ნიშნავს, რომ საშუალოვადიან პერიოდში ახალი ტურისტული სიმძლავრეების მწყობრში შეყვანის ნაცვლად, უნდა მოხდეს არსებულის მაქსიმალურად ათვისება (მათ შორის შიგა ტურიზმის ხელშეწყობის გზით), და მისი მიწოდების უპირატესად ადგილობრივ ჯაჭვში ინტეგრაცია (სურსათის წარმოება-ტურიზმი).

იმპორტის ჯაჭვის რღვევა

კორონავირუსის პანდემიამ გამოიწვია მიწოდების გლობალური ჯაჭვების რღვევა, რაც, ერთი მხრივ, მომწოდებელ საწარმოთა პარალიზებით იყო გამოწვეული (Oxford Business Group, 2020), ხოლო მეორე მხრივ, 80-ზე მეტი ქვეყნის მთავრობის გადაწყვეტილებით ექსპორტზე შეზღუდვების დაწესების შესახებ. ეს შეზღუდვები ძირითადად პანდემიისგან დაცვის საშუალებებს, სამედიცინო ტექნიკასა და მედიკამენტებს მოიცავდა (Aatreya, 2020), თუმცა, რამდენიმე ქვეყანამ, სასურსათო უსაფრთხოების მოტივით, სურსათის ცალკეულ სახეობათა ექსპორტიც შეზღუდა (Schmidhuber, Pound, Qiao, 2020). ყოველივე ამან სერიოზული პრობლემები შექმნა კორონომიკური კრიზისის მართვის პროცესში.

მიუხედავად იმისა, რომ სურსათის ძირითად სახეობებზე მსოფლიო ფასები არ გაზრდილა, კორონავირუსის პანდემიამ სერიოზული დარტყმა მიაყენა სურსათის საერთაშორისო მიწოდებათა ჯაჭვს, რაც გამოწვეულია, ერთი მხრივ, ლოჯისტიკური შეზღუდვებით, ხოლო მეორე მხრივ, აგრარული სფეროს შრომატევად დარგებში სეზონური სამუშაო ძალის დეფიციტით. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ხილის, ბოსტნეულის, ხორცისა და რძის სექტორები (The World Bank, 2020a). ასეთ ფონზე სულ უფრო მეტად იზრდება ქვეყნების სასურსათო უსაფრთხოების რისკი (Food and Agriculture Organization of the United Nations (FAO), 2020).

სურსათის მოხმარება საქართველოში შინამეურნეობათა მოხმარების 28%-ს შეადგენს, სურსათის იმპორტი კი მთლიანი იმპორტის (რეექსპორტისთვის განკუთვნილი იმპორტის გარეშე) 13,5%-ს. პანდემიის ან სხვა ტიპის გლობალური კრიზისების პირობებში საკვები პროდუქტებით ქვეყნის შეუფერხებელი მომარაგების აუცილებლობა (სასურსათო უსაფრთხოება) დღის წესრიგში კვლავ აყენებს **ძირითადი სასურსათო პროდუქტების ადგილობრივი წარმოების სტიმულირების ამოცანას.** ეს განსაკუთრებით იმ პროდუქციას ეხება, რომელშიც ქვეყნის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი შედარებით დაბალია, თუმცა, არსებობს მისი წარმოების გაზრდის

მნიშვნელოვანი პოტენციალი (ხილი, ბოსტნეული, სიმინდი, ხორცი და ხორცპროდუქტები).

გარდა ამისა, დადგა დრო აღდგეს **ძირითადი სასურსათო პროდუქტების და საბაზისო სამედიცინო საშუალებების სტრატეგიული სახელმწიფო ან სახელმწიფოს მიერ რეგულირებული მარაგები (რეზერვები)**, რათა საქროების შემთხვევაში უზრუნველყოფილ იქნას ქვეყნის სასურსათო და სამედიცინო უსაფრთხოება.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადის მკვეთრი შესუსტება

კორონავირუსის პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა გაურკვეველობამ არსებითად შეზღუდა უცხოელ ინვესტორთა რისკის „მადა“, რაც კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის, კერძოდ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი-ების) ნაკადის კლებაში ვლინდება; და ეს მაშინ, როდესაც კრიზისამდე პუი-ები მშპ-ის 7%-ს აჭარბებდა და კაპიტალის მთლიანი ფორმირების მეოთხედს აღწევდა (2019). თიბისი კაპიტალის გუნდის პროგნოზით (საბაზო სცენარი), კორონაკრიზისის შედეგად, პუი-ები 2020 წელს, შესაძლოა 40%-ით შემცირდეს (Nadaraia, Bluashvili, Chachanidze, Kordzaia, 2020).

კრიზისულ პერიოდში უცხოური ინვესტიციების დანაკლისს ნაწილობრივ სახელმწიფოს კაპიტალური დანახარჯების მნიშვნელოვანი ზრდა (მაგალითად, ინფრასტრუქტურულ პროექტებში) გაანეიტრალებს, პოსტკრიზისულ პერიოდში კი, ამასთან ერთად, - **ადგილობრივი ინვესტიციების ნახალისება** ყველა საშუალებით, მათ შორის მთავრობის მიერ დაანონსებული საკრედიტო-საგარანტიო სქემის მეშვეობით. ამ კონტექსტში ძალიან მნიშვნელოვანია კაპიტალის ადგილობრივი ბაზრის განვითარება, რაც თავის მხრივ, შიდა დანაზოგების შექმნის ხელშემწყობი პოლიტიკის გატარებასაც მოითხოვს.

კორონომიკურმა კრიზისმა გამოააშკარავა ჩინეთის, როგორც გლობალური ინდუსტრიული ჰაბისა და ექსპორტიორის მიმართ, უცხოელ ინვესტორთა ნდობის დაქვეითება, რაც ამ ქვეყნის მიერ ექსპორტის შეზღუდვამ და მიწოდების საერთაშორისო ჯაჭვის ჩაშლამ გამოიწვია. ნიშანდობლივია, რომ ჟურნალ Fortune-ის მიერ შედგენილი 500 უმსხვილესის ტრანსნაციონალური კომპანიიდან 200 წარმოდგენილი იყო ჩინეთის ვუჰანის პროვინციაში, საიდანაც პანდემია დაიწყო (Delloite, 2020). ამერიკულ, იაპონურ, სამხრეთკორეულ და სხვა ქვეყნების კომპანიებს გააქვთ თავიანთი საწარმოები ჩინეთიდან, რათა ჩამოაყალიბონ მიწოდების რეგიონული (მაგალითად, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკული, ევროპული, აზიური და სხვა) კვანძები და არ იყვნენ კონცენტრირებული მიწოდების ერთ რომელიმე ინდუსტრიულ ჰაბში. აღნიშნულ კვანძებში განლაგდება,

როგორც ძირითადი მაკომპლექტებელი კომპონენტების საწარმოები, ისე მაკომპლექტებელი ნაწილებისა და საბოლოო პროდუქციის ბაზები (The Economist Intelligence Unit, 2020).

ასეთ ვითარებაში საქართველოს აქვს შანსი გახდეს ინდუსტრიის რედისლოკაციის ადგილი, ანუ მიწოდების ერთ-ერთი რეგიონული კვანძი. მით უმეტეს, რომ მას აქვს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები ევროკავშირთან, იგივე ჩინეთთან და ბევრ სხვა ქვეყანასთან. გარდა ამისა, მზადდება ანალოგიური ხელშეკრულება აშშ-თანაც. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ უკვე შეადგინა 400-დე საერთაშორისო კომპანიის სია, რომელთა მიერაც ჩინეთში წარმოებული პროდუქცია ევროკავშირში მაღალი საბაჟო გადასახადით იბეგრება.

ქვეყნის განვითარებისთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ შევძლოთ – არა მხოლოდ შედარებით დაბალტექნოლოგიური პროდუქციის (ტექსტილი, ფეხსაცმელი, სათამაშოები და სხვ.) მწარმოებელი კომპანიების მოზიდვა, რომელთაც არა აქვთ დამატებული ღირებულების შექმნის დიდი პოტენციალი, არამედ მაღალტექნოლოგიური კომპანიებიც, რომლებიც უშვებენ ქიმიური მრეწველობის (მათ შორის – ფარმაცევტიკის), მანქანათმშენებლობის (მათ შორის სამედიცინო დანიშნულების), კავშირგაბმულობის საშუალებების და ელექტრონიკის პროდუქციას. ეს ის დარგებია, რომელთაც დამატებული ღირებულების შექმნის დიდი პოტენციალი გააჩნიათ. რაც შეეხება მაღალტექნოლოგიური საწარმოებისათვის სამუშაო ძალის მომზადებას, აქ შეიძლება მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს სახელმწიფოს ჩართულობამ და კონსტრუქციულმა თანამშრომლობამ უცხოელ ინვესტორებთან, მათ შორის – საჭირო კვალიფიკაციის სამუშაო ძალის მომზადების დაფინანსების/თანადაფინანსების გზით, რისი პოლიტიკური ნებაც მთავრობამ უკვე გამოავლინა*.

საქონლის ექსპორტსა და რეექსპორტზე გლობალური მოთხოვნის შესუსტება

კორონავირუსის პანდემიამ დიდი დარტყმა მიაყენა საერთაშორისო ვაჭრობას. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) პროგნოზით, წლეულს საქონლით გლობალური ვაჭრობის მოცულობა, უკეთეს, 13%-ით, უარესში კი - 32%-ით დაეცემა (Azevêdo, 2020). ეს იმას ნიშნავს, რომ ეცემა გლობალური მოთხოვნა, მათ შორის ქართულ პროდუქციაზე. ამის ნიშნები უკვე სახეზეა: საქსტატის წინასწარი მონაცემებით, იანვარ-აპრილში ექსპორტის მოცულობა წლიურად 12%-ით შემცირდა. ამასთან, 10 წამყვანი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფიდან რვაში მნიშვნელოვანი კლება გამოვლინდა, განსაკუთრებით აღსანიშნავია ფეროშენადნობები, აზოტოვანი სა-

* მხედველობაში გვაქვს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ნათია თურნავას განცხადება.

სუქები, ყურძნის ნატურალური ღვინოები, სამკურნალო საშუალებები, აგრეთვე ავტომობილების რეექსპორტი. რაც შეეხება უმსხვილეს საექსპორტო სასაქონლო კატეგორიას - სპილენძის მადნებსა და კონცენტრატებს, რომელთა გატანა მეტწილად ჩინეთში ხდება, იანვარ-აპრილში მათი ექსპორტის წლიური ზრდის მიუხედავად, საკუთრივ აპრილში წლიურმა კლებამ 5%-ს გადააჭარბა, მარტთან შედარებით კი 19%-ით დაეცა, რაც ამ ტიპის პროდუქციის ექსპორტის შემდგომი კლების რისკზე მიუთითებს. თიბისი კაპიტალის პროგნოზით (საბაზისო სცენარი), წლეულს ქართული ექსპორტი 25%-ით შემცირდება (Nadaraia, Bluashvili, Chachanidze, Kordzaia, 2020).

ამდენად, კორონომიკურმა კრიზისმა კიდევ ერთხელ აჩვენა **ქართული ექსპორტის დივერსიფიკაციის და მისი რესურსული ორიენტაციის შესუსტების საჭიროება**; და ეს მაშინ, როდესაც ქვეყანაში არ არსებობს ექსპორტის ხელშეწყობის მკაფიოდ ჩამოყალიბებული ქმედითი პოლიტიკა, რომლის შემუშავება პოსტკრიზისულ პერიოდში ამოქმედების მიზნით გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით, კორონავირუსის პანდემიის გამომ გლობალური ინდუსტრიის რეგიონული რელოკაციის პროცესი საქართველოს მნიშვნელოვან შესაძლებლობებს აძლევს.

ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის მკვეთრი მერყეობა

კორონავირუსის პანდემიამ გლობალურ სავალუტო ბაზარზე დიდი რყევები გამოიწვია, თუმცა ლარის კურსის მერყეობის დიაპაზონი ერთ-ერთი ყველაზე ღრმა აღმოჩნდა მსოფლიოში: მხოლოდ 10 დღის განმავლობაში (17-26 მარტი) ლარის კურსი 25%-ით დაეცა, როდესაც ჩვენი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ვალუტებს ასეთი დევალვაცია ასეთ მოკლე ვადებში არ განუცდია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ დროსათვის კორონომიკის არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი შედეგი, ტურისტული შემოსავლების კლების გარდა, არ იყო დამდგარი, შეიძლება ითქვას, რომ სავალუტო აჟიოტაჟი საქართველოში ძირითადად შექმნილი ვითარების არაადეკვატური აღქმით და მასობრივი ფსიქოზით იყო გამოწვეული.

უარყოფითი მოლოდინები იმანაც გაამძაფრა, რომ ეროვნულმა ბანკმა დაგვიანებული და საკმაოდ მოუქნელი საინტერვენციო ტაქტიკა გამოიყენა. ამის შესახებ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ანგარიშშიც არის მითითებული: სსფ თვლის, რომ მაღალდოლარიზებულ ქვეყანაში, როგორც საქართველოა, ლარის კურსის ქარბი მერყეობა დამანგრეველი შეიძლება აღმოჩნდეს ფინანსური სტაბილურობისათვის. ამიტომ, ეროვნულმა ბანკმა განსაკუთრებულ შემთხვევებში დისკრეციულ ინტერვენციებს უნდა მიმართოს, რათა თავიდან აიცილოს ეროვნული ვალუტის კურსის დიდი მერყეობა (International Monetary Fund, 2020).

მოგვიანებით, ვითარება რამდენადმე გამოსწორდა, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ეროვნული ბანკის ერთგვარმა გამოცოცხლებამ,

კერძოდ, მისმა განცხადებამ სავალუტო ბაზარზე გაყიდვების გაზრდასთან დაკავშირებით, რაც ძირითადად კომერციული ბანკებისათვის უცხოური ვალუტის პირდაპირ, სვოპ ოპერაციების გზით, მიწოდებით მოხდება. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ **ასეთ არაორდინარულ ვითარებაში, ეროვნულ ბანკს მეტი სითამამე და კრეატიულობა მართებს უარყოფითი მოლოდინების გასანეიტრალებლად.** სავალუტო რეზერვების დაგროვება თვითმიზნად არ უნდა გადაიქცეს და მისი გამოყენება საგანგებო ვითარებაში სტანდარტულ სქემებს არ უნდა დაექვემდებაროს, მით უმეტეს, რომ ქვეყანამ დიდი საერთაშორისო ფინანსური დახმარება მიიღო, რაც მეტი საინტერვენციო აქტივობის საშუალებას იძლევა.

სამომხმარებლო ფასების ზრდა

როგორც უკვე აღინიშნა, კორონომიკური კრიზისისთვის დამახასიათებელია მოთხოვნის და მიწოდების შოკების ურთიერთგადახლართვა. თუ მოთხოვნის ვარდნა ფასების კლების მიმართულებით მოქმედებს, მიწოდების შიგა და საერთაშორისო ჯაჭვების რღვევა ფასებს ზრდისკენ უბიძგებს. ამდენად, **ინფლაციაზე კორონავირუსის პანდემიის გავლენა არაერთგვაროვანია და იმაზეა დამოკიდებული – მოთხოვნის შოკის ეფექტი გადანონის, თუ მიწოდების.** თუ მიმდინარე წლის მარტში წინა თვესთან შედარებით წლიური ინფლაციის ტემპმა იკლო, აპრილში ის არსებითად გაიზარდა და თითქმის 7%-ს გაუტოლდა (ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელზე 4%-ით მეტი).

კორონომიკური კრიზისის გაღრმავების პირობებში (2020 წლის აპრილი) **მოთხოვნა შემცირდა, თუმცა მოხდა მისი ფოკუსირება პირველადი მოხმარების საქონელზე, ძირითადად სურსათსა და საყოფაცხოვრებო ნივთებზე.** სურსათზე ფასები 16%-ით გაიზარდა, საყოფაცხოვრებო ნივთებზე კი - თითქმის 10%-ით. სურსათის წვლილმა სამომხმარებლო ფასების საერთო დონის ზრდაში 5 პროცენტული პუნქტი შეადგინა, როდესაც დანარჩენი 11 სასაქონლო ჯგუფიდან 0,6 პროცენტულ პუნქტზე მეტი წვლილი არცერთს არ ჰქონია. ფასებიც ამ ჯგუფებში, გარდა საყოფაცხოვრებო ნივთებისა, მცირედ გაიზარდა ან შემცირდა (4 ჯგუფში დეფლაცია აღინიშნა).

ფასების მატებაზე სერიოზული გავლენა იქონია ლარის გაცვლითი კურსის მკვეთრმა ვარდნამ მარტის ბოლოს, რაც უფრო აპრილის ფასებში აისახა.

და მაინც, **ინფლაციის ამჟამინდელ დონეზე მიწოდების შოკის გავლენა უფრო მკაფიოდ გამოჩნდა, მათ შორის – სურსათის მიწოდების სფეროში.** ნიშანდობლივია, რომ განსაკუთრებით გაძვირდა ხილი და ყურძენი (45,4%-ით), რძე, ყველი და კვერცხი (23,2%-ით), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (16,9%-ით). აღსანიშნავია ისიც, რომ 1 800 ობიექტიდან, რო-

მელთაც საქსტატის მიერ ფასების რეგისტრაცია მოიცავს, 1150, საგანგებო მდგომარეობის გამო, არ ფუნქციონირებდა (საქსტატი, 2020).

მიზნობრივზე ბევრად უფრო მაღალი ინფლაციის მიუხედავად, სუსტი მოთხოვნის ფონზე შესაძლებელი გახდა ეროვნული ბანკის პოლიტიკის განაკვეთის 50 საბაზისო პუნქტით დანევა. რამდენადაც მიწოდების შოკის მიმართ მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენება ნაკლებად ეფექტიანია, ასეთ ვითარებაში სავსებით შესაძლებელია მონეტარული პოლიტიკის შემდგომი ზომიერი შერბილება, რაც პანდემიიდან გამოსვლის კვალობაზე, ხელს შეუწყობს ეკონომიკის ეტაპობრივ გამოცოცხლებას. კორონომიკური ინფლაციის შემთხვევა კიდევ ერთი დადასტურებაა (Papava, 2020) იმისა, რომ ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი (Inflation targeting) ყოველთვის ეფექტიანი არ არის და მისი რელევანტურობა მცირე ზომის ღია ეკონომიკისთვის, როგორც საქართველოა, ბევრ კითხვას ბადებს.

თუ ყოველივე ზემოთქმულს შევაჯამებთ, შეიძლება ითქვას, რომ კორონომიკურმა კრიზისმა მკაფიოდ გამოავლინა საქართველოს ეკონომიკური განვითარების პარადიგმის სისუსტეები და ხაზი გაუსვა მათი გადალახვის აუცილებლობას. მომხმარებლური ეკონომიკის მოდელის შეცვლა, მომსახურების ეკონომიკაზე, უწინარეს ყოვლისა, ტურიზმზე ქარბი დამოკიდებულების შემცირება, შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილების როლის შესუსტება, იმპორტზე დამოკიდებულების შემცირება და ექსპორტის დივერსიფიკაცია მისი მხარდაჭერის ქმედითი ინსტრუმენტების საშუალებით, გლობალური ინდუსტრიის რელოკაციის მიმდინარე ტენდენციის გამოყენება პუიდეების ნაკადის გასაზრდელად - ყველაფერი ეს მიუთითებს **ქვეყნის რეინდუსტრიალიზაციის საჭიროებაზე**.

პოლიტიკურმა ელიტამ უნდა გააცნობიეროს, რომ ლიბერტარიანულმა დოქტრინამ, ერთი მხრივ, ბიძგი მისცა ეკონომიკის ლიბერალიზაციას, მაგრამ მეორე მხრივ, გამოავლინა მრავალრიცხოვანი სტრუქტურული სისუსტე, რაც ხელს უშლის ქვეყნის განვითარებას. ამიტომ, მასზე საბოლოოდ უნდა ითქვას უარი. გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს **ადეკვატური ინდუსტრიული პოლიტიკის** შემუშავება, რომელიც ორიენტირებული იქნება საქართველოს ეკონომიკის დივერსიფიკაციასა და კონკურენტუნარიანობაზე.

ლიტერატურა:

- საქსტატი, (2020). ინფლაცია საქართველოში, აპრილი, <https://www.geostat.ge/ka/single-news/1840/inflatsia-sakartveloshi-2020-tslis-aprili>
- Aatrey S., (2020), "Are COVID-19 Related Trade Restrictions WTO-Consistent?" Blog of the European Journal of International Law, April 25, <https://www.ejiltalk.org/are-covid-19-related-trade-restrictions-wto-consistent/>

- Azevêdo D. G., (2020). "Trade Set to Plunge as COVID-19 Pandemic Upends Global Economy." *World Trade Organization (WTO)*, https://www.wto.org/english/news_e/pres20_e/pr855_e.htm
- Deloitte, (2020). COVID-19: Managing Supply Chain Risk and Disruption. Coronavirus Highlights the Need to Transform Traditional Supply Chain Models, <https://www2.deloitte.com/global/en/pages/risk/articles/covid-19-managing-supply-chain-risk-and-disruption.html>
- The Economist Intelligence Unit, (2020). The Great Unwinding Covid-19 and the regionalisation of global supply chains. A report by The Economist Intelligence Unit, file:///C:/Users/merabi/Desktop/Grand%20Covid%2019/covid19-and-the-regionalisation-of-global-supply-chains.pdf
- Food and Agriculture Organization of the United Nations (FAO), (2020). *COVID-19 and the Risk to Food Supply Chains: How to Respond?* April, Rome, FAO, <http://www.fao.org/documents/card/en/c/ca8388en/>
- TheGlobalEconomy.Com, (2018). Consumption as Percent of GDP by Country: the Latest Data, https://www.theglobaleconomy.com/rankings/consumption_GDP/
- International Monetary Fund, (2020). Georgia. Sixth Review Under the Extended Arrangement and Requests for a Waiver of Nonobservance of Performance Criterion, Modification of Performance Criteria and Augmentation of Access. *IMF Country Report No. 20/149, May 20*, <https://www.imf.org/en/Publications/CR/Issues/2020/05/05/Georgia-Sixth-Review-Under-the-Extended-Arrangement-and-Requests-for-a-Waiver-of-49394>
- Krugman P., (2020). "And now for something completely different." *The New York Times*, May 27
- https://messaging-custom-newsletters.nytimes.com/template/oakv2?uri=nyt://newsletter/39ce1847-14af-47d9-9e26-8da01affdc5e&productCode=PK&te=1&nl=pa-ul-krugman&emc=edit_pk_20200413
- Nadaraia O., Bluashvili A., Chachanidze M., Kordzaia T., (2020). Covid-19 Impact on the Georgian Economy. Tbilisi, TBC Capital, <http://tbccapital.ge/en/research/reports/covid-19-impact-georgian-economy>
- Oxford Business Group, (2020). The impact of Covid-19 on global supply chains. 24 April, <https://oxfordbusinessgroup.com/news/impact-covid-19-global-supply-chains>.
- Papava V., (2015). "Necroeconomics of Post-Soviet Post-Industrialism and the Model of Economic Development of Georgia and Russia." *Journal of Business and Economics*, Volume 6, No. 5, pp. 976-983, <http://www.academicstar.us/UploadFile/Picture/2015-7/20157313847837.pdf>
- Papava V., (2020). "Coronomic Crisis: When the Economy is a Hostage to Medicine." *Eurasia Review*, March 29, <https://www.eurasiareview.com/29032020-coronomic-crisis-when-the-economy-is-a-hostage-to-medicine-oped/>
- Rogoff K., (2020). "Mapping the COVID-19 Recession." *Project Syndicate*, April 7, https://www.project-syndicate.org/commentary/mapping-covid19-global-recession-worst-in-150-years-by-kenneth-rogooff-2020-04?utm_source=Project+Syndi

cate+Newsletter&utm_campaign=aa811cf03a-covid_newsletter_09_04_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-aa811cf03a-93567601&mc_cid=aa811cf03a&mc_eid=e9fb6cbcc0

- Schmidhuber J, Pound J and Qiao B., (2020). COVID-19: Channels of transmission to food and agriculture. Rome, FAO, fao.org/3/ca8430en/CA8430EN.pdf.
- The World Bank, (2018). Data. Personal remittances, received (% of GDP), <https://data.worldbank.org/indicator/BX.TRF.PWKR.DT.GD.ZS>
- The World Bank, (2020a). Commodity Market Outlook. Implications of COVID-19 for Commodities. World Bank Survey, April, <https://openknowledge.worldbank.org/bitstream/handle/10986/33624/CMO-April-2020.pdf?sequence=9&isAllowed=y>
- The World Bank, (2020b). World bank Predicts Sharpest Decline of Remittances in Recent History. Press Release April 22, <https://www.worldbank.org/en/news/press-release/2020/04/22/world-bank-predicts-sharpest-decline-of-remittances-in-recent-history>
- World Travel & Tourism Council, (2020a). Country/Region Data, <https://wtcc.org/Research/Economic-Impact>.
- World Travel & Tourism Council, (2020b). Georgia 2020 Annual Research: Key Highlights, <https://wtcc.org/Research/Economic-Impact>

გლობალური ეკონომიკის რეცესია და საქართველოს პოსტვირუსული განვითარება

თეიმურაზ შენგელია

პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

shengelia.temur@gmail.com

კორონავირუსის გავრცელება ხასიათდება ეკონომიკური შოკებით, რაც არსებით ზეგავლენას ახდენს მსოფლიო ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაზე: მცირდება საერთაშორისო ვაჭრობა, იზღუდება შრომის ბაზარი, საფუძველი ერყევა სახელმწიფო ფინანსებსა და ფულად სისტემას, იცვლება ადამიანების ქცევა, რაც ზეგავლენას ახდენს მოხმარების სტრუქტურაზე.

არსებობს პირდაპირი კორელაცია კორონავირუსის მსოფლიო მასშტაბით გავრცელებასა და ქვეყნების ეკონომიკურ ზრდას შორის. ამ პირობებში საქართველოს წინაშე დგას ორი ძირითადი ამოცანა: პირველი - ვირუსის ლოკალიზება და მეორე - ქვეყნის ეკონომიკური სისტემის რაციონალური მართვა. ემპირიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ კორონავირუსის სამედიცინო შედეგები დაძლევადა, ხანგრძლივია ეკონომი-

კის რეანიმაციის პროცესი, რომელიც აისახება მსოფლიოს მოსახლეობის პოსტვირუსულ ყოფაზე.

იმისთვის, რომ დავადგინოთ კორონავირუსის შესაძლო ზეგავლენა საქართველოს და მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაზე, აუცილებელია გავანალიზოთ მისი წარმოშობის მიზეზები, გავრცელების პერსპექტივა და, შესაბამისად, დავადგინოთ ის პირდაპირი კავშირი, რომელიც არსებობს მისი გავრცელების სიჩქარესა და ქვეყნების ეკონომიკურ ვარდნას შორის.

მეცნიერების მიერ დადგენილია, რომ დედამიწაზე არსებობს 800 ათასამდე ვირუსი, რაც არსებით ზეგავლენას ახდენს სოციალურ ყოფაზე. დედამიწის მოსახლეობა ბოლო 40 წლის განმავლობაში დაახლოებით სამოცდაათი საშიში ვირუსით დაავადდა, ანუ ამ ფაქტორით გამოწვეული პოტენციური საფრთხე მუდმივად არსებობს. უკანასკნელ ათწლეულში ჩინეთში დაფიქსირდა კორონავირუსის გავრცელების მეორე შემთხვევა. კვლევებმა აჩვენა, რომ ისეთი ვირუსები, როგორიცაა: SARS-CoV და MERS-CoV ადამიანს გადაეცა ცხოველებისგან. კორონავირუსი (COVID-19) დაავადებულთა 3%-ში იწვევს სიკვდილიანობას; 2002 წელს გავრცელებული „SARS-ისა“ და 2012 წელს „MERS“ კორონავირუსით დაავადების შემთხვევებში სიკვდილიანობა აღწევდა 35-40%-ს. ამასთან, (COVID-19) კორონავირუსს ახასიათებს ადამიანების სწრაფი დაინფიცირება. ცხადია, რომ ანტივირუსის არარსებობის პირობებში კორონავირუსისაგან დაცვის ეფექტიანი საშუალებები კარანტინში ყოფნა და სოციალური დისტანციის დაცვაა. ამასთან, თანამედროვე გლობალურ ეკონომიკაში შეუძლებელია ადამიანები ხანგრძლივი დროით ვამყოფოთ კარანტინში, რადგანაც თვითგადარჩენის ინსტინქტით მათ მაინც მოუხდებათ ეკონომიკური საქმიანობა, წინააღმდეგ შემთხვევაში უკიდურესად გამწვავდება ეკონომიკური და სოციალური პრობლემები. ხანგრძლივი დროით ბიზნესსაქმიანობის დაპაუზებას ნებისმიერი სახელმწიფოსთვის მოჰყვება ფატალური ეკონომიკური შედეგები.

2020 წლის 11 მარტს მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონავირუსის ეპიდემია გამოაცხადა პანდემიად. ამ პირობებში მნიშვნელოვანი იყო მსოფლიო ეკონომიკური პროცესების პროგნოზული სცენარების შემუშავება. კორონავირუსის მსოფლიო ეკონომიკაზე ზეგავლენა ხასიათდება ნეგატიური ეკონომიკური შედეგებით, როლებიც არსებით ზეგავლენას ახდენენ ეკონომიკური სისტემის განვითარებაზე:

- მცირდება საერთაშორისო ვაჭრობა;
- იზღუდება შრომის ბაზარი;
- საფუძველი ერყევა სახელმწიფო ფინანსებსა და ფულად სისტემას;

• იცვლება ადამიანების ქცევა, რაც ზეგავლენას ახდენს მოხმარების სტრუქტურაზე.

ამ რეალობის გათვალისწინებით, უმსხვილესმა საფინანსო სააგენტომ – Bloomberg-მა წარმოადგინა ეკონომიკის განვითარების მისეული ხედვა, რომელიც ეფუძნება სამ პროგნოზულ სცენარს:

ოპტიმისტური სცენარის მიხედვით, ეპიდემიის შედეგად დაზარალებოდა მხოლოდ ჩინეთი. აღნიშნული პროგნოზი ეფუძნებოდა ვარაუდს, რომლის მიხედვითაც მოქალაქეების გადაადგილების შეზღუდვისა და სოციალური დისტანციის დაცვის შედეგად, ქვეყანაში ვირუსის გავრცელების მეორე ტალღა ლოკალიზებული უნდა ყოფილიყო. ჩინეთის ეკონომიკური ზრდა, ამ მოდელით წელიწადში 1%-ზე ნაკლებს შეადგენდა. ცხადია, რომ ეს სცენარი არარეალისტური აღმოჩნდა, რადგან ჩინეთის გარდა მსოფლიოში დამატებით ოთხი პანდემიის კერა გაჩნდა:

- აღმოსავლეთ აზიაში, სადაც ცენტრს სამხრეთ კორეა წარმოადგენს;
- ახლო აღმოსავლეთში – ცენტრით ირანი;
- ევროპაში – ცენტრით იტალია-ესპანეთი;
- რუსეთსა და უდიდესი – აშშ- ში.

ეპიდემია და ბრძოლა მის წინააღმდეგ, ჩინეთის კომუნისტური პარტიის დაუდევრობის გამო, მის საზღვრებს გარეთ სწრაფად გავრცელდა. დღეს უკვე შეუძლებელია პანდემიის არეალის ზუსტი პროგნოზირება, მაგრამ ცხადია, რომ ეკონომიკური შედეგები უმძიმესი იქნება. ევროპისა და აზიის უმსხვილესმა გადამზიდავმა კომპანიებმა, კორონავირუსის გამო შეაჩერეს საქმიანობა, დაიხურება მსხვილი საწარმოები, უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა მომსახურების სფერო და ტურიზმის სექტორი, რაც ნეგატიურად აისახა მსოფლიო ქვეყნების განვითარებაზე. ამიტომ, ევროპამ უკვე 2020 წლის აპრილის მეორე ნახევარიდან დაიწყო ეკონომიკის ნაწილობრივი რეანიმაციის პროცესი:

ჩეხეთმა 20 აპრილიდან გახსნა აგრარული ბაზრები, ავტოდილერების მაღაზიები, საქორწილო ცენტრები. 27 აპრილიდან 200კვ. მ-ზე განთავსებული ბიზნესი, 11 მაისიდან ავტოსკოლები, ფიტნესები, დაწყებითი სკოლები. 25 მაისიდან რესტორნები, სილამაზის სალონები, მუზეუმები, 8 ივნისიდან სავაჭრო ცენტრები, რესტორნები, თეატრები, საშუალო სკოლის და უნივერსიტეტების გამოსაშვები გამოცდები.

შვეიცარიაში 11 მაისიდან გაიხსნა დაწყებითი სკოლები, ბაზრები. 14 აპრილიდან 400 კვ.მ-ზე ნაკლები ფართობის მაღაზიები. 11 მაისიდან დაწყებითი სკოლები.

ავსტრიაში 14 აპრილიდან გაიხსნა 400 კვ.მ ფართობზე ნაკლები მაღაზიები, 1 მაისიდან სავაჭრო ცენტრები, დიდი მაღაზიები, სილამაზის სალონები.

გერმანიაში 20 აპრილიდან გაიხსნა 800 კვ.მ ნაკლები ფართობის მაღაზიები, ავტოშოურუმები. 4 მაისიდან სკოლები, გალერეები მუზეუმები, სილამაზის სალონები.

ზომიერი პროგნოზი ეფუძნებოდა ვარაუდს, რომ ჩრდილოეთ ნახევარსფეროში ეპიდემიას ექნება სეზონური ხასიათი, ანუ ის თავისთავად გაივლის დათბობის დანყებისთანავე, რაც დღეს უკვე არარეალურია. პერსპექტივაში კორონავირუსმა შესაძლოა განაგრძოს გავრცელება ისეთ თბილ რეგიონებში, როგორცაა ინდოეთი და აფრიკა, რისი პირველი ნიშნებიც გამოჩნდა. ცხადია ისიც, რომ ყველა სახელმწიფოში არ არსებობს მედიცინის განვითარებული სისტემა. სუსტი მედიცინის მქონე ქვეყნებში ეპიდემიის შედეგები უფრო მძიმეა, ვიდრე ძლიერში. გარდა ამისა, განვითარებული დემოკრატიული სახელმწიფოების მოქალაქეები მზად არ აღმოჩნდნენ პანდემიის გამო მარტივად მიეღოთ ადმინისტრაციული შეზღუდვები, რადგან ამ პროცესს თან ახლავს ცხოვრების წესის მნიშვნელოვანი ცვლილება. ჩინელებისგან განსხვავებით, ევროპელებისა და ამერიკელებისთვის მნიშვნელოვანია სამოქალაქო თავისუფლება (ამ მიზეზით, აშშ-ი, იტალიაში, ესპანეთში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთსა და ევროპის სხვა სახელმწიფოებში ვირუსმა დაიწყო ფართო გავრცელება, გახდა პანდემიის გავრცელების მიზეზი), რამაც ამ ქვეყნებში გამოიწვია მოთხოვნის უფრო ღრმა კრიზისი. ჩინეთში ეს პროცესი შედარებით მარტივად მოითოკა მკაცრი ადმინისტრაციული შეზღუდვების დაწესების გამო, ხოლო პანდემიური ილუზიების მქონე რუსეთში, რომელიც ეწეოდა ევროპის ქვეყნების დახმარების ფსევდოპოლიტიკას და საკუთარი ძლევამოსილების დემონსტრირებას, კორონავირუსმა აპრილის ბოლოს ფართო გავრცელება დაიწყო.

კორონავირუსის პირობებში გაუგებარია რამდენად სწრაფად აღდგება საერთაშორისო ტრანსპორტი. საერთაშორისო ავიაკომპანიები და სამოგზაურო სააგენტოები იძულებულნი არიან გამოტოვონ თავიანთი ბიზნესის ზაფხულის პიკი. ამის გამო, 2020 წლის ბოლოს ისინი სერიოზული კრიზისის წინაშე აღმოჩნდნენ. პანდემია იწვევს გლობალური ფინანსების დისბალანსს. როგორც უმსხვილესი საინვესტიციო ბანკი Morgan Stanley პროგნოზირებდა, 2020 წლის აპრილის დასაწყისიდან განვითარებული ქვეყნების ცენტრალური ბანკებმა, რომლებიც ცდილობენ ეკონომიკის მხარდაჭერას, საპროცენტო განაკვეთები მინიმუმამდე შეამცირეს, რაც აღემატება 2008-2009 წლების კრიზისის დროს ლიბერალური მონეტარული პოლიტიკის ანალოგიურ მაჩვენებლებს. ამან გამოიწვია ფულის გაიაფება. ეს პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდა იმ ქვეყნებში, სადაც მთავრობები ახორციელებენ ფისკალური სტიმულირების პოლიტიკას. ასეთი ეკონომიკური პოლიტიკა იწვევს ინფლაციის ზრდას, უფრო სწორად წარმოიშობა „სტაგფლაცია“ - სტაგნაციის და მაღალი ინფლაციის ნაზავი, რომელიც განვითარებულ ქვეყნებს არ ჰქონია 1980-იანი წლებიდან. 2020 წლის ბოლოს გლობალური ეკონომიკის ზრდა 1-2%-ით შემცირდება. პანდემიის მოთოკვის შედეგად, ეკონომიკის გამოცოცხლება დაიწყება 2020 წლის მესამე კვარტალში [3].

მოვლენების განვითარება ცუდი სცენარით პროგნოზირებისას ეკონომისტები ვარაუდობენ, რომ კატასტროფა საშუალო სცენარით გამოიყურება, მაგრამ დროის მიხედვით ის გაგრძელდება 2020 წლის ბოლომდე, ანუ მთელი წლის განმავლობაში. ამავე დროს, მსოფლიოში შეიქმნება ეპიდემიის ახალი დამოუკიდებელი კერები. ამ სცენარისთვის, კორონავირუსის გავრცელება არასებონურია, ანუ ჩრდილოეთ ნახევარსფეროში ეს პროცესი გაგრძელდება ზაფხულშიც.

გლობალურ ეკონომიკაში კორონავირუსის გავრცელებაზე დაფუძნებული ეკონომიკის სცენარები აჩვენებს, რომ მსოფლიოში მოხდება რეცესია, ანუ გლობალური ეკონომიკა არ გაიზრდება მინიმუმ წლის ბოლომდე. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ, თავის მოხსენებაში: „კორონავირუსი. გლობალურ ეკონომიკას საფრთხე ემუქრება“, წარმოადგინა „დომინოს დაცემის“ სცენარი, რომლის მიხედვით, ეკონომიკური ზარალის პიკი წლის ბოლოს გამომჟღავნდება. ამჟამად ზარალს ძირითადად იწვევს მხოლოდ მოთხოვნის შემცირება, მაგრამ მალე მას დაემატა საფონდო, სანედლეულო და საინვესტიციო ბირჟების ღრმა კრიზისი. ბლუმბერგის მიხედვით ნავარაუდევია მსოფლიო ეკონომიკის მინიმალური - 0.5-1%-იანი ზრდა. გლობალური ეკონომიკის ზარალი მხოლოდ 2020 წელს დაახლოებით 2,7 ტრილიონ დოლარამდე გაიზრდება, რაც 2008-2009 წლის დიდი რეცესიის შედეგად გამოწვეული ეკონომიკური ზარალის ტოლფასია. ამ პერიოდში, კრიზისის პირველ ექვს თვეში, მსოფლიო ეკონომიკას ორი ტრილიონი დააკლდა.

გლობალური ეკონომიკის რეალურ სექტორში საერთო პრობლემების მოკლევადიან პერიოდში მოგვარება შეუძლებელია რამდენიმე მიზეზით:

1. ჯერ კიდევ, 2019 წლის დეკემბერში, ევროზონის ინდუსტრიული წარმოება 2%-ით დაეცა (გერმანიაში 3.5%-ით), იაპონიის მშპ მკვეთრად შემცირდა მეოთხე კვარტალში 6.3% -ით, ხოლო ჩინეთში ზრდა ასევე მნიშვნელოვნად შენედა წლის ბოლოს. უმსხვილეს ეკონომიკებში რეალური რეცესია დაიწყო კორონავირუსის გავრცელებამდე.

2. ცენტრალური ბანკები დეფოლტის აცილების მიზნით ცდილობენ ბაზრების შევსებას ფულის საშუალებით, მაგრამ დიდხანს გაგრძელდება თუ არა ეს ეფექტი გაუგებარია, რაც უფრო დაბალია განაკვეთები, მით უფრო რთულია ეკონომიკის რეალური სექტორის სტიმულირება.

3. იმის დასადგენად, თუ რამდენად შეძლებს სამყარო ვირუსთან ბრძოლას, კიდევ რამდენიმე თვე დაგჭირდება. ამ პერიოდის განმავლობაში, ინვესტორები საფონდო ბირჟებზე და განვითარებად ქვეყნებში არ დააბანდებენ სარისკო აქტივებს.

პანდემიასთან დაკავშირებული გაურკვევლობის დონე რეკორდულ ნიშნულს აღწევს, რაც შეუძლებელს ხდის მსოფლიო ეკონომიკის პროგნოზირებას. ბოლომდე გაუგებარია ვირუსის გავრცელების დონე და მამ-

ტაბები, ბუნდოვანია სამკურნალო პრეპარატებისა და ვაქცინის შექმნის პერსპექტივა.

პანდემიის პირობებში საქართველოში ეკონომიკური ზრდის რამოდენიმე სცენარი არსებობს. ყურადღებას იქცევს ორგანიზაცია PMCG-ს მიერ დადგენილი პროგნოზი, რომელშიც ოპტიმისტური სცენარის მიხედვით, საქართველოში ეკონომიკური აქტივობა შეჩერდება 2.5 თვით, ხოლო შემდეგ სამ თვეში ნაწილობრივ განახლდება 2020 წლის ივნისიდან, ხოლო სრულად – სექტემბრიდან.

ნაკლებად პესიმისტური სცენარის მიხედვით ეკონომიკური აქტივობა შეჩერდება 4 თვით, შემდგომი სამი თვით ნაწილობრივ განახლდება 2020 წლის ივლისის შუა რიცხვებიდან, ხოლო სრულად – ოქტომბრის შუა რიცხვებიდან.

ძალიან პესიმისტური სცენარის მიხედვით ეკონომიკური აქტივობა შეჩერდება 6 თვით, ხოლო შემდგომი სამი თვით ნაწილობრივ განახლდება 2020 წლის სექტემბრის შუა რიცხვებიდან, ხოლო სრულად დეკემბრის შუა რიცხვებიდან. აქვე გასათვალისწინებელია ვირუსის გავრცელების მეორე ტალღა. ამ სცენარების გათვალისწინებით დადგენილია საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები. ოპტიმისტურის შემთხვევაში - 4.3%; ნაკლებად პესიმისტურისთვის - 8%; ძალიან პესიმისტურისთვის -12.9%.

საქართველოს, როგორც მცირე ეკონომიკის ქვეყანაზე – კორონავირუსის ზეგავლენა არსებითია. მნიშვნელოვნად შემცირდა იმპორტი ჩინეთიდან, აშშ-იდან და ევროკავშირის ქვეყნებიდან (საქართველო არის იმპორტმომხმარებელი ქვეყანა, ანუ ქვეყნის ეკონომიკას ადგილობრივი წარმოება მინიმალურად ვერ აკმაყოფილებს, რის გამოც ის ხასიათდება ქრონიკული სავაჭრო დისბალანსით). ასეთ პირობებში ცხადია, რომ შემცირდა ქვეყნის ექსპორტის მაჩვენებელი (წარმოების დაპაუზების გამო), ფულადი გზავნილები (შრომითი მიგრანტების რეპატრიაციის გამო). კორონავირუსი მძიმედ აისახება უცხოურ ინვესტიციებზე, რაც იწვევს ლარის კურსის მნიშვნელოვან ვარდნას, მის გაუფასურებას. ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებლები ქვეყანაში არსებითად შემცირდა (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) გათვლებით საქართველოს 2020 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 5.5%-ს შეადგენს, სომხეთის – 3.5-ს, ხოლო აზერბაიჯანის – 5%-ია. საქართველოს მთავრობის პროგნოზით, ეკონომიკური ზრდა მინუს 4%) იქნება. უმუშევრობის დონემ მიაღწია პიკს, კატასტროფულად გაიზარდა ქვეყნის საგარეო ვალი (2020 წლის აპრილის მონაცემებით 18 მილიარდ 222 მილიონი ლარი), რაც ნეგატიურად აისახა ქვეყნის ეკონომიკის დაცემასა და საბოლოოდ მის კრიზისში. საქართველოს ეკონომიკაში პოსტკორონავირუსის შედეგების დაძლევის სულ მცირე 2-3 წელი დასჭირდება.

2020 წლის 24 აპრილს საქართველოს მთავრობამ წარმოადგინა ანტიკრიზისული გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს უცხოელი დონორებისა და პარტნიორებისგან მიღებული 3,5 მლრდ ლარის ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ საჭიროებებზე გადანაწილებას. ბიზნესის მხარდაჭერისთვის 2 მლრდ 110 მლნ ლარი გამოიყო, ხოლო მოსახლეობის სოციალურ საჭიროებებს 1 მლრდ 35 მლნ ლარი უნდა მოხმარდეს.

ანტიკრიზისულ გეგმაში გვხვდება ფაქტოლოგიურ-სტატისტიკური ცდომილებები, რაც თვალსაჩინოა თვითდასაქმებულთა შემთხვევაში. მათთვის განკუთვნილი სოციალური დახმარების პაკეტი 250000 ადამიანზე ვრცელდება, მაშინ, როდესაც ქვეყანაში თვითდასაქმებულთა რაოდენობა თითქმის 800000 ადამიანია. თვითდასაქმებული ადამიანებისათვის განკუთვნილი ერთჯერადი 300 – ლარიანი დახმარების მოცულობა მინიმალურია. დაქირავებით დასაქმებულებისთვის 6 თვის განმავლობაში ყოველთვიური 200 – ლარიანი თანხა არასწორი მეთოდოლოგიით არის დადგენილი და არ შეესაბამა საერთაშორისო პრაქტიკას. გეგმა ითვალისწინებს თვიურ 200 ლარს „უხელფასო შვებულებაში მყოფი დაქირავებით დასაქმებულ პირთათვის“, „დაქირავებით დასაქმებული პირების უხელფასო შვებულებაში“ გაშვება საქართველოს შრომის კოდექსით არ არის გათვალისწინებული.

კერძო სექტორის დახმარება, სახელმწიფოს შეეძლო მის ხელთ არსებული ფინანსური და საგადასახადო ბერკეტების შემსუბუქებით. მსოფლიოში აპრობირებული ეს პრაქტიკა სამთავრობო გეგმაში სრულად არ არის ამოქმედებული.

გათვალისწინებულია 600 – ლარიანი დახმარება 65000-დან 100000-მდე სოციალური სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვის. კორონავირუსის შედეგად, 65000-მდე ქულის მქონე ოჯახების მატერიალური მდგომარეობაც მნიშვნელოვნად გაუარესდა. ამასთან, ანტიკრიზისულ გეგმაში მათთვის შემწეობა არ არის გათვალისწინებული.

პარადოქსია ის, რომ სამთავრობო გეგმაში არაფერია ნათქვამი უსახლკართოა შესახებ. აგრეთვე ის ეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხოლოდ გარკვეულ კატეგორიებს (მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები) და მასში არაფერია ნათქვამი შშპ-ს სხვა ჯგუფებზე.

ანტიკრიზისული გეგმა არ ითვალისწინებს იმ ოჯახების მხარდაჭერას, რომლებიც დამოკიდებულნი იყვნენ უცხოურ გადმორიცხვებზე, ხოლო პანდემიის პირობებში შემოსავლის გარეშე დარჩნენ.

გეგმაში არაფერი თქმულა არც მიკროსაფინანსო ორგანიზაციების დაზარალებული მოქალაქეების შესახებ, უცნობია, რა დოკუმენტაციით და პროცედურების გავლით შეძლებენ არაფორმალურ სექტორში დასაქმებულები ანტიკრიზისულ სოციალურ პროგრამებში მოხვედრას.

ანტიკრიზისული გეგმა დიდწილად დამოკიდებულია საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების, აშშ-ის, ევროკავშირის ფინანსურ დახმარებაზე. საზოგადოებას აქვს უფლება იცოდეს, თუ მობილიზებული თანხების რა ნაწილია დამატებითი საგარეო ვალი, რომელიც მომავალში საბიუჯეტო სახსრებით დაიფარება. საქართველოს მთავრობამ უნდა განმარტოს, როგორ გადანაწილდება ის დამატებითი ფისკალური ტვირთი, რომელიც ანტიკრიზისული გეგმის დასაფინანსებლად შეიქმნა.

ანტიკრიზისული გეგმა ძირითადად ეხება კრიზისულ და არ მოიცავს პოსტკრიზისულ პერიოდს, ამიტომ, უმნიშვნელოვანეს ამოცანად რჩება საქართველოს პოსტკრიზისული ეკონომიკის განვითარების მოდელის შემუშავებისა და მისი გეგმაზომიერი რეალიზაციის საკითხი.

ლიტერატურა:

- COVID-19-ის ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკაზე. ეკონომიკური მიმოხილვა და ინდიკატორები. PMSJ research გამოცემა 116. 24.04.2016
- Sifan Liu., Jozeph R. (2020) What the great Recession can tell us the COVID-19 small business crisis. <https://www.brookings.edu/topic/economic-development/>.
- **Кузнец Д.(2020)** Коронавирус все более опасен для мировой экономики. <https://meduza.io/feature/2020/03/12/koronavirus>
- Carlsson-Szlezak P., Reeves M., Swartz P. (2020) What Coronavirus Could Mean for the Global Economy. <https://hbr.org/2020/03/what-coronavirus-could-mean-for-the-global-economy>
- Edwards J.(2020) After coronavirus: Where the world economy will stand. <https://www.lowyinstitute.org/the-interpreter/after-coronavirus-where-world-economy>
- Koronavirus update: COVID-19 likely to cost economy \$1 trillion during 2020, says UN trade agency. 9 March 2020. <https://news.un.org/en/story/2020/03/1059011>
- Karunakar R., Sarkar S. (2020) Global economy already in recession on coronavirus devastation: Reuters poll MARCH 20, 2020. <https://www.reuters.com/article/us-health-coronavirus-global-economy>
- T.Shengelia (2017). The role of state regulation of investment in the Georgia business development. International business in the world economic system
- T.Shengelia, Kh.Berishvili (2014). Evaluation of the global position of Georgia and its role in the development of business. Georgian International Journal of Science, Technology and Medicine 6 (1), 57
- T.Shengelia, Y. Kozak (2020). FDI motivation effects on Host countries. World economy and international economic relations 3, 15-20
- Feuer W (2020). Coronavirus: The hit to the global economy will be worse than SARS. <https://www.cnn.com/2020/02/06/coronavirus-the-hit-to-the-global-economy-will-be-worse-than-sars.html>
- მსოფლიო ბანკის პროგნოზით COVID-19-ის გამო საქართველოში ეკონომიკური ზრდა მკვეთრად შენელებულია <https://imednews.ge/ge/covid19/135919/msopliobankis-prognozit-covid19is-gamo-saqartveloshi-ekonomikuri-zrda>

სახელმწიფოს ფუნქციის ტრანსფორმაცია პოსტპანდემიურ პერიოდში

იოსებ არჩვაძე

პროფესორი

ქუთაისის უნივერსიტეტი

josepharchvadze@yahoo.com

2020 წელი ისტორიაში შევა როგორც კორონავირუსის პანდემიის წელი, როდესაც სამედიცინო და ჯანდაცვის სფეროს ფაქტორმა გლობალური ეკონომიკა საგრძნობლად დაამუხრუჭა. მისი შედეგები, ხანგრძლივობა და გავლენა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკაზე ჯერ კიდევ ბოლომდე არაა შეფასებული, თუმცა, უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ მან მრავალ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემასთან ერთად, წარმოაჩინა, ერთი მხრივ, ბაზრის ყოვლისშემძლეობაზე ლიბერტანული შეხედულების სრული აბსურდულობა, და მეორე მხრივ, ამის საპირისპიროდ - სახელმწიფოს ეკონომიკური როლის მასტაბილურებული და მარგანიზებული ფუნქციის მზარდი მნიშვნელობა.

რასაც ახლა აქვს ადგილი სახელმწიფოს როლსა და ფუნქციებთან მიმართებით, შეიძლება ხატოვნად „მეფე დიხის შემობხუნებაც“ კი ვუწოდოთ, რომელიც თანდათან იბრუნებს თავის დროზე ბაზრისათვის „ნებაყოფლობით“ გადაბარებულ ფუნქციებს.

სახელმწიფოს მზარდი როლი ეკონომიკაში გუშინ არ დაწყებულა - ამგვარ ევოლუციას საკმაოდ დიდი და საინტერესო ისტორია აქვს, განსაკუთრებით ბოლო 100-150 წლის მანძილზე. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში სახელმწიფო ხარჯების წილი მთლიან შიგა პროდუქტში გაიზარდა 1870 წლის 9%-დან 1920 წლის 14%-მდე და 2019 წლის 49%-მდე (საფრანგეთში - 56%-მდე, აშშ-ში - 32%-მდე, საქართველოში - 26%-მდე). თვით ის აქტიურობა, რომელსაც მიმართეს სახელმწიფოებმა 2008-2009 წლების მსოფლიო ფინანსური კრიზისის დასაძლევად, მაგ. ენ. პოლსონის გეგმა აშშ-ში, რომლითაც ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ საბანკო სექტორს 700-მილიარდიანი დახმარება აღმოუჩინა (მექვაბიშვილი ე. 2018), უკვე ქმნიდა პრეცედენტს საბაზრო ურთიერთობებში სახელმწიფოს, როგორც უმსხვილესი მოთამაშისა და „მომრიგებლის“ შესახებ.

COVID-19-თან დაკავშირებულმა კრიზისმა, ზოგად ეკონომიკურ პრობლემებთან (ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების, საგარეო ვაჭრობის მასშტაბების მკვეთრი შემცირება, უმუშევრობის ზრდა და ა.შ.) ერთად, გლობალური მასშტაბით, აგრეთვე წარმოაჩინა მოთხოვნა-მიწოდების პარადიგმის არაეფექტიანობა ჯანდაცვის და კერძო ჰოსპიტალურ ქსელებში, რომლებიც აბსოლუტურად მოუმზადებელი აღმოჩნდნენ

გლობალურ პანდემიასთან პირისპირ. **ჯანდაცვა, როგორც საბაზრო პროდუქტი, ფაქტობრივად ჩავარდა.** - მიუხედავად ეკონომიკური განვითარების დონისა და რომ განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნები თავიანთი ეროვნული პროდუქტის მნიშვნელოვან ნაწილს ჯანდაცვაზე მიმართავდნენ, მსოფლიომ, ფაქტობრივად, ვერ მოახერხა აღნიშნული გამოწვევებისადმი ადეკვატური რეაგირება. პანდემიის პირობებში ამ გარემოებამ უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა **ბაზრის ყოვლისშემძლეობის შესახებ ნეოლიბერალური შეხედულების საფუძვლიან გადაფასებაში, ფაქტობრივად კი - დასამარებაში.**

2020 წლის ეკონომიკური ვარდნის გლობალური მასშტაბები სავალუტო ფონდმა დაახლოებით 4%-ის ფარგლებში შეაფასა, მაგრამ ცალკეულ ქვეყნებში ის გაცილებით მასშტაბურია, რის გამოც მასთან გამკლავება შეუძლებელია კორპორაციების დონეზე - ეს მხოლოდ ყველა სახის რესურსის ერთიანი მიზნობრივი გამოყენებისა და მოქალაქეთა ქცევის ერთიანი წესის განმსაზღვრელ ინსტიტუციას - **სახელმწიფოს** ძალუძს.

კორონაკრიზისმა და მასთან დაკავშირებულმა პროცესებმა დაგვაჩინა, რომ:

ჯერ ერთი, სახელმწიფო ინსტიტუტები უნდა იყვნენ ძლიერნი, ადეკვატურნი და ეფექტიანი თავიანთ ქმედებებში; მათ უნდა ჰქონდეთ მოვლენათა რამდენიმე სცენარით განვითარებაზე ადეკვატური გეგმა და რაც შეიძლება სწრაფი რეაგირების რესურსი; მეორე, სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს საკმარისი რეზერვები - როგორც მედიკამენტების, ისე პირველადი მოხმარების საგნებისა და სურსათის, თანაც როგორც საგანგებო, ისე ნორმალური მდგომარეობისათვის და ამაზე არსებითად უნდა გაუმჯობესდეს აღნიშნული რეზერვების ფორმირებისა და გამოყენების მონიტორინგი. ამასთან, **სრულებითაც არ არის აუცილებელი ამ რეზერვების სახელმწიფოს ბალანსზე ყოფნა** - საკმარისია სახელმწიფო პოლიტიკა ასტიმულირებდეს აღნიშნული რესურსების შიდა ბაზრისთვის მიწოდებით დაკავებულ კომპანიებს, შექმნან რეზერვების რაციონალური მარაგი ბაზრის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის; და მესამე, სახელმწიფოს ინსტიტუციური პასუხისმგებლობა უნდა ეფუძნებოდეს შესაბამის ინსტიტუციურ-ორგანიზაციულ სტრუქტურას, რომელიც არამარტო განახორციელებს ზემოხსენებულ მონიტორინგს, არამედ თავად იქნება პროცესების პრევენციის, ფორს-მაჟორულ ვითარებაში კი მათი მართვისა და კრიზისის დაძლევის ორგანო.

აღნიშნულმა ვითარებამ არსებითად გაზარდა სახელმწიფოთა როლი და მნიშვნელობა და ფაქტობრივად, მათი „რენესანსი“ გამოიწვია. სახელმწიფო საბოლოოდ ჩამოყალიბდა „ბოლო იმედის კხედიგოხად“, რადგანაც მხოლოდ მას შესწევს უნარ, წინ აღუდგეს კრიზისს ყველა ასპექტით - სამედიცინო, ეკონომიკური, სოციალური, ხელი შეუშალოს ეკონომიკის უკონტროლო და მასშტაბურ ვარდნას, რეცესიის დეპრესიაში გადაზრდას.

ამავე დროს, კრიზისმა შექმნა პირობები იმისათვის, რომ **სახელმწიფოს** სრულად წარმოეჩინა თავისი როლი ეკონომიკაში და ამის სადემონსტრაციოდ მას დასჭირდა თავისი ლეგიტიმური ადმინისტრაციული ფუნქციების დემონსტრირება. პანდემიის პირობებში აბსოლუტურად ყველა ქვეყანაში ის უყოყმანოდ წავიდა ბიზნესის, საქონლისა და ადამიანების გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვაზე, ანუ ეკონომიკის მიზანმიმართულ შემცირებაზე; ხისტად დაუკავშირა ეკონომიკის გამოცოცხლების პროცესი პანდემიის ეპიდემიოლოგიური პიკისა თუ „პლატოს“ გადავლას.

ამის გარდა, ბიზნესმა მიიღო არაორაზროვანი შეტყობინება, რომ მისი განვითარების მდგრადობა დიდწილად იქნება განპირობებული საქმიანობის თანხვედრაზე სახელმწიფოს სტრატეგიულ ინტერესებთან. მსჯელობაა სახელმწიფოს მხრიდან არა სრულ, საყოველთაო, ტოტალურ პატერნალიზმზე, რომელიც ფაქტობრივად, სახელმწიფო კაპიტალიზმს ნიშნავს, არამედ სახელმწიფოს უნარიან დირიჟიზმზე, ერთი მხრივ და მეორე მხრივ - ბაზრის მოთამაშეთა მიერ სახელმწიფო პოლიტიკის „პარტიტურისადმი“ ზედმინვენით მიდევნებაში. შესაბამისად, დღის წესრიგში დგება ეკონომიკის ე.წ. **ინდიკატორული დაგეგმვის რეანიმაციის** საკითხიც. მოკლედ, სახელმწიფომ კრიზისის პერიოდში არაორაზროვნად, ერთმნიშვნელოვნად და ცალსახად განაცხადა (კინოფილმ „მიმინოს“ ერთ-ერთ პერსონაჟს რომ დავესხებოთ), თუ „ვინაა ამ სასტუმროში უფროსი“.

რას უნდა ველოდოთ კორონავირუსის პანდემიის დამარცხების შემდეგ?

1. სახელმწიფო გაიმყარებს პოზიციებს ეკონომიკის მართვის, მაკროეკონომიკური რეგულირებისა და აქტიური სოციალური პოლიტიკის ეფექტიანობის ზრდის ხარჯზე, უარს არ იტყვის რა ამ მიზნის რეალიზაციისათვის ეროვნული პროდუქტის გადანაწილებაში უფრო აქტიური და მზარდი როლის შესრულებაზე;

2. სახელმწიფოს მოუწევს გადადგას ნაბიჯები მინიმალური გარანტირებული (საბაზისო) შემოსავლების ფორმირებისაკენ;

3. სახელმწიფო თავის თავზე აიღებს (მოუწევს აიღოს) იმ „მკვდარი სივრცის“ შევსებას, რომელიც ჩამოყალიბდა, ერთ მხრივ, ჯანდაცვის სფეროში საბაზრო კომპონენტების არსებობისა და, მეორე მხრივ, საზოგადოების სისტემური ერთიანი უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობას შორის;

4. დასრულებულ სახეს მიიღებს ერთიანი ინტერნეტ-ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ფორმირება და მისდამი წვდომის საყოველთაო უზრუნველყოფა, მიუხედავად კონკრეტული პირების ინდივიდუალური შემოსავლებისა და გეოგრაფიული მდებარეობისა.

სახელმწიფომ, ქვეყნის შიდა ეკონომიკური ფუნქციის ზრდის პარა-

ლელურად, მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია საგარეო ურთიერთობების სფეროშიც. კერძოდ, ეროვნული სახელმწიფოები თანდათან იბრუნებენ ადრე ზესახელმწიფო სტრუქტურებისათვის „ნებაყოფლობით“ გადაცემულ უფლებამოსილებებს.

მთლიანობაში, როგორც ეკონომიკურად, ისე ფუნქციონალურად, **ძლიერი სახელმწიფოს** აუცილებლობას თავად ცხოვრებისეული დიალექტიკა განაპირობებს: კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი, მოსახლეობის მასობრივი გაღატაკება შესაბამისი ეფექტიანი ანტიკრიზისული ნაბიჯების, „უსაფრთხოების ბალიშის“ გარეშე აუცილებლად გამოიწვევს სოციალურ პროტესტს, ტურბულენტურ პროცესებს საზოგადოებაში. მეორე მხრივ კი, ამგვარი პრობლემებისადმი გამკლავება (როგორც ეკონომიკური, ისე ადმინისტრაციული მეთოდებით), მხოლოდ სახელმწიფოს, კერძოდ, ძლიერ სახელმწიფოს ძალუძს.

ამ პოზიტიური ტენდენციების პარალელურად აუცილებელია დავინახოთ გარკვეული **საფრთხეებიც, რაც სახელმწიფოს სტატუსისა და ფუნქციების გაძლიერებას შეიძლება მოჰყვეს**. კორონავირუსის პანდემიამ საზოგადოება არჩევანის წინაშე დააყენა: სასწორის ერთ პინაზე დაიდო მოქალაქეთა უფლებები, საზოგადოების წევრთა თავისუფლება, მეორეზე კი - ოჯახებისა და პიროვნების პირად ცხოვრებაში, საქმიანობასა და ყოფაში სახელმწიფოსა და მისი სტრუქტურების არასანქცირებული უცერემონიო შეჭრის, „შეჭყეტვის“, თვალთვალის ტოტალიტარული კონტროლი, რაც მას (სახელმწიფოს) ადამიანთა განწყობისა და ქმედებების მანიპულაციის ფართო შესაძლებლობებს აძლევს.

სახელმწიფოები აქამდეც, თითქოს, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ თვალთვალის სხვადასხვა მექანიზმის განვითარებაში, მოსახლეობის ერთსა და იმავე რაოდენობაზე სათვალთვალო კამერებით. თუმცა, კორონავირუსის პანდემიამ ყოველი ქვეყნის ხელისუფლებას ხელ-ფეხი გაუხსნა და ჯანმრთელობაზე ზრუნვის დეკლარირების ფონზე, ადამიანთა პირად ცხოვრებაში შეჭრისა და მათზე თვალთვალის განსახორციელებლად, სრული კარტ-ბლანშის აღება მოინდომა. კორონავირუსით შექმნილი სიტუაცია, ზოგადად ხელისუფლებას საშუალებას აძლევს „საბრძოლო“ ვითარებაში გამოსცადოს მოქალაქეებზე თვალთვალის სხვადასხვა ტექნოლოგიის ეფექტიანობა. მაგრამ შეხვდება კი კორონავირუსთან ბრძოლის ფორმატით განხორციელებულ საკუთარი თავისუფლების დიდი ნაწილის ხელყოფას მოქალაქეთა უმრავლესობა? ხუთგზის ოსკაროსანი ცნობილი ჰოლივუდური ფილმის სახელწოდებას რომ დავესხეთ (კრავთა *ღუმედი*) აშკარაა, რომ კაცობრიობას, ფაქტობრივად, უბიძგებენ ცუგცვანგისაკენ: დათანხმდეს საბაზო უფლებებისა და გადაადგილების, შეკრებების, სამეწარმეო საქმიანობისა და ა.შ. თავისუფლების შეზღუდვას, ან მათი შენარჩუნებისათვის შეელიოს საკუთარი პერსონალური მონაცემების ანონიმურობას.

პრობლემას არა აქვს ჰიპოთეტური კონტექსტი, - კერძოდ, ჯერჯერობით არ არის ცნობილი ის მექანიზმები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება იმ საფრთხის არიდება, რაც უკავშირდება ახალ ეპიდემიებთან ბრძოლის საბაბით ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენებას ადამიანთა კონტროლის გაძლიერებისათვის - გაციფრებული საშვები, საკუთარი სახლიდან მხოლოდ შეზღუდულ მანძილზე გადაადგილების უფლება, რაც შეიძლება მოსახლეობის ტოტალური შინაპატიმრობის რბილ ფორმადაც კი იქცეს. სოციალური დისტანცირება, რომელიც ამჟამად განიხილება როგორც *ღხოებითი პხოფიდაქციკუხი ღონისძიება*, შეიძლება საზოგადოების ატომიზაციის, უთანაბრობის ზრდის, ადამიანების საკუთარი ცხოვრებისეული პრობლემების ნაჭუჭში დატოვების წინაპირობად იქცეს. სახელმწიფოს მიერ მოქალაქეთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე - ტემპერატურაზე, წნევაზე, გადაადგილებაზე და უსაფრთხოებაზე, ვირუსების არგავრცელების ზრუნვის „უნყინარ“, „ჰუმანურ“ საფარველში გახვეული პერმანენტული მონიტორინგი - ტოტალური თვალთვალის, მოქალაქეთა განწყობისა და პოლიტიკური სიმპათიების დადგენის და, საბოლოო ანგარიშით, არამართო რიგითი მოქალაქის უფლებების დიპაზონისა და შესაძლებლობების რეიტინგის დასადგენად, არამედ მათზე ზეწოლისა და შანტაჟის იარაღად ჩამოყალიბდეს. ამიტომ, აბსოლუტურად არარიტორიკულ ჟღერადობას იძენს კითხვა: ხომ არ გადაიქცევა **დიდი მთავრობა**, ორუელს რომ დავესესხოთ – „**დიდ ძმად**“? სახელმწიფოს როლისა და შესაბამისი სამთავრობო ხარჯების ზრდა ხომ არ „მოაშანდაკებს“ გზას **დიდი ძმის** რეინკარნაციისა და ლეგიტიმაციისათვის?!

სამწუხაროდ, აღნიშნულ კითხვას არა აქვს მხოლოდ რიტორიკული დატვირთვა...

ნებისმიერ შემთხვევაში, ის, რასაც შეუქცევადი ხასიათი ექნება, რაც ერთმნიშვნელოვნად და ცალსახად მოსალოდნელია, არის **სახელმწიფოს როლის ზრდა**, რაც გამოვლინდება ეროვნული პრდუქტის მზარდ გადანაწილებაში, საჯარო სექტორის ზრდაში, სახელმწიფოსა და ბიზნესის მეტ კოოპერირებასა და კოორდინაციაში, ეკონომიკური თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლებასა და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ინსტიტუტებისათვის წლების წინ „ნებაყოფლობით“ გადაცემული ფუნქციების მნიშვნელოვანი ნაწილის დაბრუნებაში, ეროვნული სახელმწიფოსათვის ფორმალური და რეალური სუვერენიტეტის განმტკიცებაში.

ლიტერატურა:

- პაპავა ვ., ჭარაია ვ. (2020). *კოხონომიკუხი კხიზისი და საქახთვეღოს ეკონომიკის ზოგიეხთი გამოწვევა*. GFSIS, ექსპერტის აზრი, No. 136, <<https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/136-expert-opinion-geo.pdf>>

- მექვაბიშვილი ე. (2018). გლობალიზაციის ეპოქის ფინანსური კრიზისები და საქართველოს ეკონომიკა.
- <http://www.interpressnews.ge/ka/article/598160-soso-archvadze-dgevandeli-ekonomikuri-krizisi-seriozuli-shansia-ekonomikis-gadapormatebisa-da-axali-ekonomikuri-landshaptis-pormirebisatvis/>

კორონომიკა – საფრთხე თუ შესაძლებლობა?!

ვახტანგ ჭარაია

პროფესორი

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი
vakhochaia@gmail.com

მოდით ცოტა შორიდან დავინყოთ. კარზე ჯერ კიდევ 2019 წლის 22 ივნისია და რუსეთის მთავრობა აცხადებს, რომ რამდენიმე კვირაში საქართველოსთან ავიამიმოსვლას შეწყვეტს... მომენტალურად საქართველოში იწყება პოლიტიკური სპეკულაციები, დიდიც და პატარაც განიხილავს, თუ რამდენად ამაყად ან სინანულით უნდა მივიღოთ აღნიშნული ინფორმაცია, რამდენად მიუღებელია ოკუპანტი ქვეყნის ტურისტებზე დამოკიდებულება ან / და რამდენი ათასი ადგილობრივი დასაქმებული შეიძლება დარჩეს შემოსავლის გარეშე...

გადის დრო და ხანი და უკვე 2020 წლის იანვარია, მთელს მსოფლიოს ჩინეთიდან მოდის საგანგაშო ინფორმაცია, რომ ე.წ. ახალი კორონავირუსი - კოვიდ 19 არის აღმოჩენილი, რომელიც ადამიანების სიცოცხლისთვის რისკის შემცველია. იწყება შესაბამისი კონტრნაბიჯების მზადება, თუმცა, დანარჩენი მსოფლიო ჯერ კიდევ მშვიდად ადევენებს თვალს ჩინეთში (იქ, სადაც შორს) მიმდინარე მოვლენებს. გამონაკლისი არც საქართველოა, თუმცა გარკვეული საგანგაშო სიგნალების შემდგომ ხელისუფლება იღებს გადაწყვეტილებას ჩაკეტოს ავია მიმოსვლა ჩინეთთან ორი თვის ვადით. ისევ იწყება ზარალის დათვლა და უკვე ახალი ალტერნატივების ძიება...

გადის კიდევ რამდენიმე კვირა და რისკი სულ უფრო მასშტაბურ ხასიათს იძენს. მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას აკრძალოს საჰაერო და სახმელეთო მიმოსვლა ვირუსდაფიქსირებულ და მაღალი რისკის მატარებელ ირანთან, იტალიასთან, კორეასა და სხვა ქვეყნებთან. გადის კიდევ რამდენიმე დღე – ვირუსი უკვე ჩვენს სამეზობლოშია... რამდენიმე დღეში კი საქართველოს მთავრობა საგანგებო ჩართვით გვატყობინებს, რომ კორონავირუსმა ამჯერად ქვეყნის შიგნითაც შემოაღწია. რაც საბოლოო ანგარიშით, ქვეყნის საზღვრების ჩაკეტვით, საგანგებო მდგომარეობის და კომენდანტის საათის გამოცხადებით, ბიზნესის მიზანმიმართული გაჩე-

რებით და მთელი რიგი სხვა სირთულეებით ხასიათდება, მარტივად რომ ვთქვათ, ქვეყნის და მთელი მსოფლიოს პარალიზებით გრძელდება...

ზემოთ მოყვანილი 3 შემთხვევა, სრულიად განსხვავებულია თავისი მასშტაბებით, თუმცა ნიშნანდობლივია, რომ ხშირად ვერ ვაანალიზებთ რეალურ, მასშტაბურ საფრთხეს და მხოლოდ წვრილმან გამოწვევებზე კონცენტრაციით შემოვიფარგლებით. ამასთან ერთად, ფაქტია ისიც, რომ ყველა მსგავს სიტუაციაში ჩვენ ვინყებთ ახალ რეალობასთან შეგუებას, ახალი საფრთხეების შეფასებას და ახალი შესაძლებლობების ძიებას – იქნება ეს ოკუპანტ რუსეთთან ჩაკეტილი ავიამიმოსვლა, ჩვენ პარტნიორ ჩინეთთან ეკონომიკური აქტიურობის შენელება, თუ მსოფლიოს დაპაუზება. მიუხედავად ყველაფრისა, ქვეყანას არ აქვს მოვლენების განვითარებაზე გულხელდაკრეფილ მდგომარეობაში თვალყურის დევნების უფლება. აქედან გამომდინარე, პარადიგმების გადაფასება, ახალი თამაშის წესებში დროული გარკვევა და ახალ რეალობაზე მორგება არის ის, რასაც თავმოყვარე და წარმატების მოსურნე ქვეყანა უნდა აკეთებდეს. ამ გზას ადგას საქართველოც.

თუმცა, სანამ ახალი შესაძლებლობების განხილვას დავიწყებთ, მნიშვნელოვანია ზუსტად შევაფასოთ, თუ სად ვართ, რა დანაკარგები გვაქვს და განვითარების რა ტრაექტორიით მოძრაობაზე შეიძლება ვიფიქროთ ისე, რომ არც ფუჭი მოლოდინები არ გავიჩინოთ და არც ჩვენი შესაძლებლობების დაუფასებლობა გამოგვივიდეს. სამწუხაროდ, ამ მხრივ უნდა ითქვას, რომ სიტუაცია არც თუ ისე სახარბიელოა. კორონომიკურმა კრიზისმა, საქართველოსაც და მთელ მსოფლიოსაც აქამდე არნახული მასშტაბის ზიანი მიაყენა და რაც კიდევ უფრო მეტად საგანგაშოა, დღესაც უცნობია, თუ რამდენ ხანს გასტანს ვირუსული აჟიოტაჟი და მასთან დაკავშირებული მსოფლიო შეზღუდვები. არანაკლებ მნიშვნელოვანია მსოფლიო წესრიგის შეცვლის ტენდენციებიც, რომელიც ამ ეტაპზევე ჩანს, რომ განსხვავებული იქნება დღევანდელისაგან, თუმცა ზუსტად რა სახეს მიიღებს ის, ჯერ ისევ უცნობია.

არ არსებობს განვითარება კომპრომისის გარეშე და არ არსებობს გამარჯვება დანაკარგის გარეშე. საბედნიეროდ, საქართველომ შესაშური პასუხი გასცა გლობალურ პანდემიას და ამისთვის შესაბამისი საზღაურიც იქნა გაღებული. მათ შორის არის: ასეულობით ათასი ე.წ. დაპაუზებული სამუშაო ადგილი, მიუღებელი შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტში, გაუსტუმრებელი საბანკო ვალდებულებები და მრავალი სხვა გამოწვევა, რაც, ერთი მხრივ, შესაძლოა გადაულახავი პრობლემა გამხდარიყო, რომ არა - სანდო ქვეყნის რეპუტაციის ბაზაზე საერთაშორისო პარტნიორების დროული მხარდაჭერა, როგორც ფინანსური (მილიარდობით აშშ დოლარის მოცულობით), ასევე არაფინანსური.

უნდა აღინიშნოს საერთაშორისო დახმარების მნიშვნელოვანი როლი, ვინაიდან, გადაჭარბების გარეშე, ქვეყანა შესაძლოა აღმოჩენილი-

ყო გაცილებით ღრმა და უკიდურესად მძიმე ფინანსურ გასაჭირში, ვიდრე მრავალს ეს წარმოუდგენია. საერთაშორისო ფინანსური მხარდაჭერის გარეშე, არათუ მოსახლეობის კომუნალური ხარჯების დაფარვა, უმუშევართათვის სოციალური შემწეობის დანიშვნა ან/და ბიზნესისთვის გადასახადების გადავადება/გაუქმება იქნებოდა შეუძლებელი (ჯამური ღირებულებით 3.5 მლრდ ლარი), არამედ მოსალოდნელი იქნებოდა: ხელფასების (პოლიციელების, ექიმების, პედაგოგების და ა.შ.), ასევე პენსიების, სოციალურად დაუცველების შემწეობებისა და საყოველთაო ჯანდაცვის დაფინანსების მნიშვნელოვანი შემცირებაც კი. გასათვალისწინებელია, რომ აგრეთვე მრავალი სხვა არაპოპულარული ნაბიჯის გადადგმა გახდებოდა საჭირო. რატომ? ცნობისთვის:

- სრულად გაჩერდა ტურისტული სექტორი, რომელიც მთლიანი სამამულო პროდუქტის (მსპ) დაახლოებით 12 %-ს ქმნიდა და პირდაპირ თუ ირიბად 500 ათასამდე ადამიანს ასაქმებდა ისეთ სექტორებში, როგორცაა: დასვენების და გართობის ინდუსტრია, ავიასაწარმოები, ადგილობრივი ტრანსპორტი და სხვა; 2020 წელს ტურისტული ნაკადების დაახლოებით 2/3-ით შემცირებაა მოსალოდნელი;

- პრაქტიკულად გაჩერდა ფულადი გზავნილების მიღება, რომელიც წინა წლებში \$1.5 მლრდ-საც კი აღწევდა და შემოსავლის ერთადერთ თუ არა, მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა რამდენიმე ასეული ათასი ოჯახისთვის საქართველოში;

- პარალიზებული აღმოჩნდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმართულებაც, რომელიც ქვეყანაში ასაქმებს დაახლოებით ყოველ მეხუთე თანამშრომელს, ქმნის ექსპორტის ნახევარზე მეტს, დამატებული ღირებულების 1/3-ს, შემოაქვს ქვეყანაში ახალი ტექნოლოგიები და ა.შ. უცხოურთან ერთად, გაჩერდა ადგილობრივი საინვესტიციო აქტიურობაც;

- შეიძლება ითქვას, რომ ოპტიმისტური შეფასებებით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი, მხოლოდ, 2020 წლის განმავლობაში, პანდემიის შედეგად 3 მლრდ ლარზე მეტს დაკარგავს მიუღებელი შემოსავლის სახით, ხოლო ეკონომიკური ზრდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით დაგეგმილი +4.5%-ის ნაცვლად -4 %-ში გადაინაცვლებს. ხაზგასასმელია ისიც, რომ ეს ყოველივე - პოზიტიური სცენარის შემთხვევაში. თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ ეს პროგნოზი შეუძლებელია იყოს ზუსტი, რადგანაც მსოფლიოსთვის კრიზისის მთავარი გამომწვევი მიზეზის დასრულების ზუსტი დრო ჯერაც უცნობია, შესაბამისად უცნობია მისი გართულებით ან შემსუბუქებით მოსალოდნელი შედეგებიც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ახლა ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია არა უკან ყურება და დანაკარგების თვლა, არამედ იმაზე ფიქრი, თუ რისი გაკეთებაა შესაძლებელი სამომავლოდ, რომ არსებული მსოფლიო კრიზისი საქართველომ არც მეტი, არც ნაკლები - ახალ შესაძლებლობად

აქციოს. სასიამოვნოდ ჟღერს, თუმცა რთულად შესასრულებელი იქნება - ქართული ეკონომიკის სრული ტრანსფორმაცია, რაშიც იგულისხმება არამხოლოდ პრიორიტეტების ცვლილების ფონზე, ერთი დარგის განზე განწევით მეორე დარგის წინ წამოწევა, არამედ რეალური სრულფასოვანი გარდაქმნა. აქვე იბადება აზრი იმის თაობაზე რომ, თუ ტრანსფორმაცია რთულია, მტკივნეული და თანაც დიდ რისკებთანაცა დაკავშირებული, ხომ არ გვეცადა ეკონომიკის ეტაპობრივი „გადატვირთვა“? შემოგთავაზებთ რამდენიმე პერსპექტიულ მიმართულებას:

1. სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება

ცნობილია, რომ ნებისმიერი გეგმის განხორციელება, პირველ ეტაპზე, უშუალოდ ამ გეგმის შემუშავებით იწყება. შეუძლებელია ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანასა და მის აყვავებაზე ვმსჯელობდეთ, საშუალო და გრძელვადიანი ხედვის არარსებობის პირობებში, როგორც მინიმუმ 5 და 10 – წლიან ჭრილში. აღსანიშნავია, რომ ეს დოკუმენტი მნიშვნელოვანია არამხოლოდ იმიტომ, რომ მასში განსაზღვრული იქნება კონკრეტული მიზნები, მისაღები შედეგები და ამ ყველაფრის განსახორციელებელი გზები, არამედ, იმიტომაც, რომ ის ერთ მთლიანობაში ასახავს ქვეყნის მთლიან საფრთხეებსა და შესაძლებლობებს კონკრეტული - ერთიანი მიზნის მისაღწევად. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ გეგმის მიხედვით ერთი დარგის განვითარება არ უნდა უსწრებდეს ან არ უნდა ჩამორჩებოდეს მეორეს ისე, რომ პირველის განხორციელებას საფრთხე დაემუქროს.

2. კონკურენტუნარიანი ბაზრის ჩამოყალიბება

სამწუხაროდ, ათეული წლების განმავლობაში საქართველოში მრავალი ოლიგოპოლიური გაერთიანება ჩამოყალიბდა. შესაძლოა, ცალკეული კომპანიების გამსხვილება, განვითარების გარკვეულ ეტაპზე უფრო ლოგიკურ და მათ შორის, არაა გამორიცხული - გადარჩენის ერთად-ერთ გზას წარმოადგენდა, რომელმაც შეიძლება დარგის განვითარებას / სიმყარესაც კი შეუწყო ხელი. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უკვე დადგა ის მომენტი, როდესაც მსგავსი გაერთიანებები სიკეთის ნაცვლად ზიანს აყენებენ როგორც კონკრეტულ დარგს, ასევე მთლიანად ეკონომიკასაც, საბოლოო ანგარიშით კი, ქვეყნის თითოეულ მაცხოვრებელს. ასეთ დარგებში შეგვიძლია მოვიაზროთ როგორც ნავთობიმპორტიორები და საბანკო სექტორი, ასევე ინტერნეტპროვაიდერები და ფარმაცევტული კომპანიები, ფაქტობრივად, ყველა მსხვილი ბიზნესი, რომელიც ქვეყანაში ფუნქციონირებს და თითოეული მოქალაქის ყოველდღიურობის ნაწილს წარმოადგენს.

3. ეროვნული წარმოების ნახალისება

რაც არ უნდა პრიმიტიულად ჟღერდეს, დამოუკიდებლობის 3 ათწლეულის თავზე საქართველო კვლავაც იმპორტდამოკიდებული ქვეყანაა, სადაც არათუ მაღალტექნოლოგიური, პრიმიტიული წარმოების ნაირსახეობებიც კი არ არის ადეკვატურად განვითარებული (ერთეული გამოწვლილების გარდა). ამისი ნათელი მაგალითია სასურსათო უსაფრთხოების ქრილშიც კი იმპორტდამოკიდებულება. კერძოდ, 2019 წელს საქართველოში იმპორტირებული იყო რძე და რძის პროდუქტები - 200 მლნ ლარის; კიტრი, პომიდორი და სხვა ბოსტნეული - 100 მლნ ლარის; სხვადასხვა ხილი - 180 მლნ ლარის; მაკარონი - 40 მლნ ლარის; თევზი გაყინული - 70 მლნ ლარის; ქათმის ხორცი - 200 მლნ ლარის; კონსერვები - 100 მლნ ლარდზე მეტის და ა.შ. ფაქტია, რომ ათწლეულების განმავლობაში „შემუშავებული“ ეროვნული წარმოების ნახალისების მექანიზმები ფუჭად თუ არაა გაფლანგული, საბოლოო მიზნამდე ჯერ ისევ დიდი გზა აქვს გასავლელი. გამოსავალი კი პროცესში დარგის პროფესიონალების ჩართულობაშია და არა – „მენეჯერების“ - „ინოვაციურ გადაწყვეტილებებში“.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველო ჯერ ისევ აუთვისებული შესაძლებლობების ქვეყანაა, რომელსაც ყოველი ახალი გამონჭვეა დიდ დარტყმასთან ერთად, ყოველ ჯერზე ახალ შესაძლებლობებსაც სთავაზობს. ასე იყო და ასე იქნება კორონომიკური კრიზისის შემდგომაც. მთავარია, თითოეული მსგავსი სიტუაცია სწორი შინაარსით იყოს აღქმული, შემუშავდეს შესაბამისი სამოქმედო გეგმა და მივყვეთ ქვეყნის გრძელვადიანი განვითარების მონახაზს.

კორონომიკა - ეკონომიკური პოლიტიკის ხელახალი გააზრების აუცილებლობა*

გიორგი ბენაშვილი

ექსპერტი

ივ.ჭავჭავაძის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

giorgi.benashvili@tsu.ge

COVID-19, ანუ ახალი კორონავირუსი, რომელმაც მისი გავრცელებიდან სამი თვის შემდეგ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში 200 000-ზე მეტი ადამიანი იმსხვერპლა, გახდა გეოეკონომიკასა და გეოპოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხების ახლებური გააზრების საფუძველი.

* კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული პროექტის [PHDF-18-1930] ფარგლებში.

იმ პირობებში, რომ ვირუსის ფართო გავრცელებისა და მსხვერპლთა რაოდენობის ზრდის ფონზე, პანდემიის საწყის თვეებში ჯერ კიდევ არ არსებობს ვირუსის საინააღმდეგო ვაქცინა ან მკურნალობის დადასტურებული კლინიკური მეთოდები, სოციალური დისტანცირება ვირუსთან ბრძოლის ყველაზე გავრცელებულ და რეკომენდებულ საშუალებად რჩება. ეს უკანასკნელი კი, მნიშვნელოვანი გამოწვევაა თანამედროვე ეკონომიკისთვის.

კორონომიკური კრიზისი, პირველ რიგში, იმ განვითარებადი ქვეყნების დღის წესრიგში ჩნდება, სადაც ეკონომიკა რეალური სექტორის ნაკლებობას განიცდის, საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სალდოს დაბალანსება კი საერთაშორისო ვიზიტორების მოზიდვით, ემიგრანტთა ფულადი გზავნილებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ჩადებით ხდება. ამ მხრივ, განსაკუთრებით თვალსაჩინოა საქართველოს მაგალითი.

კორონომიკური კრიზისი გამოწვევათა ფართო სპექტრს ქმნის, რომელიც ეკონომიკაში „ცეცხლის ჩაქრობის“ შემდეგ, დღის წესრიგში ეკონომიკური პოლიტიკის და ზოგადად გეოეკონომიკის ახლებურად გააზრების საკითხს აყენებს.

პოსტპანდემიურ პერიოდში, აღნიშნული მოვლენები სიღრმისეულ კვლევას და შესწავლას საჭიროებს. ნაშრომის მთავარი მიზანი ლოკალური და საერთაშორისო ეკონომიკის ზოგიერთი საკითხის გაანალიზების მცდელობაა, რომელიც არსებული ემპირიულ მონაცემების საფუძველზე იქნება წარმოდგენილი.

შესავალი

მსოფლიო განვითარების ისტორიისთვის, ეკონომიკური და ფინანსური სისტემების ჩამოყალიბებასთან ერთად, სისტემური კატაკლიზმები არახალია. სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ქვეყანაში კრიზისები ყოველთვის იქმნებოდა. თუმცა, გლობალიზაციისა და ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ზრდასთან ერთად, თანამედროვე კრიზისები, საკუთარი მასშტაბიდან გამომდინარე, უფრო დიდ ეფექტს იძენს.

თითოეული კრიზისი ეკონომიკურ აგენტებს, მიუხედავად მათი ზომისა, რეალობის ახლებურად გააზრებისკენ უბიძგებს. ამ დროს სახელმწიფოს, როგორც ყველაზე მსხვილი ეკონომიკური აგენტი სროლი იზრდება, რომელიც „უხილავი ხელის“ ხილულად გადაქცევის მცდელობით, ახალი ქცევის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. მოგვიანებით კი ეს ქცევა უკვე ეკონომიკურ პოლიტიკად იქცევა, რომელსაც ეკონომიკის სხვა ელემენტებიც მოცემულობად იღებენ. ასე იყო XIX საუკუნის 30-იან წლებში, როდესაც დიდი დეპრესიის შემდგომ პერიოდში პრეზიდენტმა რუზველტმა მანამდე არსებული laissez faire (ჩაურევლობის) პოლიტიკა უარყო და ამერიკას პოსტკრიზისულ პერიოდში new deal (ახალი კურსი) შესთავაზა, რასაც მოგვიანებით ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის ზრდის ახალი ეკონომიკური

დოქტრინების ჩამოყალიბება მოჰყვა, რომლებიც ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის ზრდას ემხრობოდნენ. იმდროინდელ კაპიტალისტურ ამერიკაში ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ შეხედულებების ამგვარი ტრანსფორმაცია მნიშვნელოვან თეორიულ გადატრიალებას წარმოადგენდა.

დიდი დეპრესიის შემდეგ მომხდარმა ყველაზე მსხვილმა ფინანსურმა კრიზისმა კი, რომელიც 2008 წელს კვლავ აშშ-ში ჩამოყალიბდა და მალევე გლობალური მასშტაბის რეცესია და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია, იმ დროისთვის არსებული ფინანსური სისტემა სრულიად ახალი გამოწვევის წინაშე დააყენა. ასე მოხდა საქართველოშიც, სადაც ფინანსური კრიზისისა და რუსეთთან ომის შედეგად, მკვეთრად, 3,9%-ით შემცირდა მთლიანი სამამულო პროდუქტის (GDP) (პაპავა, სილაგაძე, 2019) მოცულობა. მაშინ ცენტრალურმა ბანკებმა დაიწყეს მაკროპრუდენციული პოლიტიკის განვითარება, რომელიც საზედამხედველო ფუნქციის გამკაცრებას და კრიზისებისადმი ფინანსური სისტემის მედეგობის გაძლიერებას ისახავდა მიზნად. ფინანსური და ეკონომიკური სტაბილიზაციის მიმართულებით მნიშვნელოვნად ამაღლდა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუციების როლი.

ბოლო ასწლეულში გამოვლილი მსოფლიოს ორი უმსხვილესი და კიდევ არაერთი შედარებით მცირე მასშტაბის რეგიონული და ლოკალური ეკონომიკური კრიზისის შემდეგ, ამგვარი მოვლენების შესახებ საკმაოდ ჭარბი ცოდნა და გამოცდილება დაგროვდა, რაც პირველ რიგში, ემპირიულ მონაცემებზე დაფუძნებულ სამეცნიერო კვლევებშია გადმოცემული. არსებული ცოდნა სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებს და ეკონომისტებს მომავალში შესაძლო კრიზისებისგან თავის არიდებისთვის და პოლიტიკის განსაზღვრისთვის უნდა გამოეყენებინათ. კორონომიკულ კრიზისს, რომლის აქტუალურობაც COVID-19 ვირუსის ეპიდემიის გავრცელებიდან მალევე დადგა დღის წესრიგში, საკუთარი ბუნებიდან გამომდინარე, განსხვავებული ანატომია ახასიათებს. წინა კრიზისებისგან, რომელთაც ნათლად ჩამოყალიბებული ფინანსურ-ეკონომიკური საფუძველი ჰქონდათ, მიმდინარე კრიზისი მნიშვნელოვნად განსხვავებულია. ამჯერად, კრიზისის მიზეზი არა ფინანსური, ეკონომიკური ან პოლიტიკური საფუძველია, არამედ მიზეზი მედიცინაში დევს. არსებული მდგომარეობა ეკონომიკას მედიცინის მძევლად აქცევს (პაპავა, 2020), რაც აქამდე არსებული მოვლენებისგან მკვეთრად განსხვავებული ფენომენია.

გასული ათწლეულისა და საუკუნის ეკონომიკური კრიზისებისგან განსხვავებით, კორონომიკური კრიზისი ეკონომიკის არაერთ სექტორს ეხება. ის დღის წესრიგში საერთაშორისო ვაჭრობის, ეკონომიკის სტრუქტურისა და წარმოების ჯაჭვის შესახებ აქამდე არსებულ პოლიტიკას ხელახალი გააზრების აუცილებლობის წინაშე აყენებს. ეს კი სიღრმისეულ კვლევას საჭიროებს, რომლის მცდელობაც წინამდებარე სტატიაა.


სახელმწიფო ჯანდაცვის ეკონომიკა

მსოფლიო ეკონომიკისა და დედამიწაზე მოსახლეობის ზრდის პარალელურად, სამეცნიერო და პოლიტიკურ წრეებში ჯანდაცვის სახელმწიფო დაფინანსების შესახებ დისკუსიები დიდი აქტუალობით სარგებლობს. აქამდე განსხვავებული მოსაზრებები სახელმწიფო ჯანდაცვის სექტორის შესახებ, სხვადასხვა ქვეყანაში, შიგა პოლიტიკური პოზიციონირების ერთ-ერთი მთავარი საფუძველი იყო. თუკი, კორონა ვირუსის პანდემიის დაწყებამდე ჯანდაცვის დაფინანსებისას დისკურსი სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ჩამოყალიბების საფუძველს წარმოადგენდა, პოსტპანდემიურ პერიოდში ეს მიდგომა მნიშვნელოვნად შეიცვლება, რადგან კორონა კრიზისმა აჩვენა, რომ ჯანდაცვის სისტემის მედეგობა და მსხვილი წარმადობა არამხოლოდ სახელმწიფოს სოციალური პასუხისმგებლობის საკითხია, არამედ ის პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკას, სტაბილურობასა და უსაფრთხოებას.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, ქვეყნების მიერ ჯანდაცვის სისტემის დაფინანსებაში დახარჯული თანხები არაპროპორციულია. (იხ. დიაგრამა 1) სხვაობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა განვითარებადი ქვეყნების შემთხვევაში. მსოფლიო ბანკის მონაცემებით განვითარებადი ქვეყნები ჯანდაცვაზე საშუალოდ GDP-ის მხოლოდ 4,3%-ს ხარჯავენ, (World Bank, 2019) რაც 2-ჯერ ნაკლებია მსოფლიოს საერთო საშუალო მაჩვენებელზე. ამგვარი დისბალანსი მრავალი ქვეყნის ჯანდაცვის სისტემასა და მთლიანად ეკონომიკას მნიშვნელოვანი რისკის ქვეშ აყენებს.

სახელმწიფო ჯანდაცვის დანახარჯები, GDP %

დიაგრამა 1



წყარო: შეგენილია ავტორის მიერ მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით 26.04.2020

ამასთან, წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ მსოფლიოში ჯანდაცვის სისტემის დაფინანსება ბოლო წლებია, თითქმის არ იზრდება. შედარებისთვის, თუ 2000-2010 წლებში ჯანდაცვის დაფინანსებისთვის ქვეყნების წლიური ხარჯი საშუალოდ GDP-ის 8,6%-დან 9,5%-მდე გაიზარდა, 2010-2017 წლებში აღნიშნული ზრდა მხოლოდ 0,1%-ს შეადგენდა. მდგომარეობა უფრო სავალალოა განვითარებადი ქვეყნებში, სადაც

2010 წლის შემდეგ ჯანდაცვის სისტემის წლიური ხარჯი არ გაზრდილა და საშუალოდ GDP-ის მხოლოდ 4,3%-ს შეადგენს. (World Bank).

ვირუსის გავრცელებამ ცხადყო, რომ მრავალი ქვეყნის ჯანდაცვის სისტემა სათანადოდ მზად არ არის, რომ მსგავსი მასშტაბის გამოწვევებს გაუმკლავდეს. ეს კი მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს როგორც მოქალაქეთა სიცოცხლისთვის, ისე ეკონომიკის სტაბილურობისთვის. კორონომიკური კრიზისის შემდეგ მოსალოდნელია, რომ მნიშვნელოვნად შეიცვლება ჯანდაცვის სახელმწიფო დაფინანსების წლიური ზრდის დინამიკა. სფეროს დაფინანსების ზრდა კი, აუცილებლად გამოიწვევს სამედიცინო ინდუსტრიის, როგორც ეკონომიკის სექტორის მეტ განვითარებას.

სატრანსპორტო და ტურისტული ინდუსტრია

ტრანსპორტი და ტურიზმი ეკონომიკის ის სფეროებია, რომლებიც კორონავირუსის გამო ყველაზე მეტად დაზარალდნენ. საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის ასოციაციის მონაცემთა მიხედვით, ბოლო წლებია სამოქალაქო ავიაციის დატვირთვა ყოველწლიურად იზრდება. 2019 წელს, გასულ წელთან შედარებით, მგზავრთა ნაკადი 4,2%-ით გაიზარდა, 2020 წლის მხოლოდ პირველ კვარტალში აღნიშნული ზრდა 4,1%-ს შეადგენდა. 2011 წლიდან 2019 წლამდე ავიაინდუსტრიის წმინდა მოგება 3,5-ჯერ გაიზარდა და \$29,3 მლრდ-ს შეადგენს. (IATA).

პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების კონტექსტში, ქვეყნებმა, პირველ რიგში, საერთაშორისო გადაადგილება აკრძალეს. ამან კი საავიაციო სექტორი ჯერ კიდევ თებერვლის პირველ ნახევარში დააზარალა. ჩინეთსა და ჰონგ-კონგთან საავიაციო მიმოსვლის შეწყვეტას, რომელმაც მოკლევადიან პერიოდშივე მსოფლიოს წამყვან ავიაკომპანიებს ასობით მლნ დოლარის შემოსავალი დააკარგვინა, 14 მარტიდან ევროპის ქვეყნებიდან აშშ-ს მიმართულებით ფრენების შეზღუდვა მოჰყვა, ხოლო მარტის მეორე ნახევრიდან კი, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მთლიანად შეიზღუდა რეგულარული ავიამიმოსვლა.


მართალია, ეპიდემიის პირობებში ქვეყნებმა არ შეაჩერეს სატვირთო და ჩარტერული რეისები, თუმცა, რეგულარული ავიარეისების გაუქმებით მსხვილ ავიაკომპანიებს დიდი ფინანსური ზარალი მიადგა. ფრენების შეზღუდვიდან მყისიერად, მკვეთრად შემცირდა საფონდო ბირჟებზე წამყვანი ავიაკომპანიების აქციათა ღირებულება. ავიაკომპანიები პოსტკრიზისულ პერიოდში მოთხოვნის მნიშვნელოვან კლებას პროგნოზირებენ, რაც მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში ავიარეისების შემცირებას და ფასების ზრდას გამოიწვევს.

რეგულარული ავიამომისვლის შემცირება აუცილებლად მოახდენს გავლენას ტურიზმის ინდუსტრიის მომავალზე. ტურიზმის სექტორი ბოლო წლებში მზარდი დინამიკით ხასიათდება. 2018 წელს ტურისტული სექტორ-

რის კონტრიბუცია მსოფლიოს ჯამურ GDP-ში \$8,8 ტრლნ-ს შეადგენდა. ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის სტატისტიკის მიხედვით, 2019 წლისათვის ტურიზმის კონტრიბუცია მსოფლიო GDP-ის \$8,9 ტრლნ-მდე გაიზარდა, ხოლო მისი წილი კი 10,3%-ს შეადგენდა. ამავე პერიოდში მსოფლიოს მასშტაბით სექტორის მიერ 330 მლნ სამუშაო ადგილი შეიქმნა. ამასთან, მიმდინარე წლისათვის ტურიზმის სექტორში \$948 მლრდ-ის მოცულობის კაპიტალური ინვესტიცია განხორციელდა.

ტურიზმის სექტორის მოცულობა სხვადასხვა ქვეყანაში, \$მლრდ (2019 წელი)

დიაგრამა 2



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ, გუჩიზმის მსოფლიო ორგანიზაციის სტატისტიკური ინფორმაციაზე დაყრდნობით (26.04.2020)

2019 წლის მონაცემებით, ტურისტული სექტორისგან ქვეყნის GDP-ში ყველაზე დიდი კონტრიბუცია აშშ-მ (\$580,7 მლრდ) და ჩინეთმა (\$403,5 მლრდ) მიიღეს (WTTC). ყველაზე მაღალშემოსავლიანი ქვეყნების ათეულში ოთხი ქვეყანა ევროკავშირის წევრია - გერმანია (\$143,4 მლრდ), საფრანგეთი (\$112 მლრდ), იტალია (\$119,7 მლრდ) და ესპანეთი (\$82,3 მლრდ). კორონავირუსით გამოწვეული ეპიდემიური აფეთქების შემდეგ, რომელმაც მთავარ ტურისტულ ქვეყნებს მძიმე დარტყმა მიაყენა, მოსალოდნელია რომ ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები ამ ქვეყნებში 2020 წლის მეორე და მესამე კვარტლებში მნიშვნელოვნად შემცირდება.

ტურისტულ სექტორის წილი ეკონომიკაში განსაკუთრებით მაღალია ნაკლებად განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში, სადაც ინდუსტრია სამუშაო ადგილების დიდ ნაწილს ქმნის და სახელმწიფოს მიმდინარე ანგარიშების ფორმირებაშიც მნიშვნელოვანი წვლილი აქვს. მაგალითისთვის, მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს (WTTC) სტატისტიკური ინფორმაციაზე დაყრდნობით, 2019 წლისათვის ტურიზმის სექტორის პირდაპირი და არაპირდაპირი წილი ბრაზილიის GDP-ს ფორმირებაში 8,1%-ს შეადგენდა. ინდოეთისთვის კი იგივე მაჩვენებელი 2018 წელს 9,2% შეადგენდა, ხოლო ინდუსტრიის მიერ შექმნილი სამუშაო ადგილების მაჩვენებელი 42 მლნ-ს აჭარბებდა. კარიბის ზღვაში მდებარე

დომენიკის რესპუბლიკისთვის კი ტურიზმის სექტორი GDP-ს 11,6%-ს შეადგენს. საქსტატის ინფორმაციაზე დაყრდნობით, 2018 წელს საქართველოში უცხოური ტურიზმიდან შემოსავალმა \$3,22 მლრდ შეადგინა (ზრდა +19,1%), ქვეყნის GDP-ში მისი წილი კი, 6,8%-დან 7,6%-მდე გაიზარდა.

მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს ანგარიშის მიხედვით, ვირუსმა ტურისტული ინდუსტრიის ზრდის მაჩვენებლებზე საკუთარი გავლენა ეპიდემიის საწყის პერიოდშივე იქონია. ორგანიზაციის დაკვეთით ჩატარებული კვლევის თანამად, ჯერ კიდევ თებერვალში, სანამ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ COVID-19 გლობალურ პანდემიად გამოცხადდებოდა და ავიამიმოსვლა მნიშვნელოვნად შეიზღუდებოდა, მსოფლიო ტურიზმი 4,7%-ით შემცირდა, ხოლო მომდევნო კვარტალში კი 16,4%-იანი შემცირება იყო ნავარაუდები (WTTC).

მსოფლიო ტურიზმის დინამიკა 2020 წლის I კვარტალი (%)

ცხრილი 1

დათვითვა	საერთაშორისო ტურიზმი		აღვილობრივი ტურიზმი	
თებერვალი 2020	თებერვალი 2020	მარტი-მაისი 2020	თებერვალი 2020	მარტი-მაისი 2020
ევროპა	2.8	-7.5 -1.4	-7.7	-0.3
ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკა	-2.3	-9.3 3.6	2.5	0.8
აზია-ოკეანეთი	-18.0	-42.4 -13.8	-9.9	-23.8
ახლო აღმოსავლეთი	-2.0	-13.9 -3.0	-17.6	2.7
აფრიკა	2.5	-6.1 4.4	-7.8	-2.3
მსოფლიო	-4.7	-16.4 1.2	-4.5	

წყარო: მოგზაურობისა და გუიზმის გმოვნული საბჭო wttc.org/Research/Economic-Impact

ვირუსთან ბრძოლის მოტივით, მიმდინარე წლის მარტის თვიდან, მრავალმა ქვეყანამ კრიტიკული ზომები მიიღო, რაც პირველ რიგში, სოციალური დისტანციისა და საერთაშორისო ვიზიტორების მობილურობის შეზღუდვას ითვალისწინებს. ამიტომ მოსალოდნელია, რომ ტურისტული სექტორს შემოსავლების შემცირების ნეგატიური სტატისტიკა 2020 წლის მეორე კვარტლისთვის უფრო გაიზრდება, რაც ინდუსტრიის მომავალსა და იქ დასაქმებული ადამიანების მდგომარეობაზეც აისახება (ცხრილი 1).

პოსტპანდემურ პერიოდში მოსალოდნელია, რომ მრავალ ქვეყანაში ტურიზმზე ორიენტირებული ეკონომიკის პოლიტიკა მნიშვნელოვნად გადაიხედოს. კორონომიკულმა პროცესებმა ნათლად აჩვენეს, რომ ტურისტული ინდუსტრია მსგავსი კრიზისების მიმართ საკმაოდ არამდგრადია, ხოლო ქვეყნის მიერ ამ სექტორზე ორიენტირება და სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის მასზე მორგება შესაძლოა დამლუპველი იყოს. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალური განვითარებადი ქვეყნებისთვის გახდება, სადაც ტურიზმის სექტორი მზარდი დინამიკით ხასიათდება და

ეროვნულ GDP-ში ყოველწლიურად უფრო დიდ წილს იკავებს. ეკონომიკური პოლიტიკის რეფორმირების აუცილებლობა დღის წესრიგში დააყენებს ეკონომიკის რეალური სექტორის „გამოცოცხლების“ საკითხს, რაც გრძელვადიან პერიოდში ასეთი ქვეყნების სტაბილურობას უფრო უზრუნველყოფს.

საერთაშორისო ეკონომიკისა და ვაჭრობის ტენდენციები პოსტკონორომიკულ ეპოქაში


COVID-19 ვირუსის პანდემიამ, ჯანდაცვისა და ეროვნული ეკონომიკის გარდა, დღის წესრიგში საერთაშორისო ეკონომიკისა და ვაჭრობის საკითხებთან დაკავშირებული პრობლემებიც დააყენა. ვირუსის გავრცელების შემდეგ ჩინეთი პირველი ქვეყანა იყო, სადაც ტოტალური კარანტინი გამოცხადდა, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად შეიზღუდა სხვადასხვა პროვინციაში მდებარე იმ მსხვილი საწარმოების საქმიანობა, რომლებიც პროდუქციითა თუ ნედლეულით აშშ-ს და სხვა ქვეყნების ეკონომიკას უზრუნველყოფდნენ.

გაეროს სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციაზე დაყრდნობით, 2018 წლის მდგომარეობით, მსოფლიო საწარმოო გამოშვების უდიდესი წილი ჩინეთზე მოდის (იხ. დიაგრამა 3). იაფი მუშახელისა და მაღალი საწარმოო სიმძლავრეების არსებობის გამო, ბოლო ათწლეულია ჩინეთი მსოფლიო წარმოების ჰაბად ჩამოყალიბდა. ჩინეთის ეკონომიკური აქტივობის ზრდამ მის მიმართ მრავალი ქვეყნის ვაჭრობის დეფიციტის ჩამოყალიბება გამოიწვია, რასაც გრძელვადიან პერიოდში შესაძლოა პეკინის ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენის მსოფლიოს მასშტაბით ზრდა მოჰყვეს (Benashvili, 2020).

ჩინეთის იაფი სამუშაო ძალისა და მოქნილი წარმოების პროცესის ხარჯზე მრავალი ქვეყნის წარმოება არაკონკურენტუნარიან მდგომარეობაში აღმოჩნდა, რამაც ისინი ჩინეთზე დამოკიდებული გახადა.

მსოფლიო საწარმოო სიმძლავრეები 2018 წ. %

დიაგრამა 3



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ გაეხოს სტატისტიკის ინფორმაციაზე დაყრდნობით (26.04.2020)

პანდემიამ ეს კიდევ უფრო ცხადი გახადა, როცა ვირუსის გავრცელების პერიოდში არაერთი ეკონომიკურად განვითარებული ქვეყანა კრიტიკულად აუცილებელი სამედიცინო პროდუქციის წარმოების უნარსაც კი მოკლებული აღმოჩნდა.

ეკონომიკური ფაქტორის გარდა, კორონომიკამ პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხებიც წამოწია წინა პლანზე, რაზეც, პირველ რიგში, მსოფლიოს პოლიტიკური ლიდერების მიერ წამოწყებულ ანტიჩინური რიტორიკაც მიუთითებს. „ჩინური ვირუსის“ მიზეზით გამონვეული პანდემიის დასრულების შემდეგ მოსალოდნელია, რომ ამ პერიოდში დაწყებული ტენდენციები საერთაშორისო ეკონომიკაზე ასახვას პოსტკორონომიკულ ეპოქაშიც პოვებს, რასაც, პირველ რიგში, ჩინეთისადმი დანარჩენი მსოფლიოს დამოკიდებულების შეცვლა მოყვება.

ჩინეთთან ვაჭრობის პოლიტიკის დილემა მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების დღის წესრიგში ბოლო წლებია ისედაც მწვავედ დგას. ამ მხრივ აღსანიშნავია აშშ-ჩინეთის სავაჭრო ომი, რომელიც საერთაშორისო ეკონომიკაში მიმდინარე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა. ჩინეთიდან დაწყებული მსოფლიო პანდემიის ფონზე, არაერთი ქვეყანა უკვე აანონსებს ჩინეთში არსებული საკუთარი წარმოების მობილობას. ამ მხრივ ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი იაპონიამ გადადგა, რომელმაც ჩინეთიდან მანუფაქტურული წარმოების გამოტანის ხელშეწყობისთვის, ადგილობრივი კომპანიების სტიმულირებისთვის \$2 მილიარდიან ფონდი შექმნა. დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით კი, პანდემიის დასრულების შემდეგ, ჩინეთთან თანამშრომლობა ისეთი ველარ იქნება, როგორც ეს მის დაწყებამდე იყო. ამასთან, დასავლეთის ქვეყნები ჩინეთს ვირუსთან დაკავშირებით მსოფლიო თანამეგობრობისთვის ინფორმაციის დამალვაშიც ადანაშაულებენ, რაც პოლიტიკური ლიდერების მწვავე განცხადებებითაც დასტურდება. რამდენად გახდება COVID-19 ვირუსი მსოფლიოში ახალი „ცივი ომის“ დაწყების მიზეზი, ეს ვირუსის დამარცხების შემდეგ გამოჩნდება.

დასავლეთის სახელმწიფოებსა და პეკინს შორის კონფრონტაციის გაგრძელებისა და ინდუსტრიული სექტორის ჩინეთიდან გამოსვლის შემთხვევაში, ახალი შესაძლებლობა უჩნდებათ განვითარებად ქვეყნებს, რომ აღნიშნულ ფირმებს ალტერნატიული წარმოების ბაზრები შესთავაზონ. ეს მნიშვნელოვნად შეცვლის მსოფლიო სანარმოო ჯაჭვს და შესაძლოა, საერთაშორისო ეკონომიკაში ძალთა ბალანსის ცვლილების საფუძველიც გახდეს.

ლიტერატურა:

- პაპავა ვ., სილაგაძე ა. (2019). როგორ უნდა ითარგმნოს ქართულად ტერმინი "GROSS DOMESTIC PRODUCT". 203-204. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“ <https://>

www.researchgate.net/publication/334897039_rogor_unda_itargmnos_kartulad_termini_GROSS_DOMESTIC_PRODUCT (25.04.2020)

- საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა 2018 <https://gnta.ge/ge/publication/2018-geo/> (last seen 20.04.2020)
- Alwis A. (2020). Coronomics – plan your eggs and basket, Daily FT, <http://www.ft.lk/columns/Coronomics---Plan-your-eggs-and-the-basket-/4-695109> (last seen 05.06.2020)
- Benashvili G. (2020). China's one belt and road initiative its prospects for Georgia, Ecoforum, Volume 9, Issue 1(21) <http://www.ecoforumjournal.ro/index.php/eco/article/view/1043> (last seen 28.04.2020)
- Makris M. (2020) Coronomics: how a pandemic can impact world economics University of Kent News Centre, <https://www.kent.ac.uk/news/society/24809/coronomics-how-a-pandemic-can-impact-world-economics> last seen 28.04.2020)
- Calder S. (2020) Airlines Preparing for Future with Fewer Passengers and Higher Fares, Independent.co.uk <https://www.independent.co.uk/travel/news-and-advice/coronavirus-flight-prices-airline-passengers-fares-a9464821.html> (last seen 19.04.2020)
- Reynolds I. (2020) Japan to Fund Firms to Shift Production out of China, Bloomberg <https://www.bloomberg.com/news/articles/2020-04-08/japan-to-fund-firms-to-shift-production-out-of-china> (last seen 24.04.2020)
- Mello-Théry, Neli & Théry, Hervé. (2020). The Geopolitics of COVID- 19. Espaço e Economia. <https://journals.openedition.org/espacoekonomia/11224> (27.04.2020)
- Papava V., Charaia V. (2020). The Coronomic Crisis and Some Challenges for the Georgian Economy. Rondeli Foundation <https://www.gfsis.org/publications/view-opinion-paper/136> (last seen 24.04.2020)
- Papava V. (2020). Coronomic Crisis: When the Economy is a Hostage to Medicine. Eurasiareview, <https://www.eurasiareview.com/29032020-coronomic-crisis-when-the-economy-is-a-hostage-to-medicine-oped/> (last seen 25.04.2020)
- Creitz Ch. (2020). Pompeo Blames China, Fox News <https://www.foxnews.com/media/pompeo-china-coronavirus-coverup-loss-of-life> (last seen 25.04.2020)
- Rodrik D. (2020). Will COVID-19 Remake the World? Project Syndicate <https://www.project-syndicate.org/commentary/will-covid19-remake-the-world-by-dani-rodrik-2020-04> (27.04.2020)
- El-Erian M. (2020). Saving the Developing World from COVID-19. Project Syndicate <https://www.project-syndicate.org/commentary/covid19-aid-to-developing-countries-by-mohamed-a-el-erian-2020-04> (last seen 28.04.2020)
- Economic Impact Reports, World Travel & Tourism Council wtcc.org/Research/Economic-Impact (last seen 24.04.2020)
- World Bank Database <https://data.worldbank.org/indicator/SH.XPD.CHEX.GD.ZS> (last seen 26.04.2020)

ეკონომიკური თეორია ✧ ეკონომიკური პოლიტიკა
ECONOMIC THEORY ✧ ECONOMIC POLICY

**COVID-19 Coronavirus Pandemic Influence on Crude Oil Prices
A Preliminary Statistical Analysis**

Alexander Tvalchrelidze

Professor

*Vice -President of Georgian
Academy of Natural Sciences
sandrotval@gmail.com*

Avtandil Silagadze

Academician

*Professor of Iv. Javakhishvili
Tbilisi State University
avtandil.silagadze@tsu.ge*

World economy rapidly recovered after the 2009 global economic crisis, and starting from 2010 fast increase of the world GDP was fixed. In 2018 the world GDP was as high as US\$ 85,909.816 billion [1]. The world economic growth was unexpectedly hampered by COVID-19 coronavirus pandemic. Within one month the world economy has frozen, industries and budgetary incomes fall down to a critical level, employment collapsed, investor activities distorted and so on. Future prospects are vague. The current framework brings back to memory the period of the Great Depression, when the liberal economic doctrines failed, and governmental interventions became necessary [2]. It is obvious that after the pandemic breakthrough, a lot of fundamental principles will change in the world, including social & economic development doctrines: a bet seems to be placed on maximal involvement of national resources, and such a policy will both be basement of national economic strategies [3-7] and a precondition of regional economic relations [8]. Of course, there is a node of huge and crucial problems to be studied, but in this article, we will present a preliminary statistical analysis of crude oil prices within the framework of COVID-19 coronavirus pandemic.

Keywords: *Pandemy, oil price, correlation coefficient, quadratic regression equation, statistical model.*

JEL Codes: *C10, C40, H12*

There is a huge number of publications in the world mass media where influence of coronavirus pandemic on crude oil prices is discussed, however, we have found only a single scientific article, where an econometric model of such an influence is explored [9]. The author concludes that pandemic influence is mi-

nor, and oil price trend follows its immanent regularities. However, in March 2020 available statistical material was minor, and econometric equations' coefficients were not correctly proven. Even now, at our opinion, time for correct econometric analysis has not come yet. Only after cancelling the pandemic sanctions and duly registration of new infection cases such an analysis will have a scientific value.


In a lot of publicist articles [see, for instance, 10] dramatic decrease of oil prices in spring 2020 is explained by decline of demand on fuel due to pandemic sanctions, which have canceled almost all international flights and theatricaly diminished automobile traffic in the great majority of developed countries. Hence, as it was proven in a number of fundamental researches [11, 12, etc.], crude oil prices do not follow the main rule of economy and do not obey to supply vs demand ratio. As it has been explored earlier [13], oil prices are driven by the world commodity futures markets. For instance, in 2018 at the world stock, mercantile and commodity exchanges 30.28 billion futures, options and derivative contracts were signed [14], and 30.68% of them or 9.29 billion were oil contracts. Their total nominal cost exceeded three times the world oil consumption.

That is why we have processed available by May 4, 2020 data. Information on world coronavirus infection rate were borrowed from the Worldometers data base [15], and on crude oil weekly prices – from U.S. Statistics Agency [16]. Average weighted weekly world crude oil prices were calculated as a mean value between the OPEC Basket, Brent Blend and Western Texas Intermediate (WTI) benchmark oil prices. World coronavirus infection cases were recalculated on the weekly basis.

Fig. 1 demonstrates correlation between world oil prices and world coronavirus infection cases weekly. Extremely high negative value of the correlation coefficient r (critical value of Pearson's correlation for $\partial F = \hat{c} 0.001$ equals 0.693 [17]) allowed us to perform statistical modelling of interdependence between weekly

Interrelation Between Weekly World Coronavirus Infection Cases and Average Weighted Crude Oil Price.

Fig. 1.




world coronavirus infection cases and crude oil price according to the methodology elaborated [5] and updated [18] earlier. Modelling was performed in the SPSS computer software using ANOVA (Analysis of Variance) technology [19].

Fig. 2 displays the quadratic equation of this interdependence whereas Tables 1 and 2 provide basic parameters and coefficients of the quadratic regression equation. Comparison of the real and the model (calculated as a function of weekly world coronavirus infection cases) crude oil price graphs are provided on Fig. 3. Tables demonstrate an admissible confidence value of the equation, proven also by good coincidence of the real and model oil price curves.

Quadratic Model of Interdependence Between Weekly World Coronavirus Infection Cases and Crude Oil Price

Fig. 2



Basic Parameters of the Equation

Table 1

Parameter	Sum of squares	dF	Mean square	F	σ
Regression	3,752.551	2	1,786.276	29.189	0
Residual	856.754	14	61.197		
Total	4,429.305	16			

Coefficients of the Equation

Table 2

Parameter	B	S	β	t	σ
Variable*	0	0	-2.174	-4.546	0
Variable ²	1.325e ^{-0.1}	0	1.345		
Constant	52.191	2.691		19.393	
Variable = World weekly coronavirus infection cases					

The performed analysis leads to some principal and important conclusions as follows:

- Dramatic failure of crude oil prices in January-April 2020 was not determined by the diminished world demand on crude oil. It may be proven by data of April 20 – May 4, when the demand has not been increased as far as coronavirus sanctions were not canceled yet but prices have started to grow at the background of diminishing infection cases and announcement of step-by-step sanctions canceling.

- Coronavirus infection rate analysis provides to investors tangible guidelines to assess sustainability of futures markets in the medium term and, therefore, to elaborate investment strategy.


- The quadratic function has, of course, a parabolic shape, and this means that the oil prices are driven by the coronavirus infection rate rather than by the absolute number of infection cases. In other words, the decisive driver for oil prices in medium term run are pandemic development *tendencies* instead of real epidemiologic situation.

- Relevancy of these conclusions is proven by the model oil pricing curve, which coincides with an admissible accuracy with empiric data.

Will amount of weekly infected people diminish, crude oil futures contract prices will grow.

Real and Model Crude Oil Prices in January-April 2020

Fig. 3



By the end of 2020 we will present the final model of the interdependence between the coronavirus pandemic and oil prices and compare it with the preliminary analysis hereto.

References:

- World Development Indicators. The World Bank. <https://databank.worldbank.org/source/world-development-indicators>. Accessed on May 4, 2020.
- Jordà Ò., Singh S.R., Taylor A.M. (2020). Longer-run Economic Consequences of Pandemics. Working Paper 2020-09. San Francisco: Federal Reserve Bank of San Francisco, 17 pp.
- Mekvabishvili E., Atanelishvili T. (2017). Personal Remittances in Post-Soviet Countries (comparative analysis). Bull. Georg. Natl. Acad. Sci., Vol. 11, No 3, pp. 157-163.
- Papava V., Silagadze, A. (2019). How the Term the Gross Domestic Product Should be Translated into Georgian. Journal "Globalization & Business", Vol. 7, pp. 203-204.
- Papava V., Charaia V. (2020). The Coronomic Crisis and Some Challenges for the Georgian Economy. GFSIS, Expert Opinion, No. 136. <https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/136-expert-opinion-eng.pdf>. Accessed on May 4, 2020.
- Silagadze A., Atanelishvili T., Silagadze N. (2019). Economic Doctrines. The Origins. New York: Nova Science Publishers Inc., 58 pp.
- Zubiashvili T. (2017) Aspects of Post-Soviet Economy Against the Background of the Associate Agreement with the European Union. Ecoforum, Vol. 6, Issue 1 (10).
- Tvalchrelidze A.G., Kervalishvili P.J. (2019). Economic Security of the Southern Caucasus: Opportunities and Challenges. Nanotechnology Perceptions, Vol. 15, pp. 21-47.
- C.T. Albulescu, C.T. (2020). Coronavirus and oil price crash. ResearchGate, March, pp. 1-13.
- McCormick M., Raval A., H. Foy, Rocco M. (2020). Oil Prices Take a New Dive as Coronavirus Wipes out Demand .The Financial Times, April 21.
- Happonen J. (2009). A Review of Factors Determining Crude Oil Prices. Helsinki: Helsinki School of Economics, 84 p.
- Newell R. (2011). Energy and Financial Markets Overview: Crude Oil Price Formation. Washington DC: U.S. Energy Information Administration, 39 p.
- Tvalchrelidze A.G. (2011). Economics of Commodities and Commodity Markets. New York: Nova Science Publisher, Inc., 908 p.
- WFE IOMA 2018 Derivatives Report (2019). London: World Federation of Exchanges, 53 p.
- CoVid-19 Coronavirus Pandemic. <https://www.worldometers.info/coronavirus/>. Accessed on May 9, 2020.
- Weekly Brent, OPEC Basket, and WTI Crude Oil prices from December 30, 2019 to May 4, 2020 (in U.S. dollars per barrel). <https://www.statista.com/statistics/326017/weekly-crude-oil-prices/>. Accessed on May 9, 2020.
- Table of Critical Values for Pearson's r. https://www.radford.edu/~jaspelme/stats-book/Chapter%20files/Table_of_Critical_Values_for_r.pdf. Accessed on May 9, 2020.

- Tvalchrelidze A., A. Silagadze A. (2013). Macroeconomic Model for Oil-Exporting Countries. Central Asia and the Caucasus, Vol. 14, Issue 4, pp. 118-144.
- Levine D.M., Berenson M.L., Krehbiel T.C., Stephan D.F. (2010). Statistics for Managers Using Microsoft Excel. 6th Edition. London: Pearson PLC, 840 pp.

COVID-19 კორონავირუსის პანდემიის გავლენა ნედრი ნავთობის ფასზე წინასწარი სტატისტიკური ანალიზი

ადექსანდრე თვადჭხედიძე

პროფესორი

საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის
ვიცე-პრეზიდენტი
sandrotval@gmail.com

ავთანდილ სილაგაძე

აკადემიკოსი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი
avtandil.silagadze@tsu.ge

უკანასკნელი ათწლეულის მსოფლიო ეკონომიკის აღმავალი ზედა მოულოდნელად შეცვალა ბოლო თვეებში განვითარებულმა პანდემიულმა მოვლენებმა. დროის მცირე მონაკვეთში ეკონომიკა პრაქტიკულად გაიყინა, კიტიკულ დონემდე დაეცა ცადკუდი დახვები, ბიუჯეტის შემოსავლები, უცხოური და სამამულო ინვესტიციები, დასაქმების მაჩვენებლები, ფულადი გზავნილები და სხვ. ეკონომიკაში ახსებული მდგომარეობა გვაგონებს „დიდი დეპრესიის“ პერიოდს, როდესაც რბივად ეკონომიკურმა დოქტრინებმა კახი განიცადეს და საჭირო გახდა სახელმწიფოს აქტიური ჩაბრუნება. პანდემიის დამახცხების შემდეგ მსოფლიოში ბევრი ჰამ შეიცვლება, მათ შორის ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკები და, სავაჭუროდ, აქცენტი გაკეთდება ექონური ხესუსების მაქსიმალურად გამოყენებაზე. ამ ნაშრომში წახმოდგენილია მხოლოდ კორონავირუსის პანდემიის ფონზე ნედრი ნავთობის ფასების დინამიკა. ახსებობს მხავარი პუბლიცისტური სტატია, სადაც ნავთობზე ფასების სწიფი კდება ახსნილია პანდემიის პირობებში ამ ნედრეუდზე მოთხოვნის კატასტროფური ვახდნით. ეთადეხით ხედმისაწვდომი სამეცნიერი პუბლიკაცია, სადაც წახმოდგენილია პანდემიის დასაწყისში ნედრი ნავთობის ფასის ეკონომეტრიკური მოდელი, ასკვნის, რომ პანდემიის გავლენა ნავთობის ფასზე უმნიშვნელოა. ჩვენ ახც ეით ამ დასკვნას ახ ვეთანხმებით. ადხე გამოქვეყნებული მოდელისგან განსხვავებით, ჩვენ შევისწავლეთ უთიეითადამოკიდებულება მსოფლიოში ყოველ კვიხას კორონავირუსით დაინფიცირებულთა ოდენობასა და საშუალოდ აწონიდ ნავთობის ფასს შორის და შევქმენით შესაბამისი წინასწარი სტატისტიკური მოდელი, რომელიც კვადრატური ხეგესიის განტოდებით აღიწეხა. სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ: 1) ნედრი ნავთობის ფასის დამატური კდება 2020 წლის იანვარ-აპრილში ახ ახის განპირობებული ნავ-

თობზე შემცირებული მოთხოვნით; 2) კოორნავიუსით ინფიცირების სიხშირე ინვესტორთათვის წახმოდგენს ხელშესახებ მარვენებელს ფიურეისური ბაზ-
ის მდგადობის შეფასებისთვის და შესაბამისი საინვესტიციო სტრატეგიის
შესამუშავებდად; 3) კვადრატური ხეგესიის ფუნქცია პაბბოდური ფოხმისაა,
ხაც ცხადყოფს, რომ ნავთობის ფასი ხეგურიხდება პანდემიის ტენდენციებით
და ახა ხეადური ეპიდემიოდოგური სიტუაციით; 4) ამ დასკვნების მახთებულო-
ბა მტკიცდება ნავთობის ფასის მოდური მიხედით, ხომედიც მისაღები სი-
ზუსტით ემპირიურ მონაცემებს შეესაბამება; 5) შემცირება ხა ყოვედ კვიხას
ინფიცირებუდთა ოდენობა, ნაფთობზე ფიურეისური კონტრაქტების ფასი გა-
იზხდება ნედრეუდზე მოთხოვნის მიუხედავად.

საკვანძო სიგყვბი: პანდემია, ნავთობის ფასი, კოხედაციის კოე-
ფიციენტი, კვადრატური ხეგესიური განტოდება, სტატისტიკური მოდური.

JEL Codes: C10, C40, H12

ეკონომიკური ზრდა: თვისებრივი და რაოდენობრივი განსაზღვრულობა (მეთოდოლოგიური ასპექტი)

თეიმურაზ ბერიძე

პროფესორი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

teimuraz.beridze@tsu.ge

სტატიაში განხილულია ეკონომიკური ზრდის და ეკონომიკური განვითარების ფენომენი, შედახებითი ანალიზის საფუძველზე დახასიათებულია მათ შორის ერთიანობა და განსხვავება. ყუხადლება გამახვილებულია ეკონომიკური ზრდის და ეკონომიკური განვითარების სოციალურ შედეგებზე, ხაც წაჩმოდგენს ეკონომიკის ზრდისა და განვითარების პირობიტგეტუდ მიზანს. ეკონომიკის სტრუქტურის ოპტიმიზაცია მიჩნეულია ეკონომიკური ზრდისა და მოსახლეობაში უთანახობის დაძღვის ერთ-ერთ მთავახ ფაქტორიად.

მოცემულია გაჩდამავადი ეკონომიკის (transitional, transformation economics) კვღვის მეთოდოლოგიური ასპექტების ანალიზი, დამახასიათებელი ნიშნები და ჩაოღენობივი მახასიათებლები. განსაკუთხებული ყუხადლება გამახვილებულია ეკონომიკის სტრუქტურის ოპტიმიზაციაზე; მოცემულია „COVID-19“-ის ეკონომიკაზე გავღენის ზოგიერთი ასპექტის - კეჩდოღ, წაჩმოებასა და მოხმახებას შორის კავშირის გაწყვეტის ანალიზი.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური ზრდა, ეკონომიკური განვითარება, გაჩდამავადი ეკონომიკა, ეკონომიკის ფაქტორიული ანალიზი, ეკონომიკის ჩაოღენობივი მახასიათებლები.

შესავალი

თანამედროვე ეკონომიკა წარმოადგენს საკმაოდ რთულ, მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული ერთეულების (სახელმწიფოები, საერთაშორისო ორგანიზაციები და ინსტიტუტები, ტრანსნაციონალური კომპანიები, ფირმები, საოჯახო მეურნეობები, ინდივიდუუმები) სისტემას (ასევე გამოიყენება ტერმინები - მსოფლიო ეკონომიკა, საერთაშორისო ეკონომიკა). ამ სისტემამ XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე შეიძინა სრულიად ახალი თვისებრიობა - გლობალური შინაარსი, რომელიც საკუთრივ ეკონომიკის გარდა, მოიცავს - პოლიტიკას, სოციუმს, კულტურას, რელიგიას, განათლებასა და

ა.შ. საზოგადოებრივი ცხოვრების ეს კომპონენტები საკმაოდ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკაზე, ასევე, ეკონომიკა მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მათ შინაარსს. უფრო მეტიც, ზოგიერთი ეკონომისტი და სოციოლოგი აღნიშნავს, რომ კვლევის ღირებული შედეგების მიღწევა შეიძლება მხოლოდ გარკვეული დარგების კვეთის წერტილებში. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ინტერდისციპლინური კვლევების ჩატარება (*interdisciplinary studies*) - ფილოსოფია, ფსიქოლოგია, სამართალი, სოციოლოგია, პოლიტოლოგია (პაპავა ვ. 2018, გვ.21). ამის გარდა, სოციალისტური სისტემის დაშლამ და სრულიად ახალი ფენომენის – გარდამავალი ქვეყნების, გარდამავალი ეკონომიკების (“transitional countries”, “transitional economies”) წარმოქმნამ ახალი შინაარსი შესძინა გლობალიზაციის პროცესს. ამ ქვეყნების წარმოჩენამ კიდევ უფრო აქტუალური გახადა საკითხი **იმის შესახებ თუ როგორ ურთიერთდამოკიდებულებაშია ეკონომიკური ზრდა (economic growth) და ეკონომიკური განვითარება (economic development) ერთმანეთთან. რა განსხვავებაა ეკონომიკურ ზრდასა და ეკონომიკურ განვითარებას შორის, რომელი მაჩვენებლებით ხდება მათი შეფასება, შეიძლება თუ არა განვიხილოთ ეკონომიკური განვითარების მოდელი გარდამავალი ქვეყნების ეკონომიკების ანალიზისას, თუ ის მხოლოდ ე.წ. მესამე სამყაროს ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი.**

ამავე დროს, დღეს უკვე გლობალიზაციას ემუქრება ისეთი ფენომენი, როგორც არის კორონავირუსი - COVID – 19, რამაც გამოიწვია ქვეყნების იზოლაცია, რაც ეკონომიკური კრიზისის დადგომის შესაძლებლობას ჰქმნის. უფრო მეტიც, ბრუნვაში შემოვიდა ტერმინი – **კორონომიკა (coronomics)** (პაპავა ვ., ჭარაია ვ. 2020). მართებულად თვლიან, რომ ქვეყნები დღეს დგანან სპეციფიკური კრიზისის წინაშე. მთავარი, ჩვენი აზრით, მდგომარეობს შემდეგში: დარღვეულია კავშირი ორ მთავარ ეკონომიკურ სუბიექტს შორის - მწარმოებელი და მომხმარებელი. ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე პასუხი მოითხოვს საკმაოდ ვრცელ და სიღრმისეულ გამოკვლევას. წარმოდგენილ სტატიაში ჩვენ მხოლოდ კვლევის რამდენიმე მიმართულებას შევხებით და ისიც საკითხის დასმის წესით.

ეკონომიკური ზრდის ფენომენი

ეკონომიკური ზრდის ფენომენი არ არის ახალი საკითხი ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში. ადამიანების სამეურნეო საქმიანობის დასაბამიდან ის საზოგადოების ყურადღების ცენტრში იდგა ერთი მთავარი მიზეზის გამო: ეკონომიკური ზრდის შედეგი აისახება ქვეყნის განვითარებასა და ადამიანთა ცხოვრების დონის ამაღლებაში, ხოლო ზრდის განმაპირობებელი ფაქტორები მუდმივად წარმოადგენს პოლიტიკოსთა და მეცნიერ-ეკონომისტთა კვლევის ობიექტს. ეკონომიკური ზრდის საკითხებს იკვლევდნენ ეკონომიკური თეორიის იდეოლოგიურად საპირისპირო ბანაკე-

ბის წარმომადგენლები: XIX საუკუნეში – კ. მარქსი (აღწარმოების თეორია, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აღნიშნული საკითხის კვლევაში) და XX საუკუნეში – ეკონომიკური ზრდის თეორიის ცნობილი წარმომადგენლები – ჯ. კეინზი, რ. ჰაროდი, ე. დომარი, ჯ. რობინსონი და სხვ., რომლებიც ყურადღებას ამახვილებდნენ ეროვნული შემოსავლის ზრდის მნიშვნელობაზე მხოლოდ ერთი ფაქტორის – კაპიტალის დაგროვების ნორმის გათვალისწინებით. უ. როსტოუ ამ ფენომენს უკავშირებს საზოგადოების სტადიურ განვითარებას, ხოლო მოგვიანებით, ეკონომიკური ზრდის ნეოკლასიკური მოდელის ავტორი ჯ. მიდი ყურადღებას ამახვილებს მის ყველა ფაქტორზე (კაპიტალი, დანაზოგი, სამუშაო ძალა, ინვესტიციები) და თვლის, რომ მხოლოდ ამ შემთხვევაში ეკონომიკურ ზრდას ექნება სტაბილური და მდგრადი ხასიათი. საინტერესო მოსაზრებები ეკონომიკურ ზრდაზე მოცემულია ნობელიანტ საიმონ კუზნეცის ნაშრომებში, სადაც ის ამახვილებს ყურადღებას ფაქტორთა კომბინაციის ოპტიმიზაციაზე (Panaba B. F. 2020).

აღნიშნული პრობლემის ყველა მკვლევარი ცდილობს პასუხი გასცეს კითხვებს: რა არის ეკონომიკური ზრდა? რა განაპირობებს მას და როგორ გაიზომება ის? ცნობილია, რომ ყველა ამ საკითხზე პასუხი გაცემულია მაკროეკონომიკის სახელმძღვანელოებში - Karl E. Case, Ray C. Fair (2007)., კახინიაშვილი ჯ.(1996). მაგრამ, ჩვენი აზრით, რჩება საკითხების გარკვეული წრე, რომელიც, ჯერ კიდევ საჭიროებს ახსნას და განვითარებას.

ცნობილია, რომ ეკონომისტები ეკონომიკურ ზრდას ძირითადად აფასებენ მთლიანი შიგა პროდუქტის დინამიკით. თუმცა, აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს მაჩვენებელი სრულად ვერ ასახავს ეკონომიკურ ზრდას, ვინაიდან არ აჩვენებს ქვეყნის ცხოვრების ხარისხს და განაწილებითი ურთიერთობების ეფექტს, ამავე დროს მოიცავს საფინანსო შუამავლობის ოპერაციების მოცულობებს, რაც არ ასახავს ზრდას ეკონომიკის რეალურ სექტორში. ამ გარემოებათა გათვალისწინებით, ეკონომისტები იყენებენ სხვა მაჩვენებლებსაც – მთლიანი ეროვნული შემოსავალი, წმინდა ეროვნული შემოსავალი, პირადი შემოსავალი, წმინდა პირადი შემოსავალი, ანუ განკარგვადი შემოსავალი. გასათვალისწინებელია, აგრეთვე, მთლიანი შიგა პროდუქტის შექმნის სოციალური შემადგენლებიც.

რა განსაზღვრავს მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდას? პასუხი, ერთი შეხედვით, მარტივია – ქვეყანაში მწარმოებლურობის დონე (productivity) (უნდა ითქვას, რომ ეს მაჩვენებელი ბოლო ორი ათწლეული საერთოდ არ გაიანგარიშება საქართველოში სტატისტიკური ორგანოების მიერ). როგორია მისი დეტერმინანტები? ესენია: **ფიზიკური კაპიტალი** (physical capital - მოწყობილობები და შენობები, რაც გამოიყენება საქონლისა და მომსახურების წარმოებისათვის), **ადამიანიკაპიტალი** (human capital)*, **ბუნებ-**

* ცოდნა და უნარი, რომელსაც ადამიანი, განათლებისა და პრაქტიკული გამოცდილების გზით იძენს.

რივი რესურსები (natural resources)*, **ტექნოლოგიური ცოდნა** (technological knowledge)**. ეს უკანასკნელი თანამედროვე ეკონომიკაში იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. საქართველოსთვის კი ეს ფაქტორი უკიდურესად მნიშვნელოანია და ამიტომ მთავრობის პოლიტიკა უნდა იქნეს მიმართული ტექნოლოგიების იმპორტზე. აქვე აღვნიშნავთ, რომ ბოლო 30 წლის მანძილზე საქართველოს ეკონომიკაში არ მომხდარა საწარმოო ბაზის განახლება და რეალურად რთულია მსჯელობა ინდუსტრიული ბაზის ზრდაზე, რაც ყველა სხვა დარგის ზრდის საფუძველია.

წარმოების ყველა ფაქტორი მონაწილეობს ეკონომიკურ ზრდაში, მაგრამ, ბუნებრივია, არა თანაბრად, ვინაიდან ნებისმიერ ქვეყანას აქვს ამა თუ იმ ფაქტორის გამოყენების უპირატესობა, რაც საგარეო ვაჭრობაში მას უპირატესობებს აძლევს. ბუნებრივია, რაც უფრო ოპტიმალურია ამ ფაქტორთა კომბინაცია, მით უფრო მაღალია ეკონომიკური ზრდა და მისი სტაბილურობა (საბჭოურ პერიოდში ეკონომისტ-მათემატიკოსთა მიერ შემუშავებულიც კი იყო ე.წ. **ეკონომიკის ოპტიმალური ფუნქციონირების სისტემა**).

როგორია ამ თვალსაზრისით მდგომარეობა თანამედროვე საქართველოში? სამწუხაროა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო 20-30 წლის განმავლობაში საქართველოში ყველა ეს დეტერმინანტი (ფაქტორი) პრაქტიკულად სულ უფრო და უფრო **ქვეითდება! აქცენტი აღებულია ერთ ან ორ დარგზე, მსჯელობა უნდა იყოს ოპტიმალურ დარგობრივ სტრუქტურაზე. პასუხი არ არის მარტივი, ალბათ, აქ გამოყენებული უნდა იქნეს მოდელი - დანახარჯები-გამოშვება და ასევე რივი სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლები.**

განვიხილოთ საქართველოში ფუნქციონერებადი **ფიზიკური კაპიტალი**, ის ძირითადად გაცვეთილია, ამორტიზებულია, არ ხდება მისი შეცვლა ან გადაიარაღება (რომელიც, როგორც წესი, ყოველი 20-25 წელიწადში უნდა ხდებოდეს), არადა, თანამედროვე ეკონომიკის საფუძველს სამრეწველო დანადგარები და საწარმოო ხაზები წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით გადასახედია ქვეყნის საიმპორტო პოლიტიკა. უარი უნდა ითქვას მომხმარებლური ეკონომიკის მოდელზე. ცნობილია, რომ დღესდღეობით მის სტრუქტურაში 80%-ს წარმოადგენს სამომხმარებლო საქონელი (მათ შორის ძირითადი კვების პროდუქტია). ამით კი საქართველო ხელს უწყობს უცხო ქვეყნების ეკონომიკების განვითარებას, ზრდის მოთხოვნას მათ ბაზრებზე.

რაც შეეხება **ადამიანიკაპიტალს** – მილიონზე მეტი ადამიანი (ძირითადად 25-50 წლის ასაკში) გასულია ქვეყნიდან (2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის თანახმად 3,7 მლნ ადამიანია, აქედან ეკონომიკურად აქტიური 75%-ია. 2019 წლის მონაცემებით, ეკონომიკურად აქტიური

* საქონლისა და მომსახურების წარმოებაში გამოყენებული მასალა, რომელსაც ბუნება გვაძლევს.

** უახლესი ტექნიკისა და „ნოუ-ჰაუს“ დანერგვა.

მოსახლეობა – სამუშაო ძალა, შეადგენს 1.911.2 ათას კაცს). ხოლო განათლება (განსაკუთრებით, საინჟინრო-ტექნიკური) არასახარბიელო მდგომარეობაშია. გადასახედია პროფესიათა და სპეციალობათა სისტემა და ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით სპეციალისტთა მომზადებაც.

ბუნებრივი რესურსები – ქვეყანაში დარღვეულია ეკოლოგიური ბალანსი (სამწუხაროდ, ჩვენთან არ არსებობს ეკოლოგიური ბალანსის სტატისტიკა), მაშინ როდესაც ეკოსისტემა სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტია და ხელს უწყობს არამხოლოდ საზოგადოების ჯანდაცვას, არამედ ეკონომიკის ზრდასაც.

რაც შეეხება მშპ-ს ორნიშნა ზრდას (1996-1997 და 2004 წლებში), ის გამოწვეული იყო მხოლოდ ე.წ. **მკვეთრი ზრდის ეფექტით, ეკონომიკის აღდგენითი ზრდით** და „ჩრდილოვანი“ ეკონომიკის ლეგალიზაციით.

სწორედ რომ ამ გარემოებების გათვალისწინებით უნდა იქნეს შემუშავებული ქვეყნის შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკა.

ეკონომიკური განვითარების არსი და მაჩვენებლები

ეკონომიკური განვითარება შედარებით ახალი ცნებაა და გაცილებით ფართოა, ვიდრე ეკონომიკური ზრდა. ის ასახულია სახელმძღვანელოებში და ისწავლება მსოფლიოს მრავალ უმაღლეს სასწავლებელში. (Hayami, Godo 2002.) ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია განვასხვავოთ ეკონომიკური ზრდა და ეკონომიკური განვითარება. ერთი შეხედვით, საკითხის ამდაგვარად დაყენება ტავტოლოგიაა, მაგრამ უფრო სიღრმისეული შესწავლისას დავინახავთ პრინციპულ განსხვავებას მათ შორის, რაც ეკონომიკის ტექნიკურ-ეკონომიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ მხარეებს შორის განსხვავებიდან გამომდინარეობს. პირველი გულისხმობს ეკონომიკის განვითარებას მისი საწარმოო პოტენციალის განვითარების თვალსაზრისით, ხოლო მეორე აქცენტს აკეთებს ეკონომიკის განვითარების სოციალურ შედეგებზე. რ.დორნბუში და ს.ფიშერი თვლიან, რომ ეკონომიკურ განვითარებას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ის მოიცავს საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდს... და მისი განვითარების დონე განისაზღვრება არამარტო მშპ-ის რეალური დონით მოსახლეობის ერთ სულზე, არამედ ისეთი მაჩვენებლებითაც, როგორცაა ჯანმრთელობის მდგომარეობა, განათლება და ადამიანთა სიცოცხლის ხანგრძლივობა. ეს კი შესაბამისობაშია გაეროს სტატისტიკური კომისიის მიერ შემუშავებული ადამიანის განვითარების ინდექსთან. ამ თვალსაზრისით, გარკვეულწილად, ეკონომიკური განვითარების მოდელი არის „სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკური“ მოდელის გაგრძელება, რასაც ადგილი აქვს დასავლეთ გერმანიასა და სკანდინავიის ქვეყნებში XX საუკუნის მეორე ნახევრიდან.

ცნობილია, რომ ეკონომიკური ზრდა ფასდება მშპ-ს (მათ შორის მოსახლეობის ერთ სულზე) რეალური გამოშვების მაჩვენებლით, ხოლო

ეკონომიკური განვითარება ბევრად უფრო ფართოა, ვიდრე ეკონომიკური ზრდა. ის უფრო სოციალურად ორიენტირებულია და ასახავს ქვეყნის განვითარების მრავალ შრეს.

ეკონომიკური განვითარება აჩვენებს, თუ რა ეფექტი მოაქვს ეკონომიკურ ზრდას უშუალოდ მოსახლეობისათვის, როგორ იზრდება ქვეყანაში ცხოვრების დონე და, შესაბამისად, ის გაიზომება ისეთი მაჩვენებლებით, როგორიცაა: რეალური შემოსავალი (მშპ) მოსახლეობის ერთ სულზე, განათლების დონე, ჯანდაცვის დონე (მაგალითად, ექიმთა რაოდენობა 1000 კაცზე), ეკოლოგიის სტანდარტების დაცულობა. ამასთან, ეკონომიკურ განვითარებას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს: ინფრასტრუქტურის (ტრანსპორტი, კომუნიკაციები) დონე; მომსახურების სექტორის ეფექტიანობა,* კორუფციის დაბალი დონე, შრომის მწარმოებლურობა, სამუშაო ძალის მობილობა, უცხოური ინვესტიციებისა და დახმარების ნაკადები, დანაზოგების და ინვესტიციების დონე და ა.შ.

ახლა განვიხილოთ, თუ როგორი შეიძლება იყოს ეკონომიკური ზრდა განვითარების გარეშე:

1. ეკონომიკური ზრდის შედეგები აისახება მოსახლეობის მხოლოდ მცირე რაოდენობის მდგომარეობაზე. მაგალითად, ნავთობით მდიდარ ქვეყანაში ადგილი აქვს მშპ-ის ზრდას. შეიძლება ამ შემთხვევაში ფირმის შემოსავალი მკვეთრად იზრდებოდეს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს სიკეთე თანაბრად აისახება მთელ მოსახლეობაზე. ამ პრობლემის აქტუალურობას ხაზს უსვამს ამერიკელი ეკონომისტი “The Economy should serve the people. We do not have to accept “market” outcomes. There is no “invisible hand” guiding us toward equilibrium. All economies are always controlled – the only questions are by whom and for whom. Our economy (U.S. Economy – T.B.) has increasingly become controlled by and for the top one percent, or really – by and for one-tenth of one percent”. (Randel L. Weay, 2017, 111) არააუტენტური თარგმანი: ეკონომიკა უნდა იყოს ხალხის სამსახურში. ჩვენ ვერ ვიღებთ საბაზრო ეკონომიკის შედეგებს. არ არსებობს „უხილავი ხელი“, რომელსაც მივყავართ წონასწორობისაკენ. ყველა ეკონომიკა კონტროლდება - საკითხავია, ვისგან და ვისთვის. აშშ-ს ეკონომიკა გახდა კონტროლირებადი მოსახლეობის 1%-ის მიერ, რეალობაში კი 1%-ის მეთათვის მიერ.

2. კორუფცია, ფულის გათეთრება. ქვეყანას შეიძლება ჰქონდეს მშპ-ს მაღალი დონე, მაგრამ მისი ზრდის ეფექტი აისახებოდეს მხოლოდ ოლიგარქების და პოლიტიკოსების საბანკო ანგარიშებზე. ამასთან დაკავშირებით, აქტუალურია საკითხი, როგორ გავზომოთ კორუფციის დონე საქართველოში. სამართლებრივი სტატისტიკა იძლევა კორუფციაში დანაშაულთა მხო-

* ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია რ. ასათიანის მონოგრაფიული გამოკვლევა: მომსახურება და საბაზრო სისტემა. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა ~, 1993.

ლოდ მშრალ სტატისტიკას, რაც არის მედლის მხოლოდ ერთი მხარე, ბევრად უფრო აქტუალურია საკითხი, თუ რა ზიანი მოაქვს ქვეყნისათვის კორუფციას, კერძოდ, საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემაში (Shevardnadze K., Chechelashvili R. Chocheli V., Khaduri N., Papava V. 2000) და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკაში? ცალკე საკითხია - ფულის გათეთრება, როდესაც ფულადი მასა არ ემსახურება სამეურნეო ბრუნვას და ატარებს მხოლოდ გარკვეული ჯგუფების ფინანსურ ინტერესებს.

3. ეკოლოგიური პრობლემები. ტოქსიკური ქიმიური პროდუქტების (და სხვა მავნე პროდუქტების) წარმოება ზრდის მშპ-ს, მაგრამ მათი წარმოების არასწორი რეგულირებით შეიძლება ზიანი მივაყენოთ გარემოს და ჯანდაცვას, რაც ბევრად უფრო ძვირი უჯდება საზოგადოებას, და, საერთოდ, ქვეყანას.

4. ეკონომიკის გადატვირთულობა (overburdened of economy). აქცენტის აღებამ მხოლოდ ეკონომიკური ზრდის ტექნიკურ-ეკონომიკურ მხარეზე, ანუ სოციალური მაჩვენებლების გაუთვალისწინებლობამ შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკაში რესურსების გადახარჯვა, რაც ასევე მიუღებელია სტაბილური განვითარებისათვის;

5. წარმოებული პროდუქციის გამოყენების არასათანადო დონე. ერთი შეხედვით, ეს პარადოქსულად ჟღერს, მაგრამ ეს ძალზედ აქტუალური საკითხია და დაკავშირებულია, ერთი მხრივ, განაწილებითი ურთიერთობების ეფექტიანობასთან და, მეორე მხრივ, რესურსების არაადეკვატურ ალოკაციასთან (განაწილებასთან).

6. ხარჯები შეიარაღებაზე. ბიუჯეტში ხარჯების ოპტიმალური დაგეგმვა და მათი განევა მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისათვის (საქართველოსათვის ბოლო წლებში ეს ძალზედ აქტუალური იყო, ვინაიდან შეიარაღებაზე ხარჯების ზრდამ მნიშვნელოვანწილად შეამცირა სოციალური ხარჯები). აქვე აღვნიშნავთ, რომ ჯერ კიდევ XIX საუკუნის მიწურულს (1892 წ.) გერმანელმა ეკონომისტმა ადოლფ ვაგნერმა აღწერა ტენდენცია ეკონომიკის სახელმწიფო სექტორის ზრდისა: სახელმწიფო ხარჯები უფრო მეტად იზრდება, ვიდრე ეროვნული წარმოება. აქედან გამომდინარე, მშპ-ს ზრდა იწვევს სახელმწიფო ხარჯების დაჩქარებულ ზრდას, ხოლო დემილიტარიზაცია გვევლინება სოციალურ-ეკონომიკური დინამიკის ფაქტორად.

7. ეკონომიკური ზრდის რეგიონული ფაქტორი. დღეს ცნობილი მიზეზების გამო (მხედველობაში მაქვს კორონოვირუსი) ქვეყნებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობებს მნიშვნელოვანი რისკები ახასიათებს. დარღვეულია კავშირი წარმოებასა და მოხმარებას შორის. უფრო მეტიც, ეკონომიკური კავშირების რღვევას ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისამდე მივყავართ და ამ კავშირების აღდგენა მოკლევადიან პერიოდში რთული იქნება. ჩვენი აზრით, ამ სიტუაციაში წინა პლანზე გამოდის ეკონომიკის აღდგენის

და შემდგომი ზრდის რეგიონული ფაქტორი, ვინაიდან გლობალური ეკონომიკა შეძლებს დაუბრუნდეს ძველ პოზიციებს, უკეთეს შემთხვევაში, საშუალოვადიან პერიოდში.

დაბოლოს, შევეცადოთ ვუპასუხოთ კითხვას: შეიძლება თუ არა ეკონომიკური განვითარების მოდელის გამოყენება ტრანსფორმაციული (პოსტკომუნისტური) ეკონომიკების ანალიზისას ან მათი სამომავლო განვითარებისათვის?

ჩვენი აზრით, აღნიშნული მოდელის გამოყენება თანამედროვე ეტაპზე მიზანშეწონილია იმ თვალსაზრისით, რომ პირველი, გასული წლების ეკონომიკურმა რეფორმებმა, ფაქტობრივად, მოშალეს ქვეყნის სოციალური ორიენტაცია და მიზნად გაიხადეს მხოლოდ ტექნიკურ-ეკონომიკური ზრდა. მეორე - თანამედროვე პირობებში მნიშვნელოვანია კორონომიკის ფენომენის გავლენა ეკონომიკაზე. ამიტომ, აუცილებელია ამ მოდელის გამოყენება. საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული უნდა იქნეს არსებული ჩამორჩენის დაძლევისაკენ.

ლიტერატურა:

- პაპავა ვ., ჭარაია ვ. (2020) კორონომიკური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკის ზოგიერთი გამოწვევა. ექსპერტის აზრი. #136. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი;
- პაპავა ვ. (2018) ეკონომიკური მეცნიერების კრიზისი და ახალი პარადიგმის ძიებისათვის. გლობალიზაცია და ბიზნესი. სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი. ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში: თეორია და პრაქტიკა.
- მექვაბიშვილი ე. (2018) გლობალიზაციის ეპოქის ფინანსური კრიზისები და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, 2018.
- მექვაბიშვილი ე.(2018) ეკონომიკური კრიზისების თეორია თუ ეკონომიკური თეორიის კრიზისი. გლობალიზაცია და ბიზნესი. სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი. ევროპის უნივერსიტეტი. თბილისი.
- შევარდნაძე კ., ჩეჩელაშვილი კ., ჩოხელი ვ., ხადური ნ., პაპავა ვ. (2000). საგადასახადო კორუფციის ინდექსები. თბილისი, გამომცემლობა შპს კომპანია "იმპერიალი"
- Karl E. Case, Ray C. Fair. (2007) Principles of Economics. Eighth Edition. Pearson Prentice Hall.. P.543-698;
- კახნიაშვილი ჯ. (1996) მაკროეკონომიკა . თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“ გვ. 210-277 .
- Hayami Y. and Godo Y. (2002.) Development Economics. From the Poverty to the Wealth of Nations. Third Edition.
- Alwis A. de. "Coronomics – Plan for Your Eggs and the Basket!". Daily FT, 2020, February, 25 www.ft.lk/columns/Coronomics-%E2%80%93-Plan-your-eggs-and-the-basket-/4-695109

- Colander D. (2005). The Making of an Economic Redux. Journal of Economic Perspectives. Vol. 19, # 1, pp.175-198;
- L. Randel Weay(2017)Trumponomics: Causes and Perspectives. N.Y.USA p.111; <http://raecon.net/PAEReview/issue78/Wray78pdf>
- Дорнбуш Р., Фишер С. (1997) Макроэкономика/ Пер. с англ. – М.: Изд-во МГУ; ИНФРА, 1997. с.719;
- Ольсевич Ю.Я. (2011) Фундаментальная неопределенность рынка и концепции современного кризиса. Москва. Институт экономики РАН. – с.47;
- Папавა В. Г. (2020) Об экономическом росте в посткоммунистических странах Восточной Европы// Экономика и математические методы, 2020, том 56, #1, с.34-43.
- Стиглиц Дж. Ю. (2003) Глобализация: тревожные тенденции/ Пер. с англ. М.: Мысль, 2003. – 300 с.
- Шумпетер Й. (1995) Капитализм, социализм и демократия. Пер. с англ. Москва. Экономика.
- Murrell P. Can Neoclassical Economics Underpin the Economic Reform of the Centrally Planned Economics // Journal of Economic Perspectives 5(4) (1991). P.59-76;
- Galbraith John Kenneth. The Affluent Society. A Mariner Book. Houghton Mifflin Company. Boston . New York. 276 p.
- Simon Kuznets-Prize Lecture to the memory of Alfred Nobel. December 11, 1971. From Nobel Lectures, Economics 1969-1980, Editor Assar Lindbeck, World Scientific Publishing Co., Singapore,1992.

References:

- Papava, V.Charaia V. (2020). koronomikuri krizisi da sakartvelos ekonomikis zogierti gamotsveva [Coronomics Crisis and Challenges for Economics. Expert Opinion. #136. Georgian Foundation for Strategic and International Relations Studies.] in Georgian.
- Papava V. (2018) ekonomikuri metsnierebis krizisi da akhali paradigmis dziebisatvis. [“The Crisis of Economics and for search of the New Paradigm”. Scientific-practical Journal. Actual Problems of Economy and Business in Modern Globalization: Theory and Practice.] in Georgian.
- Mekvabishvili E. (2018). globalizatsiis epokis pinansuri krizisebi da sakartvelos ekonomika. [The Financial Crisis of the Globalization Era and the Economy of Georgia. Tbilisi, 2018.] in Georgian.
- Mekvabishvili E. (2018). ekonomikuri krizisebis teoria tu ekonomikuri teoriis krizisi. [Economic Crisis Theory or Economic Theory Crisis? Scientific-Practical Journal. Actual Problems of Economy and Business in Modern Globalization: Theory and Practice.] in Georgian.
- Shevardnadze K., Chechelashvili R., Chocheli V., Khaduri N., Papava V. (2000) sagadasakhado koruptsiis indeksebi. [Indexes of Tax Corruption. Tbilisi, Publisher “Company Imperial Ltd.”] in Georgian.
- Karl E. Case, Ray C. Fair. Principles of Economics. Eighth Edition. Pearson Prentice Hall. 2007. P.543-698;

- Kakhniashvili J. (1996) makroekonomika. [Macroeconomics. Tbilisi, "siaxe", pp.210-277 .] in Georgian.
- Hayami Y. and Godo Y. (2002.) Development Economics. From the Poverty to the Wealth of Nations. Third Edition.
- Alwis A. de. "Coronomics – Plan for Your Eggs and the Basket!". Daily FT, 2020, February, 25 [www.ft.lk/columns/Coronomics-%E2%80%93-Plan your eggs-and-the-basket-/4-695109](http://www.ft.lk/columns/Coronomics-%E2%80%93-Plan-your-eggs-and-the-basket-/4-695109)
- Colander D. (2005). The making of an economic redux. *Journal of Economic Perspectives*. Vol. 19, # 1, pp.175-198;
- Randel L. Weay(2017)Trumponomics: Causes and Perspectives. N.Y.USA pp.111; <http://paecon.net/PAEReview/issue78/Wray78pdf>
- Dornbush P., Fisher C. (1997) Макроэкономика [Macroeconomics Trans. from English - M.: Publishing House of Moscow State University; INFRA, 1997. pp. 719.] in Russian.
- Olsevich I. (2011) Fundamentalnaya neopredelennost rynka i kontseptsii sovremenogo krizisa. [Fundamental market uncertainty and modern crisis concepts. Moscow. Institute of Economics, RAS. - pp. 47.] in Russian.
- Papava V. (2020) Ob ekonomicheskom roste v postkommunisticheskikh stranakh Vostochnoy Yevropy . [On Economic Growth in the Post-Communist Countries of Eastern Europe // Economics and Mathematical Methods, 2020, Volume 56, # 1, pp. 34-43.] in Russian.
- Stiglitz Joseph Eugene (2003) Globalizatsiya: trevozhnyye tendentsii [Globalization: Alarming Trends. Transl. from English pp. 300.]
- Schumpeter J. (1995) Kapitalizm, sotsializm i demokratiya. [Capitalism, Socialism and Democracy. transl.. from English Moscow. Economics.]
- Murrell P. Can Neoclassical Economics Underpin the Economic Reform of the Centrally Planned Economics // *Journal of Economic Perspectives* 5(4) (1991). pp.59-76;

Economic Growth: Qualitative and Quantitative Determinants (Methodological Aspects)

Teimuraz Beridze

*Professor of Ivane Javakhishvili
Tbilisi State University
teimuraz.beridze@tsu.ge*

Economic development looks at a wider range than Gross Domestic Product (GDP) per capita. Economic development mostly is concerned with how people are actually affected. It looks at their actual living standards and social conditions.

Measures of Economic development will look at: Real income per head – GDP per capita; Levels of literacy and education standards; Levels of health care (e.g. number of doctors per 1.000 population); Quality and availability of housing; Levels of environmental standards; Levels of infrastructure (transport, communication);

Levels of corruption; Educational standards and labor productivity; Labor mobility; Flow of Foreign aid & Foreign investment; Level of savings & investment; etc.

Additionally is given official statistics on Georgian Case concerning subject of study. Particularly on the GDP trends (Economic Growth), Employment and Unemployment, Informal Employment, Shadow Economy (or Non-Observed Economy); External Trade and it's Role for National Currency Stability; Natural Resources (Pollution & etc); Regional Factors for Economic Growth (Advantages in Trade).

Keywords: *Economic Growth, Economic Development, Transitional Economy, Transformations economics; Factor Analysis of Economy, Quantitative and Qualitative Determinants of Economy; Covid-19 Influence on Economy.*

ეროვნული წარმოების კონკურენტუნარიანობა და საექსპორტო ბაზრებზე გასვლის სტრატეგიები*

ბადი გერბაია

ასოციირებული პროფესორი
ბათუმის შოთა ჯუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
gechbaia.badri@bsu.edu.ge

გელა მამულაძე

პროფესორი
ბათუმის შოთა ჯუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
mamuladze.gela@bsu.edu.ge

პაატა აროშიძე

ასოციირებული პროფესორი
ბათუმის შოთა ჯუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
aroshidze.paata@bsu.edu.ge

ნანული მახარაძე

ასისტენტ-პროფესორი
ბათუმის შოთა ჯუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
makharadze.nanuli@bsu.edu.ge

მიხა სუქნიშვილი

დოქტორი
ბათუმის შოთა ჯუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
mirzasuknishvili@gmail.com

ნაშრომში შეფასებულია საქართველოში წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობა, განსაზღვრულია ამ პროდუქციის ცნობადობა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საგარეო ბაზრებზე. ევროკავშირთან გაფორმებული ასოციაციის ხელშეკრულებით, ქართულ პროდუქციას გზა გაუხსნა ევროპის ბაზრებზე დაბრუნების გახეშე. ჩატარებული კვლევის საფუძველზე დადგინდა იმ პროდუქციის ახალი, რომელიც იქნება კონკურენტუნარიანი საგარეო ბაზრებზე და შეძლებს პოზიციონირებას.

ბიბლიოგრაფიული კვლევისა და ემპირიულ მასალებზე დაყრდნობით, გამოვლენილია პროდუქციის კონკურენტუნარიანობაზე მოქმედი ფაქტორები და შეფასებულია სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ მსგავსი სახის კვლევა საქართველოში ჯერ არ ჩატარებულა, ის პიხველია თავისი მნიშვნელობით და მისი გამოყენება შესაძლებელია იმ ქვეყნების მკვლევარების მიერ, რომელთა ინტერესის სფეროს წარმოადგენს საგარეო ბაზრებზე გასვლის საკითხები. ჰიპოთეზად აღებულია ის, რომ თუ უცხოელი გულისსი უპიჩატესობას მიანიჭებს ქართული წარმოების პროდუქციას და გამოვლინდა პროდუქტთა ჯგუფი, რომლებიც სხვა თანაბარ პიჩობებში, დიდი უპიჩატესობით ისაჩებებებს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თუ მის ქვეყანაში ეს პროდუქტთა თავისუფლად გავა ბაზარზე, მას თავის დამკვიდრება აჩ გაუჭიხდება.

საკვანძო სიყვებ: ევროკავშირი, ეროვნული წარმოება, კონკურენტუნარიანობა, ექსპორტი, იმპორტი, ცნობადობა.

JEL Codes: F10, F14, F16

* სტატია მომზადებულია ბსუ-ს 2019 წლის მიზნობრივი სამეცნიერო პროექტის ფარგლებში

შესავალი

საქართველოს კურსი ევროკავშირში ინტეგრაციაზე დღის წესრიგში აყენებს ეკონომიკური ზრდის თვისებრივად ახალი მოდელის შემუშავებას. მდგრადი ეკონომიკური ზრდა უნდა გახდეს ქვეყნის სრულფასოვანი განვითარების გარანტია და ხელი შეუწყოს მწვავე სოციალური პრობლემების გადაჭრას (ღალანძე გ. 2014). ექსპორტის მხარდაჭერა ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის განმტკიცების შემადგენელი ნაწილია. თანამედროვე პირობებში ექსპორტის მხარდაჭერა როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ქვეყნების სავაჭრო პოლიტიკის და ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების განუყოფელი ნაწილია. ექსპორტის მდგრადი მხარდაჭერა ერთგვარი წინაპირობაა ეკონომიკაში დამატებითი ვალუტის მოსაზიდად და იმპორტის დანახარჯების დასაფარად, სავაჭრო ბალანსში წონასწორობის შესანარჩუნებლად, საგარეო ვალის ტვირთის შესამსუბუქებლად და ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად. ამასთან, სახელმწიფო საქსპორტო პოლიტიკის თანამედროვე სტრუქტურისა და მისი სათანადო ჩართულობა საერთო ეკონომიკურ პოლიტიკაში ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლების წონადი ფაქტორია.

ეროვნული პროდუქციის საქსპორტო პოტენციალის ზრდა პირდაპირაა დაკავშირებული ამ პროდუქციის ცნობადობის ამაღლებასთან. საქართველოს გააჩნია რიგი ბუნებრივი უპირატესობებისა, რომლის გამოყენებითაც ქვეყანაში წარმოებულმა პროდუქციამ შეიძლება მაღალი პოზიციები მოიპოვოს ევროპულ და ზოგადად საერთაშორისო ბაზარზე, სადაც მთავარი კრიტერიუმი პროდუქციის მაღალი ხარისხი და ეკოლოგიურად სუფთა წარმოებაა. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში წარმოებული პროდუქციის დიდი ნაწილი არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, აქედან გამომდინარე, მას უჭირს გასვლა საერთაშორისო ბაზარზე და გაღწევის შემთხვევაში, დაბალკონკურენტუნარიანია. ეს ხდება იმ დროს, როცა საქართველოს ევროკავშირთან გაფორმებული აქვს ღრმა და ყოვლისმომცველი ასოცირების შეთანხმება, რაც ითვალისწინებს ევროკავშირის ქვეყნებთან თავისუფალ ვაჭრობას (შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებით). მიგვაჩნია, რომ მანამ, სანამ პროდუქცია გავიდოდეს საერთაშორისო ბაზარზე და ვისაუბრებდეთ მისი კონკურენტუნარიანობის შესახებ, აუცილებელია მან დააკმაყოფილოს ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნები და გახდეს უპირობო კონკურენტი სამამულო ბაზარზე.

ცალკეული ქართული წარმოების პროდუქციის კონკურენტუნარიანობა ადგილობრივ ბაზარზე საკმარისად არ არის შესწავლილი. თუმცა, ფასების კვლევა ხდება იმ შემთხვევაში, როცა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური („საქსტატი“) ადგენს სამომხმარებლო კალათის ღირებულებას. ამ დროს ფასების კვლევას ექვემდებარება საქართველოს

სხვადასხვა ქალაქის აგრარული ბაზრები. მიღებული კვლევის შედეგები საშუალებას იძლევა ცალკეული დასახელების პროდუქცია შესწავლილ იქნეს არამხოლოდ ფასების ჭრილით, არამედ კონკურენტუნარიანობის სხვა მაჩვენებლების მიხედვითაც.

კვლევისათვის შერჩეულ იქნა ქართული წარმოების გამაგრირებული სასმელები, არაალკოჰოლური პროდუქცია, ლუდი და რძის პროდუქტები.

კვლევის ჩატარების დროს, აქცენტი გაკეთდა ქალაქ ბათუმის სამომხმარებლო ბაზარზე. საკვლევი პროდუქტებისა და კვლევის არეალის ასეთი არჩევანი განაპირობა შემდეგმა ფაქტორებმა:

- ბათუმი წარმოადგენს ქვეყნის უმსხვილეს ტურისტულ ქალაქს;
- ტურისტული პოტენციალი ვლინდება არამარტო შიდა ტურიზმის, არამედ საგარეო ტურიზმის მიმართულებითაც;
- ზაფხულის პერიოდში იზრდება მოთხოვნა;
- ადგილობრივ ბაზარზე წარმოდგენილია როგორც სამამულო წარმოების, ასევე იმპორტირებული პროდუქცია;

• ადგილობრივი მოსახლეობისა და ტურისტების მყიდველობითი უნარი საშუალოზე მაღალია;

• შერჩეული პროდუქცია არ მიეკუთვნება არც ფუფუნების საგანთა რიცხვს და არც პირველადი მოთხოვნილების პროდუქციას;

• მომხმარებელთა მხრიდან არჩევანის თავისუფლება გარანტირებულია, რადგან მწარმოებელთა რაოდენობა საკმაოდ დიდია;

ბათუმის, როგორც კვლევის არეალის არჩევა განაპირობა იმანაც, რომ ზაფხული ტურისტული სეზონია და მოსახლეობის საშუალო შემოსავალი მაღალია. შემოსავლებში სხვაობა ძირითადად განპირობებული იმით, რომ ტურისტულ სეზონზე ბათუმს სტუმრობს უამრავი უცხოელი ტურისტი, რომელთა ხარჯზეც ხდება საშუალო სტატისტიკური შემოსავლის ზრდა.

გამომდინარე იქედან, რომ საქართველოს მასშტაბით, მოსახლეობის უმეტესი ნაწილის შემოსავლები დაბალია, კონკურენციის მთავარ სახედ გვევლინება საფასო კონკურენცია. დაბალი შემოსავლის მქონე ადამიანი ცდილობს ფიქსირებული თანხით უფრო მეტი რაოდენობის პროდუქცია შეიძინოს, ამ შემთხვევაში, მისთვის არჩევანის გაკეთების მთავარი მოტივია დაბალი ფასი. ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, როგორიცაა ხარისხი, მეორე რიგში დგას.

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა შემდეგი მეთოდოლოგია: ბიბლიოგრაფიული კვლევა, მონაცემთა შეგროვება, დაკვირვება, გამოკითხვა და ინდივიდუალური ინტერვიუ (ჩაღრმავებული ინტერვიუ). მონაცემთა შეგროვების მეთოდი ძირითადად გამოყენებულია ადგილობრივ სუპერმარკეტებში, სადაც მოხდა ფასების დეტალური აღრიცხვა. ფასების შესახებ მონაცემები შეგროვდა სხვადასხვა ობიექტებზე.

ქართული პროდუქციის მიმართ, მომხმარებელთა დამოკიდებულების შესწავლისათვის, ჩატარდა ორეტაპიანი გამოკითხვა. პირველ ეტაპზე (აპრილ-ივნისი) გამოიკითხა ქართველი მომხმარებელი იმის გასარკვევად, თუ რომელი წარმოების (სამამულო, იმპორტირებული) პროდუქციას და რა კრიტერიუმებით ანიჭებენ უპირატესობას, ხოლო მეორე ეტაპზე (აგვისტო-სექტემბერი) გამოიკითხა ბათუმში ვიზიტორი უცხოელი ტურისტები. კვლევის სანდოობისათვის გამოკითხულ იქნა ქალთა და მამაკაცთა თითქმის ერთი და იგივე რაოდენობა, ასაკობრივი მაჩვენებლების მიხედვით ძირითადად სჭარბობდა ახალგაზრდა და საშუალო ასაკის რესპოდენტები, რომელთა შემოსავალი საშუალოზე დაბალია, თუმცა, საკმაოდაა ისეთი რესპოდენტებიც, რომელთა შემოსავალი საშუალოზე მაღალია ან მიეკუთვნებიან მაღალ შემოსავლიან ოჯახებს.

კვლევის შედეგები და მისი განხილვა

საერთაშორისო ბაზარზე პროდუქტის კონკურენტუნარიანობას მრავალი ფაქტორი განაპირობებს და თითოეულის ანალიზი დამოუკიდებელი კვლევის საგანს წარმოადგენს. მოცემულ სტატიაში განხილულია ის ფუნდამენტური ფაქტორები, რომელთა გარეშეც შეუძლებელია საექსპორტო ინდუსტრიის განვითარება. საერთაშორისო ბაზარზე ადგილობრივი პროდუქტის კონკურენტუნარიანობის ზრდისა და საექსპორტო ინდუსტრიის განსავითარებლად, პირველ რიგში, აუცილებელია სავაჭრო პარტნიორის სწორად შერჩევა. იმისთვის, რომ ქართულმა პროდუქტმა თავი დაიმკვიდროს საერთაშორისო ბაზარზე, საჭიროა ისეთი საექსპორტო ბაზრის შერჩევა, რომელიც სტაბილური ეკონომიკითა და მზარდი მოთხოვნით ხასიათდება. სტაბილური გასაღების ბაზრის გარეშე შეუძლებელია გრძელვადიანი საექსპორტო სტრატეგიის განვითარება და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტული ნიშის დაკავება.

გამოკითხულ რესპოდენტთა უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს ქართულ პროდუქციას, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ქართული პროდუქციისადმი ნდობა გაცილებით მაღალია. ამის გამომწვევი მიზეზი ისაა, რომ ქართულ პროდუქციაში მომხმარებლები ხედავენ მაღალ ხარისხს, მისაღებ ფასს, რომელიც შესაბამისობაშია შემოსავლებთან. მომხმარებლები, ქართულ პროდუქციასთან ერთად, იძენენ უცხოური წარმოების პროდუქციასაც, უმეტესად იმ შემთხვევაში, როცა ქართული ანალოგი არ მოიპოვება ან მისი ფასი შემოსავალთან შედარებით მაღალია, თანაბარ პირობებში, მომხმარებელი უპირატესობას ანიჭებს ეროვნულ პროდუქციას (პატრიოტული მოტივებიდან გამომდინარე).

ქართული პროდუქციისადმი სანდოობის დონე (რესპონდენტთა რაოდენობა)

ცხრილი 1

1	პროდუქცია	ძალიან მაღალი	მაღალი	საშუალო	დაბალი	ძალიან დაბალი	სულ
2	ალკოჰოლური/ ღვინო	120	186	146	41	17	510
3	არაალკოჰოლური	66	166	192	39	11	474
4	გამაგრებელი სასმელები	70	162	180	55	15	482
5	ლუდი	71	150	165	50	15	451
6	სოფლის მეურნეობის პროდუქტები	137	179	103	32	4	455
7	სხვა	7	10	21	9	2	49

როგორც მოცემული ცხრილიდან ირკვევა, ქარბობს სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე სანდოობის დონე, რომელიც მთლიანობაში შეადგენს 29%-ს. კვლევის პროცესში ქართული ღვინო სპეციალურად იქნა გამოირიცხული, რადგან ვთვლით, რომ ის ისედაც მაღალკონკურენტუნარიანია, თუმცა, კვლევამ აჩვენა, რომ უცხოელი მომხმარებელი მიუხედავად იმისა, რომ ღვინო არ ფიგურირებს ჩამონათვალში, ქართული პროდუქციის ხარისხისა და სანდოობის ეტალონად მაინც ღვინოს მიიჩნევს. ლუდი და გამაგრებელი სასმელების შემთხვევაში ის შესაბამისად 15-15%-ს შედგენს, ხოლო არაალკოჰოლურის – კი 14%-ია.

საქონლის ყიდვის გადაწყვეტილების მიღებაზე სავაჭრო მარკას ქართველ რესპონდენტთა მხოლოდ 8% ანიჭებს უპირატესობას, ხარისხს - 48%, ფასს - 23%, რეკლამას - 12%, ხოლო საჭიროებას - 9%. რესპონდენტთა 70%-ისათვის შეფუთვა მნიშვნელოვანია. როგორც კვლევიდან ირკვევა, მომხმარებელთა გადაწყვეტილებაზე პროდუქციის შექმნის მომენტში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კომპანიის მიერ გამოყენებული მასტიმულირებელი საშუალებები (61%).


კვლევის ფარგლებში გამოკითხულ უცხოელთა საბოლოო შედეგების განხილვით გამოვლინდა, რომ ისინი საქართველოში ვიზიტისას თანაბრად ირჩევენ ქართულ და უცხოურ პროდუქციას. ამ შემთხვევაში ფასი, რომელიც ქართველი მომხმარებლისათვის უმთავრეს კრიტერიუმს წარმოადგენს, მთავარი განმსაზღვრელი არ არის უცხოელებისათვის, ისინი მთავარ ფაქტორად პროდუქციის ხარისხს მიიჩნევენ. ასეთი შედეგი, ბუ-

ნებრივია, რადგან უცხოელ ტურისტთა მიერ დახარჯული თანხები ძირითადად მიიღობა კვებაზე (სასტუმრო და გასართობი დაწესებულებების გარდა). გამოკითხულთა 60 % საშუალო შემოსავალთა ჯგუფს მიეკუთვნებოდა. ეს ფაქტორიც ახსნადია, რადგან საქართველოს ტურისტული პოტენციალი ძირითადად საშუალო შემოსავლის მქონე უცხოელ ტურისტებს ემსახურება. მაღალი შემოსავლის მქონე უცხოელები არჩევენ ძირითადად აკეთებენ საყოველთაოდ ცნობილ პროდუქციაზე. მცირეა იმ ტურისტთა რაოდენობა, რომლებიც პროდუქციას „პატრიოტული“ მოტივით შეიძენენ, მაშინ როცა, ქართველი მომხმარებლისათვის „პატრიოტიზმის“ გამოვლენა შესყიდვის პროცესში მნიშვნელოვანია.

უცხოელ მომხმარებლებში სანდოობით სარგებლობს სოფლის მეურნეობის პროდუქცია, რადგან ისინი მიიჩნევენ, რომ ქართული პროდუქცია ბიოლოგიურად სუფთაა და შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს. ასევე მეტ-ნაკლები მოწონებით სარგებლობს სხვა პროდუქცია. (იხ.დიაგრამა)

ქართული პროდუქციის სანდოობის დონე (უცხოელ რესპონდენტთა შეფასებით)

დიაგრამა 1



წყარო: ავტორთა კვლევის შედეგები

უცხოელი მომხმარებელი განსაკუთრებული ყურადღებით ექცევა საქონლის შეფუთვას და ყიდვის ადგილზე გამოყენებულ სტიმულირების საშუალებებს. მათში საკმაოდ პოპულარულია ქართული ნატურალური წვენები, რასაც ადასტურებს კვლევები (81%). გამოკითხული მომხმარებელი დღეში რამდენჯერმე ყიდულობდა აღნიშნულ პროდუქციას და მათი უმეტესობა მზადაა შეიძინოს ეს პროდუქცია თავიანთ ქვეყანაშიც, თუ უზრუნველყოფილ იქნება შესაბამისი მიწოდება, ქართული ნატურალური წვენე-

ბის ასეთი მოწონება განპირობებულია მაღალი ხარისხით, მიმზიდველი შეფუთვით და მისაღები ფასით.

ადგილობრივი პროდუქციის კონკურენტუნარიანობაზე მოქმედებს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: ბაზრის წილი, ფასი, განმასხვავებელი ფაქტორები, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების დონე, რომელიც პირდაპირ კავშირშია პროდუქციის ხარისხთან, კონკურენციის სიმწვავე, კლიენტთა კონცენტრაცია და იმიჯი. ამ კრიტერიუმებისა და ფასების კვლევის საფუძველზე, შესაძლებელია განვსაზღვროთ ქართული წარმოების კონკურენტუნარიანობის ძირითადი მახასიათებლები.

- ბაზრის წილის ფლობის მიხედვით - ქართული წარმოების არაალკოჰოლური პროდუქცია, გამაგრებელი სასმელები და ლუდი დაბალი კონკურენტუნარიანობით გამოირჩევა, საშუალო მაჩვენებელს აკმაყოფილებს სოფლის მეურნეობის პროდუქცია, ხოლო ალკოჰოლური პროდუქცია (ღვინო) გამოირჩევა მაღალი კონკურენტუნარიანობით. ქართული წარმოების პროდუქციის კონკურენტუნარიანობა ამ კრიტერიუმის მიხედვით შეიძლება შეფასდეს საშუალო მაჩვენებლის მიხედვით;

- ფასი – მნიშვნელოვან ადგილს იჭერს კონკურენციულ სტრატეგიებს შორის, მიუხედავად იმისა, რომ დაშვების პირობად მივიჩნიეთ, რომ საკვლევ ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსახლეობისა და ტურისტების შემოსავალი საშუალოზე მაღალია, მომხმარებელი ქვეცნობიერად პირველ აქცენტს აკეთებს ფასზე, ხოლო შემდეგ სხვა მახასიათებლებზე. ამ ფაქტორის მიხედვით, ადგილობრივ ბაზარზე ქართული და უცხოური პროდუქციის ფასები თითქმის ერთი და იგივეა, რაც გარკვეულ პარადოქსს წარმოადგენს. მიზეზი ისაა, რომ ქართული წარმოების პროდუქცია, რომელთა ფასებიც იგივეა, რაც უცხოური წარმოებისა, შედგება მთლიანად იმპორტირებული ნედლეულისაგან და შესაფუთი მასალებისაგან, რომელთა თვითღირებულებაც მოიცავს იმპორტის გადასახადსაც, ამიტომ მათი ფასი მცირედით ჩამორჩება უცხოურ ანალოგიურ პროდუქციას, ხოლო ზოგჯერ ამეტებს მას; რაც შეეხება საგარეო ბაზარს, არაალკოჰოლური პროდუქცია და ლუდი დაბალი ფასების დიაპაზონშია, ხოლო ალკოჰოლური პროდუქცია (ღვინო), გამაგრებელი სასმელები და სოფლის მეურნეობის პროდუქცია, ფასის მიხედვით, საშუალო მაჩვენებლებით გამოირჩევა;

- განმასხვავებელი ფაქტორები, რომელშიც იგულისხმება შესაფუთი მასალები, კვლევისათვის აღებული პროდუქციის შეფუთვა ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავდება, უფრო მეტი განმასხვავებელი ნიშნები გააჩნია ევროპაში წარმოებულ პროდუქციას; მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა ღვინო და სოფლის მეურნეობის პროდუქცია, ხოლო სხვა დანარჩენი გამოკვლეული პროდუქცია დაბალ და საშუალო საფეხურებზე დგას;

- თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება - ამ მაჩვენებლის მიხედვით მაღალკონკურენტუნარიანია ალკოჰოლური პროდუქცია, ხოლო

სხვა პროდუქცია საშუალო კრიტერიუმებს აკმაყოფილებს. ამის ძირითად მიზეზს წარმოადგენს ის, რომ ღვინის წარმოების ქართული ტრადიცია აღიარებულია საერთაშორისო მასშტაბით;

- კონკურენციის სიმწვავის მიხედვით ყველა ქართული პროდუქცია მოექცა კონკურენტუნარიანობის მაღალ დიაპაზონში, რადგან ევროპულ ბაზარზე ზოგადად მაღალი კონკურენციაა და პოზიციონირებისათვის აუცილებელია ქმედითი სტრატეგიული ღონისძიებების გატარება;

- კლიენტთა კონცენტრაცია და პროდუქციის იმიჯი - პირდაპირ კავშირშია ერთმანეთთან, რადგან, რაც უფრო მაღალია პროდუქციის ცნობადობა, მით მაღალია კლიენტთა კონცენტრაცია. საკვლევ ობიექტზე, უცხოური წარმოების პროდუქციას უფრო მაღალი იმიჯი და კლიენტთა კონცენტრაცია ახასიათებს, ვიდრე ქართული წარმოების პროდუქტებს. ამის ახსნა შესაძლებელი იმით, რომ ბათუმში, როგორც საკვლევ ქალაქში, როცა კვლევა ჩატარდა, უცხოელ ტურისტთა რაოდენობა საკმაოდ მაღალი იყო, რამაც გავლენა მოახდინა არსებულ სიტუაციაზე, შესაბამისად, უცხოური პროდუქციის იმიჯი უფრო მაღალია. ქართული წარმოების პროდუქციის იმიჯი საშუალო დონეზეა. ასეთივე მაჩვენებელი ფიქსირდება საგარეო ბაზრებზეც (იხ.ცხრილი).

კვლევით მიღებული შედეგებისა და ცხრილის გაანალიზების საფუძველზე შესაძლებელია გამოიკვეთოს საექსპორტო ბაზრებზე ეროვნული წარმოების გასვლის სტრატეგია. მიგვაჩნია, რომ უნდა არსებობდეს როგორც ექსპორტის წარმოების ზოგადი სტრატეგია, ასევე სასურველია, თითოეული საექსპორტო პროდუქციისათვის ინდივიდუალურად განისაზღვროს შესაბამისი სტრატეგიები. ჩვენ მიერ საკვლევ პროდუქტების არეალი საგარეო ბაზარზე დიდ კონკურენციას განიცდის. როგორც კვლევით მიღებული შედეგებიდან ჩანს, ნებისმიერი პროდუქცია, რომელიც საექსპორტოდაა გამიზნული, დიდ კონკურენციას აწყდება. თვით ყველაზე ცნობილ ქართულ ღვინოსაც კი საგარეო ბაზარზე ბევრი კონკურენტი ჰყავს.

საექსპორტო სტრატეგიის ჩამოყალიბებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა დაინტერესებულმა მხარემ: სახელმწიფომ, მწარმოებელმა, ექსპორტის განმახორციელებელმა პირმა. თითოეულმა მათგანმა დანვრილებით უნდა შეისწავლოს მისი მიმართულება და შეჯერების მექანიზმით მოახდინოს სტრატეგიის შემუშავება. თითოეულის როლი შესაძლებელია შემდეგნაირად გადანაწილდეს:

ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის შეფასების კრიტერიუმები

ცხრილი 2

კრიტერიუმები	შეფასების დიაპაზონი		
	დაბალი	საშუალო	მაღალი
ბაზრის წილი	არაალკოჰოლური პროდუქცია, გამაგრილებელი სასმელები, ლუდი	სოფლის მეურნეობის პროდუქცია	ალკოჰოლური პროდუქცია (ღვინო)
ფასი	არაალკოჰოლური პროდუქცია, ლუდი	ალკოჰოლური პროდუქცია (ღვინო), გამაგრილებელი სასმელები, სოფლის მეურნეობის პროდუქცია	
განმასხვავებელი ფაქტორები	ლუდი	არაალკოჰოლური პროდუქცია, გამაგრილებელი სასმელები	ალკოჰოლური პროდუქცია (ღვინო), სოფლის მეურნეობის პროდუქცია,
თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების დონე		არაალკოჰოლური პროდუქცია, გამაგრილებელი სასმელები, ლუდი, სოფლის მეურნეობის პროდუქცია	ალკოჰოლური პროდუქცია (ღვინო)
კონკურენციის სიმწვავე			ალკოჰოლური პროდუქცია (ღვინო), არაალკოჰოლური პროდუქცია, გამაგრილებელი სასმელები, ლუდი, სოფლის მეურნეობის პროდუქცია,
კლიენტთა კონცენტრაცია	არაალკოჰოლური პროდუქცია, გამაგრილებელი სასმელები, ლუდი	სოფლის მეურნეობის პროდუქცია	ალკოჰოლური პროდუქცია (ღვინო)
იმიჯი	არაალკოჰოლური პროდუქცია, ლუდი	გამაგრილებელი სასმელები, სოფლის მეურნეობის პროდუქცია	ალკოჰოლური პროდუქცია (ღვინო)

წყარო: ცხილი შედგენილია ავტომატურად მიხ

• სახელმწიფო შეიმუშავებს ექსპორტის სტიმულირების ფინანსურ და არაფინანსურ მექანიზმებს. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით არ არსებობს ექსპორტზე გადასახადი, სახელმწიფო სხვადასხვა პროგრამით ასტიმულირებს საექსპორტო პროდუქციის წარმოებას. უცხოეთში განთავსებულ საქართველოს საელჩოებში სპეციალური ეკონომიკური დესპანების თანამდებობა განისაზღვრა, რომელთა მთავარი მოვალეობა, გარდა ინვესტიციების მოზიდვისა, იქნება ქართველი მენარმეე-

ბისათვის იმ ქვეყნის ბაზარზე შეღწევაში დახმარება, რაც გამოიხატება იმ თავისებურებების მენარმისათვის გაცნობაში, რაც ახასიათებს საგარეო ბაზრებს;

- მწარმოებლის უმთავრეს ფუნქციას წარმოადგენს ბაზარს მიანოდოს საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული, თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით დამზადებული პროდუქცია, შეფუთოს თანამედროვე სტანდარტებით და სახელმწიფოს ხელშეწყობით შეისწავლოს და გაანალიზოს საგარეო ბაზარი. ექსპორტის განმახორციელებელმა პირმა უნდა შეიმუშავოს პროდუქციის ბაზარზე გატანის ლოგისტიკური სტრატეგია, რაც უნდა ეყრდნობოდეს ტრანსპორტირების უსაფრთხოებას და მინიმალურ ღირებულებას.

დასკვნა

ეროვნული პროდუქციის უცხოურ ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის აუცილებელი ქმედითი ღონისძიებების შესამუშავებლად საჭიროა მასში ჩაერთოს როგორც სახელმწიფო უწყებები, ასევე თვით კომპანიები. ეს ღონისძიებები პირობითად შეიძლება დაიყოს სახელმწიფო მასტიმულირებელ და კომპანიების მარკეტინგულ ღონისძიებებად:

- ეროვნული პროდუქციის უცხოურ ბაზარზე შეტანისათვის მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც სახელმწიფომ უნდა დააზღვიოს საქონლის ექსპორტის ტრანზაქციებთან დაკავშირებული რისკები, ასევე ფინანსური ინსტრუმენტების შეთავაზებითა და, ზოგადად, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობებით, ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ზრდას და უცხოურ ბაზრებზე ადგილობრივი კომპანიების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას შეუწყოს ხელი.

- სახელმწიფომ უნდა გააძლიეროს მწარმოებელთა საინფორმაციო უზრუნველყოფა, რაც დაარწმუნებს მათ ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო რეჟიმის გამოყენების უპირატესობაში;

- მიზანშეწონილია სახელმწიფოს მხრიდან მწარმოებელთა ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში ხელშეწყობა, რაც გულისხმობს დახმარებას ევროსტანდარტების ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატების მოპოვებაში. სახელმწიფოს შეუძლია გადაჭრას ორგანიზაციული საკითხები და დაეხმაროს სწარმოებს ამ საკითხის მოგვარებაში;

- საჭიროა შემუშავდეს ექსპორტის ხელშეწყობის სტრატეგია, რომელშიც უნდა განისაზღვროს:

- საერთაშორისო მარკეტინგის მეთოდების გამოყენება, რომელიც წარმოადგენს საგარეო ბაზარზე პროდუქტის წარმატებული რეალიზაციის აუცილებელ პირობას. არ შეიძლება წარმატებული საქმიანობის გან-

ხორციელება საგარეო ბაზარზე არსებული სიტუაციის ცოდნის გარეშე. ამ მიმართულებით ფირმებმა, რომლებიც ახორციელებენ საქონლის ექსპორტს, თავიანთი საქმიანობისას ის მეთოდები უნდა გამოიყენონ, რა მეთოდებითაც ხდება საერთოდ ბაზრის გამოკვლევა, რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს შესაბამის ბაზარზე კონიუნქტურული მაჩვენებლების განსაზღვრა და არსებული სიტუაციის ანალიზი. ყოველივე ამის შედეგად დადგინდება წარმატების საკვანძო საკითხები, ფაქტორები, რაც წარმოადგენენ საფუძველს კონკურენტებთან უპირატესობის მიღწევაში. ამისათვის კი უნდა შეიქმნას კონკრეტული სამოქმედო გეგმა და ჩამოყალიბდეს ისეთი სტრატეგიული მიმართულებები, როგორცაა: ფირმების ორიენტაცია კლიენტების მოთხოვნილებებზე, მარკეტინგ-მიქსის ინსტრუმენტების გამოყენება, გასაღების სფეროში განხორციელებული ყოველგვარი საქმიანობის მიზანმიმართული კოორდინაცია და სხვ;

- სწორი ფასწარმოქმნის პოლიტიკის გატარება, რომელიც მარკეტინგული პროგრამის გასაღებია და რომელიც მნიშვნელოვნად მოქმედებს საქონლის კონკურენტუნარიანობაზე და ამავდროულად, კომერციული რისკის შენარჩუნების თავისებურ გარანტად გამოდის. სწორედ ამიტომ, საწარმოებმა ფასწარმოქმნის პოლიტიკის ფორმულირებისას, აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ იმ ბაზარზე არსებული ფასები და ფასწარმოქმნის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, რომელ ქვეყანაშიც ახორციელებენ ან გეგმავენ საქონლის ექსპორტს.

- პროდუქციის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება, რომელიც წარმოადგენს საგარეო ბაზარზე საქონლის კონკურენტუნარიანობის ამაღლების და საექსპორტო პოტენციალის გაზრდის გარანტს. საქონლის ხარისხი, რომელიც მუდმივად უნდა იყოს სტაბილურად მაღალი და სწორედ ამას გვაკლდებულებს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრობა. გამომდინარე აქედან, საჭიროა პროდუქციის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება, რომლის ობიექტური შეფასება მოითხოვს პროდუქციის სახელმწიფო გამოცდებს, ასევე სერტიფიცირების პროცესის დახვეწას, მის სწორად და გამართულად ჩატარებას.

- კომპანიებმა, რომლებიც ახორციელებენ საქონლის ექსპორტს, მუდმივად უნდა იზრუნონ პროდუქციის სრულყოფილ შეფუთვაზე. საქართველოში წარმოებული პროდუქცია, ბევრ შემთხვევაში, ხარისხით და გემური თვისებების შენარჩუნებით, უცხოურზე უკეთესია, მაგრამ არასათანადო შეფუთვის გამო, შესაძლოა ისეთი თვალშისაცემი ვიზუალი ფორმა არ გააჩნდეს, როგორც იმპორტირებულს. ეს კი კომპანიას ხელს უშლის საგარეო ბაზარზე შესაბამისი ადგილის დამკვიდრებას და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას. საქონლის შეფუთვა უნდა განახორციელონ ისეთნაირად, რომ, რომ ის ბაზარზე არსებული მოთხოვნის ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებდეს;

- ცნობადობის ამაღლება, რომელმაც გამოხმაურება უნდა ჰპოვოს საქონლისა და მომსახურების თანმიმდევრული რეკლამირებაში, ბრენდის გრძელვადიანი ფასეულობის შექმნასა და მომხმარებელში უპირატესობის მოპოვებასა და გაყიდვების სტიმულირებაში. სანარმოს მიზანი უნდა იყოს მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია ბრენდის ან კონკრეტული პროდუქციის მოდელის შესახებ და მოახდინოს მისი შემდგომი გაყიდვა.

- საგარეო ბაზარზე წარმატების საფუძველს წარმოადგენს კონკურენტული უპირატესობის მოპოვება, რისთვისაც აუცილებელია სტრატეგიული მარკეტინგული ანალიზი, რომელიც ექსპორტის ხელშემწყობი სტრატეგიის შემადგენელ ნაწილად უნდა განისაზღვროს.

ზემოაღნიშნული ღონისძიებების გატარება ხელს შეუწყობს ეროვნული წარმოების პროდუქციის ექსპორტს და გაზრდის მის კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო ბაზარზე.

ლიტერატურა:

- პაპავაძე. (2015). საქართველოს ეკონომიკა, რეფორმები და ფსევდორეფორმები. თბილისი, გამომცემლობა „ინტელექტი“.
- აროშიძე პ., გეჩბაია ბ. (2017). სამამულო წარმოების ზოგიერთი პროდუქციის კვლევა ადგილობრივ ბაზარზე.
- Aroshidze P., Mamuladze G., Gechbaia B. (2019) Export Problems Of Nationally Produced Goods In The Terms Of Deep And Comprehensive Free Trade Area With The Eu.. Iop Publishing. Journal- IOP Conference Series: Earth and Environmental Science. 274 (2019) 012142
- გეჩბაია ბ. (2019) ეროვნული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის კვლევა უცხოელ ვიზიტორებში. II ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის, ეკონომიკური პოლიტიკა: ეკონომიკისა და პოლიტიკის ურთიერთმოქმედების თანამედროვე გამოწვევები. გამომცემლობა ბათუმის უნივერსიტეტი
- ლალანიძე გ. (2014). საქართველოს საექსპორტო პოტენციალის მენეჯმენტის აქტუალური საკითხები.
- ჭითანავა ნ. (2008) საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები და სტრატეგია. თბილისი, გამომცემლობა ივერიონი.
- ერქომაიშვილი გ. (2013) საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები. გამომცემლობა „უნივერსალი“.
- ხარაიშვილი ე. (2019). ქართული აგროსასურსათო პროდუქტების ბაზრები და ექსპორტის მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკა. II ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის, ეკონომიკური პოლიტიკა: ეკონომიკისა და პოლიტიკის ურთიერთმოქმედების თანამედროვე გამოწვევები. გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“

References:

- Papava V. (2015). sakartvelos ekonomika, repormebi da psevdorepormebi [Georgian Economy, Reforms and Pseudo-Reforms. Tbilisi, Publishing House “Intellect”.] in Georgian.
- Aroshidze P., Gechbaia B. (2017). samamulo tsarmoebis zogierti produktsiis kvleva adgilobriv bazarze [Research of Some Domestic Products in the Local Market.] in Georgian.
- Aroshidze P., Mamuladze G., Gechbaia B.. (2019) Export Problems Of Nationally Produced Goods In The Terms Of Deep And Comprehensive Free Trade Area With The Eu.. Iop Publishing. Journal- IOP Conference Series: Earth and Environmental Science. 274 (2019) 012142.
- Gechbaia B. (2019). erovnuli produktsiis konkurentunarianobis kvleva utskhoel vizitorebshi. [National Product Competitiveness Survey in Foreign Visitors. II National Scientific Conference “Economic Policy: Modern Challenges of Economic and Policy Interaction”. Publishing House “batumis universiteti”.] in Georgian.
- Gaganidze G. (2014). sakartvelos saeksporto potentsialis menejmentis aktualuri sakitkhebi. [Actually Issues of Georgia’s Export Potential Management.] in Georgian.
- Chitanava N. (2008). sakartvelos ekonomikis gamotsvevebi da strategia [Challenges and Strategy of the Georgian Economy. Tbilisi, Publishing House “Iverioni”.] in Georgian.
- Erkomaishvili G. (2013). sakartvelos ekonomikuri ganvitarebis prioritetebi. [Priorities of Economic Development of Georgia. Publishing House “Universali”. in Georgian.
- Kharaisvili E. (2019). kartuli agrosasursato produktebis bazrebi da eksportis mastimulirebeli ekonomikuri politika [Georgian Agrogroceries Products Markets and Export Stimulator Economic Policies. II National Scientific Conference “Economic Policy: Modern Challenges of Economic and Policy Interaction”. Publishing House “batumis universiteti”.] in Georgian.

Competitiveness of National Production and the Strategies for Entering Export Markets

Badri Gechbaia

*Associate Professor, Batumi
Shota Rustaveli State University
gechbaiabadri@bsu.edu.ge*

Gela Mamuladze

*Professor, Batumi Shota
Rustaveli State University
mamuladze.gela@bsu.edu.ge*

Paata Aroshidze

*Associate Professor, Batumi
Shota Rustaveli State
University
aroshidze.paata@bsu.edu.ge*

Nanuli Makharadze

*Assistant Professor, Batumi
Shota Rustaveli State University
makharadze.nanuli@bsu.edu.ge*

Mirza Suqnishvili

*Doctoral Student, Batumi
Shota Rustaveli State University
mirzasuknishvili@gmail.com*

The paper evaluates the competitiveness of products produced in Georgia, defines the recognition of these products, both within the country and in foreign markets. Under the Association Agreement with the European Union, Georgian products have opened the way to European markets without obstacles. Based on the research, the area of products that will be competitive in foreign markets and will be able to position itself has been determined. During the study alcohol production was excluded, as we believe that Georgian wine is highly competitive.

Based on bibliographic research and empirical materials, the factors affecting product competitiveness have been identified and evaluated according to various criteria. It should be noted that such a study has not been conducted in Georgia yet, it is the first of its importance and it can be used by researchers from countries whose field of interest is the issue of entering foreign markets. The hypothesis is that if a foreign tourist prefers Georgian products and a group of products get a great advantage in other equal conditions, we can conclude that if these products are freely marketed in its country, it will not be difficult to gain a foothold in the market.

In order to increase the competitiveness of national products in the foreign market, it is necessary to make arrangements that will involve on the one hand state agencies, and on the other hand companies themselves. These arrangements can be conditionally divided into state stimulus and marketing measures of companies, which include insurance of risks related to the export of goods, information provision of exporters, promotion of quality assurance and development of a framework document for export promotion strategy in general where all the events are to be revealed.

Keywords: EU, national production, competition, export, import, recognition

JEL Codes: F10, F14, F16

მიკროეკონომიკა ◊ მაკროეკონომიკა ◊ ეკონომეტრიკა
MICROECONOMICS ◊ MACROECONOMICS ◊ ECONOMETRICS

**საქართველოს ეკონომიკური მოდელის დარგობრივი
ანალიზი***

ერეკლე პირველი

პროფესორი

კავკასიის უნივერსიტეტის

კავკასიის ბიზნესის სკოლა

epirveli@cu.edu.ge

კვლევის მიზანია საქართველოს ეკონომიკური მოდელის დახვობრივი შესწავლა. ჩვენ გავანალიზებთ საქართველოს კეიძო სექტორის 531 მსხვილი საწახმო, რომლებიც შემდეგ ოთხ დახვში ოპეტირებენ: წახმოება, ვაჭრობა, მომსახურება და ფინანსები. დაკვირვების ობიექტის შესწავლა მოხდა საწახმოთა ხაოდელობის, სიდიდისა და მომგებიანობის შხიდში თითოეული დახვის მიხედვით.

შედეგები გვიჩვენებს, რომ წახმოების სფეხოში საწახმოთა ყველაზე ნაკლები ხაოდელობა (19%) ფუნქციონირებს. აღნიშნული აძლიეხებს იმ ახგუმენტს, რომ ახასწოხი ეკონომიკური მოდელის შედეგად ვეხ გხძნობს საქართველოს მოსახდეობა ეკონომიკური ზხდის ეფექტს. საწახმოთა ზომაზე დაკვირვებით, ასევე, ვიგებთ, რომ ყველაზე დიდი ფინანსური სექტოხია. სიდიდეში სხვაობა ფინანსების სექტოხის საწახმოებსა და სხვა დახვის საწახმოებს შოხის იმდენად თვადშისაცემია, რომ ის ეკონომიკის ახასწოხი მიმახთულებით განვითაეხების კიდეე ეხთი სამწუხაო მანიშნებდეია. მომგებიანობის მხიივ კი ვაჭრობისა და მომსახურების დახვები დიდეხობენ. აღნიშნული კიდეე ეხთხედ ხაზს უსვამს, რომ წახმოების სექტოხში ნაკლები ხაოდელობისა და მომცხო ზომის საწახმოები ახიან ჩაეხთუდნი, რომლებიც მალადტენოლოგიუხ წახმოებაზე ნაკლებად ოხიენტირების ფონზე, ასევე შედეეებით დაბად შემოსავლებს ილებენ.

ეეკომენდებდეია წახმოების სექტოხში საწახმოთა ჩაეხთუდობის ზხდის სტიმულირება, ხაც შესადდეო ცოდნაზე დაფუძნებული, მალადტენოლოგიუხი წახმოების საფუძვედი გახდეს.

* ავტოხი მადლობას უხდის აკადემიკოს დადო პაპავას კვლევის განმავლობაში გაწეული ეეკომენდეაციებისთვის.

საკვანძო სიტყვები: საქართველო; ეკონომიკური მოდელი; დახვობ-
ივი ანალიზი; სექტორული ანალიზი; ჰეაღუი ინდუსტრია; ეკონომიკის
ზღა.

JEL Codes: C30, C31, D58

შესავალი

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს მიერ მიღწეული ზომი-
ერი ეკონომიკური ზრდა მოსახლეობაზე ნაკლებად აისახება. სტატისტიკა
გვიჩვენებს, რომ ქვეყნის მიერ მიღწეული ზრდა მთლიან სამამულო პრო-
დუქტში (GDP) (Papava V., Silagadze A. 2019) დიდწილად მიღწეულია შემდეგ
დარგებში: საფინანსო საქმიანობა, ვაჭრობა და მომსახურება. ქვეყანას კი
რეალური, ანუ საქონლისა და მომსახურების წარმოებით მიღებული ეკო-
ნომიკური ზრდა ესაჭიროება.

ქვეყნის GDP-ის წარმოების შესახებ აქამდე არსებული ცოდნა, ძი-
რითადად, მაკროეკონომიკურ მონაცემებზეა დაყრდნობილი. საქსტატის
წლიური მონაცემებით 2018 წელს ქვეყნის GDP-ის 24,8% შეიქმნა მრეწ-
ველობის, 12,9% – მშენებლობის, 12,4% – ვაჭრობის, 9,2% – ტრანსპორტი-
სა და კავშირგაბმულობის, ხოლო 6,8% კი – სოფლის მეურნეობის დარგში
(Geostat, 2019). სტატისტიკის სამსახურის მოცემული მაჩვენებლები ქვეყ-
ნის (და არა ფირმის) დონეზე არსებულ ინფორმაციაზეა დაყრდნობილი.
მაკროეკონომიკურ სტატისტიკაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავინახოთ,
თუ რომელი დარგი რა რაოდენობის GDP-ს ქმნის. თუმცა, აღნიშნული სუ-
რათი არ არის სრული. ასეთ შემთხვევაში, არ ჩანს თითოეულ დარგში
რამდენი და რა სიდიდის საწარმოა ჩართული. შესაბამისად, რთულია და-
ვასკვნათ, თუ რამდენად სწორი მიმართულებით ვითარდება ქვეყნის ეკო-
ნომიკა. სწორედ ამ პრობლემის აღმოფხვრის მცდელობაა წინამდებარე
კვლევა. ამ კვლევის ფარგლებში ამოვიღეთ კერძო სექტორის 500-ზე მეტი
საწარმოს ფინანსური ინფორმაცია, რათა დაგვედგინა, თუ რომელ დარგში
რა რაოდენობის, სიდიდისა და მომგებიანობის საწარმო ფუნქციონირებს.

დაკვირვება განხორციელდა იმ საწარმოების წლიურ ფინანსურ ან-
გარიშგებებზე, რომლებმაც 2018 წლის 1 ოქტომბრიდან 2019 წლის 20 იან-
ვრამდე დროით ინტერვალში ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული
აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სააგენტოს
(ზედამხედველობის სამსახურს) კანონის მოთხოვნის ფარგლებში თავი-
ანთი 2017 წლის წლიური ფინანსური ანგარიშგებები წარუდგინეს. ფინან-
სური ანგარიშგებები ოფიციალურად გამოთხოვილ იქნა ზედამხედველო-
ბის სამსახურიდან, ხოლო აღწერილობითი მონაცემები (საწარმოს კატე-
გორია, საიდენტიფიკაციო კოდი და საქმიანობის სფერო) ScrapeStorm-ისა
და Link Klipper-ის ტექნიკების გამოყენებით, ავტომატურად გადმოწერილ
იქნა 'რეპორტალის' ვებსაიტიდან. მოცემული ოთხი დარგი შესწავლილია

შემდეგი პარამეტრების მიხედვით: საწარმოთა რაოდენობა, საწარმოს სიდიდე (აქტივების მოცულობა) და მომგებიანობა (ამონაგები აქტივებზე). სხვადასხვა ფილტრაციის შემდეგ, დაკვირვების ობიექტი 531 ბიზნეს ერთეულით განსაზღვრა.

შედეგები გვიჩვენებს, რომ თითოეული მსხვილი დარგი – მატერიალური წარმოება, ვაჭრობა, მომსახურება და ფინანსები, წარმოდგენილია 100-ზე მეტი საწარმოთი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ წარმოების სფეროში საწარმოთა ყველაზე ნაკლები (19%) რაოდენობა ფუნქციონირებს. აღნიშნული კიდევ ერთხელ აძლიერებს იმ არგუმენტს, თუ რატომ ვერ გრძნობს საქართველოს მოსახლეობა ეკონომიკური ზრდის ეფექტს. საწარმოთა ზომაზე დაკვირვებით, ასევე, ვხედავთ, რომ ყველაზე დიდი ფინანსური სექტორია. სიდიდეში განსხვავება ფინანსების სექტორის საწარმოებსა და სხვა დარგის საწარმოებს შორის იმდენად, თვალშისაცემია, რომ აღნიშნული ეკონომიკის არასწორი მიმართულებით განვითარების კიდევ ერთი მანიშნებელია. ცნობილია, რომ გაცემული სესხების ზრდა GDP-ის ზრდაში აისახება, თუმცა, რეალობაში იზრდება მოსახლეობის ვალი, რომელიც, კაპიტალის ბაზრების არ არსებობის პირობებში, და იმ პირობებში რომ ადგილობრივი ბანკები უცხოეთიდან შედარებით იაფად იღებენ კრედიტებს, საქართველოში კი შედარებით ძვირად გასცემენ, ქვეყნისთვის არც თუ სახარბიელო სიტუაციის მომასწავლებელია.

მომგებიანობით, კი ვაჭრობისა და მომსახურების დარგები, სხვა დარგებთან შედარებით, საშუალოდ უფრო მომგებიანია. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ წარმოებაში ჩაბმული ფირმები არ აწარმოებენ მაღალტექნოლოგიურ და შესაბამისად მაღალ მომგებიან მქონე პროდუქციას.

საბოლოოდ, ფირმის დონის ინფორმაციაზე დაკვირვება, ამტკიცებს იმ აზრს, რომ ქვეყნის ეკონომიკა არაეფექტიანი მიმართულებით ვითარდება. სამთავრობო უწყებებისთვის აპრიორი უნდა იყოს მატერიალური წარმოების სექტორში საწარმოთა ჩართულობის ზრდის სტიმულირება, რაც საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში საშუალებას მოგვცემს ცოდნაზე დაფუძნებული, მაღალტექნოლოგიური წარმოების დაწერგვისაკენ გადავინაცვლოთ.

სტატიის მომდევნო ნაწილი ეძღვნება პრობლემის თეორიული საფუძვლების წარმოჩენას. მესამე ნაწილში გაანალიზებულია დაკვირვების ობიექტის შერჩევა და აღწერილია შესაბამისი მეთოდოლოგია. მეოთხე ნაწილში კვლევის შედეგებია ასახული. ხოლო, ბოლო ნაწილში მოცემულია დასკვნა.

თეორიული საფუძვლები

საქართველო მცირე და განვითარებადი ეკონომიკის ქვეყანაა. ჩვენი GDP-ი 2018 წლის მონაცემებით, მოსახლეობის ერთ სულზე 4722 აშშ დოლარია. ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს ეკონომიკა შედარებით

ზომიერი ტემპებით იზრდება, თუმცა, ზრდა, მოსახლეობაზე ნაკლებად აისახება (Papava V. 2018b).

დღეს ეკონომისტები თანხმდებიან, რომ GDP სრული სიზუსტით ვერ ასახავს ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობას (Stiglitz J. 2009; 2010). მაგალითად, ავტოსაგზაო შემთხვევა, იმის მიუხედავად, რომ მოსახლეობაზე, და კონკრეტულად ინციდენტის მონაწილე(ებ)ზე უარყოფითად აისახება, დაშავებული ადამიანების მკურნალობისა და დაზიანებული ავტომობილ(ებ)ის შეკეთებაზე განეული ხარჯის შედეგად ზრდის GDP-ს. ასევე, GDP-ში დაითვლება კომპონენტები (მაგალითად, ე. წ. პირობითი იჯარა, რომელიც აღნიშნავს იმ თანხის რაოდენობას, რასაც მფლობელი მიიღებდა საკუთრების/ფართის გაქირავების შემთხვევაში), რაც უსაფუძვლოდ “ბერავს” ქვეყნის GDP-ს.

თუ კი სხვაობა GDP-ისა და მოსახლეობის რეალურ კეთილდღეობას შორის მნიშვნელოვნად დიდია (როგორც საქართველოში), მიზეზი იქნება სხვაგანაც ვეძიოთ – შესაძლოა ქვეყნის მიერ არჩეულ ეკონომიკური განვითარების მოდელში იყოს პრობლემა.

ხელისუფლების ფუნქციაა ეკონომიკური განვითარების სწორი მოდელის/სტრატეგიის შერჩევა და შემუშავება, შემდეგ კი, იმ დარგების მიმართ მეტი სტიმული (მაგალითად, საგადასახადო შეღავათების გზით) გაუჩინოს უცხოელ თუ ადგილობრივი ბაზრის მონაწილეებს, რაც ქვეყანას უკეთესი ეკონომიკური მდგომარეობის შექმნაში დაეხმარება. ამისათვის კი საჭიროა იმის გაანალიზება, თუ რა მდგომარეობაა საქართველოს კერძო სექტორის სხვადასხვა დარგში. აღნიშნული დაგვეხმარება გავიგოთ თუ რომელ დარგში რა რაოდენობის, სიდიდისა და მოგების მქონე საწარმოები საქმიანობენ და თუ ფაქტობრივად რომელი დარგია ქვეყნისთვის პრიორიტეტული (Papava V. 2014; 2017; 2018a).

სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ქვეყნის მიერ მიღწეული ზრდა GDP-ში დიდ-წილად განპირობებულია ისეთი დარგების მიერ, როგორებიცაა საფინანსო საქმიანობა – 9,1%, ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების განწევა – 13,4%, სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების განწევა – 13,4% და ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასება – 13,%, ასევე სასტუმროები და რესტორნები – 10,9% (Geostat, 2019). კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ჩვენ დარგები ოთხ მსხვილ მიმართულებად დავყავით:

მატერიალური წარმოება პრაქტიკულად ეკონომიკის რეალური სექტორია, ანუ GDP-ის ნაწილი, რაც რეალურად ინარმოება. მატერიალური წარმოება აღნიშნული ოთხი მიმართულებიდან ინკლუზიური ზრდის მისაღწევად ყველაზე მნიშვნელოვანია.

სწორედ მატერიალური წარმოების განუვითარებლობის გამო გვაქვს ეკონომიკის მომხმარებლური მოდელი, როდესაც ქვეყანა იმაზე მეტს მო-

იხმარს, ვიდრე ანარმოებს. აღნიშნულს უცხოეთიდან მიღებული ფულადი გზავნილებითა და აღებული კრედიტებით ვახერხებთ. აუცილებელია გადავიდეთ ეკონომიკური ზრდის ინკლუზიურ მოდელზე, რომელშიც სულ უფრო მეტი ადამიანი იქნება უშუალოდ ჩართული წარმოებაში. ეს მიდგომა ჯერ კიდევ 2013-2014 წლებში შემუშავებულ საქართველოს განვითარების სოციალურ-ეკონომიკურ სტრატეგია – „საქართველო 2020“-ში (Government of Georgia, 2014) იქნა პრიორიტეტულად გამოცხადებული, რომელიც, სამწხაროდ, მთავრობამ მალევე დაივიწყა.

დღეს განვითარებული ქვეყნები, მასობრივად ცდილობენ ცოდნაზე დაფუძნებული, მაღალტექნოლოგიური ეკონომიკების შექმნას. ეს მოდელი საქართველოს ეკონომიკისთვისაც პრიორიტეტულად უნდა ჩაითვალოს. მაღალტექნოლოგიური პროდუქტის წარმოებამდე, კი აუცილებელია ზოგადად მატერიალური წარმოება, როგორც ასეთი, განვითარდეს. ევოლუციის თეორიის თანახმად, განვითარების გზაზე საჭიროა ყველა ნაბიჯის გავლა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საფეხურის გამოტოვებას ვერ მივყავართ ევოლუციამდე. ეს შესაძლოა ქვეყნის მაგალითზე (და კერძოდ ქვეყნის ეკონომიკის მაგალითზეც განვაზოგადოთ), რადგანაც ინსტიტუციური განვითარების თეორიის თანახმად, ორგანიზმებისა და ინსტიტუციების ევოლუცია ერთსა და იმავე ძირულ პრინციპებზეა დამყარებული (Glaeser, 2004). ისევე როგორც მასლოუს იერარქიის თეორიაში – ყოველ მომდევნო საფეხურზე გადასვლა შეუძლებელია წინა საფეხურის მიღწევისა და გადალახვის გარეშე (Maslow, 1943), ასევე, სავარაუდოა, რომ მაღალტექნოლოგიური პროდუქციის წარმოებამდე, ჩვენი საზოგადოება ზოგადად წარმოების კულტურას უნდა მიეჩვიოს.

ვაჭრობა, როგორც წესი, სხვისი ნაწარმოები საქონლის ან მომსახურების ყიდვა და შემდეგ უფრო ძვირად გა(და)ყიდვაა. სხვა სიტყვებით, რეალური ღირებულება ამ პროდუქტისა მწარმოებელმა უკვე შექმნა, რომელსაც ყიდულობენ, რათა უფრო ძვირად გაყიდონ. შესაბამისად, დამატებული ღირებულება ამ პროდუქტზე მცირე ოდენობით იზრდება.

მომსახურება მნიშვნელოვანი დარგია. არაერთი წარმატებული ქვეყნა სწორედ მომსახურების სექტორზეა მნიშვნელოვნად დაფუძნებული. საქართველოსთვისაც მნიშვნელოვანია მომსახურების სფერო, რომლის აშკარად გამორჩეული დარგი ტურიზმია. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უარყოფითი სავაჭრო ბალანსისა და იმპორტულ საქონელზე მნიშვნელოვნად დამოკიდებულების პირობებში, ტურიზმის ზრდა დიდწილად იმ ქვეყნების ეკონომიკების ზრდას ემსახურება, საიდანაც ხორციელდება საქართველოში იმპორტი. ასევე გასათვალისწინებელია, რომ სამომხმარებლო კალათის 80% იმპორტირებული საქონლისგან შედგება, და მხოლოდ 20%-ია ადგილობრივი წარმოების. ტურისტსაც პრაქტიკულად იგივე კალათას ვთავაზობთ. მის მიერ დახარჯული თანხის 80% კი იმპორტის-

თვისაა საჭირო (Papava V. 2018a). რესტორნებსა და ტურიზმზე ორიენტირებულ ქვეყანაში, შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, მაღალკვალიფიციური და ინტელექტუალი ადამიანების საჭიროება ნაკლებია. შესაბამისად, სტიმულირდება მათი უცხოეთში გადინება (Papava V. 2018b; 2018a).

ფინანსები ასევე მნიშვნელოვანი დარგია, რადგანაც მისი გამართული საქმიანობა აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. იმავდროულად, გასათვალისწინებელია, რომ ფინანსების დარგი საქართველოში განსაკუთრებულ პრობლემას ქმნის. როგორც ცნობილია, ფინანსები GDP-ს ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. გაცემული სესხი ზრდის GDP-ის, მაგრამ, ფაქტობრივად, მოსახლეობის ვალი იზრდება. საქართველოში, კაპიტალის ბაზრების არ არსებობის პირობებში, ფინანსური საქმიანობის 95%-ს ბანკები გასწევენ (NBG, 2009; Pirveli E. 2015; NBG, 2018). ბანკები, რომლებიც თავიანთ საკრედიტო რესურსს ევროპულ ბაზრებზე აღებული დაბალპროცენტიანი სესხით ივსებენ, ხოლო საქართველოში, კაპიტალის ბაზრების არქონის პირობებში, შედარებით ძვირად გასცემენ. პაპავას განმარტებით, „საქართველო ჩამოყალიბდა „ფინანსურ მილად“, როცა საზღვარგარეთიდან შემოტანილი საკრედიტო რესურსი გამოიყენება ჩვენი თანამოქალაქეების მიერ იმპორტული საქონლის მოხმარებისთვის. ... ინტენსიურად მოიხმარება ის, რაც ქვეყანაში არ იწარმოება, თანაც იმ შემოსავლის ხარჯზე, რაც ჩვენთან არ შექმნილა“ (Papava V. 2018c).

როგორც წესი, ცოდნა საქართველოს ეკონომიკის სექტორული ანალიზის შესახებ ან სტატისტიკის სამსახურის მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს ეყრდნობა (NBG 2017; 2018; Geostat 2019), ან რეიტინგებს – რომელ დარგში რომელი ფირმაა ყველაზე დიდი, ყველაზე მომგებიანი და სხვა (Kvintradze 2018; Forbes.ge 2019a; 2019b). ფირმის დონეზე არსებული ინფორმაციის შესწავლა კი საშუალებას მოგვცემს დარგობრივი უპირატესობები უფრო დეტალურად და ზუსტად იქნეს გამოაშკარავებული.

მაკროეკონომიკურ სტატისტიკაზე დაყრდნობით შესაძლებელია დავინახოთ, თუ რომელი დარგი რა ოდენობის GDP-ს ქმნის. აღნიშნული უკვე გვიქმნის წარმოდგენას, თუ რამდენად სწორი მიმართულებით ვითარდება ქვეყნის ეკონომიკა. თუმცა, აღნიშნული სურათი არა არის სრული, რადგან არ ჩანს თუ თითოეულ დარგში რა რაოდენობისა და რა სიდიდის კომპანიაა ჩართული. არ არის საკმარისი იმის ცოდნა თუ ამა თუ იმ დარგში GDP-ის რა ნაწილი იქმნება. აუცილებელია გავარკვიოთ, რამდენი და რა სიდიდის ფირმები ქმნიან GDP-ს რა ნაწილს. მხოლოდ ამის საფუძველზე იქნება შესაძლებელი გავაკეთოთ სწორი დასკვნა, თუ რამდენად სწორი მიმართულებით ვითარდება ქვეყნის ეკონომიკა. სწორედ ამის გარკვევის მცდელობაა წინამდებარე კვლევა.

დაკვირვების ობიექტი და მეთოდოლოგია

შესწავლის ობიექტის შეჩჩვა

ჩვენ შევისწავლეთ იმ საწარმოების წლიური ფინანსური ანგარიშგებები, რომლებმაც 2018 წლის 1 ოქტომბრიდან 2019 წლის 20 იანვრამდე (მონაცემების ამოღების თარიღი) დროით ინტერვალში, ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს კანონის მოთხოვნის ფარგლებში თავიანთი 2017 წლის წლიური ფინანსური ანგარიშგებები წარუდგინეს. ფინანსური ანგარიშგებები ოფიციალურად გამოთხოვილ იქნა ზედამხედველობის სამსახურიდან, ხოლო აღწერილობითი მონაცემები (ფირმის კატეგორია, საიდენტიფიკაციო კოდი და საქმიანობის სფერო) ScrapeStorm-ისა და Link Klipper-ის ტექნიკების გამოყენებით, ავტომატურად გადმოწერილ იქნა 'რეპორტალის' ვებგვერდიდან. მატერიალური წარმოების, ვაჭრობის, მომსახურებისა და ფინანსების დარგები შესწავლილია შემდეგი პარამეტრების მიხედვით: საწარმოთა რაოდენობა, საწარმოს სიდიდე (აქტივების მოცულობა) და მომგებიანობა (ამონაგები აქტივებზე).

სანამ დაკვირვების ობიექტისა და შედეგების ანალიზზე გადავალთ, იბადება კითხვა იმის შესახებ, თუ რამდენად ხარისხიანი და სანდოა აღნიშნული ინფორმაცია და რამდენად შეიძლება მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დასაბუთებული დასკვნების გამოტანა. ყურადსაღებია საწარმოთა ზომის (აქტივების სიდიდის მიხედვით) გაზომვის პრობლემა. აქტივების გაზომვას ახლავს ტექნიკური ხარვეზები, რადგან საწარმოთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ონლაინ რეჟიმში ტექნიკურად მცდარად შეიყვანა საკუთარი ფინანსური ინფორმაციის ზომის ერთეული (კერძოდ, გამოქვეყნება ხდება ერთეულ თუ ათასეულ ლარში). აღნიშნული ავტომატურად გულისხმობს იმ ფაქტსაც, რომ ტექნიკური ხარვეზის მქონე ანგარიშგებები არ/ვერ დააფიქსირა სამინისტრომ, რის გამოც მოხდა მათი ონლაინ განთავსება. სავარაუდოა, რომ მარეგულირებლის მხრიდან აღნიშნულ ფაქტორს დიდი ყურადღება არ დაეთმო. მაგალითად, ერთ-ერთი კომპანიის ფინანსური ანგარიშგებიდან ირკვევა, რომ კომპანიის აქტივების ოდენობა 4,482 მლნ ლარია. შეყვანილი ინფორმაციის მიხედვით კი კომპანია აფიქსირებს, რომ მის მიერ შეყვანილი მონაცემები მოცემულია 1000 (და არა 1) ლარში, რაც კომპანიას 4,482 მლრდ ლარის აქტივების მქონე საწარმოდ აქცევს და რეიტინგის 10 დიდ ფირმაშიც კი ხვდება. მსგავსი ხარვეზები ფიქსირდება სხვა კომპანიების შემთხვევაშიც. ის, რომ პრობლემა მნიშვნელოვანია, ამაზე მეტყველებს აქტივების ზომის მიხედვით საწარმოთა დაჯგუფება კატეგორიების მიხედვით. შედეგების თანახმად, დარღვეული იყო ტენდენცია, რომ საჯარო დაინტერესებისა და I კატეგორიის საწარმოები უნდა ყოფილიყვნენ უფრო დიდები, ვიდრე II კატეგორიის

რიის სანარმოები; ეს უკანასკნელნი კი უფრო დიდები, ვიდრე III კატეგორიის სანარმოები; დაბოლოს, III კატეგორიის სანარმოები – უფრო მსხვილები, ვიდრე IV კატეგორიის სანარმოები. შედეგების თანახმად, ყველაზე მსხვილ კატეგორიად წარმოდგენილი იყო III კატეგორია, რაც მიუთითებდა, რომ მათ მასშტაბის აღმნიშვნელი ტექნიკური ხარვეზები ყველაზე გავრცელებული სწორედ ამ კატეგორიის სანარმოებში იყო.

აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ერთ-ერთი მიდგომა შესაძლოა ყოფილიყო ობიექტის გაფილტვრა კატეგორიების ზომების მიხედვით, რაც კანონის მიხედვითაა გათვალისწინებული:

- გამოგვერიცხა სანარმო, თუკი ის მიეკუთვნებოდა I კატეგორიას, თუმცა, მისი აქტივები იყო 50 მლნ ლარზე ნაკლები;
- გამოგვერიცხა სანარმო, თუკი ის მიეკუთვნებოდა II კატეგორიას, თუმცა, მისი აქტივები იყო 50 მლნ ლარზე მეტი ან 10 მლნ ლარზე ნაკლები;
- გამოგვერიცხა სანარმო, თუკი ის მიეკუთვნებოდა III კატეგორიას, თუმცა მისი აქტივები იყო 10 მლნ ლარზე მეტი ან 1 მლნ ლარზე ნაკლები;
- გამოგვერიცხა სანარმო, თუკი ის მიეკუთვნებოდა IV კატეგორიას, თუმცა, მისი აქტივები იყო 1 მლნ ლარზე მეტი

საყურადღებოა, რომ აღნიშნულ მიდგომას გააჩნია რამდენიმე ხარვეზი: ა) დაკვირვების ობიექტი მცირდებოდა საგრძნობლად (130 დაკვირვებით); ბ) პრობლემა კვლავ დარჩებოდა საზოგადოებრივი დაინტერესების პირების (ე. წ. სდპ-ების*) მიმართ, რომელთაც არ აქვთ ზომიტი შეზღუდვები I, II, III და IV კატეგორიის სანარმოების მსგავსად; გ) პრობლემის ალბათობა დარჩებოდა I და IV კატეგორიის სანარმოებისთვის, რადგანაც მათი სიდიდე(ზომა) შემოსაზღვრულია მხოლოდ ერთი მხრიდან; დ) კატეგორიის შესაბამისად აქტივების ზომის მიხედვით ფილტრაციის დაწესება, ერთი-ერთში სიზუსტით არ ასახავს სანარმოთა ზომით კატეგორიებს, რადგანაც სანარმო შესაძლოა აკმაყოფილებდეს სხვა ორ კრიტერიუმს – შემოსავლების ბრუნვისა და დასაქმებულთა ოდენობის მიხედვით – და, შესაბამისად, აქტივების ზომა შესაძლოა არ იყოს კატეგორიაზე მიკუთვნების გადამწყვეტი ფაქტორი. ანუ, აღნიშნულის გამო გამორიცხული 130 სანარმოს გარდა, სხვა სანარმოებსაც ექნებოდათ მასშტაბის პრობლემა. თანაც, გამორიცხული 130 სანარმოდან ნაწილი უმიზეზოდ იქნებოდა დაკვირვების ობიექტიდან ჩამოშორებული (Type I და Type II errors).

სკალირების საკითხი პრობლემატურია აქტივების ზომის განსაზღვრის მაჩვენებლის მიმართ, მაგრამ არ წარმოადგენს სირთულეს მომგე-

* ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს 2016 წლის კანონის თანახმად ([Law, 2016](#)), საზოგადოებრივი დაინტერესების პირი განსაზღვრულია როგორც ანგარიშვალდებული იურიდიული პირი, რომლის ფინანსური საქმიანობის მიმართაც საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან არსებობს გამორჩეულად დიდი ინტერესი. სდპ-ები არიან სანარმოები, რომლებიც ოპერირებენ საბანკო, მიკროსაფინანსო, სადაზღვევო, საპენსიო, საინვესტიციო ან საკრედიტო მიმართულებით და/ან რომელთა ფასიანი ქაღალდებიც დაშვებულია სავაჭროდ საფონდო ბირჟაზე.

ბიანობის (აქტივებზე ამონაგების) მხრივ. ეს განპირობებულია იმით, რომ მომგებიანობის მაჩვენებლის განსაზღვრა არის მნიშვნელისა და მრიცხველის ფარდობა. შესაბამისად, ზომის ერთეულში მოცემული ნებისმიერი პოტენციური ცდომილება მოცემულია როგორც მნიშვნელში, ასევე მრიცხველში, რაც საბოლოოდ, ფარდობის შედეგად აბალანსებს ერთმანეთს და პრობლემა ავტომატურად აღმოიფხვრება. შესაბამისად, აღნიშნულ საკითხს ესაჭიროება დამატებითი სიფრთხილე აქტივების სიდიდის გაზომვასთან მიმართებით.



უშუალოდ გავაანალიზეთ ყველა ის საწარმო და ცალ-ცალკე გადავამოწმეთ ფინანსურ ანგარიშგებებში მათი ინფორმაციის მასშტაბი, რომლებიც ამ მხრივ საეჭვოდ მივიჩნიეთ: ფირმები, რომელთა აქტივების მნიშვნელობა იყო 9 ან 10 ნიშნა და მითითებული იყო 1000 ლარიანი გამოქვეყნების მასშტაბი და ასევე ფირმები, რომელთა აქტივების მნიშვნელობა იყო 5 ან 6 – ნიშნა და მითითებული იყო 1 ლარიანი გამოქვეყნების მასშტაბი. შედეგად, გამოვლინდა 60 შეცდომა, რაც დაკვირვების ობიექტის 7,8%-ია. აღნიშნულის გათვალისწინებით, სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვალა, და ლოგიკის ფარგლებში ჩაჯდა (იხ.დიაგრამა 1).

აქტივების ზომის სიდიდე

დიაგრამა 1

ა) საწარმოთა აქტივების საშუალო ზომა კატეგორიების მიხედვით (მლნ ლარში) მასშტაბის ჩასწორებამდე:

ბ) საწარმოთა აქტივების საშუალო ზომა კატეგორიების მიხედვით (მლნ ლარში) მასშტაბის ჩასწორების შემდეგ:



X ღეხძზე მოცემულია საწახმოთა ხაოდენობა, ხოლო Y ღეხძზე – საწახმოთა ჯგუფები.
წყახო: დიაგხამა შედეგენილია ავგოხს მიეხ

ტექნიკური პრობლემების აღმოფხვრის შემდეგ, შეგვიძლია გადავიდეთ, დაკვირვების საბოლოო ობიექტის შერჩევის პროცესის ახსნაზე. ცხრილი 1 გვიჩვენებს დაკვირვების ობიექტის შერჩევის პროცესს. ჯამში,

ინფორმაციის ორი წყაროს გაერთიანების შედეგად მიღებული 768 საწარმოდან, ფილტრაციის შედეგად, საბოლოო დაკვირვებია ობიექტია 531. საიდენტიფიკაციო კოდისა და ფისკალური წლის ინფორმაციის არ ქონის გამო, გამოირიცხა 39 საწარმო; საქრო ფინანსური ინფორმაციის – 2016 და 2017 წლების მთლიანი აქტივები, 2016 და 2017 წლების კაპიტალი და 2018 წლის წმინდა მოგება – არ ქონის გამო, გამოირიცხა 82 საწარმო; 2017 წლის ინფორმაციის არ ქონის გამო, გამოირიცხა 28 საწარმო (საწარმოები რომელთაც გააჩნდათ 2016 წლის ინფორმაცია); საქმიანობის სფეროსა და კატეგორიის ინფორმაციის, არ ქონის გამო გამოირიცხა 80 საწარმო; რაოდენობის სიმწირის გამო, დაკვირვების ობიექტიდან გამოირიცხა სოფლის მეურნეობაში მოქმედი 8 საწარმო.

დაკვირვების ობიექტის შერჩევა

ცხრილი 1

	დაკვირვების რაოდენობა
საწყისი დაკვირვების ობიექტი	768
გაფილტრული	
საწარმოები საიდენტიფიკაციო კოდისა და ფისკალური წლის გარეშე	-39
საწარმოები ფინანსური ინფორმაციის გარეშე	-82
საწარმოები 2017 წლის ინფორმაციის გარეშე	-28
საწარმოები სფეროსა და/ან კატეგორიის ინფორმაციის გარეშე	-80
საწარმოები სასოფლო-სამეურნეო სექტორიდან	-8
საბოლოო დაკვირვების ობიექტი	531

წყარო: ცხილი შეგენილია ავტოის მიეხ

საწარმოთა კლასიფიკაცია სექტორებად მოხდა Standard Industrial Classification (SIC)-ის კლასიფიკაციის მიხედვით. საწარმოებმა, სასოფლო-სამეურნეო სექტორის 8 საწარმოს გაფილტვრის შემდეგ, თავი მოიყარა შემდეგ 4 მსხვილ დარგში: მატერიალური წარმოება – მოიცავს გადამუშავებას, მშენებლობას და მრეწველობას, ვაჭრობას. მომსახურება – მოიცავს ტრანსპორტსა და კომუნიკაციას, ფინანსები – დაკვირვებათა 92%-ს „დიდი“ საწარმოები (I და II კატეგორიისა და საჯარო დაინტერესების პირები) წარმოადგენენ. აღნიშნული ლოგიკურიცაა, რადგან რეფორმის პირველ წელს ფინანსური ინფორმაციის გასაჯაროება სავალდებულო იყო სწორედ I და II კატეგორიისა და საჯარო დაინტერესების საწარმოთათვის; ხოლო III და II კატეგორიის საწარმოების მცირე ნაწილმა ნებაყოფლობით წარადგინა საკუთარი ანგარიშგება. დაკვირვებათა 57%-ს წარმოადგენს II კატეგორიის საწარმოები; 20%-ს – სდპ-ები; ხოლო 14%-ს – III კატეგორიის საწარმოები.

მეთოდოლოგია


მოცემული კვლევის მიზანია, ფირმის დონის ინფორმაციაზე დაყრდნობით, გააანალიზოს თუ რა რაოდენობის ფირმა რომელ დარგში ოპერირებს, რა სიდიდისაა და რამდენად მომგებიანია. აღნიშნული საშუალებას იძლევა გავარკვიოთ სხვადასხვა დარგში მოქმედ საწარმოებს რა წვლილის შეტანა შეუძლიათ ქვეყნის მთლიან სამამულო პროდუქტში და თუ რამდენად სწორი და ეფექტიანი მიმართულებით მუშაობს ქვეყნის ეკონომიკური მოდელი. ამ მიზნის მისაღწევად, წინამდებარე კვლევაში გაკეთდა დარგობრივი ანალიზი სამი მაჩვენებლის ქრლით: საწარმოთა რაოდენობა ე.ი. რამდენი საწარმო ოპერირებს ამათუიმ დარგში; სიდიდე, დაითვლება აქტივების ზომით, კერძოდ კი 2016 და 2017 წლების მთლიანი აქტივების საშუალო არითმეტიკულით; დამომგებიანობა, ე.ი. დაითვლება საწარმოთა 2017 წლის წმინდა მოგების ფარდობით აქტივების ზომასთან, რომელიც თავის მხრივ, დათვლილია, როგორც 2016 და 2017 წლების მთლიანი აქტივების საშუალო სიდიდე.

კვლევის შედეგები

დიაგრამა 2 გვიჩვენებს დაკვირვების ობიექტის 531 საწარმოს განაწილებას დარგების მიხედვით. როგორც ვხედავთ, თითოეულ დარგს გააჩნია 100-ზე მეტი დაკვირვება, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა სტატისტიკურად საიმედო დასკვნების გამოსატანად. ყველაზე მსხვილი დარგია მომსახურება (საწარმოთა 33%); შემდეგ, ვაჭრობა (26%), ფინანსები (22%) დაბოლოს მატერიალური წარმოება (19%). დიაგრამაზე ჩანს, რომ წარმოების სექტორში დასაქმებული საწარმოების რაოდენობა ყველაზე მცირეა.

საწარმოთა განაწილება დარგების მიხედვით

დიაგრამა 2



წყარო: დიაგრამა შეგენილია ავტოჩის მიერ

ცხრილი 2 გვიჩვენებს 10 ყველაზე მსხვილი სანარმოს რეიტინგსა და კატეგორიას, საქმიანობის სფეროს, აქტივების ზომას და ამონაგებს აქტივებზე. სამწუხაროდ, როგორც მოსალოდნელი იყო, 10 ყველაზე მსხვილი სანარმოდან 7 ფინანსების დარგს წარმოადგენს, და შვიდივე არის ბანკი. ეს არის ზემოაღნიშნული არაეფექტიანი ეკონომიკური მოდელის ქონის მანიშნებელი. დარჩენილი 3 სანარმოდან, 2 მომსახურების სფეროს მოთამაშეა, 1 – კი ვაჭრობის. მნიშვნელოვნად ლიდერობენ საქართველოს ბანკი და თიბისი-ბანკი 11,2 და 10,9 მლრდ ლარის აქტივებით; 2,9 მლრდ ლარით მოსდევს საპარტნიორო ფონდი; შემდეგ – ლიბერთი ბანკი, ვითიბი ბანკი, პროკრედიტ ბანკი, ბანკი ქართუ და ბაზისბანკი. მეცხრე და მეთექვსმეტი მაგთიკომი (906 მლნ ლარი) და “სოკარ ჯორჯია” გაზი (850 მლნ ლარი). შვიდივე ბანკი სდპ-ა, I კატეგორიის სანარმოა მაგთი და “სოკარ ჯორჯია”, ხოლო საპარტნიორო ფონდი, აქტივების მნიშვნელოვანი სიდიდის მიუხედავად, მიეკუთვნება მეორე კატეგორიას, რადგან შემოსავლების ოდენობა და დასაქმებულთა რაოდენობა შედარებით მცირეა, კომპანიას აქვს უარყოფითი მოგება. ამონაგები აქტივებზე მაღალია მაგთისა და “სოკარ ჯორჯიაში”.

**10 ყველაზე დიდი სანარმოს რეიტინგი
2016 და 2017 წლების აქტივების საშუალო სიდიდე (მლნ ლარი)**

ცხრილი 2

დასახელება	კატეგორია	სფერო	აქტივების ზომა (მლნ ლარში)	ამონაგები აქტივებზე (%)
სს საქართველოს ბანკი	სდპ	ფინანსები	11,202	2.96%
სს თიბისი ბანკი	სდპ	ფინანსები	10,927	2.99%
სს საპარტნიორო ფონდი	II	მომსახურება	2,861	-0.34%
სს ლიბერთი ბანკი	სდპ	ფინანსები	1,658	3.18%
სს ვითიბი ბანკი ჯორჯია	სდპ	ფინანსები	1,571	2.06%
სს პროკრედიტ ბანკი	სდპ	ფინანსები	1,377	1.58%
სს ბანკი ქართუ	სდპ	ფინანსები	1,355	3.64%
სს ბაზისბანკი	სდპ	ფინანსები	1,088	2.75%
შპს მაგთიკომი	I	მომსახურება	906	11.02%
შპს სოკარ ჯორჯია გაზი	I	ვაჭრობა	850	6.12%

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ


დიაგრამა 3 გვიჩვენებს დარგობრივი ანალიზის შედეგებს სანარმოთა სიდიდის მიხედვით. როგორც ირკვევა, ცხრილში 2 მოცემულია ტენდენცია – ფინანსების დარგის მოთამაშეები ლიდერობენ სიდიდის მხრივ, სიმართლეა არამხოლოდ რეიტინგით 10 ყველაზე დიდი სანარმოს შემთხვევაში, არამედ მთლიანად დარგობრივი ანალიზის შემთხვევაშიც. დი-

აგრამა 3-დან ჩანს, რომ ფინანსების დარგში (სხვა ყველა დარგთან შედარებით), მნიშვნელოვნად დიდი საწარმოები საქმიანობენ. ქართული რეალობიდან გამომდინარე, აღნიშნული მოსალოდნელი შედეგია. თუმცა, ჩვენ გვსურს ყურადღება მოცემული სხვაობის მასშტაბებზე გავამახვილოთ. შედეგების თანახმად, ფინანსების დარგში მოქმედი საწარმო საშუალოდ 5,5-ჯერ, 4-ჯერ და 3,5-ჯერ უფრო დიდია მთლიანი აქტივების მხრივ, ვიდრე ვაჭრობის, წარმოებისა და მომსახურების დარგში მოქმედი საწარმო, რაც თვალშისაცემია. საშუალოდ ყველაზე მცირე ზომის საწარმოები ვაჭრობისა და მატერიალური წარმოების დარგში ოპერირებენ. აქტივების ზომის მიხედვით საწარმოთა ანალიზი ეხმიანება აზრს, რომ საქართველოს ეკონომიკა არც თუ ეფექტიანი და ჯანსაღი მიმართულებით მუშაობს. ფინანსური სექტორის გადამეტებულად დომინანტურ პოზიცია არ უნდა იყოს ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელთა პრიორიტეტი. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ გაცემული სესხების ზრდა მსკ-ის ზრდაში აისახება, აღნიშნული ზრდის მოსახლეობის ვალს, რომელიც, კაპიტალის ბაზრების არ არსებობისა და ადგილობრივი ბანკების მიერ უცხოეთიდან შედარებით იაფად მიღებული კრედიტის, საქართველოში უფრო ძვირად გაცემის პირობებით, ქვეყნისთვის არც თუ სახარბიელო სიტუაციის მომასწავებელია.

დარგობრივი ანალიზი

2016 და 2017 წლების აქტივების საშუალო სიდიდე (მლნ ლარი)

დიაგრამა 3



წყარო: დიაგრამა შეგენილია ავტოჩის მიერ

ცხრილი 3 გვიჩვენებს 10 ყველაზე მომგებიანი საწარმოს რეიტინგს, ის ასევე გვანვდის ინფორმაციას ყველაზე მომგებიანი 10 საწარმოს კატე-

გორიის, საქმიანობის სფეროსა და აქტივების ზომის შესახებ. 10 ყველაზე მომგებიან საწარმოდან, პირველ შვიდეულს, მინიმუმ აქტივების სიდიდის რაოდენობის მოგება გააჩნიათ – მათი ამონაგები აქტივებზე 100%-ზე მაღალია. საყურადღებოა, რომ მოცემული 10 საწარმოდან, არცერთი არ წარმოადგენს ან საჯარო დაინტერესების პირს ან პირველი კატეგორიის საწარმოს, რაც მიუთითებს, რომ ყველაზე მომგებიანი ფირმები არ არიან ზომით გამორჩეულად დიდები. როგორც ვხედავთ, 10 ყველაზე მომგებიანი საწარმოდან 7 მომსახურების სფეროში ოპერირებს.

**10 ყველაზე მომგებიანი საწარმოს რეიტინგი
ამონაგები აქტივებზე (2017 წლის წმინდა მოგების ფარდობა 2016 და 2017
წლების აქტივების საშუალოსთან)**

დასახელება	კატეგორია	სფერო	აქტივების ზომა (მლნ ლარში)	ამონაგები აქტივებზე (%)
შპს მშვიდობა	II	მომსახურება	6.62	228%
შპს ემ-ეს-სი ჯორჯია	III	მომსახურება	9.00	185%
შპს გეოდისტრიბუცია	II	ვაჭრობა	8.43	176%
შპს ჰიპოკრატე	IV	მომსახურება	0.53	175%
შპს პრინცესს ბათუმი	II	მომსახურება	5.06	128%
შპს ბათუმის აეროპორტი	III	მომსახურება	13.20	122%
SJS USA INC-ის წარმომადგენლობა საქართველოში SJS POTI	II	მომსახურება	13.98	109%
ერთობლივი საწარმო "აზვენ"-ის საქართველოს ფილიალი	II	წარმოება	44.36	96%
შპს ეი თი იუ ჯორჯია	II	ვაჭრობა	13.46	82%
შპს ჯიარ ტრანზიტ	II	მომსახურება	33.39	78%


ცხრილი 3

წყარო: ცხილი შედგენილია ავტორის მიერ

დიაგრამა 4 გვიჩვენებს სექტორულ ანალიზს მომგებიანობის მხრივ. როგორც ვხედავთ, ყველაზე მომგებიანი ვაჭრობის სექტორია (საშუალოდ ამონაგები აქტივებზე 13%), შემდეგ კი – მომსახურების სექტორი (9%). მომგებიანობით, ფაქტობრივად, ბოლო (თუკი არ ჩავთვლით ფინანსურ სექტორს) პოზიციანზეა მატერიალური წარმოების დარგი, რომელშიც საშუალო მომგებიანობა 7%-ია. ვაფიქსირებთ ფაქტობრივად, ბოლო პოზიციას, რადგან ფინანსური სექტორი, საკუთარი ბალანსის სტრუქტურიდან გამომდინარე, არარაციონალურია აქტივებზე ამონაგებით შეფასდეს და შედარდეს სხვა დარგებს. ფინანსური ინსტიტუტების შემთხვევაში, ამონაგები ხშირად იზომება არა როგორც ამონაგები აქტივებზე, არამედ – ამონაგები

კაპიტალზე, ან უფრო ზუსტად – როგორც ამონაგები საოპერაციო აქტივებთან შეფარდებით*.

მომგებიანობის დარგობრივი ანალიზი



ამონაგები აქტივებზე (2017 წლის წმინდა მოგების ფარდობა 2016 და 2017 წლების აქტივების საშუალოსთან)

დაიგრამა 4

წყარო: დიაგნოზა შედეგენილია ავტოხის მიეხ

დასკვნა

წინამდებარე კვლევის მიზნიდან გამომდინარე, შევისწავლეთ, თუ რატომ ვერ გრძნობს საქართველოს მოსახლეობა არსებულ ეკონომიკურ ზრდას. ჩვენ გავაანალიზეთ საქართველოს კერძო სექტორის 531 საწარმო,

* ფინანსური სექტორის სხვა სექტორებთან შედარება ნაკლებად აპრობირებული მიდგომაა, როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში, რაც განპირობებულია იმით, რომ ბალანსისა და კაპიტალის სტრუქტურა, ისევე როგორც ფინანსური წარმატების განმაპირობებელი მაკროეკონომიკური პარამეტრები (მაგალითად, მოთხოვნა) ფინანსურ და სხვა სექტორებს შორის იმდენად განსხვავებულია, რომ მათი შედარება ადეკვატური დასკვნის გამოტანაში ვერ დაგვეხმარება. ფინანსურ მოთამაშეებს (მაგალითად, ბანკებს) აქვთ ბალანსის ანგარიშების უნიკალური კლასები, რომლებიც სხვა კომპანიებს არ აქვთ: სესხები მომხმარებლებზე, დეპოზიტები ცენტრალურ ბანკში, სესხები ცენტრალური ბანკიდან, მომხმარებლების დეპოზიტები და სხვ. ბანკები იყენებენ ბევრად უფრო მეტ სესხს ვიდრე სხვა ბიზნესები და გამოიმუშავენ სხვაობას აქტივებით გამოიმუშავებულ საპროცენტო შემოსავალსა და მოზიდულ სახსრებზე (დეპოზიტებზე) გაწეულ ხარჯებს შორის. შემოსავლის წყარო და მთავარი საოპერაციო საქმიანობა ბანკისთვის არის მისი სასესხო და სადეპოზიტო ოპერაციები. მომხმარებლები განათავსებენ ფულს ბანკში, რაშიც იღებენ საპროცენტო შემოსავალს. ბანკი შემდეგ ამ თანხებს უფრო ძვირად გაასესხებს კლიენტებზე და საპროცენტო განაკვეთის სხვაობით იღებენ მოგებას.

რომლებიც ოპერირებენ შემდეგ ოთხ სექტორში: მატერიალური წარმოება, ვაჭრობა, მომსახურება და ფინანსები. დაკვირვების ობიექტის 90%-ზე მეტი წარმოადგენს I და II კატეგორიის საწარმოს და საზოგადოებრივი დაინტერესების პირებს.

შედეგები გვიჩვენებს, რომ თითოეული მსხვილი დარგი – მატერიალური წარმოება, ვაჭრობა, მომსახურება და ფინანსები, წარმოადგენილია 100-ზე მეტი საწარმოთი. აღსანიშნავია, რომ მატერიალური წარმოების სფეროში საწარმოთა ყველაზე ნაკლები (19%) ერთეული ფუნქციონირებს. ეს კიდევ ერთხელ აძლიერებს იმ არგუმენტს, თუ რატომ ვერ გრძნობს საქართველოს მოსახლეობა ეკონომიკური ზრდის ეფექტს.

საწარმოთა ზომაზე დაკვირვებით, ასევე, ირკვევა, რომ ყველაზე დიდი ფინანსური სექტორია. სიდიდეში სხვაობა ფინანსების სექტორის კომპანიებსა და სხვა დარგის კომპანიებს შორის იმდენად თვალშისაცემია, რომ აღნიშნული ფაქტი, ეკონომიკის არასწორი მიმართულებით განვითარების კიდევ ერთი მანიშნებელია. ცნობილია, გაცემული სესხების ზრდა მსპ-ის ზრდაში აისახება, თუმცა, რეალობაში იზრდება მოსახლეობის ვალი, რომელიც, კაპიტალის ბაზრების არ არსებობისა და ადგილობრივი ბანკების უცხოეთიდან შედარებით იაფად მიღებული კრედიტების, საქართველოში უფრო ძვირად გაცემის პირობებში, ქვეყნისთვის სიტუაცია სახარბიელო იყოს.

მომგებიანობის მხრივ კი, ფაქტია, რომ ვაჭრობისა და მომსახურების სექტორებია საშუალოდ ყველაზე წარმატებული. აღნიშნული, ხაზს უსვამს, რომ ქვეყნისთვის პრიორიტეტულია მეტი რაოდენობისა და სიდიდის საწარმოთა ოპერირება წარმოების, ანუ რეალური ეკონომიკის სექტორში.

დაბოლოს, ფირმის დონის ინფორმაციაზე დაკვირვება განამტკიცებს იმ აზრს, რომ ქვეყნის ეკონომიკა არაეფექტიანი მიმართულებით ვითარდება. სამთავრობო უწყებებისთვის პრიორიტეტული უნდა გახდეს მატერიალური წარმოების სექტორში კომპანიათა ჩართულობის ზრდის ნახალისება, რაც საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყანას საშუალებას მისცემს ცოდნასა და უახლეს ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ეკონომიკური მოდელის ფუნქციონირება უზრუნველყოს.

ლიტერატურა:

- Forbes.ge. (2019a). საქართველოს 100 უმსხვილესი კომპანია. <https://forbes.ge/news/6055/reitingi-saqarTvelos-100-umsxvilesi-kompania>.
- Forbes.ge (2019b). საქართველოს ყველაზე შემოსავლიანი კომპანიები, <https://forbes.ge/news/6323/saqarTvelos-yvelaze-Semosavliani-kompaniebi>.
- ჯეოსტატი (2019). საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი (2018 წლის IV კვარტალი, წინასწარი), <https://www.geostat.ge/media/19445/Mtliani-shid-produkti-2018-cliuri-%28geo%29.pdf>.

- Glaeser E. L., La Porta R., Lopez-de-Silanes F., & Shleifer, A. (2004). Do Institutions Cause Growth? *Journal of Economic Growth*, 9(3), 271-303.
- საქართველოს მთავრობა (2014). საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020 . <https://napr.gov.ge/source/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90/ViewFile.pdf>
- კვინტრაძე ნ. (2018). საქართველოს უმსხვილესი კომპანიები - ტოპ 20, <https://forbes.ge/news/3411/saqarTvelos-umsxvilesi-kompaniebi>.
- საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ (2016).
- Maslow A. H. (1943). A theory of human motivation. *Psychological review*, 50(4), 370.
- NBG, N. B. o. G. (2009). Annual Report 2009, https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2009/annual_report_eng_web.pdf.
- NBG, N. B. o. G. (2017). Annual Report 2017, https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2018/eng_annual_2017.pdf.
- NBG, N. B. o. G. (2018). Annual Report 2018, https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2019/annualengfor_web.pdf.
- Papava V. (2014). Georgia's Economy: The Search for a Development Model. *Problems of Economic Transition*, 57(3), 83-94.
- Papava V. (2017). Georgia's Economy: from optimism to primitivism, <https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/75-expert-opinion-eng.pdf>.
- Papava V. (2018a). Georgia's economic model: the "consumer paradox" and the "tourist trap", <https://dspace.tsu.ge/handle/123456789/465?locale-attribute=en>.
- Papava V. (2018b). Why the Population of Georgia does not Perceive Economic Growth Positively, <https://www.gfsis.org/blog/view/888>.
- პაპავა ვ. (2018). საქართველოს ეკონომიკა „ტურისტულ ხაფანგში“, <https://www.gfsis.org/ge/blog/view/854>.
- პაპავა ვ., სილაგაძე ა. (2019). ერთი საკვანძო ეკონომიკური ტერმინის – “Gross Domestic Product”-ის ქართული სახელწოდების შესახებ. ჟურნალი “ეკონომიკა და ბიზნესი”, N2
- Pirveli E. (2015). *Financial Statement Quality: First Evidence from the Georgian Stock Exchange*: Shaker Verlag.
- პირველი ე., შულღიაშვილი თ., მაჭავარიანი ნ. (2020) მოლოდინის რეჟიმში საქართველოს ეკონომიკური მოდელის ემპირიული ანალიზი კოვიდ-19-ის პირობებში. *Forbes Georgia*.
- Pirveli E., Shugliashvili T. & Machavariani N. (forthcoming b). Rethinking Economic Policy of Georgia in the Times of COVID-19.
- Stiglitz J. E., Sen A., & Fitoussi, J.-P. (2009). Report by the Commission on the Measurement of Economic Performance and Social Progress, Paris, INSEE, <https://ec.europa.eu/eurostat/documents/118025/118123/Fitoussi+Commission+report>.
- Stiglitz J. E., Sen A., & Fitoussi, J.-P. (2010). *Mismeasuring our lives: Why GDP doesn't Add up*: The New Press.

References:

- Forbes.ge, (2019a). sakartvelos 100 umskhvilesi kompania. [100 largest Companies in Georgia.] in Georgian
- <https://forbes.ge/news/6055/reitingi-saqarTvelos-100-umsvilesi-kompania>.
- Forbes.ge, (2019b). sakartvelos qvelaze shemosavliani kompaniebi [The most Profitable Companies in Georgia,] in Georgian
- <https://forbes.ge/news/6323/saqarTvelos-yvelaze-Semosavliani-kompaniebi>.
- Geostat (2019). sakartvelos mtliani shida produkti (2018) [Gross Domestic Product of Georgia (IV quarter of 2018, preliminary).] in Georgian
- <https://www.geostat.ge/media/19445/Mtliani-shida-produkti-2018-cliuri-%28-geo%29.pdf>.
- Glaeser E. L., La Porta R., Lopez-de-Silanes F., & Shleifer A. (2004). Do Institutions Cause Growth? Journal of Economic Growth, 9(3), 271-303.
- Government of Georgia, G. (2014). sakartvelos sotsialur – ekonomikuri ganvitarebis strategia sakartvelo 2020 [Social-economic Development Strategy of Georgia - GEORGIA-2020]. in Georgian. <https://napr.gov.ge/source/%E1%83%A1%E1%83%A2%%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90/ViewFile.pdf>
- Kvintradze, N. (2018). sakartvelos umskhvilesi kompaniebi [The largest Companies in Georgia TOP 20.] in Georgian
- <https://forbes.ge/news/3411/saqarTvelos-umsvilesi-kompaniebi>.
- sakartvelos kanoni bughaltruli aghritskhvis, angarishgebisa da auditis shesakheb (2016).[Law of Georgia on Accounting, Reporting and Auditing (2016).] in Georgian.
- Maslow, A. H. (1943). A theory of human motivation. Psychological review, 50(4), 370.
- NBG, N. B. o. G. (2009). Annual Report 2009, https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2009/annual_report_eng_web.pdf.
- NBG, N. B. o. G. (2017). Annual Report 2017, https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2018/eng_annual_2017.pdf.
- NBG, N. B. o. G. (2018). Annual Report 2018,
- https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2019/annualengfor_web.pdf.
- Papava V. (2014). Georgia’s Economy: The Search for a Development Model. Problems of Economic Transition, 57(3), 83-94.
- Papava V. (2017). Georgia’s Economy: from optimism to primitivism, <https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/75-expert-opinion-eng.pdf>.
- Papava V. (2018a). Georgia’s economic model: the “consumer paradox” and the “tourist trap”, <https://dspace.tsu.ge/handle/123456789/465?locale-attribute=en>.
- Papav V. (2018b). Why the Population of Georgia does not Perceive Economic Growth Positively, <https://www.gfsis.org/blog/view/888>.
- Papava, V. (2018c). sakartvelos ekonomika „turistul khapangshi“. [Georgian Economy in a “Tourist Trap”,] <https://www.gfsis.org/ge/blog/view/854>. in Georgian
- Papava V., Silagadze A. (2019). erti sakvandzo ekonomikuri terminis – “Gross Domes-

- tic Product”-is kartuli sakheltsodebis shesakheb [About, One Key Economic Term - “Gross Domestic Product” the Georgian. “Economics and Buziness”, #2.] in Georgian
- <https://dspace.tsu.ge/handle/123456789/344>.
 - Pirveli E. (2015). Financial Statement Quality: First Evidence from the Georgian Stock Exchange: Shaker Verlag.
 - Pirveli E., Shugliashvili T. & Machavariani N. (forthcoming a). sakartvelos ekonomikuri modelis empiriuli analizi kovid-19-is pirobebshi. [Empirical analysis of the economic model of Georgia in the conditions of Covid-19.Forbes Georgia.] in Georgian
 - Pirveli E., Shugliashvili T. & Machavariani, N. (forthcoming b). Rethinking Economic Policy of Georgia in the Times of COVID-19.
 - Stiglitz J. E., Sen A., & Fitoussi J.-P. (2009). Report by the Commission on the Measurement of Economic Performance and Social Progress, Paris, INSEE, <https://ec.europa.eu/eurostat/documents/118025/118123/Fitoussi+Commission+report>.
 - Stiglitz J. E., Sen A., Fitoussi J.-P. (2010). Mismeasuring Our Lives: Why GDP doesn’t add up: The New Press.

Sectoral Analysis of the Economic Model of Georgia

Erekle Pirveli

Professor

*Caucasus University,
Caucasus School of Business
e.pirveli@cu.edu.ge*

This paper aims to study the efficiency of the economic model of Georgia through investigating its sectoral development. This is the first study that analyzes annual financial statements of more than 500 large private sector entities of Georgia. The financial data have been officially withdrawn from the Supervision Service, and descriptive data (firm category, identification code, and the sphere of operation) have been automatically downloaded from the official website of the Supervision Service (www.reportal.ge) using artificial intelligence techniques.

The investigated sample entities operate in one of the following four areas: manufacturing, retail, services and finance. The author looks at this information in terms of the number, size and profitability of the entities. The results show that the smallest number of entities (19%) operates within the manufacturing sector. This already raises the doubt that Georgia’s economic model is rather inefficient. By looking at the size of the entities, the work further detects that the financial sector stands for the largest sector. The difference between the size of the finance

sector players and those within the other sectors is so evident that this may only strengthen the above risen doubt on wrong economic pattern of development. In terms of profitability, it is further revealed that trade and service sectors are the leading ones. In other words, there are fewer and smaller sized entities operating within the manufacturing sector, which are likely to be less focused on high-tech production and thus are earning relatively lower income margins.

It is recommended that the government agencies prioritize the growth of enterprise involvement within the manufacturing sector, which may potentially serve as a basis to move towards the introduction of knowledge-based, high-tech manufacturing paths in the medium- and long-term perspective.

Keywords: Georgia; economic model; sectoral analysis; sectoral efficiency; real industry; economic growth.

JEL Codes: C30, C31, D58

საინვესტიციო პროექტები, როგორც ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელი ბერკეტი

დავით ქელიძე

საქართველოს საპატრიარქოს
წმინდა ანდრია პივედწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტის მოწვეული დოქტორი
d.chelidze@mail.ru

საქართველოს სამომხმარებლო ბაზაზე უკანასკნელ წლებში გამოკვეთილი მეტად დაბალი გადახდისუნარიანი მოთხოვნა, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი დამაბზოვებელი ფაქტორია.

აქედან გამომდინარე, საქართველოს მთლიანი სამამულო პროდუქტის (მსპ) ფორმირება-ზრდის მასტიმულირებელი ფაქტორებს შორის განსაკუთრებული დაღვივება საბიუჯეტო სახსრების ეფექტიან გამოყენებაზე გადაიტანება. აღნიშნულს ადასტუხებს 2010-18 წლებში საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის ხაზებისა და ახაფინანსური აქტივების ზრდის ჯამური მაჩვენებლების მზარდი ტენდენციები და ამ მაჩვენებლების ქვეყნის მსპ-თან თანაფარდობის, საქართველოს კანონმდებლობის, 2018 წლის 14 დეკემბრამდე, მოქმედი ნოქმის თითქმის ყოველწლიურად (2013 წლის გახდა) დახლვევის ფაქტები.

საბიუჯეტო სახსრების ქვეყნის ეკონომიკის მასტიმულირებელი ბეკვტად გამოყენების ზემოაღნიშნული მიდგომის მნიშვნელობა კიდევ უფლო იზრდება კორონოვირუსთან (COVID-19) ბრძოლის პროცესში მხავარი ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირების ჩვეული ჩითმისა და ქვეყნებს შორის ჩამოყადიებული სამეუხნეო კავშირ-ერთიერთობების პახარიზებიდან გამომდინარე.

ზემოაღნიშნული და მთელი ჩივი სხვა გაჩემოების ზემოქმედებით შექმნილ სიტუაციაში, საქართველოს ეკონომიკის ფინანსური უზუნველოფა-სტიმულირების საქმეში საბიუჯეტო სახსრების მიზანმიმართული გამოყენების გაზრდილმა აქტუალულობამ განაპირობა მისი ჩეარიზების ერთ-ერთი მიმართულების - საინვესტიციო პროექტების შეჩრევა-დაფინანსების ზოგიერთი საკითხის წინამდებარე სტატიაში განიხილვა.

საკვანძო სიკვებები: საქართველოს მთლიანი სამამულო პროდუქტი, სახელმწიფო ბიუჯეტის ხაზები, ახაფინანსური აქტივები, საინვესტიციო პროექტები.

JEL Codes: G31, P45, D92, E62

ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემების სიმძიმე

საქართველოში სადღეისოდ შექმნილი ეკონომიკური სიტუაციის, კერძოდ, უაღრესად დაბალი ფინანსური პოტენციალის მქონე საოჯახო მეურნეობების მოხმარების (C) სიმცირის, მეტად შეზღუდული საინვესტიციო აქტივობისა (I) და ღრმად დეფიციტური სავაჭრო ბალანსით გამონვული ექსპორტის (NX) უარყოფითი სიდიდის პირობებში, ქვეყნის მსპ-ს ფორმირება-ზრდის ერთ-ერთ ძირითად ბერკეტად საბიუჯეტო ხარჯები (G) გვევლინება.

აქედან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად აუცილებელი ფინანსური პოტენციალის ფორმირების მნიშვნელოვან წყაროდ, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების „კეინზიანური მოდელით“ კარგად ცნობილი სახელმწიფო (საბიუჯეტო) სახსრები გამოიყენება, რასაც ადასტურებს ცხრილი 1-ით წარმოდგენილი მონაცემები.

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2010-18 წლებში საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების ფაქტობრივი მაჩვენებლის ზრდამ 6,1 მლრდ ლარი (საბაზისო წელთან შედარებით -107,0%) შეადგინა. საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის პარალელურად, ასევე დადებითია საბიუჯეტო შემოსავლების ყოველწლიური ზრდის მაჩვენებლები, ამავე პერიოდის საბიუჯეტო ხარჯების (4,0 მლრდ ლარით, 72,7%) მაჩვენებლებზე მნიშვნელოვნად დიდი ოდონობით ზრდის წინმსწრები ტემპი, რაც საბიუჯეტო ხარჯების არაინფლაციური ბუნების ერთ-ერთ უმთავრეს წინაპირობად არის მიჩნეული. მოსაწონია ისიც, რომ ეროვნულ ანგარიშთა 1993 წლის (SNA-1993) სისტემით გაანგარიშებული საქართველოს 2010-2018 წლების მსპ-ის 20,4 მლრდ ლარით (საბაზისო წელთან შედარებით 98,6%-ით) ზრდა და ის გარემოება, რომ „საქსტატის“ მიერ 2019 წლიდან ამოქმედებული ეროვნულ ანგარიშთა ახალი, (SNA-2008) სისტემით გადაანგარიშებული საქართველოს 2010-2019 წლების მსპ-ს როგორც ყოველი კონკრეტული წლის, ასევე საანგარიშო პერიოდში დაფიქსირებული ზრდის მაჩვენებელი საგრძნობლად აღემატება ძველს (SNA-1993), სისტემით გაანგარიშებულ მაჩვენებელს.

ზემოაღნიშნულის პარალელურად, ცხრილი 1-ის მონაცემები ქვეყნის ნაერთი ბიუჯეტის ნაკლოვანებებსაც ცხადყოფს. საქმე ისაა, რომ 2010-18 წლებში საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობის შეფარდების მაჩვენებლის ოდენობა, იმ პერიოდში მოქმედი სისტემით (SNA-1993) გაანგარიშებულ ქვეყნის მსპ-სთან პრაქტიკულად ყოველ წელს (2013 წლის გარდა) აღემატება «ეკონომიკური თავისუფლების შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის «ა» ქვეპუნქტის, 2018 წლის 14 დეკემბერამდე, მოქმედი რედაქციით ამ თანაფარდობისათვის დადგენილ ზღვრულ მაჩვენებელს.

საქართველოს მსკ-ს და ნაერთი ბიუჯეტის მნიშვნელოვანი პარამეტრების (მათ შორის არაფინანსური აქტივების ზრდის) დინამიკა (მლრდ ლარი)

ცხრილი 1

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
	ფაქტ	ფაქტ	ფაქტ	ფაქტ	ფაქტ	ფაქტ	ფაქტ	ფაქტ	ფაქტ	მოს.	პროგ.
მსკ მიმდინარე ფასები (მლრდ ლარი)	20,7	24,3	26,2	26,8	29,2	31,8	34,0	37,4	41,1	-	-
ეროვნული ანგარიშთა 1993 წლის (SNA 1993) სისტემით გაანგარიშებული ზრდა 2010 = 100%	100,0	117,4	126,6	129,5	141,1	153,6	164,3	180,6	198,6	-	-
მსკ მიმდინარე ფასები (მლრდ ლარი)	21,8	25,5	27,2	28,6	31,1	33,9	35,8	40,8	44,6	50,0*	53,1***
ეროვნულ ანგარიშთა 2008 წლის (SNA 2008) სისტემით გაანგარიშებული ზრდა 2010 = 100%	100,0	116,97	124,8	131,2	142,7	155,5	164,2	187,2	204,6	229,4	243,6
შეზისვლეები (მლრდ ლარი)	5,7	6,9	7,6	7,4	8,1	8,96	9,7	10,9	11,8	12,7	13,6
ზრდა 2010 = 100%	100,0	121,1	133,3	129,8	142,1	157,2	170,2	191,2	207,0	222,8	238,6
ბკ. წილი SNA 1993-ის მეთოდოლოგიით	27,5	28,4	29,0	27,6	27,7	28,2	28,5	29,1	28,7	-	-
განგარიშებული მსკ-თან მეთოდოლოგიით	26,1	27,1	27,9	25,9	26,0	26,4	27,1	26,7	26,5	25,4	25,6
განგარიშებული მსკ-თან	5,5	5,59	6,1	6,5	7,4	7,9	8,8	9,2	9,5	10,4	11,4
ზრდა 2010 = 100%	100,0	101,6	110,9	118,2	134,5	143,6	160,0	167,3	172,7	189,1	207,3
ბკ. წილი SNA 1993-ის მეთოდოლოგიით	26,6	23,0	23,3	24,3	25,3	24,8	25,9	24,6	23,1	-	-
განგარიშებული მსკ-თან	25,2	21,9	22,4	22,7	23,8	23,3	24,6	22,5	21,3	20,8	21,5
მეთოდოლოგიით	1,5	1,87	1,9	1,39	1,44	1,8	1,7	2,3	2,9	3,5	3,7
განგარიშებული მსკ-თან	100,0	124,7	126,7	92,7	96,0	120,0	113,3	153,3	193,3	233,3	246,7
ზრდა 2010 = 100%	7,2	7,7	7,3	5,2	4,9	5,7	5,0	6,1	7,1	-	-
ბკ. წილი SNA 1993-ის მეთოდოლოგიით	6,9	7,3	6,99	4,9	4,6	5,3	4,7	5,6	6,5	7,0	6,96
განგარიშებული მსკ-თან											

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საქართველოს საკანონმდებლო ნორმის პერმანენტული დარღვევის მეტად არასასურველი ზემოაღნიშნული პრაქტიკის აღმოფხვრა უზრუნველყოფილი იქნა, ერთი მხრივ, „საქსტატის“ მიერ, 2019 წლიდან ამოქმედებული ეროვნულ ანგარიშთა ახალი (SNA-2008) სისტემით გადაანგარიშებული და ძველი სისტემით გაანგარიშებულზე მნიშვნელოვნად გაზრდილი საქართველოს 2010-2019 წლების მსპ-ის მაჩვენებლებებით (იხ. ცხრილი 1), და მეორე მხრივ, ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ნორმის ამოღებით - «ეკონომიკური თავისუფლების შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის ტექსტიდან. თუმცა, აღნიშნულმა „გამოცდილებამ“ ხაზგასმით ცხადყო საჯარო ფინანსების მართვა-განკარგვის პროცესში ეკონომიკური მიზანშეწონილების და საკანონმდებლო ვალდებულებების ჰარმონიზების აუცილებლობა.

საჯარო ფინანსების ზემოაღნიშნულ პრინციპებზე დაყრდნობით მართვა-გამოყენების აქტუალურობას ცხადყოფს ცხრილი 2-ით წარმოდგენილი, ქვეყნის უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური პარამეტრების დინამიკის საყურადღებო ტენდენციები, მათ შორის, «სახელმწიფო ვალის შესახებ» კანონის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის კატეგორიას მიკუთვნებული ვალდებულებების კლების, ანუ საქართველოს სახელით ან მისი გარანტიით ადრე აღებული ფინანსური ვალდებულებების ძირითადი ნაწილის ან/და მათზე დარიცხული სარგებლის დაფარვისათვის უცხოეთში ყოველწლიურად გადასაგზავნი საბიუჯეტო ასიგნებების ზრდის საშიში პარამეტრები.

ცხრილიდან ისიც ჩანს, რომ 2010 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახელმწიფო ვალის მომსახურებისათვის გამოყოფილი 135,4 მლნ ლარი, იმავე წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის 2,6%-ის, ხოლო ხარჯების - 2,47%-ის ტოლია, ხოლო იგივე მიზნებისათვის საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილმა თანხამ 978,7 მლნ ლარი, ანუ საბაზისო წელთან შედარებით 622,8%-ული ერთეულით გაზრდილი სიდიდე შეადგინა.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ზემოაღნიშნული, თითქმის მლრდ (978,7 მლნ) ლარი, საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების 8,7%-ს, ხოლო ხარჯების 9,0%-ს შეადგენს, ცხადია, აღნიშნული თანხების ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარების სანაცვლოდ უცხოეთში გადაგზავნა მეტად არასასურველი ფაქტია. აღნიშნულს განსაკუთრებულ სიმძიმეს მატებს ის გარემოება, რომ დასახელებული თანხის „ქვეყნის გარეთ (უცხოეთში ვალების დასაფარად) გადაგზავნამდე, მისი უცხოურ ვალუტაში კონვერტირება ზრდის ამ ვალუტაზე ქვეყანაში არსებულ ერთობლივ მოთხოვნას, რაც კიდევ უფრო აუფასურებს ეროვნული ვალუტის კურსს“ (ხუციშვილი ა., ჭელიძე ლ., ჭელიძე დ., 2019).

**საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და ზოგიერთი სხვა მნიშვნელოვანი
მაკროეკონომიკური პარამეტრის დინამიკა**

ცხრილი 2

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
საქ. სახ. ბიუჯეტის შემოს (მლნ ლარი) ზრდა 2010 -100%	5188,2	5955,8	6839,4	7422,5	7319,0	8090,0	8555,0	9489,5	10314,2	10540,4	11226,9
საქსახ. ბიუჯეტის ხარჯ. (მლნ ლარი) ზრდა 2010 -100%	100,0	114,8	131,8	143,1	141,1	155,9	164,9	182,9	198,8	203,3	216,4
საქსახ. ბიუჯეტის ხარჯ. (მლნ ლარი) ზრდა 2010 -100%	5476,3	5746,1	6554,3	7248,5	7539,6	8005,4	8543,6	9121,2	9720,9	9999,1	10846,5
საქ. სახ. ბიუჯეტის საგარ. ვალდებულებ. კლება (მლნ ლარი) ზრდა 2010 -100%	135,4	138,9	120,9	471,8	532,0	356,0	360,0	431,0	725,0	927,0	978,7
საგარ. ვალდებულებ. კლება (მლნ ლარი) ზრდა 2010 -100%	100,0	102,6	89,3	348,4	392,9	262,9	265,9	318,3	535,5	684,6	722,8
ზრდა 2010 -100%	2,6	2,3	1,8	6,4	7,3	4,4	4,2	4,5	7,0	8,8	8,7
ზრდა 2010 -100%	2,5	2,4	1,8	6,5	7,1	4,4	4,2	4,7	7,5	9,3	9,0
ზრდა 2010 -100%	1,7	-	1,7	1,7	1,8	2,4	2,5	2,5	2,5	2,66	2,97
საქ. საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიში მლნ აშშ დოლარში	-1192,7 x 1,7	-1840,2	-1854,3 x 1,7	-926,0 x 1,7	-1745,2 x 1,8	-1763,4 x 2,4	-1885,1 x 2,5	-1309,2 x 2,5	-1191,1 x 2,5	-900,5 x 2,66	-
ზრდა აშშ დოლარში 2010 -100%	-2027,6	-	-3152,3	-1574,2	-3141,4	-4232,2	-4712,8	-3273,0	-2977,8	-2395,3	-
ზრდა აშშ დოლარში 2010 -100%	100,0	-	155,47	77,6	146,3	147,8	158,1	109,8	99,87	75,5	-
ზრდა ლარში 2010 -100%	100,0	-	155,46	77,6	154,9	208,7	232,4	161,4	146,9	118,1	-

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს ეროვნული ბანკი.

1 დაჩის აშშ ფოტოაქტივით გაცვლითი კუჩის შესახებ მონაცემები აღებულია „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შეხახებ“ შესაბამისი წლების კანონების მიღების დღისათვის ამ კანონებში დათქმული მარჯვენა მხარეს მითითებული მითითებით.

უაღრესად დეფიციტური საბიუჯეტო სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილის ქვეყნიდან გადინების ზემოაღნიშნული რეალობის პარალელურად, თუ მხედველობაში მივიღებთ საქართველოს საგადასახადელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშთა მაჩვენებლ(ებ)ის პერმანენტულად დეფიციტურ ხასიათს (ანუ ქვეყნის სამომხმარებლო ბაზრის გადახდისუნარიანი მოთხოვნის სიმცირესთან დაკავშირებული პრობლემის კიდევ უფრო გაღრმავებას) არის რეალური საშიშროება – COVID-19-ის პანდემიის შედეგად მთელს მსოფლიოში დიდი ალბათობით შემცირებულმა საინვესტიციო აქტივობებმა კიდევ უფრო გაამწვავოს აღნიშნული პრობლემა. აღნიშნულთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჯერ ერთი, – საქართველოს სამომხმარებლო ბაზრის დაბალი გადახდისუნარიანი მოთხოვნის პირობებში, ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის (განული მომსახურების) ერთეულის ფასში ფიქსირებული ხარჯების მაღალი წილით განპირობებული მოგების დაბალი ნორმის კიდევ უფრო შემცირების ობიექტური წინაპირობები იქმნება; და მეორე, ეპიდემიასთან ბრძოლის ღონისძიებათა შედეგად გაზრდილი საწარმოო დანახარჯების პარალელურად, ქვეყნის ფინანსური პოტენციალის (გადახდისუნარიანი მოთხოვნის) ფორმირების ორი უმთავრესი წყაროს – ტურისტული ინდუსტრიისა და ემიგრაციაში მყოფი საქართველოს მოქალაქეების ფულადი გზავნილების შემცირების შედეგად გაუარესებულ ეკონომიკური გარემოს პირობებში, ცხადია, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში არსებული ფინანსური (მათ შორის საბიუჯეტო) სახსრების რაციონალურად გამოყენების მექანიზმების სრულყოფას.

საინვესტიციო პროექტების შეფასებისა და მართვის სრულყოფის საკითხები

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სადღეისო რეალობაში განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს ქვეყნის სპეციფიკურ თავისებურებებზე და არამხოლოდ უცხოელ ექსპერტთა რეკომენდაციებზე დაფუძნებული, ეკონომიკის სტიმულირების დროში განერილი, კონკრეტულ რეზულტატებზე ორიენტირებული, აუცილებელი ფინანსური და მატერიალური რესურსებით, აგრეთვე შესრულებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის უფლება-მოვალეობების მწყობრი სისტემით უზრუნველყოფილი სახელმწიფო მიზნობრივი (საინვესტიციო) პროგრამების ამოქმედება.

აქედან გამომდინარე, ცხადია, სადღეისოდ რაოდენ მნიშვნელოვანია დეფიციტური საბიუჯეტო სახსრების სახელმწიფო საინვესტიციო პროგრამების მეშვეობით, საზოგადოებრივი ინტერესების დაკმაყოფილების პარალელურად, ქვეყნის ეკონომიკაში შექმნილი პრობლემების დაძლევის მიზანმიმართული (განსაკუთრებით ეკონომიკის საბაზო დარგების სტიმულირების), წერტილოვანი ზემოქმედების ბერკეტად გამოყენება.

აღნიშნულს ადასტურებს საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის ფორმატით შექმნილი დოკუმენტით – „საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგია 2018-2021“-ის გათვალისწინებულ პრიორიტეტთა ჩამონათვალში, საინვესტიციო პროექტების მართვის ერთიანი სისტემის სრულფასოვანი ამოქმედების აუცილებლობის ხაზგასმა და ამ თვალსაზრისით მიღწეული შედეგების მაღალი შეფასება. კერძოდ – „მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ქვეყანაში საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბების მიზნით. 2016 წელს, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, შემუშავდა საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 აპრილის N191 დადგენილება) და დეტალური მეთოდოლოგია (საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 22 ივლისის N165 ბრძანება), რომელიც აღწერს საინვესტიციო პროექტების შემუშავების წესებსა და პროცედურებს, განსაზღვრავს მონაწილე უწყებების როლებსა და პასუხისმგებლობებს სახელმწიფო ინვესტიციების მართვის პროცესის ყველა სტადიისათვის საინვესტიციო პროექტების განხორციელების დაწყებამდე“ („საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგია 2018-2021“).

ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად უნდა მივიჩნიოთ სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონების ოცდახუთწლიანი ისტორიის (1996-2020 წწ.) მანძილზე პირველად, „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანმდევი დოკუმენტების სახით – „საინვესტიციო პროექტების მართვის დანერგვის რეფორმის ფარგლებში საინვესტიციო პროექტების წინასწარი შერჩევის პილოტური ანალიზის“ და „საინვესტიციო პროექტების დანართის“ ([HTTPS://MOF.GE/5261](https://mof.ge/5261)) სახელწოდების ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტის არსებობა.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის ზემოაღნიშნული #385 ბრძანების მე-5-ე დანართის შესაბამისად, საინვესტიციო (კაპიტალური) პროექტები წარმოადგენს მკაფიოდ განსაზღვრული მიზნებისა და შედეგების მქონე ქმედებების ერთობლიობას, რის საფუძველზე შექმნილი პროდუქტ(ებ)ი თავად უნდა მიეკუთვნებოდეს ეკონომიკური აქტივობის ნაწილს, ცხადია, მათი საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით კარგად ცნობილი, ქვეყანაში გადახდისუნარიანი მოთხოვნის ფორმირების თვალსაზრისით, უაღრესად მნიშვნელოვანი, კაპიტალური პროექტების კატეგორიისადმი მიკუთვნების ლოგიკურობა.

აქედან გამომდინარე, განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის თანმდევი დოკუმენტის სახით წარმოდგენილი ზემოაღნიშნული - „საინვესტიციო პროექტების მართვის დანერგვის რეფორმის ფარგლებში საინვესტიციო პროექტ-

ტების წინასწარი შერჩევის პილოტური ანალიზის“ ([HTTPS://MOF.GE/5261](https://MOF.GE/5261)), თუნდაც წინამდებარე სტატიის შეზღუდულ ფორმატში განხილვა.

აღნიშნული მოსაზრების ლოგიკურობას ცხადყოფს, თუნდაც „საინვესტიციო პროექტების შეფასების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესასრულებლად სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 8 ოქტომბრის N385 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 26 დეკემბრის #411 ბრძანების არსებობა.

საინვესტიციო პროექტების კომპეტენტური და მიუკერძოებელი შეფასების მიზნით, სამუშაო ჯგუფის შექმნა-ფუნქციონირების საკითხისადმი ცალსახად პოზიტიური დამოკიდებულების მიუხედავად, ჩვენთვის სრულიად გაურკვეველია, ქვეყანა, რომლის ერთადერთი ინფექციური საავადმყოფო ათზე მეტი (2009 წლიდან) წლის განმავლობაში საკუთარი შენობის გარეშე ფუნქციონირებს, (<https://www.radiotavisupleba.ge/a/>) რამდენად ლოგიკურია სახელმწიფო ბიუჯეტიდან, პირველ რიგში, დასაფინანსებელი 14 საინვესტიციო პროექტს შორის განიხილავდეს, ქვეყნის სასიცოცხლო-სტრატეგიულ ინტერესებთან ისეთ შორეულ კავშირში მყოფ მიმართულებებს, როგორცაა: საერთაშორისო სტანდარტების ყინულის დარბაზის და თეატრალური მინიქალაქის მშენებლობა; საერთაშორისო სტანდარტების ჭიდაობის სახლისა და ქალაქ ფოთის საიალქნე კლუბის მშენებლობა; ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის და კოლეჯის არებული შენობების დანგრევა, ტერიტორიის გაყიდვა და სხვა ტერიტორიაზე ახალი შენობების მშენებლობა.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, საჯარო ფინანსების მართვის გამჭვირვალობის თვალსაზრისით ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის პროგრესულ ხასიათზე მეტყველებს, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 აპრილის #191 დადგენილებისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 22 ივლისის #165 ბრძანების მოთხოვნათა შესაბამისად, საინვესტიციო პროექტების პრიორიტეტულობის დადგენა-შეფასების პროცესის ეკონომიკური ანალიზის ისეთი ეფექტიან კრიტერიუმებზე დაყრდნობით რეალიზება, როგორცაა:

წმინდა მიმდინარე ღირებულების (NPV–Net Present Value) მაჩვენებელი. სიდიდე რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს განვსაზღვროთ პროექტის განხორციელებისათვის საჭირო სადღეისო და სამომავლო ხარჯების, აგრეთვე, ამ ხარჯების შედეგად მისაღები შემოსავლების სიდიდეები და წმინდა დღევანდელ ხარჯებსა-NPC და წმინდა დღევანდელ სარგებელს-შემოსავლებს-NPB შორის სხვაობის სახით არსებული პროექტ(ებ) ის წმინდა მიმდინარე ღირებულება-NPV.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საინვესტიციო პროექტების დადებითი შეფასებისათვის აუცილებელია პროექტ(ებ)ის წმინდა მიმდინარე ღირებულების მაჩვენებლის (NPV) მხოლოდ დადებითი სიდიდის სახით არსებობა.

საინვესტიციო პროექტების შეფასების კიდევ ერთი კრიტერიუმია შიდა უკუგების დონის (IRR–Internal Rate of Return) მაჩვენებელი, რაც წარმოადგენს დისკონტირების იმ ნორმის სიდიდეს, რომელიც ათანაბრებს დისკონტირებული ხარჯებისა და სარგებლის ჯამს. პროექტ(ებ)ის დაფინანსების აუცილებელ მოთხოვნად მიიჩნევა აღნიშნული მაჩვენებლის, ამავე პროექტის ნმინდა მიმდინარე ღირებულების (NPV) გაანგარიშებისას გამოყენებულ დისკონტირების მაჩვენებელზე მაღალი სიდიდის სახით არსებობა.

ზემოაღნიშნული მაჩვენებლების პარალელურად, პროექტ(ებ)ის შეფასებისას ასევე გამოიყენება ხარჯთსარგებლიანობის ანალიზის (CBA–Cost-Benefit Analysis) კოეფიციენტი, ანუ მაჩვენებელი, რომელიც იანგარიშება პროექტის გახორციელების პროცესში მთლიანი დისკონტირებული სარგებლის მთლიან დისკონტირებულ ხარჯებთან თანაფარდობის გზით.

პროექტ(ებ)ის დადებითი შეფასებისა და საბიუჯეტო დაფინანსების მოპოვებისათვის აუცილებელია აღნიშნული მაჩვენებლის ერთზე მეტი სიდიდის სახით არსებობა.

როგორც ზემოაღნიშნული მაჩვენებლების ეკონომიკური ბუნებიდან ვრწმუნდებით, საინვესტიციო პროექტების შეფასების ძირითად კრიტერიუმებად პროექტების ეკონომიკური ეფექტიანობის საკმაოდ მდგრადი დონის არსებობაა მიჩნეული. აღნიშნული მიდგომა, საჯარო ფინანსების მართვის ოპტიმიზების პარალელურად, ანტიკორუფციული ნიშნითაც, უდავოდ დადებითი მოვლენაა, რადგან შეფასების მკაფიო სისტემის არსებობას, მინიმუმამდე დაჰყავს არაობიექტური შეფასების საშიშროება.

დასკვნა

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

- საინვესტიციო პროექტ(ებ)ის შერჩევის ერთ-ერთ კრიტერიუმად მიჩნეული იქნეს პროექტ(ებ)ის რეალიზების შედეგად ექსპორტის ზრდის და/ან იმპორტის ჩანაცვლების მაჩვენებელი;

- საინვესტიციო პროექტების ეკონომიკური ეფექტიანობის ანალიზის ინდიკატორებს დაემატოს, პროექტ(ებ)ის დასაფინანსებლად გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებებიდან ქვეყნის შიგნით გარანტირებულ გადანაწილებას დაქვემდებარებული თანხების (რეზიდენტებზე გასაცემი ხელფასები, ადგილობრივი ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შესყიდვა და ა.შ.), პროექტ(ებ)ის დაფინანსებისათვის საჭირო საბიუჯეტო ასიგნებების საერთო ოდენობასთან თანაფარდობის მაჩვენებელი;

- საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტის საფუძველზე განისაზღვროს და პერიოდულად გადაისინჯოს დარგობრივი და/ან ახლადშექმნილი სამუშაო ადგილების ნიშნით დიფერენცირებული, ქვეყნის შიგნით გარანტირებულ გადანაწილებას დაქვემდებარებული თანხებისა და

პროექტების დაფინანსებისათვის საჭირო საბიუჯეტო ასიგნებების მთლიანი ოდენობის თანაფარდობის ის მინიმალური ზღვრული მაჩვენებლები, რაც მიჩნეული იქნება გარკვეული ტიპის პროექტ(ებ)ის პრიორიტეტულობის განსაზღვრის ან/და შერჩევა-შეფასების ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმად;

- ქვეყნის შიგნით გარანტირებულად გადასანაწილებელი თანხებისა და პროექტების დაფინანსებისათვის საჭირო საბიუჯეტო ასიგნებების მთლიანი ოდენობის თანაფარდობის მინიმალური ზღვრული მაჩვენებლის დარღვევით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების მიღება შესაძლებელი გახდეს მხოლოდ სათანადოდ დასაბუთებულ გამონაკლის შემთხვევაში, საქართველოს მთავრობის შესაბამისი აქტის საფუძველზე.

ზემოაღნიშნულის პარალელურად, ქვეყნის სავაჭრო და საგადასახდელო ბალანსების ღრმად დეფიციტური პარამეტრების გაუმჯობესებისა და საბიუჯეტო ხარჯების პრიორიტეტულობის განსაზღვრის აქტუალურობიდან გამომდინარე, ასევე მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის #385 ბრძანების ზემოაღნიშნული მე-5 დანართის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტში, - „პროექტის წინასწარი შერჩევის“ განმარტების სახით, არსებულ ტექსტს დაემატოს ფრაზა: „და ქვეყნის საგადასახდელო ბალანსზე“, რის შემდგომ აღნიშნული ქვეპუნქტის პირველი წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ე) «პროექტის წინასწარი შერჩევა-პროექტის სტრატეგიული ამოცანის, ლოგიკური დასაბუთების, ბიუჯეტსა და ქვეყნის საგადასახდელო ბალანსზე ზემოქმედების, ეკონომიკური მიზანშეწონილობის და სოციალური გავლენის წინასწარი შეფასების პროცესი».

ანალოგიური ხასიათის შესწორება იქნეს შეტანილი ამავე მე-2-ე პუნქტის «ვ» ქვეპუნქტით განსაზღვრულ, - „პროექტის შეფასების“ განმარტების ტექსტში, კერძოდ, ქვეპუნქტის ბოლო წინადადებას დაემატოს ფრაზა: - „და ქვეყნის საგადასახდელო ბალანსზე ზემოქმედების“, რის შედეგად „ვ“ ქვეპუნქტის ბოლო წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ასევე მნიშვნელოვანია პროექტის გახორციელებასთან დაკავშირებული შესაძლო რისკებისა და ქვეყნის საგადასახდელო ბალანსზე ზემოქმედების შეფასება“.

ლიტერატურა:

- ხუციშვილი ა., ჭელიძე ლ., ჭელიძე დ. (2019). „საქართველოს სახელმწიფო ვალის დინამიკა და მართვის თავისებურებები“ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი სამეცნიერო ნაშრომების კრებული #1, თბილისი.
- საქართველოს ორგანული კანონი „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“, 2011 წ.
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო ვალის შესახებ“, 1998 წ.

- საქართველოს კანონი “საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი”, 2009 წელი.
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 აპრილის №191 დადგენილება. „საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევის დამტკიცების თაობაზე“
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წ. №165 ბრძანება „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 8 ოქტომბრის №385 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 26 დეკემბრის #411 ბრძანება „საინვესტიციო პროექტების შეფასების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესასრულებლად სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“
- საინვესტიციო პროექტების მართვის დანერგვის რეფორმის ფარგლებში საინვესტიციო პროექტების წინასწარი შერჩევის პოლიტიკური ანალიზი“ <http://mof.ge/5261>
- საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგია 2018-2021 გვ.13
- „რატომ ვერავინ მოაგვარა ინფექციური საავადმყოფოს პრობლემა“ <http://mof.ge/images/file/strategia/2018/pfmrs-2018-2021-2606-final.pdf> /ბოლო ნახვა 27.03.2020/
- <http://www.geostat.ge/ka/singlecategories/99/sakartvelos-sagareo-vachroba>
- https://mof.ge/saxelmwifo_biujeti_wlebis_mixedvit
- <http://matsne.gov.ge/>

References:

- Khutsishvili A., Chelidze L., Chelidze D. (2019) “saqartvelos saxelmwifo valis dinamika da martvis taviseburebebi” [“The Dynamics of the State Debt of Georgia and Management Features” Eastern European University. Scientific Papers # 1, Tbilisi. pp.32]
- Organic Law of Georgia on Economic Freedom. 2011 year.
- Law of Georgia on Public Debt. 1998 year.
- Law of Georgia “Budget Code of Georgia”, 2009.
- Resolution 191 of the Government of Georgia of April 22, 2016. On the Approval of the Investment Projects Management Guide
- Order No. 165 of the Minister of Finance of Georgia of July 22, 2016 “On Approval of the Methodology of Compiling the Program Budget” On Amending the Order of the Minister of Finance of Georgia of July 8, 2011 № 385
- On Making Amendments to the Order N385 of the Minister of Finance of Georgia of October 8, 2018 » Order # 411 of the Minister of Finance of Georgia of December 26, 2019 “On the Establishment of a Working Group to Implement Measures to be Implemented for the Evaluation of Investment Projects”
- <https://mof.ge/5261> Political Analysis of Preliminary Selection of Investment Projects in the Implementation of Investment Project Management Reform ”
- <https://mof.ge/images/File/strategia/2018/PFMRS-2018-2021-2606-final.pdf>

- Public Finance Reform Management Strategy 2018-2021 p. 13
- <https://www.radiotavisupleba.ge/a/-> “Why No One Can Solve the Problems of Infectious Diseases Hospital” ?Last View 27.03.2020/
- <http://www.geostat.ge/ka/singlecategories/99/sakartvelos-sagareo-vachroba>
- https://mof.ge/saxelmwifo_biujeti_wlebis_mixedvit
- www.matsne.gov.ge/

Investment Projects as a Stimulating Lever of Country's Economic Growth

David Chelidze

*Academic Doctor of Economics,
Saint Andrew the First-Called Georgian
University of the Patriarchate of Georgia
d.chelidze@mail.ru*

Nowadays economic difficulties in the country make especially important to activate specific result-oriented, scheduled state capital (investment) projects, with clear system of duties/obligations of the persons responsible for execution, and provided with financial and material resources.

In view of the above, it should be considered completely logical for the Georgian government to adopt such normative acts regulating the methodology of investment project management as: the Government of Georgia 22 April 2016, #191 decree and Minister of Finance of Georgia 22 July 2016, #165 order.

Despite the positive assessment of the selection and evaluation process of investment projects, using the indicators of economic efficiency provided by the above-mentioned documents, despite the clear and anti-corruption nature of the evaluation process, with deficit budget funds we consider it appropriate to make relevant changes in the #5 Annex of the Minister of Finance of Georgia 8 July 2011, #385 order on “Approving the Program Budget Development Methodology”. In particular:

- *Establish the value of the increase in export and/or replacement of import resulting from realization of the projects as an evaluation criterion of the investment project(s);*
- *Add to the investment project evaluation indicators the ratio of funds guaranteed to be distributed within the country, allocated from the budget funds intended to finance project(s), to the total value of required budget funds allocated to fund projects;*
- *By the normative act of the Government of Georgia, define and periodically review the minimum limits of ratios of domestically allocated funds to total*

budget allocations for projects, differentiated based on sectoral or/and newly established job positions, which will be considered one of the main criteria to obtain budget funding for a particular project;

- *When the above mentioned ratios, the financing of the investment project (s) from the state budget will be possible only in exceptional cases, on the basis of the relevant act issued by the Government of Georgia.*

Keywords: *GDP; state budget; non-financial assets; investment projects.*

JEL Codes: *G31, P45, D92, E62*

ფინანსები და საბანკო საქმე ◊ აღრიცხვა, აუდიტი
FINANCE ◊ BANKING ◊ ACCAUNTING, AUDITING

სადივიდენდო პოლიტიკის რეგულირების მექანიზმები
საქართველოს ბიზნესსექტორში

ბესიკ ბოლქვაძე

ასოციირებული პროფესორი
ბათუმის შოთა ჰუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
besik.bolkvadze78@gmail.com

ნაშრომი ეხება საქართველოს ბიზნესსექტორში კომპანიების მიერ სადივიდენდო პოლიტიკისა და შესაბამისი მიდგომების მახვეულიხებელი ასპექტების ანალიზს და მათი გათვადისწინების აუცილებლობას. მასში განსაკუთრებული აქცენტები კეთდება დივიდენდების განაწილების სამეწაქმეო-საგადასახადო ასპექტებსა და ანალიტიკური მიდგომებზე, გამოკვეთილია სადივიდენდო პოლიტიკის ხოლი და მნიშვნელობა კომპანიათა ფინანსური გადაწყვეტილებებში, ხაც ხელს შეუწყობს ბიზნესსუბიექტების ფინანსური მართვის ამოცანების უფექტიან გადაწყვეტას, ხაც თავის მხივ სტიმულს მისცემს მათი ოპეტიხების უფექტიანობის ამაღლებას.

ნებისმიერი ბიზნესსუბიექტთან მიმართებით სადივიდენდო პოლიტიკა ითვლება და განიხილება, ხოგოხც სპეციფიკური ფინანსური გადაწყვეტილებათა უხობდიობა, ხაც ხასიათდება კომპლექსუხობით და გავდენას ახდენს კომპანიათა უკონომიკური ქცევის მოდებზე. ხამდენადაც სადივიდენდო პოლიტიკა დაკავშირებულია ფინანსური შედეგების განაწილების პროცესთან, ხეაღუხად იგი წაქმოადგენს სახეინვესტიციო პოლიტიკის ადტიენატივას. ამდენად, მნიშვნელოვანია დაბადანსებული მიდგომის გამოყენება კონკრეტიკური კოქპოქაციური (ენდოგენური) და გეხეინტიუაციური (ეგზოგენური) ფაქტიკოებიდან გამომდინაქე, ხოგოხიციას დივიდენდების განაწილებისადმი პაქტინიოქური მიდგომები, ბიზნესპოქციების მართვის მენტიქეტიკური მენტიადიტიკტი, ბიზნესსუბიექტის საქმიანი აქტიუხობის ფაზა, ოქგანიზაციურ-სამართლებიივი ფოქმა, მიმდინაქე ფინანსური სტიატუსი, კაპიტიადის ბაზიის ზეგავდენის ანალიზი, დივიდენდების სამეწაქმეო ხეგულიხების ასპექტები, დივიდენდებთან დაკავშირებული დაბეგვიის ნიუანსები, ანალიტიკური სადივიდენდო ფინანსური ინდექსების გამოყენება და სხვა.

საკვანძო სიტყვები: დივიდენდი, სადივიდენდო პოლიტიკა, მოგების განაწილება, ფუტადი და ახაფუტადი დივიდენდი.

JEL Codes: G30, G32, G35, G38

შესავალი

იმ ფინანსურ გადაწყვეტილებებს შორის, რომელთა მიღება უხდებათ ბიზნესსექტორში ოპერირებად ეკონომიკურ სუბიექტებს, თავისი სპეციფიკურობით და კომპლექსურობით, გამოკვეთილი ადგილი უჭირავს სადივიდენდო პოლიტიკას და მასზე დაფუძნებულ სადივიდენდო გადაწყვეტილებებს. სადივიდენდო პოლიტიკის სირთულე ვლინდება იმით, რომ დივიდენდების გაცემის მექანიზმი არ ცნობს რაიმე სტანდარტულ და ფორმალიზებულ „ალგორითმს“, არამედ ძირითადად ისაზღვრება ზოგადი სამენარმეო-საგადასახადო ჩარჩოებით და მეტ სივრცეს ტოვებს ბიზნესპარტნიორებისა და მენეჯერული ბირთვისათვის რელევანტური გადაწყვეტილებების მიღების თვალსაზრისით. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელობას იძენს ხსენებული ასპექტების სწორი გაგება და მართებული ინტერპრეტირება იმისათვის, რომ ბიზნესის ფინანსების კორპორაციული მართვა იყოს ეფექტიანი და ზრდად შედეგებზე ორიენტირებული.

სადივიდენდო პოლიტიკის მნიშვნელობა ბიზნესსუბიექტებისათვის

სადივიდენდო პოლიტიკა ბაზარზე მოქმედი ნებისმიერი ბიზნესსუბიექტის ფინანსური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი სეგმენტია, რადგან დივიდენდების გაცემა-განაწილების მექანიზმი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის როგორც საბაზრო ღირებულებაზე, ასევე სამომავლო ოპერირებაზე (Salman 2019, 168). დივიდენდი წარმოადგენს აქციონერის (პარტნიორის) კუთვნილ ფულად ნაკადს, რომელიც თავისებური „სიგნალია“ იმის შესახებ, რომ ბიზნესსუბიექტი, რომლის კაპიტალშიც არის პარტნიორთა სახსრები დაბანდებული, ახერხებს ბაზარზე მდგრად და ეფექტიან ფუნქციონირებას. დივიდენდის გაცემა მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული ფინანსურ შედეგებზე და ასახავს მისი გამოყენების პროცესს, რაც თავის მხრივ, კომპანიის პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. ამასთან, დივიდენდების გაცემის მექანიზმი არ წარმოადგენს ჰომოგენურს პარტნიორთა სტატუსზე და, შესაბამისად, აქციის სახეობებზე დამოკიდებულების მიხედვით.

ბიზნესსუბიექტების ფინანსური მენეჯერების მნიშვნელოვან საოპერაციო პასუხისმგებლობის სფეროა გადაწყვეტილება დივიდენდების გაცემის შესახებ, ანუ თუ როგორ უნდა მოხდეს ბიზნესის წმინდა დადებითი ფინანსური შედეგის განაწილება ბიზნესპარტნიორებზე და თავის მხრივ,

საბოლოო ანგარიშით, როგორ იმოქმედებს აღნიშნული გადაწყვეტილება, კომპანიის ფინანსური მართვის „ტოპმიზანზე“ – მისი ღირებულების ზრდაზე. კომპანიის ფინანსური მართვის სისტემამ უნდა განსაზღვროს, კონკრეტულ საანგარიშგებო პერიოდში, დაუბრუნოს თუ არა მიღებული ფინანსური შედეგის განსაზღვრული ნაწილი კომპანიის მფლობელებს დივიდენდების სახით და თუ უნდა დაუბრუნოს, – რა მოცულობით და როგორი (ფულადი თუ არაფულადი) ფორმით.

სადივიდენდო განაწილების ალტერნატივაა რეინვესტირების პროცესი, ამიტომ აღნიშნული გადაწყვეტილება მჭიდროდაა დაკავშირებული გადაწყვეტილებასთან ინვესტირების შესახებ და, იმავდროულად, გადაწყვეტილებასთან დაფინანსების შესახებ, რადგან დივიდენდების განაწილებისას კომპანიას უმცირდება ბიზნესის დაფინანსების წყაროები. სადივიდენდო პოლიტიკის განხორციელებამ შესაძლოა მოახდინოს მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის რესურსულ პოტენციალზე ისევე, როგორც კომპანიის ღირებულებაზე იმის მიხედვით, თუ რომელ სადივიდენდო სტრატეგიას – აქტიურ თუ პასიურ სადივიდენდო პოლიტიკას მიმართავს კომპანიის მენეჯმენტი ფინანსური შედეგის გამოყენებაზე გადაწყვეტილების მიღებისას. აქტიური სადივიდენდო პოლიტიკა ნიშნავს ორიენტირებას უპირატესად დივიდენდების გაცემაზე, რომლის დროსაც ბიზნესსუბიექტის პარტნიორებზე დივიდენდები ნაწილდება დროის რეგულარული ინტერვალებით. შესაბამისად, ასეთი პოლიტიკის გატარება ხელს უწყობს უპირატესად კომპანიის დივიდენდების საბაზრო ღირებულების ზრდას. პასიური სადივიდენდო პოლიტიკა კი გულისხმობს ორიენტირებას უპირატესად დივიდენდების „შეკავებაზე“, რომლის დროსაც დივიდენდების გაცემა შეიძლება მოხდეს გარკვეული პერიოდულობით, პარტნიორთა კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. განსხვავებით აქტიური სადივიდენდო პოლიტიკისაგან, პასიური სადივიდენდო პოლიტიკა ნეგატიურად აისახება კომპანიის საბაზრო ღირებულებაზე. აქედან გამომდინარე, უაღრესად მნიშვნელოვანია სწორი ბალანსის დაცვა განაწილებულ და გაუნაწილებულ მოგებათა სიდიდეებს შორის.

შევნიშნოთ, რომ პასიური სადივიდენდო მიდგომის გამოყენებაეკონომიკურად უპირატესად მიზანშეწონილია ბიზნესის დაფუძნების საწყის პერიოდში, ბიზნესის გაფართოების ან კიდევ კრიზისული „ველის“ შექმნის პირობებში. აღნიშნულის საპირისპიროდ, სხვა შემთხვევაში, კომპანიები მიმართავენ აქტიურ სადივიდენდო მიდგომას ე.წ. აქსელირებული გადინების სახით ან შერეულ ანუ დაბალანსებულ სადივიდენდო მიდგომას (დივიდენდების პროპორციულ განაწილება-დატოვებას) მისი ფინანსური მდგომარეობისა და მიმდინარე ამოცანების შესაბამისად. ეს უკანასკნელი ცნობილია, როგორც „პრაგმატული“ სადივიდენდო მიდგომა (Neale, McElroy 2004, 351), რაც ნიშნავს იმას, რომ შეფერხებებმა დივიდენდების რეგულარულ გაცემაში შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის დივიდენდების

საბაზრო ღირებულების დაცემა და ამის ნიველირების მიზნით კომპანია მიმართავს რეგულარულ სადივიდენდო გადახდებს, როგორც მისი სტაბილური ოპერირების თავისებურ ინდიკატორს, ვინაიდან კომპანიის საბაზრო ღირებულება და ბაზარზე პოზიციონირება, გარდა „სტანდარტული“ ფაქტორებისა (როგორცაა ზოგადი კონკურენტუნარიანობა, ფინანსური მდგომარეობა, მოგების გენერირების პოტენციალი, კომპანიის საიმჯო მდგომარეობა და სხვ.) მნიშვნელოვნადაა ასევე დამოკიდებული:

- შერჩეულ სადივიდენდო პოლიტიკაზე;
- გაცემული დივიდენდების სიდიდეზე;
- საქმიან დინამიკაში დივიდენდების ზრდის ტემპზე.

სადივიდენდო პოლიტიკის განხორციელების შედარებითი „კომპლექსურობა“, კორპორაციული ფინანსური პოლიტიკის სხვა მიმართულებებთან შედარებით, გამოიხატება იმით, რომ მისი შემუშავებისა და გატარების პროცესი მოითხოვს განსაზღვრული შემზღუდავი ფაქტორების მხედველობაში მიღებას. ასეთ ფაქტორებად კი განიხილება ისეთი შეზღუდვები, როგორცაა საკანონმდებლო, საკონტრაქტო, არასაკმარის ლიკვიდობასთან და წარმოების გაფართოებასთან დაკავშირებული შეზღუდვები, საფინანსო ხასიათისა და აქციონერთა ინტერესებთან დაკავშირებული შეზღუდვები (Kovalev 1998, 317-321). აქედან გამომდინარე უნდა აღინიშნოს, რომ სადივიდენდო პოლიტიკის შემუშავებისას რაიმე ერიანი ფორმალიზებული ალგორითმი არ არსებობს, არამედ ის განისაზღვრება მრავალი ფაქტორით, ამიტომ ყველა ბიზნესსუბიექტმა ინდივიდუალური მიდგომით უნდა ამოირჩიოს სადივიდენდო პოლიტიკისადმი მიდგომა თავისი ეკონომიკური საქმიანობის სპეციფიკისა და მიმდინარე საბაზრო კონიუნქტურის გათვალისწინებით.

დივიდენდების განაწილების სამენარმეო ასპექტები

მოგების განაწილება-გამოყენების საკითხს ქვეყანაში ძირითადად არეგულირებს საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“, რომლის მიხედვითაც სააქციო საზოგადოებასა (სს) და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში (შპს) წლიური მოგებისა და შუალედური მოგების დივიდენდების სახით განაწილება შეიძლება დადგინდეს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით, რაც ნიშნავს იმას, რომ მსგავსი სამართლებრივი ფორმის კომპანიებში შესაძლებელია შუალედური მოგების გაცემა (საზოგადოების წესდებით და/ან პარტნიორთა კრების ოქმით), კომპანიას თვითონ შეუძლია განსაზღვროს შუალედური მოგების საანგარიშო პერიოდი (მაგალითად, თვე, კვარტალი, ნახევარწელი და ა.შ.) და მისი ფინანსური შედეგების მიხედვით გასცეს დივიდენდები. ამასთან, აღნიშნული კაპიტალური ტიპის საზოგადოებებში დივიდენდი უნდა გაიცეს წესდებით გათვალისწინებულ ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს მოგების განაწილების

შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან ცხრა თვისა. ასევე აღსანიშნავია, რომ ბიზნესსუბიექტში მონაწილე პარტნიორებს უფლება არა აქვთ მიიღონ სხვა საბლური (თუ ისინი იმავდროულად არ წარმოადგენენ კომპანიის მმართველ პარტნიორებს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს), გარდა დივიდენდისა, რადგან სხვა სახით მიღებული შემოსავლები ექვემდებარება უკან დაბრუნებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის დაიბეგრება განსაზღვრული წესით.

მნიშვნელოვანია იმ გარემოების კონსტატირებაც, რომ დივიდენდების გაცემის შესახებ „პირველად“ გადაწყვეტილებას ბიზნესსუბიექტში იღებს კომპანიის დირექტორი (დირექტორები), კერძოდ, გაიცეს თუ არა პარტნიორებზე დივიდენდები და რა ოდენობითა და პროპორციით განაწილდეს მოგება დივიდენდებსა და რეინვესტირებაზე, რის შემდეგაც აღნიშნული გადაწყვეტილება განსახილველად გადაეცემა სამეთვალყურეო საბჭოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მისი მოწონება – არ მოწონების მიზნით. ამ უკანასკნელს შეუძლია დაეთანხმოს ან არ დაეთანხმოს შემოთავაზებულ წინადადებას დივიდენდების განაწილების შესახებ ან თვითონ გააჩნდეს საკუთარი ვარიანტი. საბოლოო დამტკიცების მიზნით, კი დირექტორთა საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული წინადადებები წარედგინება პარტნიორთა კრებას (6, მუხლი 54.6/დ), რომელიც მიიღებს ან არ მიიღებს შესაბამის წინადადებას და დამტკიცებს მას ან საკუთარი გადაწყვეტილებით მოახდენს დივიდენდების განაწილებას ან „შეკავებას“.

დივიდენდების განაწილების განსხვავებული წესი ყალიბდება იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს მმართველობის სხვადასხვა დონეზე სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების გამოყენებასთან, რაც რეგულირდება „მწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით (მუხლი 8), საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით (მუხლი 261) და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვრული წესით, რაც ადგენს ამისათვის სპეციალურად შექმნილი გადაწყვეტილების მიმღები სამთავრობო კომისიის (კომისიების – ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების დონეზე), როგორც სათათბირო ორგანოს, კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს. კერძოდ, მოქმედი საბიუჯეტო კანონმდებლობისა და ხსენებული კომისიის მუშაობის რეგლამენტის მიხედვით: 1. სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოდან გადასარიცხი დივიდენდები მთლიანად (100%-ით) მიიმართება შესაბამისი დონის ბიუჯეტებში. სახელდობრ, კომისიის სხდომის ოქმით განისაზღვრება შესაბამისი დონის ბიუჯეტებში გადასარიცხი თანხის ოდენობა და გადახდის ვადები; 2. კომისიას უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს წმინდა მოგებიდან სადივიდენდო თანხების საწარმოსთვის დატოვების შესახებ, მისი ხარჯვის

მიზნობრიობის გათვალისწინებით (მანამდე საწარმოს მხრიდან წარდგენილი უნდა იყოს წმინდა მოგების განაწილების შესახებ ალტერნატიული წინადადება); 3. შესაბამისი მმართველობითი დონის მთავრობას უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს გადაწყვეტილება ასეთი საწარმოების წმინდა მოგების განაწილების, გამოყენებისა და განსხვავებულად მართვის შესახებ.

შევნიშნავთ, რომ ბიზნესუბიექტებში დივიდენდების გაცემა უნდა ხორციელდებოდეს შესაბამისი პროცედურების დაცვით, რასაც საფუძვლად უნდა ედოს, ერთი მხრივ, მიმდინარე ან გასულ პერიოდებში გენერირებული მოგება, ხოლო მეორე მხრივ, პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება დივიდენდების გაცემის შესახებ. ამასთან, აღნიშნული კონტექსტით ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ დივიდენდებთან დაკავშირებული სამი ძირითადი უფლება (5. გვ. 1-2): 1. დივიდენდის მიღების უფლება, რაც გულისხმობს პარტნიორის უფლებას, მიიღოს კუთვნილი დივიდენდი. ასეთი უფლება წარმოიშობა კომპანიის პარტნიორად გახდომის მომენტიდან. შესაბამისად, დივიდენდის მიღების უფლება გააჩნია ყველა პარტნიორს გამომდინარე იქიდან, რომ ისინი წარმოადგენენ კომპანიის პარტნიორებს; 2. დივიდენდის მოთხოვნის უფლება, რაც ნიშნავს კონკრეტული საფინანსო წლის (ან შუალედური პერიოდის) ფარგლებში კომპანიის მოგებიდან დივიდენდის მოთხოვნის უფლებას. ასეთი უფლება წარმოიშობა კომპანიის პარტნიორთა კრების მიერ მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან; 3. დივიდენდზე უფლების გადაცემა მესამე პირისათვის, რაც ითვალისწინებს პარტნიორის მიერ დივიდენდზე თავისი მოთხოვნის დათმობას სხვა პირისათვის. აღსანიშნავია, რომ დივიდენდის მიღების უფლება უპირობოდ არის დაკავშირებული პარტნიორად ყოფნასთან და მისი სხვა პირისათვის გადაცემა, კომპანიაში წლისაგან დამოუკიდებლად, არ დაიშვება და ამ უფლების გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ წილთან ერთად, ამიტომ წილის დათმობით ხდება აღნიშნული უფლების დათმობაც.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დიფერენცირებული შეიძლება იყოს დივიდენდების გაცემის წყაროები, რაც დამოკიდებულია კონკრეტულ საკანონმდებლო მიდგომებზე. ზოგადად, ასეთი წყაროები შეიძლება იყოს: 1. მიმდინარე პერიოდის წმინდა მოგება; 2. გასული პერიოდების გაუნაწილებელი მოგება; 3. მოზიდული წყარო (მაგალითად, სესხი); 3. სპეციალური ფონდი. აღნიშნული წყაროებიდან საბაზისო არის მიმდინარე წლის წმინდა მოგება. აქვე შევნიშნავთ, რომ მსოფლიო პრაქტიკით შემუშავებულია დივიდენდების გაცემის შემდეგი მეთოდებიდან, როგორცაა პროცენტული გადახდის მეთოდი, ფიქსირებული გადახდის მეთოდი, ექსტრადივიდენდების მეთოდი, დივიდენდების გადახდა აქციებით (Kovalev 1998, 323-326), საქართველოს ბიზნესსექტორში კომპანიათა აბსოლუტური უმრავლესობა იყენებს ძირითადად „კონსერვატიულ“ (პროცენტული და

ფიქსირებული გადახდის) მეთოდებს, რაც ქვეყანაში კაპიტალის ბაზრის ინსტრუმენტების არასათანადო განვითარებით შეიძლება აიხსნას.

დივიდენდების დაბეგვრისადმი საგადასახადო მიდგომები

დივიდენდებთან მიმართებით მნიშვნელოვანია ბიზნესსუბიექტების მიერ საგადასახადო მიდგომების სწორად განსაზღვრა და გამოყენება, რადგან ის დაკავშირებულია კომპანიის კუთვნილი აქტივების სხვა ეკონომიკური სუბიექტების მიერ გამოყენებასთან, ამიტომ ის თავისი ბუნებით განეკუთვნება სპეციფიკურ შემოსულობათა კატეგორიას და საჭიროებს განსაკუთრებულ მიდგომას. საგადასახადო მიზნებისათვის, თითოეული სპეციფიკური შემოსულობისათვის (როგორცაა დივიდენდი, პროცენტი, როიალტი და ა.შ.), დამახასიათებელია წყაროსთან დაბეგვრის აუცილებლობა, გარკვეული თავისებურებების გათვალისწინებით. კერძოდ, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, დივიდენდის ცნებას აქვს სამგვარი მნიშვნელობა: 1. წილებიდან და აქციებიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც მიიღება მოგების განაწილების შედეგად და რომელსაც კომპანია უნაწილებს მეწილეებს და აქციონერებს მათი კუთვნილი უფლებებისა და აქციების პროპორციულად (ან პროპორციის გარეშე); 2. კომპანიის ლიკვიდაციისას ქონების განაწილებით მიღებული შემოსავალი სანესდებო და საემისიო კაპიტალის ზემოთ; 3. აქციების ან წილის გამოსყიდვით მიღებული ნამეტი შემოსავალი (მუხლი 8.12).

მიზანშეწონილია აღინიშნოს, რომ მსოფლიო საგადასახადო სისტემების ფუნქციონირების პრაქტიკაში გამოიყენება ფინანსური შედეგების (მოგების) და მისი განაწილების (დივიდენდების) დაბეგვრის კლასიკური და იმპუტაციური სისტემები. კლასიკური სისტემის პირობებში ადგილი აქვს მოგების გადასახადით დაბეგვრის პარალელურად განაწილებული დივიდენდების დაბეგვრას, ხოლო იმპუტაციური სისტემის გამოყენებისას მოგების გადასახადით დაბეგვრა გამორიცხავს დივიდენდებზე განაწილებული მოგების დაბეგვრის მომენტს. არსებობს ასევე ნახევრად იმპუტაციური დაბეგვრის სისტემები, რაც ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების მიზნით, ითვალისწინებს სხვადასხვა ვარიაციით დივიდენდების დაბეგვრისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებას ან გამოქვითვას (James, Nobes 2009, 258-260). საქართველოში მოქმედი ე.წ. „ესტონურიკკ მოდელი შეიძლება განვიხილოთ, როგორც დაბეგვრის ნახევრად იმპუტაციური სისტემის თავისებური მოდიფიკაცია, რომლის პირობებში დივიდენდებზე განაწილებული მოგება იბეგრება იმ შემთხვევაში, როდესაც ის ხმარდება ძირითადად ბიზნესის გაფართოებას რეინვესტირების ხარჯზე.

საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, დივიდენდი განეკუთვნება გადახდის წყაროსთან 5%-იანი განაკვეთით დაბეგვრად განაცემს,

კერძოდ, დაბეგვრას ექვემდებარება რეზიდენტი სანარმოს მიერ გაცემული დივიდენდები: 1. ფიზიკური პირისათვის; 2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისათვის; 3. არარეზიდენტი სანარმოსათვის (მუხლი 130.1). დაბეგვრას არ ექვემდებარება მიღებული დივიდენდები: მწარმე სუბიექტების მიერ (გარდა ინდივიდუალური სანარმოსი); თავისუფალ ინდუსტრიულ ზონის სანარმოდან; ასევე რეზიდენტი სანარმოს მიერ სახელმწიფოსთვის გადახდილი დივიდენდები. ამდენად, დაბეგვრას თუ არა კომპანიამ გადახდის წყაროსთან კერძო სამართლის იურიდიულ პირზე გაცემული დივიდენდები, დამოკიდებულია ამ იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზე, კერძოდ, სამეწარმეო იურიდიული პირის შემთხვევაში გაცემული დივიდენდები არ დაექვემდებარება დაბეგვრას, ხოლო არასამეწარმეო იურიდიული პირის შემთხვევაში დაიბეგრება გადახდის წყაროსთან.

დივიდენდების წყაროსთან დაბეგვრისას, მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, ბიზნესსუბიექტმა ასევე უნდა გაითვალისწინოს კომპანიის ლიკვიდაციასთან და რეორგანიზაციასთან დაკავშირებული ორი სპეციფიკური მომენტი, კერძოდ, 1. თუ ხდება კომპანიის ლიკვიდაცია და პარტნიორ იურიდიულ პირს გადაეცა მისი წილის პროპორციული აქტივი და, ამასთანავე, პარტნიორი პირი ლიკვიდაციამდე კომპანიაში ფლობდა 50%-ს ან მეტს, მაშინ ასეთი აქტივის განაწილება არ არის დივიდენდი (მუხლი 150.1/გ); 2. რეორგანიზაციის მხარე იურიდიულ პირი წილის განაწილება, რაც წარმოშობს მსგავს უფლებას სხვა, ამავე რეორგანიზაციის მხარე იურიდიულ პირში, არ წარმოადგენს დივიდენდს (მუხლი 152.5).

გამომდინარე იქიდან, რომ დივიდენდების გაცემა დაკავშირებულია კომპანიის მოგების გენერირების ფაქტორთან, მიზანშეწონილია დივიდენდების განხილვა მოგების გადასახადით დაბეგვრის კონტექსტით. კერძოდ, მოგების გადასახადით დაბეგვრის ზემოხსენებული „ესტონურ“ მოდელის მიხედვით, დაბეგვრად განაცემებს მიეკუთვნება შემდეგი ოთხი კატეგორია: განაწილებული მოგება, არაეკონომიკური ხარჯები და გადახდები, უსასყიდლო მიწოდება და წარმომადგენლობითი ხარჯი ზღვრული ოდენობის ზევით (მუხლი 97.1). ვინაიდან კომპანიათა დივიდენდებს აყალიბებს განაწილებული მოგების კატეგორია, სადივიდენდო პოლიტიკის კონტექსტში მნიშვნელოვანია სწორედ მასზე ფოკუსირება. კერძოდ, განაწილებული მოგება წარმოადგენს ბიზნესსუბიექტის მოგებას, რომელიც ნაწილდება სანარმოს მიერ თავის პარტნიორებზე, დივიდენდის სახით, ფულადი ან არაფულადი ფორმით. განაწილებული მოგება (დივიდენდები) იბეგრება მოგების გადასახადით გადახდის მომენტში, თუკი ის ნაწილდება: ფიზიკურ პირზე, არაკომერციულ (არასამეწარმეო) იურიდიულ პირზე, არარეზიდენტ პირზე და მოგების/საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლებულ პირზე. მნიშვნელოვანი ნიუანსია ისიც, რომ მოქმედი კანონ-

მდებლობით, მოგების გადასახადით დაბეგვრას ექვემდებარება ფულადი დივიდენდები, ხოლო არაფულადი დივიდენდების (აქციით ან წილით) გადახდა კომპანიის პარტნიორებისათვის არ წარმოადგენს დაბეგვრად განაცემებს მოგების გადასახადის მიზნებისათვის, თუმცა, ამ უკანასკნელ შემთხვევაში, გადახდილი დივიდენდები უნდა დაიბეგროს დივიდენდზე საშემოსავლო გადასახადით.

დასკვნა

ამრიგად, სადივიდენდო პოლიტიკა კორპორაციული ფინანსური პოლიტიკის საკვანძო მდგენელია, რომელსაც ახასიათებს დუალური მიდგომა, კერძოდ, ერთი მხრივ, ის ბიზნესსუბიექტების სტრატეგიული ფინანსური მართვის ასპექტს მოიცავს, რადგან პირდაპირ ზემოქმედებს მათ საბაზრო ღირებულებაზე, ხოლო მეორე მხრივ, გვერდს არ უვლის საოპერაციო მენეჯმენტის სფეროს, ვინაიდან დივიდენდების გაცემა-განაწილების მექანიზმი ასევე უშუალოდ ზემოქმედებს მათი ლიკვიდობის პოზიციაზე. აქედან გამომდინარე, პრინციპულად მნიშვნელოვანია სადივიდენდო პოლიტიკის ქმედითობაზე მოქმედი ფაქტორების გამოწვლილვითი ანალიზი, მარეგულირებელი ასპექტების გათვალისწინებასთან ერთად, და მათი კომბინირებული გამოყენება ოპერირების პროცესში. ამასთან, სადივიდენდო პოლიტიკის ეფექტიანი იმპლემენტაცია გულისხმობს არამხოლოდ მისი განხორციელების პროცესში შიგაკორპორაციული მიდგომების, სამენარმეო და საგადასახადო ასპექტების მხედველობაში მიღებას, არამედ ასევე დივიდენდებთან დაკავშირებული ანალიტიკური ინსტრუმენტების სწორად და მიზანმიმართულად გამოყენებასაც რაციონალური სადივიდენდო გადაწყვეტილებების მიღების მიზნით.

ლიტერატურა:

- James S., Nobes C. (2009). The Economics of Taxation (Principles, Policy, Practice). Ninth Edition. Birmingham, Fiscal Publications.
- Neale B., McElroy T. (2004). Business Finance (A Value-Based Approach). Edinburgh, Prentice Hall.
- Salman A. (2019). Determinants of Dividend Policy. Investment Management and Financial Innovations, Volume 16, Issue 1, pp. 167-177. Retrieved from: https://businessperspectives.org/images/pdf/applications/publishing/templates/article/assets/11644/IMFI_2019_01_Salman.pdf. Access 15.11.2019.
- Ковалев В.В. (1998). Финансовый анализ: Управление капиталом, выбор инвестиций, анализ отчетности. Москва, Финансы и статистика.
- დივიდენდის სამართლებრივი ბუნების შესახებ (2010). <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba17.pdf>. ბოლო ნახვა 08.02.2020.

- საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“ (1994).
- საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი (2009).
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი (2010).

References:

- James S., Nobes C. (2009). *The Economics of Taxation (Principles, Policy, Practice)*. Ninth Edition. Birmingham, Fiscal Publications.
- Neale B., McElroy T. (2004). *Business Finance (A Value-Based Approach)*. Edinburgh, Prentice Hall.
- Salman A. (2019). Determinants of Dividend Policy. *Investment Management and Financial Innovations*, Volume 16, Issue 1, pp. 167-177. Retrieved from: https://businessperspectives.org/images/pdf/applications/publishing/templates/article/assets/11644/IMFI_2019_01_Salman.pdf. Access 15.11.2019.
- Kovalev V. (1998). *Finansovy analiz: Upravleniye kapitalom, vybor investitsiy, analiz otchetnosti..* [Financial Analysis: Capital Management, Investment Choice, Reporting Analysis. Moscow, Finance and Statistics.] in Russian.
- *dividendis samartlebrivi bunebis shesakheb* (2010). [On the Legal Nature of the Dividend] in Georgian. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba17.pdf>. last seen 08.02.2020.
- Law of Georgia on Entrepreneurs (1994).
- Budget Code of Georgia (2009).
- Tax Code of Georgia (2010).

Regulating Aspects of Dividend Policy in the Business Sector of Georgia

Besik Bolkvadze

*Associate Professor,
Batumi Shota Rustaveli State University
besik.bolkvadze78@gmail.com*

The paper considers and analyses the dividend policy issues in the business sector of the economy of Georgia where the role and importance of dividend policy for business entities are discussed, the entrepreneurial and taxation aspects of dividend distribution are considered, the specificity of profit utilization is underlined, the active and passive dividend policy directions are analysed, the factors impacted on dividend policy of the business entities are presented, the peculiarities of both private and state enterprises dividend approaches are characterised.

Among the financial decisions of any business entity a dividend policy and the relevant decision is of utmost importance due to its specificity and complexity as the dividend distribution mechanism impacts upon a market value as well as future operation. A dividend policy depends on the financial results of a company and reflects the process of financial results distribution. Therefore the dividend distribution decision is a sphere of operating responsibility of financial managers.

The process of the dividend distribution and utilization is regulated by entrepreneurial and taxation legislations in Georgia. Partly it is related to an "Estonian" model of taxation. It should be undelined that the main form of dividend payment remains the cash dividends and the key methods are the percentage and the fixed ones that is determined of the lack of efficient capital market operation in the country. Herewith, the specific rule is instituted concerning the state enterprises dividend distribution. Accordingly, the proper implementation of dividend policy in business sector requires analysis of factors effected on dividend decisions, perfection of inner corporate approaches, taking into consideration of entrepreneurial-taxation aspects and correct usage of analytical instruments of dividends assessment.

Keywords: *Dividend; dividend policy, profit distribution, cash and non-cash dividends.*

JEL Codes: *G30, G32, G35, G38*

ბიზნესი ◊ მენეჯმენტი ◊ მარკეტინგი ◊ ტურიზმი
BUSINESS ◊ MANAGEMENT ◊ MARKETING ◊ TOURISM

**საქართველოში ტურიზმის ზეგავლენა ქვეყნის დარგობრივ
ეკონომიკაზე
(კვებისა და სასმელების ინდუსტრიის მაგალითზე)**

იოსებ ხელაშვილი

პროფესორი

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ioseb.khelashvili@tsu.ge

კვლევა ეძღვნება საქართველოში საეხთაშოხისო ტურიზმის ინდუსტრიის კვებისა და სასმელების დარგზე ზეგავლენის თავისებულებების დადგენას მისი ხაციონარობის გზების გამოვლენის მიზნით. ჩვენი ვახუდით, ამ მიმართულებით ქვეყანაში ახსებობს სხუდყოფის მნიშვნელოვანი ხეზეხვები.

მოცემული კვლევის მიზნებისათვის გამოვიყენეთ ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები უცხოური ვიზიტორების დანახაჯებზე. მილებუდ კლასიფიკაციაში ცადკე გამოიყოფა დანახაჯები „საკვებ და სასმელ პხოლუქებზე“ და „განთავსების საშუალებებზე“. ამასთან, ყუ-ხადლების მიღმა ხრება, განთავსების საშუალებების მიეხ მილებული შემოსავლების გახკვეური ხაოლენობის გადანაწილება იგივე სასმელი და საკვები პხოლუქების შედენაზე. ჩვენს მიეხ გამოყენებულმა მოდიფიციხებულმა მიდგომამ შესაძლებელი გახადა ამ დანახაჯების დაზუსტება მხავადი ათუდრი მიღიონი დოდახით. შემდგომ ეტაპზე ჩატახდა მილებული შედეგების შედახებითი ანადიზი საკვები და სასმელი პხოლუქების ადგილზე წახმოების და მათი საგაიეო ვაჭობის მაჩვენებლებთან.

ჩატახებულმა კვლევამ გამოავლინდა ზეგავლენის მოსადონენი შედეგის სამი ძიხითადი მიმართულება: საექსპოხტო პოტენციადის მატახებელი დარგების შემდგომი განვითახების სტიმულიხება; ექსპოხტის პოტენციადს მოკლებული, მაგხამ ადგილობრივ ბაზახზე მოთხავნადი პხოლუქების განვითახების სტიმულიხება; იმპოხტზე დამოკიდებულების სტიმულიხება პხოლუქების იმ კატეგოხიებთან დაკავშირებით, ხომლებიც ქვეყანაში ახ იწახმოება.

ტურიზმის ინდუსტრიის ეკონომიკაზე ახაეხთგვახოვანი ზეგავლენის გათვადისწინებით, ზოგად დასკვნას წაჰმოადგენს მისი ჰაციონალური განვითაჰების მიზანშეწონილობა პეხსპექტიური დაჰგების სტიმულირებისათვის და აჰა ამ დაჰგის განვითაჰების შეზღუდვა.

საკვანძო სიგყვები: ტურიზმი, დანახაჰები, ზეგავლენა ეკონომიკაზე, საკვები და სასმელი ინდუსტრია, დაჰგობივი ეკონომიკა

JEL Codes: L66, L80, L83

შესავალი

ტურიზმის ინდუსტრიის ზეგავლენა ეკონომიკაზე გამოირჩევა ფართო და არაერთმნიშვნელოვანი თავისებურებით. მათ შორისაა ზეგავლენის ვრცელი დარგობრივი სპექტრი, რაც განპირობებულია, ტურისტების მოთხოვნების მრავალფეროვნებით; ცნობილი მულტიპლიკაციური ეფექტი, რაც გულისხმობს პირდაპირ, არაპირდაპირ და ინდუსტრებულ (ე.წ. „ჩართულობით“) ზეგავლენას ტურიზმის მომმარაგებულ და მომსახურე დარგებზე; ტურისტთა მაღალი გადახდისუნარიანობა ადგილობრივ მოსახლეობასთან შედარებით და სხვა. ამასთან, ტურიზმისათვის დამახასიათებელია კრიზისების და გარემოს ცვლილებების მიმართ მაღალი მგრძობიარობა; ბიზნესის წარმოების „დაბალ“ საფეხურებზე ნაკლებად კვალიფიციური კადრების ფართო ჩართულობა; დესტინაციებში ტურისტული სემენტების ხარჯვის პერიოდის შეზღუდულობა ადგილობრივი მოსახლეობის ხანგრძლივ და სისტემურ ხარჯებთან შედარებით. ზეგავლენის აღნიშნული თავისებურებები განაპირობებს ტურიზმის განვითარების არაერთმნიშვნელოვანი შედეგების შესწავლის აქტუალობას, როგორც ეკონომიკის ნორმალური განვითარების, ისე რეცესიებისა და კრიზისების ვითარებებში.

ტურიზმის ინდუსტრიას საქართველოში გააჩნია მნიშვნელოვანი ბუნებრივი, კულტურულ-ისტორიული, სოციალურიდა სხვა რესურსები. ამან განაპირობა მისი პრიორიტეტული განვითარება მთელ რიგ სხვა დარგებთან შედარებით, რომლებსაც ასევე გააჩნიათ განვითარების პოტენციალი, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო არ არის სათანადოდ ათვისებული. კვლევის მიზნებისათვის, გამოვყოფთ ქვეყანაში ტურიზმის განვითარების შემდეგ მახასიათებლებს და შესაძლებლობებს:

ა) საქართველოს ტურისტული პოტენციალი იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას და კონკურენტუნარიანობას არსებული ნაკლებად დივერსიფიცირებული ეკონომიკის პირობებში;

ბ) უცხოური ტურიზმის „ქვედარგი“ ქვეყანაში ქმნის ე.წ. „უხილავი ექსპორტის“ შესაძლებლობებს, რაც ტრადიციულ ექსპორტზე უფრო მომგებიანია, რადგან ტურისტებზე პროდუქცია იყიდება უფრო მაღალ საცალო ფასებში, ვიდრე ტრადიციული ექსპორტის საბითუმო ვაჭრობაში (რასაც ემატება შორეული სატრანსპორტო დანახარჯებიც). აქვე შევნიშნავთ, რომ „უხილავი ექსპორტის“ ბაზარს ახასიათებს ნაკლოვანებაც, რაც მდგომარე-

ობს მის რაოდენობრივ შეზღუდვაში, ტრადიციულ საბითუმო ვაჭრობისათან შედარებით;

გ) შექმნილ ეკონომიკურ პირობებში ტურიზმის ბიზნესი წარმოადგენს შემოსავლების მიღების უმნიშვნელოვანეს საშუალებას როგორც მოსახლეობისთვის, ისე სახელმწიფოსთვის. შესაძლებელია ასევე ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების გადანაწილება ქვეყნისათვის სასურველი მიმართულებების სტიმულირებაზე, შესაბამისი საინვესტიციო ინსტიტუტების ამოქმედების და ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების მეშვეობით.

დ) ტურიზმის ინდუსტრია, თავისი ფართო ეკონომიკური კავშირების გამო, მყისიერად რეაგირებს მასთან დაკავშირებული დარგების და/ან ზოგადად ეკონომიკური ვითარების ცვლილებებზე, როგორც დადებითი ისე უარყოფითი შედეგებით.

ამრიგად, აქტუალურ საკითხად მიგვაჩნია ტურიზმის ინდუსტრიის შესაძლებლობების გამოყენება ქვეყნის ეკონომიკის სტიმულირების მიმართულებით და არა ამ დარგის განვითარების შეზღუდვა.

ჩვენი კვლევის კონკრეტულ მიზანს წარმოადგენს საქართველოში საერთაშორისო ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების კვებისა და სასმელების დარგზე ზეგავლენის მოსალოდნელი შედეგების გამოვლენა. აღნიშნული მიზანი მოიაზრება ტურიზმთან სხვა დაკავშირებულ დარგებზე ზეგავლენის შესწავლის თემატიკის შემადგენელ კომპონენტად.

შევნიშნავთ, რომ კვლევა, ამ ეტაპზე, ითვალისწინებს ზეგავლენის მთავარი მიმართულებების გამოვლენას და არა კონკრეტული ბიზნესწინადადებების და გეგმების შემუშავებას. ამიტომ, ფაქტიურ სტატისტიკურ მონაცემებთან ერთად გამოყენებულია განივრული დაშვებები და ექსპერტთა მოსაზრებები. ჩვენი აზრით, მიღებული შედეგები შეიძლება გამოყენებული იქნას შემდგომი კონკრეტული კვლევების სერიის განხორციელებისთვის.

ტურიზმის ეკონომიკაზე ზეგავლენის მეთოდოლოგია და სტანდარტების მიმოხილვა

ტურიზმის ეკონომიკაზე ზეგავლენის პროცესები დიდი ხანია იკყრობს მკვლევარების ყურადღებას (Archer 1973, Frechtling 1994, Stynes 1996, Schuber 2011), გარკვეული სტანდარტები დაინერგა სტატისტიკურ აღრიცხვიანობაშიც რამოდენიმე ქვეყანაში (Impact of travel on state economies 1997). ყველაზე გავრცელებული სტანდარტია ე.წ. სატელიტური ანგარიში, რომელიც მოქმედებს მთელ რიგ ქვეყანებში გაეროს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის მიერ დადგენილი მეთოდოლოგიის თანახმად (Tourism Satellite Account 2008). იგი აღრიცხავს ტურიზმისა და მასთან დაკავშირებული 10-ზე მეტი დარგის შემოსავალს. ამით უფრო ზუსტად ფასდება ტუ-

რიზმის როლი ქვეყნის ეკონომიკაში. ეს მეთოდი დანერგვის პროცესშია საქართველოშიც.

უფრო სიღრმისეული ანალიზისთვის გამოიყენება ე.წ. ლეონტიევის „მიღება-გამოშვების მოდელი“, რომლის მეშვეობით გამოითვლება ეკონომიკაში შემოსული თანხების ზეგავლენა ქვეყნის დამატებით ღირებულების შექმნაზე და საიმპორტო დანახარჯებზე (Leontief 1970, Archer 1982, Brucker 1987, Regional multipliers 1992, Tadayuki Hara 2REgional08). ამ მეთოდის გამოყენება მოითხოვს დარგთაშორისი კავშირების მეტად ვრცელ, ზუსტ და დეტალურ ანალიზს, რაც ზღუდავს მისი ფართო გამოყენების შესაძლებლობებს.

პოპულარობა მოიპოვა „მსოფლიოს მოგზაურობისა და ტურიზმის საბჭოს“ პერიოდულმა პუბლიკაციებმა, რომელიც ეხება ტურიზმის ინდუსტრიის ზეგავლენას ქვეყნის მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე, კერძოდ მთლიან სამამულო პროდუქტზე, საგარეო ვაჭრობაზე, დასაქმებაზე და უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებზე (WTTC 2020). ინფორმაცია ასახავს ამ ზეგავლენის ე.წ. „პირდაპირ“, „ირიბ“, და „ინდუციურებულ“ (ანუ ჩართულობით) ეფექტებებს. მონაცემები მოიცავს მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა ქვეყანას, მათ შორის საქართველოსაც, ასევე განზოგადებულ მონაცემებს საერთაშორისო რეგიონების და გლობალურ დონეზე.

დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ეკონომიკაზე ეგზოგენური, არაეკონომიკური ფაქტორების უარყოფითი ზეგავლენის პრობლემებმა და მისი კრიზისამდე მიყვანის პროცესებმა. ასეთი ზეგავლენა გამომწვეულია კორონავირუსის პანდემიით - COVID-19. „აუცილებელია გავაცნობიეროთ, რომ საქმე გვაქვს არსებითად ახალი ტიპის გლობალურ ეკონომიკურ კრიზისთან და არა კლასიკურთან, იგი არა ენდოგენური, არამედ ეგზოგენური წარმოშობისაა; ეს ნიშნავს, რომ იგი წარმოიქმნა ეკონომიკის ფარგლებს გარეთ და ზემოქმედება მოახდინა მასზე თავისი სწრაფი გავრცელებით.“ (Papava 200*). ამ ზეგავლენამ გააჩინა სრულიად ახალი ტერმინები, როგორცაა „ეკონომიკური პანდემია“, „კორონომიქსი“ (ტერმინი წარმოიქმნა „კორონასა“ და „ეკონომიქსის“ შეჯერებით) (Riley 2020, Papava 2020) და სხვა. ამ პროცესების შესწავლა და მასზე რეაგირება ჯერ საწყის სტადიაზეა, მათ შორის ტურიზმთან მიმართებაში და შემუშავებული რეკომენდაციები ატარებენ ზოგად და ექსპერიმენტულ ხასიათს (Supporting Jobs and Economies through Travel & Tourism 2020).

აღსანიშნავია კვლევების და, მითუმეტეს, სტანდარტების აშკარა დეფიციტი ტურიზმის დარგობრივ ეკონომიკაზე ზეგავლენასთან დაკავშირებით. ამ მიმართულებით შრომები მეტწილად განხორციელებულია მცირე შიდა ბაზრის მქონე და მარტივი და განვითარებადი ეკონომიკის მაგალითებზე (Bull, 1995, Travel & Tourism as a Driver of Economic Development in

* თარგმანი - ი.ხელაშვილი

Jamaica 2012, Zuruba 2015). კიდევ უფრო იშვიათია ტურიზმის ზეგავლენის კვლევები კონკრეტულად კვებისა და სასმელების წარმოების ინდუსტრიაზე (Egan 2020), თუმცა, ხშირად აღინიშნება, რომ სწორედ ეს დარგი გამოირჩევა ტურიზმთან ყველაზე მჭიდრო ურთიერთკავშირებით.

საქართველოს მიმართ, ცალკე ტურიზმის ეკონომიკურ გარემოზე ზეგავლენის მიმართულებით და ცალკე კვებისა და სასმელების სფეროში ბევრი კვლევაა ჩატარებული (Kharaishvili 2017, Khelashvili 2018, ბრეგაძე 2019). განიხილება აგროტურიზმის ზეგავლენა ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებაზე (Khelashvili etc 2019, Kharishvili etc, 2019 და სხვა). ამასთან, ტურიზმის ზეგავლენა კონკრეტულად კვებისა და სასმელების ინდუსტრიაზე რჩება ძირითადად ემპირიული აღქმისა და გაცნობიერების დონეზე.

საერთაშორისო ტურიზმის დანახარჯები საკვებ და სასმელ პროდუქტებზე.

ტურიზმის განვითარების ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე არსებითად განპირობებულია ვიზიტორების დანახარჯებით. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია წლების განმავლობაში ატარებენ ტურისტებისა და საერთაშორისო ვიზიტორთა დანახარჯების აღრიცხვას, მათ შორის გამოკითხვების მეშვეობით საქსტატი 2019, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. 2019, 4-5). შედეგები, ხშირად წარმოდგენილია ხარჯების 6 მიმართულებით, რომლებიც ფორმულირებულია როგორც: საკვები და სასმელი; განთავსება; საყიდლები; გართობა; ადგილობრივი ტრანსპორტი; სხვა.

მოცემული კვლევის ფარგლებში, ყურადღებას ვამახვილებთ იმ კომპონენტზე, რომელზეც მოდის აღნიშნული დანახარჯების ყველაზე დიდი წილი. ესაა „საკვები და სასმელი“ პროდუქტები. ამასთან, ჩვენი კვლევისათვის მიზანშეწონილად ჩავთვალეთ აღნიშნული კატეგორიის გარკვეული მოდიფიცირება. ეს ქმედება გამონვეულია იმ გარემოებით, რომ საკვებ და სასმელ პროდუქტებზე დანახარჯები ხორციელდება როგორც უშუალოდ ტურისტების მიერ, ასევე მათი განთავსების საშუალებების მხრიდანაც. შესაბამისად, საერთაშორისო ვიზიტორების განთავსების საშუალებებზე დანახარჯებს, აკლდება ის წილი, რომელსაც განთავსების საშუალებები ხარჯავენ ისევ საკვები და სასმელი პროდუქტების შესაძენად და ემატება ამ კატეგორიის საერთო დანახარჯებს.

აღნიშნული მოდიფიცირებული მიდგომის შესაბამისი სტატისტიკური აღრიცხვის სტანდარტი ბუნებრივია არ არსებობს. ამიტომ, გამოყენებული იქნა გარკვეული დაშვებები. კერძოდ, მოვიძიეთ საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული და განზოგადებული მონაცემები, სასტუმროების საფინანსო ანგარიშები (Rushmore 2011, Mandelbaum 2017, William 2018) და გავი-


ზიარეთ ადგილობრივი ექსპერტების მოსაზრებები. შედეგად, პირობით ნიშნულად მივიღეთ საერთაშორისო ვიზიტორთა მიერ განთავსების საშუალებებზე განუვლი დანახარჯების 10%-იანი კვოტა, რომელიც გადადის საკვებ და სასმელ პროდუქტებზე. ამრიგად, ამ კატეგორიის დანახარჯები წარმოდგენილია ვიზიტორებისა და განთავსების საშუალებების ჯამური მაჩვენებლებით.

ჩატარებულმა გამოთვლებმა გამოავლინეს შემდეგი თავისებურებები (იხ.ნახ.1):

- მენარმეებისათვის საერთაშორისო ვიზიტორებისაგან პირდაპირ და განთავსების საშუალებების მეშვეობით („არაპირდაპირ“) მიღებულმა შემოსავლებმა საკვებ და სასმელ პროდუქტებზე, 2019 წელს, 900 მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა.(იხ. ნახ. 1), მათ შორის, გამოყენებულმა მოდიფიცირებულმა გამოთვლებმა გამოავლინა აღნიშნულ კატეგორიაზე „არაპირდაპირი“ დანამატი, რომელიც აღემატება 72 მილიონ აშშ დოლარს;
- საკვებზე და სასმელ პროდუქტებზე პირდაპირი და „არაპირდაპირი“ დანახარჯები წარმოადგენს საერთაშორისო ვიზიტორების მთლიან დანახარჯებში (\$3 019,1) ყველაზე მოცულობით კომპონენტს, რომლის წილი 30%- შეადგენს;
- წლების განმავლობაში (2015-2019) ხარჯების სტრუქტურა პრაქტიკულად არ იცვლება. ეს იძლევა საშუალებას, რომ შემდგომი ანალიზი გაგრძელდეს უახლესი წლის ან წლების მაგალითებზე.

საერთაშორისო ვიზიტორთა მოთხოვნები*, მლნ აშშ დოლ.

ნახაზი 1



წყარო: გამოყენებულია მონაცემები საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის -

საერთაშორისო ვიზიოზების განხორციელებული დანახაჯები 2019, სტატისტიკური მიმოხილვა 2019,) და საქსტატის ანგაზიშები - ხაჯების განაწილება 2019.

საერთაშორისო ტურიზმზე ორიენტირებული საკვები და სასმელი პროდუქტების წარმოების და საგარეო ვაჭრობის ტენდენციები

საკვები და სასმელი პროდუქტების წარმოებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოს ეკონომიკაში. მისი წილი ქვეყნის მრეწველობაში 17% აღემატება, აქედან საკვებ პროდუქტებზე მოდის 5,9%-, ხოლო სასმელებზე -11,3% (საქსტატი 2019 გვ.150).


მოცემული კვლევის მიზნებისათვის განვიხილეთ 2007-2019 წლის მონაცემები, რის შედეგად გამოვყავით რამოდენიმე ტენდენცია შემდგომი ანალიზისთვის (საქსტატი 2019) (იხ. ნახ. 2).

პიხვედი ტენდენცია - წახმოება. აღსანიშნავია საკვები და სასმელი პროდუქტების წარმოების ზოგადად ზრდის ტენდენცია. შევნიშნავთ, რომ ადგილი ჰქონდა წარმოების შემცირებას 2015 წელს და მიმდინარე ეტაპი ხასიათდება ამ ვარდნის აღდგენის პერიოდად. (იხ.ნახ. 2 – „საკვები პროდუქტების წარმოება“ და „სასმელი პროდუქტების წარმოება“).

მეოხე ტენდენცია - შესყიდვები და წახმოება. აღნიშნული პროდუქტების ადგილობრივი შესყიდვები იცვლება ამავე პროდუქტების წარმოების პარალელურად (საქსტატი 2019) ამასთან, ვლინდება წარმოების მოცულობის სტაბილური და მზარდი მეტობა შესყიდვებზე (იხ. ნახ.2: „კვების მრეწველობის შესყიდვები“, „სასმელი პროდუქტები შესყიდვები“). ასეთი ტენდენციის ფონზე, საკვები და სასმელი პროდუქტების წარმოებაში ზემოთაღნიშნული სხვაობა, მიანიშნებს მისი ქვედარგების განცალკევებულად გაანალიზების საჭიროებაზე

საქართველოში საკვები და სასმელი პროდუქტების წარმოება და მათი ადგილობრივი შესყიდვები

ნახაზი 2



წყარო: საქსტატი: საგარეო ვაჭრობა 2019, სტატისტიკური მიმოხილვა 2019, ხაჯების განაწილება


2019, შინამეუხნეობის სახვები 2019, მიეწველობა 2019, წახმოება, 2019, საგაიეო ვაჭრობა 2019, შინამეუხნეობის სახვები 2019.

მესამე ტენდენცია - კვების და სასმელი პროდუქტების მთავაიი თავი-სებუებები (იხ.ნახ. 3). საკვებ პროდუქტებთან მიმართებაში შეიმჩნება ზრდის ტემპების ვარდნა 2011 წლიდან და მისი შემდგომი სტაბილიზირება 2016 წლიდან. შედეგად, წარმოების მოცულობა თანდათან უახლოვდება ადგილობრივი შესყიდვების მაჩვენებლებს. ამის საპირისპიროდ, მკვეთრად იზრდება სასმელი პროდუქტების წარმოება და მის პარალელურად - ამავე პროდუქტების ადგილობრივი შესყიდვებიც. სწორედ ამ სექტორმა განაპირობა ზემოთაღნიშნული საკვები და სასმელი პროდუქტების განზოგადებული მეტობა მათ წარმოებაზე. ლოგიკურია იმის დაშვება, რომ აღნიშნულ პროცესში, მნიშვნელოვან როლს ასრულებს უცხოელ ვიზიტორთა სეგმენტი.

მეოთხე ტენდენცია - წახმოება და საგაიეო ვაჭრობა. 2011-დან ფიქსირდება ადგილზე წარმოებული საკვები და სასმელი პროდუქტების ზრდა და მისი მეტობა ამავე კატეგორიის პროდუქტების იმპორტზე, რაც ბუნებრივია დადებით ცვლილებად უნდა შეფასდეს. (იხ. ნახ. 4 - „საკვები და სასმელი პროდუქტების წარმოება“). წარმოების მოცულობის ზრდამ, განაპირობა საგარეო ვაჭრობაში საკვები და სასმელი პროდუქტების იმპორტის წილის შემცირება - 78,1%-დან 2008 წელს, 56,6% პროცენტამდე 2019 წელს. თუმცა დღეისათვის, ამ კატეგორიაში იმპორტი ჯერ კიდევ აღემატება ექსპორტის მაჩვენებელს. (იხ. ნახ. 4 - „იმპორტის წილი საკვები და სასმელი პროდუქტების საგარეო ვაჭრობაში“).

საკვები და სასმელი პროდუქტები: წარმოება და საგარეო ვაჭრობა

ნახაზი 3



წყარო: საქსტატი: საკვებისა და სასმელების ინდუსტრია საქართველოში 2017, საგაიეო ვაჭრობა 2019, წახმოება 2019, მიეწველობა 2019.

საერთაშორისო ტურიზმის კავშირი საკვები და სასმელი პროდუქტების წარმოებასთან და საგარეო ვაჭრობასთან

საკვებ და სასმელ პროდუქტებზე საერთაშორისო ტურიზმის დანახარჯების ზეგავლენის გასაანალიზებლად, გამოყენებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. კერძოდ, საგარეო ვაჭრობის სასაქონლო პოზიციების H6 ნიშნიანი კლასიფიკაციით წარმოდგენილი სტატისტიკა(საქსტატი 2019). აღნიშნული კლასიფიკაციის დეტალიზაციის დონე საშუალებას იძლევა საკვები და სასმელი პროდუქციის ვრცელი ნუსხიდან შეირჩეს ის პოზიციები, რომლებიც მიესადაგება ტურიზმის სფეროში ხშირად მოხმარებად პროდუქტებთან.

ჩატარებულმა შედარებითმა ანალიზმა გამოავლინა, შემდეგი კავშირები:

ტურიზმის განხილულ სფეროში დანახარჯები საკვებ და სასმელ პროდუქტებზე ხოლოდნაბარდ უახლოვდება ამავე კატეგორიის პროდუქტების იმპორტს და შეადგენს მის 83% (\$ 902.9 მლნ. -ის წილი \$1 008.2 მლნ-ში) (იხ. ნახ.4 „იმპორტი“ და „დანახარჯები“). ეს ფარდობა ერთმნიშვნელოვნად ასახავს ტურიზმის დამოკიდებულებას იმპორტზე და ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების გადინებას ქვეყნიდან, რაც გამომწვევად უნდა შეფასდეს. ამასთან, შეიძლება აღინიშნოს ერთი დადებითი, მოკლევადიანი ეფექტის მიღების შესაძლებლობა. იმპორტის რაიმე მიზეზით შეზღუდვის შემთხვევაში, უცხოელი ტურისტების მომსახურებისათვის მომარაგებულმა პროდუქციამ, ხანმოკლე პერიოდში, შეიძლება მოახდინოს ადგილობრივ ბაზარზე შექმნილი დეფიციტის კომპენსაცია. ეს ეფექტი უკვე გამოვლინდა ქვეყანაში მიმდინარე წლის მარტი-აპრილის თვეებში კორონავირუსის პანდემიის შედეგად იმპორტის შეზღუდვის პირობებში.


საერთაშორისო ვიზიტორების მიერ პიხდაპიხ და განთავსების საშუალებების მეშვეობით შეძენილი საკვები და სასმელი პროდუქტის (\$902,9) ხოლოდნაბარდ უკლოდება ამავე კატეგორიის პროდუქტების ექსპორტის (\$1 025.7) 88%-ს. შეიძლება ითქვას, რომ ტურიზმის აღნიშნული სექტორი ამ საექსპორტო პროდუქტების მნიშვნელოვან დამატებით და დამზღვევ საომომხმარებლო სეგმენტს წარმოადგენს.

განხილულ სფეროში ტურიზმის დანახარჯები საკვებ და სასმელ პროდუქტებზე (\$902,9 მლნ) ამავე კატეგორიის ადგილზე წახმოებული პროდუქტების ღირებულების (\$1 282,5 მლნ) 70% აღემატება. შეიძლება ითქვას რომ ასეთი ფარდობა ასახავს წარმოების მნიშვნელოვან დამოკიდებულებას ტურიზმზე და ერთი მხარის რისკების გავრცელებას მეორეზე.

დამატებითი დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა საკვები და სასმელი პროდუქციის განცალკევებულად განხილვა (იხ. ნახ. 4)

საკვები და სასმელი პროდუქცია: წარმოება, საგარეო ვაჭრობა და საქართველოს საერთაშორისო ტურიზმის დანახარჯები (2019 წელი, მლნ აშშ. დოლ.)

ნახაზი 4



წყარო: გამოყენებული მონაცემები საქსტატის და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ანგარიშებიდან და საქაი საგაიო ვაჭრობა 2019, წაიშობა 2019, მიეწეობა 2019, საიხების განაწილება 2019, საეიშაშორისო ვიზიგოიების განიოიციელებული დანახარჯები 2019.

საეიშაშორისო ტურიზმის მხიდან ცადკე სასმელებზე გაწეული დანახარჯები ამ ქოდექიის ექსპოიის 26%-ის უგოდება (\$135,4 მლნ-ს წილი \$604,4 მლნ-ში). ეს წარმოაჩენს ტურიზმის სფეროს, როგორც რეალიზაციის მნიშვნელოვან მასტიმულირებელ და ერთგვარ დამზღვევ ალტერნატიულ სეგმენტს. მსგავსი ბალანსი შეიძლება დადებით მაგალითად შეფასდეს.

ცალკე საკვები პროდუქტების მიმართ ვითარება საპირისპიროა. საეიშაშორისო ტურიზმის მოთხოვნებზე იხიენგიხებული საკვები ქოდექიის წაიშობა ქვეყანაში (\$678.2) 33%-ით ჩამოიჩება ტურიზმის ამ სფეიში დაფიქსიებული დანახარჯებს. ამრიგად, ტურიზმი ზრდის ქვეყნის დამოკიდებულებას იმპორტზე და კიდეუ უფრო აძლიერებს ისედაც იმპორტზე დამოკიდებულ კვების მრეწველობას.

წაიშოდეენილი ტენდეციები იძლევა განზოგადებული შეფასების საშუალებას. კეიძოდ, საკვები და სასმელი ქოდექების წაიშობა საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს ასეულებს. ამის მიუხედავად, დაიგის საგაიო ვაჭრობის ბადანსი ჯეი კიდეუ უაიყოფითია. საეიშაშორისო ვიზიგოიების მოთხოვნებზე იხიენგიხებული ეიშად აღებული კვებისა და სასმელების ქოდექების წაიშობა ქვეყანაში მნიშვნელოვნად აიის დამოკიდებული ტურიზმზე, მაშინ როდესაც ტურიზმი, თავის მხივ, პიოიიეეეუდად მაიადება იმპოიტიული ქოდექებით. მნიშვნელოვანია ტურიზმის ზეგავლენის განცად-

კვებუდი განხილვა სასმედი და საკვები პიოდეუტების სექტოხებად. სასმედე-ბის სექტოხი გამოიჩევა ექსპოხტის მალადი მაჩვენებლებით, ხოლო ტუხიზმი უქმნის მას ე.წ. „უხიდავი ექსპოხტის“ სეგმენტს, ხითაც სტიმუდიხებას უწევს ამ მიმახთუდების განვითაახებას და გაახკვეუდწიდად წაახმოადგენს მის დამ-ზღვევ სახეადიზაციო ბაზახს. ამისგან განსხვავებით, კვების პიოდეუტების შესყიდევი საეხთაშოხისო ტუხიზმის სფეხოში აღემაგება ქვეყანაში ახსე-ბუდი წაახმოების შესაძლებლობებს და ხედს უწყობს ეკონომიკის დამოკიდებუ-ღებას იმპოხტზე.

„საერთაშორისო ტურიზმის განვითარების“ ზეგავლენის ძირითადი მიმართულებები

„საერთაშორისო ტურიზმის“ განვითარების ზეგავლენა ქვეყნის სექ-ტორულ ეკონომიკაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული თავად ამ დარგების განვითარების დონეზე, საბაზრო ორიენტაციაზე, მის როლზე ქვეყნის ეკონომიკაში და მრავალ სხვა ფაქტორზე. ამ გარემოებებათა შო-რის ყურადღებას გავამახვილებთ დარგის ე.წ. „ბალანსზე“ (საქსტატი2018. 89-102). ამ ტერმინში, რომელიც გამოიყენება საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ, იგულისხმება წარმოებული პროდეუტებით ქვეყნის მოთხოვნების თვითუზრუნველყოფის დონე (იხ. ცხრილი 1). მისი საზო-მია ე.წ. „თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი“, რომელიც გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$S\% = P / (P + I - E)$, სადაც

S% - თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი აპროცენტულ მაჩვენებელში;

P - წარმოების მოცულობა;

I - იმპორტის მოცულობა;

E - ექსპორტის მოცულობა.

ჩვენ მიერ ჩატარებულმა ანალიზმა შესაძლებელი გახადა აღნიშნუ-ლი მაჩვენებლის შედარება ტურიზმის ინდუსტრიის მოთხოვნებთან. ამით, ვლინდება ტურიზმის ზეგავლენის მოსალოდნელი დადებითი თუ უარყო-ფითი შედეგები. შეფასების კატეგორიები წარმოდგენილია ცხრილში (იხ. ცხრილი 1).

ტურიზმთან დაკავშირებული დარგები, რომლის მიმართაც „თვით-უზრუნველყოფის დონის“ მაჩვენებლები არ არის გაანგარიშებული, გა-ვაანალიზეთ მათი საგარეო ვაჭრობის მონაცემების გამოყენებით, რო-გორც იმავე შეფასების მიღების ალტერნატიული საშუალება (საქსტატი 2018 89-102). (იხ. ცხრილი 2)

ბუნებრივია, რომ ტურიზმის განვითარება შექმნის ყველა მასთან დაკავშირებული დარგის „განვითარების სტიმულირების“ პირობებს. მისი გამოყენება შესაძლებელი იქნება ან ადგილზე წარმოების განვითარებით ან იმპორტის გაზრდის მეშვეობით.

საქართველოში ტურიზმის ზეგავლენა ქვეყნის დახმობივ ეკონომიკაზე

მოცემული კვლევის მიზნებისათვის, მოსალოდნელი შედეგები განვაზოგადეთ 4 ძირითად მიმართულებაში. ესენია, ტურიზმთან დაკავშირებული დარგების „განვითრების სტიმულირება“, „ალტერნატიული „უხილავი ექსპორტის“ ბაზრის შექმნა/განვითრება“, „ტურიზმზე და იმპორტზე დამოკიდებულების გაზრდა“ და „იმპორტის ჩანაცვლება“.

სასურსათო ბალანსი

ცხრილი 1

ცალკეული პროდუქტების საგარეო ვაჭრობის ბალანსი 2018-2019 წწ, მლნ აშშ დოლარში							
H6 კოდი	პროდუქტები	საქართველოს ექსპორტი		საქართველოს იმპორტი		საგარეო ვაჭრობის ბალანსი	
		2018	2019	2018	2019	2018	2019
220110-220290	წყლები მინერალური და გაზიანი	\$137,668	\$161,055	\$18,459	\$19,272	\$119,209	\$141,783
080111-080290	კაკალი და თხილი	\$69,995	\$66,737	\$30,116	\$15,228	\$48,439	\$59,617
080310-081400	ახალი ან ხმელი ხილი	\$33,695	\$55,140	\$48,016	\$50,871	\$22,765	\$31,753
090411-091099	სანელებლები	\$8,634.8	\$10,758.7	\$2,835.4	\$2,658.1	\$5,799.3	\$8,100.6
200911-200990	წვეწები და სხვა უალკოჰოლო სასმელები	\$8,705.7	\$7,239.3	\$6,602.5	\$6,680.0	\$2,103.2	\$559.3
170490; 180100-180690; 190520-190540	ტკბილეული და საკონდიტრო ნაწარმი	\$3,674.5	\$2,955.2	\$72,759.2	\$73,546.5	-\$69,084.7	-\$70,591.3
150420-152110	ზეთები და ცხიმები	\$16,122.0	\$10,644.9	\$74,623.4	\$72,175.9	-\$58,501.4	-\$61,531.0
170112-170490	შაქარი და მისი დამზადების ნაირსახეები	\$268.1	\$70.3	\$59,391.0	\$52,183.8	-\$59,122.8	-\$52,113.5
090111-090122; 210111-210112; 210130	ყავა, დამუშავების სხვადასხვა სტადიაზე	\$380.1	\$1,619.4	\$31,899.1	\$32,627.1	-\$31,519.1	-\$31,007.8
090210-090240; 210120	ჩაი, დამუშავების სხვადასხვა სტადიაზე	\$3,585.3	\$4,403.5	\$9,275.5	\$10,180.2	-\$5,690.2	-\$5,776.7
210690	დანარჩენი კვების პროდუქტები	\$6,562.2	\$6,778.6	\$40,116.3	\$40,977.7	-\$33,554.1	-\$34,199.1
160100-160290	კონსერვები და მზა კვების პროდუქტები (თევზის გარდა)	\$25.8	\$94.9	\$16,874.0	\$17,396.1	-\$16,848.2	-\$17,301.2
100610-100640; 100810; 190211-190240; 200551-200559	მაკარონი, ბრინჯი, ლობიო, წიწიბურა	\$339.5	\$345.2	\$17,450.4	\$19,099.3	-\$17,110.9	-\$18,754.1
190410; 190420; 190490-190510; 190590	პური და სხვა მზა ცომეული პროდუქტები	\$0.0	\$0.0	\$2,860.3	\$3,767.0	-\$17,704.2	-\$18,409.9
200710-200799; 210310-210410	საწებლები, ჯემები	\$7,507.3	\$4,856.3	\$20,624.2	\$21,702.4	-\$13,116.9	-\$16,846.1
220710-220890	ეთილის და სხვა სპირტი და სპირტიანი ნაყენები	\$0.0	\$0.0	\$33,078.3	\$12,062.3	-\$33,078.3	-\$12,062.3
030432-030890; 160300-160569	თევზეული და თევზის კონსერვები	\$109.1	\$112.5	\$11,060.7	\$11,145.1	-\$10,951.7	-\$11,032.6

წყარო: გამოყენებულია საქსტატის მონაცემები - სასუხსათო ბალანსები 2018

ტურიზმის მომსახურებაზე ორიენტირებული პროდუქტების საგარეო ვაჭრობის ბალანსი

ცხრილი 2

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ბალანსი (ათ.ტონა)					"ტურიზმის" შემდგომი განვითარების ზეგავლენის მოსალოდნელი მთავარი შედეგები			
მაჩვენებელი	წარმოება	იმპორტი	ექსპორტი	ფიზიკურ/საფინანსო კოეფიციენტი	შემდგომი განვითარების სტიმულირება	ალტერნატიული "უხილავი საექსპორტო ბაზრის განვითარება	ტურიზმზე დამოკიდებულების გაზრდა	იმპორტის ჩანაცვლება
ცხვრისა და თხის ხორცი	9.1	0.7	6.7	294%	✓	✓		
ყურძენი**	260	1	90	152%	✓	✓		
კარტოფილი ათ.ტონა	238	24	28	102%	✓	✓	✓	
კვარცხი	635	11	4	99%	✓	✓	✓	
რძე და რძის პროდუქტები	555	133	4	81%	✓	✓		✓
მსხვილი რქოსანიპირუტყვის ხორცი	22.9	7.4	0.4	77%	✓	✓		✓
სიმინდი	194	80	1	71%	✓	✓		✓
ბოსტნეული	142	108	13	60%	✓	✓		✓
ხორცი	72.6	82.7	16.7	52%	✓	✓		✓
ღორის ხორცი	17.6	22.8	1	45%	✓	✓		✓
ფრინველის ხორცი	22.6	51.8	8.6	34%	✓	✓		✓
ხორბალი	107	643	24	15%	✓	✓		✓

წყარო: გამოყენებული მონაცემები საქსტატის ანგაზიშებიდან - საგაეო ვაჭრობა 2019

ჩატარებული ანალიზის შედეგად, გამოვყოფთ ტურიზმის განვითარების შემდეგ მოსალოდნელ სცენარებს.

საექსპორტო წახმობების „შემდგომი განვითარების სტიმულირება“ და მათთვის „არგეხნაგიური უხილავი საექსპორტო“ ბაზრის განვითარება მოსალოდნელია ალკოჰოლის სასმელების ნაწარმის, ასევე ცხვრის და თხის ხორცის პროდუქტების მიმართ (იხ. ცხრილ N 1). მას შეიძლება დაემატოს ისეთი პროდუქტების წარმოება, როგორცაა: წყლები, მინერალური და გაზიანი; კაკალი და თხილი; ახალი ან ხმელი ხილის წარმოების რამოდენიმე მიმართულება; სანელებლები; წვენები და სხვა უალკოჰოლო სასმელები (იხ. ცხრილი N 2). ამ დარგებს აქვთ, ან გააჩნიათ საექსპორტო პოტენციალი და ტურიზმმა შეიძლება შეასრულოს მხოლოდ „დამხმარე“ ფუნქციების როლი.

იმპორტის მნიშვნელოვანი ან ნაწილობრივი ჩანაცვლება მოსალოდნელია ისეთი პროდუქტების წარმოებაში, როგორცაა: რძე და რძის პროდუქტები, ხორცის სახეები, სიმინდი, ბოსტნეული, შაქარი და მისი ნაირსახეო-

ბები; ტკბილეული და საკონდიტრო ნაწარმი; საწებლები, ჯემები და სხვა. ამ დარგების ნაწარმს დღეისათვის არ გააჩნიათ გამოკვეთილი საექსპორტო შესაძლებლობები და მათი განვითარების პოტენციალი იზღუდება ადგილობრივი ბაზრით, ტურისტთა მოთხოვნების ჩათვლით. ამდენად, ამ სფეროში გაფართოვების პერსპექტივა მოიაზრება მცირე და საშუალო ბიზნესის ხარჯზე. ამასთან ბუნებრივია, რომ წარმოებული პროდუქცია უნდა იყოს კონკურენტუნარიანი ადგილობრივ ბაზარზე. მათი საექსპორტო ფუნქციების განვითარება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მთელი რიგი რადიკალური ცვლილებების შედეგად, როგორცაა ხარისხის ამაღლება, სტანდარტების ფართე სპექტრის დანერგვა, წარმოების ინტენსიფიკაცია, დასავლეთის ბაზარზე დამკვიდრება და სხვა, რაც უფრო ხანგრძლივი პერიოდის ამოცანად მიგვაჩნია.

კვების და სასმელების სხვა კეტეგორიებთან დაკავშირებით, ტურიზმის განვითარება გამოიწვევს იმპოზივის მოცულობის მაგებას, თანაც მის ჰიოიიგეგუდ დამოკიდებულებას ქვეყნის ტუიისგუდ ბაზაზე. ეს სცენარი არ უნდა შეფასდეს აპრიორულად უარყოფით მიმართულებად და უნდა იქნას განხილული ტურიზმის მეშვეობით ქვეყანაში ვალუტის შემოდინების და სამუშაო ადგილების შექმნის მოსალოდნელი შედეგების ერთობლივი გათვალისწინებით.

დასკვნა

ჩატარებული ანალიზი, ჩვენი აზრით, ადასტურებს არსებულ მოსაზრებას, რომ ტურიზმის ინდუსტრიის განვითარება არაერთმნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ქვეყნის ან რეგიონის დარგობრივ ეკონომიკაზე. მოცემულ კვლევაში ეს ვლინდება საქართველოს კვებისა და სასმელების ინდუსტრიის მაგალითზე. ამ გავლენის შედეგები მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის რაციონალური ეკონომიკური სტრატეგიის დაგეგმვაზე და განხორციელებაზე.

ტურიზმის ინდუსტრიის შემდგომი განვითარება საქართველოში უნდა განიხილებოდეს ქვეყნის ეკონომიკის რაციონალური დივერსიფიკაციის კონტექსტში. ამისათვის, ყურადღებას ვამახვილებთ ქვემოთმოყვანილ რამოდენიმე მთავარ მიმართულებაზე, როგორცაა:

- ტურიზმის ინდუსტრიის „უხილავი ექსპორტის“ შემოსავლების გამოყენება ქვეყნის იმ დარგების განვითარების სტიმულირებისათვის, რომლებსაც გააჩნიათ ან შეუძლიათ შეიძინონ საექსპორტო პოტენციალი. შესაბამისად, სტიმულირების ეფექტი არ უნდა გავრცელდეს ტურიზმთან დაკავშირებულ ყველა წარმოებაზე;

- ტურიზმის ინდუსტრიის პოტენციალის გამოყენება იმ საწარმოების გასანვითარებლად, რომლებიც აწარმოებენ იმპორტის შემცვლელ

პროდუქტებს და რომლებზეც არსებობს მოთხოვნა, როგორც ტურიზმის სექტორში, ისე ადგილობრივ ბაზარზე. ეს სცენარი ძირითადად ვრცელდება შესაბამის მცირე და საშუალო საწარმოებზე.

ამასთან, ქვეყნის განვითარების მიმდინარე ეტაპზე, არარაციონალურად მიგვაჩნია საკუთრივ ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების შეზღუდვა, რადგან გამოწვევა არა ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებაშია, არამედ მისი შესაძლებლობების არარაციონალურ გამოყენებაში. ტურიზმი, ხშირ შემთხვევაში, წარმოადგენს დასაქმების ერთადერთ ან ერთ-ერთ იშვიათ სექტორს, განსაკუთრებით ეკონომიკურად დეპრესირებულ რეგიონებში. ასევე იგი არის შემოსავლების მიღების, საგარეო ვაჭრობის დაბალანსების, უცხოური ვალუტის მოზიდვის ეფექტიანი საშუალება.

ლიტერატურა:

- ბრეგაძე გ. (2019). ტურიზმის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების პრიორიტეტები“. სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი.
- საკვებისა და სასმელების ინდუსტრია საქართველოში. საქართველოს დარგობრივი და რეგიონული განვითარების კომპანია GIRDC. თბილისი. საპარტნიორო ფონდი. 2017. <http://girdc.gov.ge/file.php?f=357&o=Research&s=0-&t=file&e=pdf> /ბოლო ნახვა 28.03. 2020/
- საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. 2019 (საერთაშორისო ვიზიტორების კვლევა. თბილისი., გვ. 4-5.; სტატისტიკური მიმოხილვა 2015-2019, გვ. 18) <https://gnta.ge/ge/სტატისტიკა/> ბოლო ნახვა 26 მარტი, 2020/
- საქსტატი - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2019 (მრეწველობა; საგარეო ვაჭრობა; სოფლის მეურნეობა; ტურიზმის სტატისტიკა; საქართველოს წელიწადეული, 2019; წარმოება). <https://www.geostat.ge/> ბოლო ნახვა 29 მარტი, 2020/
- Egan B. Introduction to Food Production and Service. Chapter 12 – Analyzing and Managing Food & Beverage Expense PennState. <https://psu.pb.unizin.org/hmd329/chapter/ch12/>. 2020. Entered 06.03.2020
- Kharashvili E., Lazariashvili T., Natsvlishvili, I. (2019). Agro tourism for economic development of related sectors and sustainable well-being (case of Georgia). 6th International Symposium BORDERS WITHOUT BORDERS: SYSTEMIC FRAMEWORKS AND THEIR APPLICATIONS FOR SUSTAINABLE WELL-BEING IN THE GLOBAL ERA. University of Pavia, Italy. <https://dspace.tsu.ge/xmlui/handle/123456789/580>;
- Khelashvili I. (2018). Social and Economic Challenges of Sustainable Tourism Development in Georgia. III International Scientific Conference: Challenges of Globalization in Economics and Business. Proceedings. Inave Javakhishvili Tbilisi State University. (504-508).
- Khelashvili I., Kharatishvili L., Merab Khokhobaia M. (2019). Clustering the Problems of Sustainable Tourism Development in a Destination: Tsaghveri Resort as A Case

- . Ankara universitesi tevbilimler Dergisi. pp. 83-97. <https://dergipark.org.tr/en/download/article-file/901017>.
- Leontief, W. (1970). Environmental Repercussion and the Economic input-output model. Rev. Econ. Stat. 64, pp.466-73.
 - Mandelbaum R. (2017). Shifts In Revenue and Expenses Improve Hotel Food And Beverage Profits. <https://www.hospitalitynet.org/opinion/4085603.html>
 - Papava L. (2020) Coronomic Crisis: When The Economy Is A Hostage To Medicine – OpEd. EuroAsia Review. <https://www.eurasiareview.com/29032020-coronomic-crisis-when-the-economy-is-a-hostage-to-medicine-oped/>
 - Supporting Jobs and Economies through Travel & Tourism. Madrid 2020. UNWTO. https://webunwto.s3.eu-west-1.amazonaws.com/s3fs-public/2020-04/COVID19_Recommendations_English_1.pdf
 - Tadayuki Hara (2008).Quantitive Tourism Industry Analysis.. ELSEVIER.
 - Tourism Satellite Account: Recommended Methodological Framework.. United Nations.UNWTO, EUROSTAT. OECD. 2008. https://unstats.un.org/unsd/publication/Seriesf/SeriesF_80rev1e.pdf
 - William C. (2018). “F&B: Which Is More Profitable – Outsourcing or In-House?”. <https://www.hospitalitynet.org/opinion/4087967.html>. 28.04.
 - World Travel & Tourism Council. Oxford. 2020. <https://www.wttc.org/economic-impact/country-analysis/methodology/>

References:

- Bregadze G. (2019) „turizmis ganvitarebis ekonomikuri politikis pormirebis prioretetebi“. [“ Priorities of Formation of Tourism Development Economic Policy „, Dissertation thesis. Tbilisi.] in Georgian.
- sakvebisa da sasmelebis industria sakartveloshi. (2017). [Food and Beverage Industry in Georgia. Georgian Industry and Regional Development Company GIRDC. Tbilisi. Part5nership Fund.] inGeorgian.
- <http://girdc.gov.ge/file.php?f=357&o=Research&s=0&t=file&e=pdf> /Last seen March 28, 2020/
- sakartvelos turizmis erovnuli administratsia. 2019 (saertashoriso vizitorebis kvleva.. [Georgian National Tourism Administration 2019 (International Visitor Survey; Tbilisi pp.4-5. Statistical Review 2015-2019 p.18] <https://gnta.ge/ge/> Last seen March 26, 2020/ in Georgian.
- Geostat 2019 (mretsveloba, sagareo vachroba, soplis meurneoba, turizmis statistika, [National Statistics Office of Georgia. 2019 (Industry, External Trade, Agriculture, Tourism Statistics, Statistical Yearbook of Georgia 2019) <https://www.geostat.ge/> Last seen March 29, 2020/ in Georgian.
- Egan B. Introduction to Food Production and Service. Chapter 12 – Analyzing and Managing Food & Beverage Expense PennState. <https://psu.pb.unizin.org/hmd329/chapter/ch12/>. 2020. Entered 06.03.2020
- Kharaiashvili E., Lazariashvili T., Natsvlishvili, I. (2019). Agro tourism for economic

- development of related sectors and sustainable well-being (case of Georgia). 6th International Symposium “Borders without Borders: Systemic Frameworks and their Applications for Sustainable Well-being in the Global Era”. University of Pavia, Italy. <https://dspace.tsu.ge/xmlui/handle/123456789/580>;
- Khelashvili I. (2018). Social and Economic Challenges of Sustainable Tourism Development in Georgia. III International Scientific Conference: Challenges of Globalization in Economics and Business. Proceedings. Inave Javakhishvili Tbilisi State University. (504-508).
 - Khelashvili I., Kharatishvili L., Merab Khokhobaia M. (2019). Clustering the Problems of Sustainable Tourism Development in a Destination: Tsaghveri Resort as A Case . Ankara universitesi tevbilimleri Dergisi. pp. 83-97. <https://dergipark.org.tr/en/download/article-file/901017>.
 - Leontief, W. (1970). Environmental Repercussion and the Economic input-output model. Rev. Econ. Stat. 64, pp.466-73.
 - Mandelbaum R. (2017). Shifts In Revenue and Expenses Improve Hotel Food And Beverage Profits. <https://www.hospitalitynet.org/opinion/4085603.html>
 - Papava L. (2020) Coronomic Crisis: When The Economy Is A Hostage To Medicine – OpEd. EuroAsia Review. <https://www.eurasiareview.com/29032020-coronomic-crisis-when-the-economy-is-a-hostage-to-medicine-oped/>
 - Supporting Jobs and Economies through Travel & Tourism. Madrid 2020. UNWTO. https://webunwto.s3.eu-west-1.amazonaws.com/s3fs-public/2020-04/COVID19_Recommendations_English_1.pdf
 - Tadayuki Hara (2008). Quantitative Tourism Industry Analysis.. ELSEVIER.
 - Tourism Satellite Account: Recommended Methodological Framework.. United Nations. UNWTO, EUROSTAT. OECD. 2008. https://unstats.un.org/unsd/publication/Seriesf/SeriesF_80rev1e.pdf
 - William C. (2018). “F&B: Which Is More Profitable – Outsourcing or In-House?”. <https://www.hospitalitynet.org/opinion/4087967.html>. 28.04.
 - World Travel & Tourism Council. Oxford. 2020. <https://www.wttc.org/economic-impact/country-analysis/methodology/>

The Impact of Tourism on the Country's Sectoral Economy in Georgia

(By the example of food and beverage industry)

Ioseb Khelashvili

Professor

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

ioseb.khelashvili@tsu.ge

The tourism industry in Georgia is one of the leading sectors of the country's economy. This is due to its high tourism potential as well as the country's still emerging economy. It outlines the needs to research the rationalization of the tourism impact on the sectoral economy. In this regard, the food and beverage sector deserves special attention as the most important supplier of the tourism industry.

The specific goal of our research is to reveal the expected impacts of the development of international tourism in Georgia on its food and beverage industry. For this we used the official statistics related to the expenditures of foreign tourists, including data on "food and beverage" (F&B) and "accommodations". For the purpose of this research, we have modified the classification through the integration of the tourists' expenditures on F&B with the share of expenditures spent by the accommodations on the same products. This adjustment exposed an additional over 70 million USD. The research was followed by the comparative analysis of the revealed F&B expenditures in relations to the domestic production and international trade balance of these products.

The study revealed three main areas of expected influence: further promotion of export-oriented manufacturers; promotion of the import-substituting SME; and raising demand on imported items which are not and/or cannot be produced locally.

The proposed general conclusion is the use of the tourism industry's advantages for further promotion of underlined export-oriented sectors, as well as for supporting the import-substituting SME production. In the meantime, we consider it irrational to limit tourism development in order to reduce the import reliance of the country's economy, as the challenge is not in the development of the tourism industry, but in the irrational use of its advantages.

Keywords: *Tourism; expenditures; impact on economy; food and beverage industry; sectoral economy.*

JEL Codes: *L66, L80, L83*

დემოგრაფია ♦ სოციალური პოლიტიკა
DEMOGRAPHY ♦ SOCIAL POLICY

Ethno-Demographic Processes and Ethnic Conflicts in Georgia

Merab Khmaladze

Associate Professor
Iv. Javakhishvili Tbilisi State University
merab.khmaladze@tsu.ge

Ketevan Chitaladze

Assistant Professor
Iv. Javakhishvili Tbilisi State University
ketevan.chitaladze@tsu.ge

In the 1990s, the ethnic conflicts incited by Russia were directed against the secession and formation of Georgia from the Soviet Empire as an independent state. The negative consequences of these ethnic conflicts still have a negative impact on Georgia. The purpose of writing this paper was to investigate whether the ongoing ethno-demographic processes in Georgia were one of the causes of the conflict. For this purpose, based on the historical and modern statistical information related to the problem, we have established that the ongoing ethno-demographic processes in Georgia from the 19th to the 1990s cannot be the cause of ethno-conflicts. Historically, the population of Abkhazian and Ossetian nationalities lived in a better demographic situation than Georgians. According to the latest statistics of 1959-1979 years, Georgians were characterized by low birth rates and high mortality rates compared to Abkhazians and Ossetians, which led to a high natural increase in them compared to Georgians. Due to the demographic situation, Georgians had more conflict situation. It is clear that neither Abkhazians nor Ossetians had limited their demographic development. Consequently, ethno-demographic processes could not be the cause of ethnic conflicts. These conflicts were not ethno-conflicts. This was Russia's aggression against Georgia's state independence. After the 2008 military conflict between Russia and Georgia, Russia openly occupied Abkhazia and the Tskhinvali region, which is still under the control of Russia.

Keywords: Ethnic statistics; censuses; natural increase; ethno-demographic processes; ethnic conflicts

JEL Codes: J11, J15, D74

Introduction

The climax of Georgia's struggle for independence in the early 1990s seemingly coincided with the Georgian-Abkhazian and Georgian-Ossetian confronta-

tion, later transformed into the armed conflicts undoubtedly inspired by Russia. The conflicts brewing since the 1920s, the time when the USSR emerged and the Autonomous Republic of Abkhazia and Autonomous Region of South Ossetia were established by the Kremlin. It was those “time bombs” that Russia activated in the early 1990s. The conflicts caused a lot of suffering to all the parties involved: thousands of casualties, widespread destruction and the internal migration of the scale never seen before. The ethnic cleansing in Abkhazia forced approx. 200 000 Georgians to leave the region, with most of them remaining the IDPs. As to South Ossetia, no fewer than 7 000 Georgians were driven out. There are no Georgians in the town of Tskhinvali now. According to the 1989 census, a few years before the conflict, 98.8 thousand Ossetians had lived outside the Autonomous Region of Ossetia all across Georgia. The 2002 census made it evident that merely 38 000 Ossetians permanently resided outside the “Autonomous Region”, which means that 60.8 thousand Ossetians left their permanent place of residence or concealed their nationality in the census.

The situation with the Abkhazians was different: according to the 1989 and 2002 censuses, the number of the Abkhazians residing outside Abkhazia, all across Georgia went up from 2.7 thousand to 3.5 thousand or 130.0%. (The Ethnic Makeup of the Georgian Population.1991. 6,10), (Results of the 2002 Census of the Georgian Population. 2003.110). Remaining true to its “good-neighborly” relations, violating the International Law, Russia recognized Georgia’s two break-away regions as independent states, deployed its military bases there and actually occupied 20% of the Georgian territory. In the wake of its military aggression against Georgia in August 2008, Moscow fenced the former Autonomous Region of South Ossetia with barbed wire turning it into a kind of concentration camp for the Ossetians and Georgian still remaining there. It should be said that as a result of the 2008 armed conflict, 26 000 Georgians of the Akhgori area neighboring Tskhinvali region (South Ossetia) had to leave, too.

The Objective and Methodology of the Study

The demographic processes underway in the country affect its economy, social situation and interethnic relations. Our aim is to find out whether the ethnic and demographic processes had stirred, among others, the ethnic conflicts of the 1990s, whether Georgia’s demographic policy had had an adverse effect on the demographic situation in Abkhazia and South Ossetia.

The statistical methods, such as the absolute and relative values, temporal (dynamic) series, average values, variation indicator and the growth rates form the methodological grounds of the study. Also, the study relies on the censuses and registration of the natural movement of the population. There are references to the relevant statistical, demographic and historical publications.

Results

The historical sources say that the Georgians had always been the largest ethnic group in Abkhazia. From 1800 up to the conflict of the 1990, Georgia was a Russian colony and, therefore, Russia would not have allowed the Georgians to pursue the demographic policy discriminatory to the Abkhazians. On the contrary, the demographic policy the Russian Empire pursued in Abkhazia was nothing short of genocide. See table 1.

The Number of the Population of the Parties Involved in the Conflict Based on the Censuses in Georgia (Antadze K. 1973, 88)

Table 1

	1801	1864	1886	1897	Growth
Georgians	670	955	1188	1314	By 1,96
Ossetians	32	49	76	85	By 2,65
Abkhazians	60	66	35	40	By 0,67

It is evident that within the period indicated in the table, the number of the Georgians in Georgia nearly doubled, that of the Ossetians went up by 2.65, while the number of Abkhazians diminished by 33%.

It should be taken into account that in 1801-1897, rapid growth of certain ethnic groups (the Russians, Ukrainians, Armenians) in Georgia, despite increased absolute numbers, resulted in shrinking the Georgians from 79% to 70%, that of the Abkhazians from 7% to 2.1% and conversely that of the Ossetians hiked from 3.7 to 4.6% of the total population. 1864-1886 were disastrous to the Abkhazians. According to the 1886 census, there were merely 3 Abkhazians, a woman and two men in Sokhumi, the future capital of the Autonomous Republic of Abkhazia. The Georgians remained the largest ethnic group (Totadze A. 1994. 11). Within the discussed period of time, the number of the Abkhazians nearly halved: from 66 000 it decreased to 35000. Was it because of the Georgians? Definitely not. The actual reason was their forced emigration to Turkey (Muhacir) by the Russian Empire. After the Russians put down the peasants' uprising in 1866, 15 thousand Abkhazians were exiled to Turkey. During Russia-Turkey war of 1877-1878, namely in 1877 for alleged sympathizing with the Turks, 28.5 thousand Abkhazians were exiled from the Sokhumi district to Turkey, while in 1878, approx. 2.6 thousand Abkhazians migrated from Ajara region to Turkey (Antadze K. 1973. 83, 138,139); (Jaoshvili V. 1996. 89). The Russian Imperial rulers put the Abkhazians on the black list and barred not only from Sokhumi but its surroundings as well. Owing to the Georgian public figures' protest against discrimination of the Abkhazians, who they regarded as their kinsmen, some of them were later allowed to come back to Georgia.

However, it was not only Russia but Turkey as well that were keen about emigration of the Abkhazians. Russia wanted to get rid of the freedom-loving mountainous peoples in order to gain foothold in the geostrategically important Caucasus and change the demographic balance there by resettlement of Cossacks, Russians etc. loyal peoples and those proved to be loyal indeed: a century later, in 1990s, they fought against the Georgians in the Moscow-instigated conflicts.

As to Turkey, its goal was to increase the number of the population dwindling as a result of the long drawn-out wars. Thus, the two acted hand-in-hand. But what about the Georgians, who suffered all kinds of discrimination, including demographic on the part of the Russian Empire.

Forced emigration of the Abkhazians to Turkey in 1866-1878, left a number of villages nearly vacated allowing the Russians to resettle the people they regarded loyal, predominantly the Armenian and Greek migrants from Turkey, who favored the town of Sokhumi, Gagra, Gulripshi and the surrounding area. Apart from them, the Russian Empire resettled the ethnic Russians and Estonians. Albeit in smaller numbers, the Georgians from Samegrelo and Svaneti regions neighboring Abkhazia were also allowed to settle there. According to the 1897 census in the Russian Empire, 8 000 out of the total residents of the Sokhumi district had been born abroad and 6.4 000 in Georgia. (Jaoshvili V. 1984. 91).

In the late XIX c., Mr. Ivan Khatsov, who in 1885-1883, held the high office of the head of the Department of State Properties and Agriculture in the Caucasus masterminded immigration of the Armenians and the Greek to the Black Sea coast asserting that they were accustomed to the malaria-stricken places, would dewater the marshes and make the territory fit for the prospected Russian settlers. He argued that if the Russians accustomed to a different climate and species of wheat were resettled first, they would die of fever. Khatsov proved to be persuasive enough to have a significant number of Armenians resettled not only in Abkhazia, but Borchalo and Javakheti regions as well (Antadze K. 1973. 110,111).

With the sole goal of proving that the Abkhazians had always been the native population of Abkhazia, the Abkhazian authors of our times (Sh. Inal-Ipa, S. Lakoba, B. Ashba) intentionally exaggerate the scope of Muhacir: the initial figures spoke of 30 000 forced migrants, later this number was doubled and eventually hit 400 000 (Totadze A. 1993. 64, 65); (Totadze A, 1994. 9, 10); (Totadze A. 1999. 218, 219), which is incredible. However, its is an undisputed fact that the Georgian had always been the largest ethnic group in Abkhazia. See table 2.

The Census-Based Numbers of the Abkhazians and Georgians In Abkhazia (in thousands)

Table 2

Years	1886	1897	1926	1939	1959	1970	1979	1989
Georgians	34,8	44,9	72,0	92,0	158,2	199,6	213,3	239,8
Abkhazians	28,3	39,6	51,5	56,2	61,2	77,3	83,1	93,3

It is clear that in XX c., the number of the Abkhazians grew steadily as a result of their natural movement.

However, since 1926, the share of the Abkhazians shrunk compared to the other ethnic groups. Similarly to the Abkhazians, the number of the Georgians in Georgia slashed, too as a result of the immigration from the rest of the USSR. In 1939 the Georgians made up 61.4% of the total population, the lowest statistics in the history (Khmaladze M. 1995. 377).

In 1926-1989, the number of the Abkhazians in Abkhazia grew from 51.5 thousand to 93.3 thousand, i.e. by 1.8. However, contrary to the other ethnic groups, their proportion went down from 25.6% to 17.8%. Namely, the number of the Georgians in Abkhazia grew by 3.3, while their share in the total population – from 35.8% to 45.7%. The growth of the other relatively large ethnic groups was noticeable, as well: the number of the Armenians in Abkhazia trebled from 25.7 thousand to 76.5 thousand (300%), so did their share in the total population: 1.6% - 15.1%, i.e. by 9.4 times. The number of the Russians at the time grew six-fold from 12.5 to 74.9 thousand and instead of 1.8%, they made up 14.3% (the growth by 7.9 times). Evidently, both in the absolute and relative terms, the Russian population of Abkhazia grew faster than either the Abkhazians or Georgians, while although the number of the Armenians was a little smaller than that of the Georgians, but their share in the total population was larger. The ethnic Armenians outpaced the Abkhazians significantly both in terms of the absolute and relative growth. The Abkhazian scientists seem to have “failed to notice” the dynamics of the ethnic makeup of the Autonomous Republic. Even if no Georgians had lived there, the Abkhazians’ share in the total population would have been 24.8% instead of 15.1% in 1959, 26.8% instead of 15.9% in 1970, 30.5% instead of 17.1% in 1979 and 32.7% instead of 17.8% in 1989 [calculated 7, pp. 6, 7], which means that they would have been a minority anyway.

The Russian Empire’s attitude to the Ossetians was totally different. They were placed in the favorable situation since as against the Abkhazians, they were totally loyal. While in 1800, there were 29.3 thousand Ossetians in Georgia, according to the 1989 census, i.e. in the run-up to the conflict, their number grew

5.6 times to reach 164 thousands, that of the Abkhazians grew 1.6 times - from 60 thousand to 95.8 thousand across Georgia. In 1800-1989, the Ossetians outpaced the Abkhazians 3.5 times (5,6: 1,6= 3,5).

In 1989, the population of the former South Ossetian Autonomous region was 65 thousand people 31.5 thousand out of which, i.e. approx. the total population lived in the capital Tskhinvali (The Ethnic Makeup of the Georgian Population. Statistics. 1991. 10,11)

Incidentally, the name Tskhinvali originates from the Georgian word "Rtskhila" (hornbeam). In the chronicles, Tskhinvali was first mentioned as a settlement in 1344 and as a town in 1392. There were no Ossetians in Tskhinvali up until XX c., as the household list (the census) of 1986 makes it evident. According to the census of the Georgian urban areas, in 1922 there lived 613 Ossetians and 1436 Georgians in Tskhinvali. However, immediately after creation of the so-called Autonomous Region of South Ossetia in 1922, the number of the Ossetians in Tskhinvali (proclaimed the regional capital) started growing rapidly.

In 1926, there lived 11521 Ossetians (approx. twice as many as in 1922) and 1920 Georgians in Tskhinvali. However, in just 15 years from creation of the autonomy, the Ossetians became a larger ethnic group than the Georgians, whom they outpaced 2.7 (12,4 thousand : 4,6 thousand = 2,7) times according to the 1959 census and according to the 1989 census 4.7 times (31,5 thousand : 6,9 thousand = 4,7). As a result of the ethnic cleansing, no Georgians remain in the ancient Georgian town of Tskhinvali today (Totadze A. 1999. 274); (The Ethnic Makeup of the Georgian Population. Statistics. 1991. 10,11); (Totadze A. 2006. 33).

The question arises: had the Georgians been placed in a favorable position in terms of the natural movement of the population (birth and mortality rates, natural increase)? To answer the question we calculated the statistical data related to the natural movement in terms of the ethnic groups. We relied on the Soviet statistics, which could not have been biased in favor of the Georgians or against the Ossetians or Abkhazians.

Let's start with the infant (up to 1 year) mortality, i.e. the number of the newborns out of 1000, who did not reach their 1 birthday. We computed that in 1970, the number looked like this: among the Abkhazians - 8.9; Ossetians - 22.0; Georgians - 22.78. The numbers in 1980 looked like this: 12.0; 18.6 and 25.1 (respectively) (Khmaladze M. 1995.161). In 1980, mortality of female Abkhazians infants in the rural areas of Abkhazia was merely 2.4, the smallest number across the world to date (Khmaladze M. 1995.161). It's clear enough that the Georgians' position in terms of demography was far from favorable.

In 1959-1979, as against the Abkhazians and Ossetians, the Georgians had a negative birth and mortality rates balance, hence the high natural increase of the two ethnic groups. See Table 3.

Rate of Natural Increase per 1000 People in 1959-1979 (Khmaladze M. 1995. 307)

Table 3

	1959	1970	1979
Georgians	15,6	11,9	9,4
Abkhazians	19,8	17,7	10,7
Ossetians	20,7	15,3	11,8
Average in Georgia	17,2	11,9	9,6
Linear coefficient of variation %%	15,0	26,0	13,0

If someone is to have a grudge, it is the Georgians for among the parties involved in the conflict they had had the lowest natural increase of the population. As a result of drastic reduction of the Georgians' natural growth in 1959-1970, its overall differentiation ratio, i.e. linear coefficient of variation went up from 15% to 26% and in 1970-1979, went down to 13%, while in fact remaining at the 1959 level.

The conclusions regarding the demographic processes in the Gori region neighboring the former South Ossetia are likewise (Akhalaia N. 2009. 120-127). Because of the escalating tensions, the demographic data on the Abkhazians and Ossetians have been unavailable since 1989.

Undoubtedly, the growth of the Abkhazian and Ossetian populations had not been restricted, so it cannot have been the reason behind the conflicts, which by definition were not ethnic. Actually they represented Russia's aggression against Georgia's independence. Moscow leveraged both ethnic groups and after the 2008 armed conflict occupied both regions.

Conclusion

The anti-Abkhazian policy pursued by the Russian Empire, especially so their exile (Muhacir) to Turkey in the late XIX c. made a negative impact on the Abkhazians' demographic situation: in 1864-1897, from 66 thousand, the Abkhazian went down to 40 thousand. As against this, from the early XX c., the Abkhazian population started growing and in 1897-1989 it expanded 2.4 times.

Contrary to the Abkhazians, the Ossetians have always been totally loyal to the Russian Empire, hence their favorable position. Consequently, in 1800-1989, the number of the Ossetians in Georgia increased 5.6 times, i.e. they outpaced the Abkhazians 3.5 times (5,6 : 2,4 ; 3,5). As a result of the conflicts, the Georgians were forced to leave Abkhazia. The same is true for the Ossetians living outside Tskhinvali region, i.e. the rest of Georgia. The study makes it evident that it was not the demographic processes underway in Georgia that had stirred the conflicts and the resulting forced migration of the populations as the two ethnic groups enjoyed a favorable position compared to the Georgians.

References:

- Akhalaia N. (2009). Goris mosakhleobis statistikur-ekonomikuri kvleva. [The Population of the Town of Gori. Statistical and Demographic Study. Tbilisi, "Universal" Publishing House, pp. 120-127.] in Georgian
- Antadze K. (1973). Sakartvelos mosakhleoba XIX saukuneshi. [Population of Georgia in XIX C., Tbilisi, "Ganatleba" Publishing House, pp. 83-139.] in Georgian
- Totadze A. (1999). Sakartvelos mosakhleoba meore da mesame atatsleulebis mi-jnaze. [Population of Georgia On the Turn of the II and III Millennia. Tbilisi, "Samshoblo" Publishing House, pp. 215-274.] in Georgian
- Totadze A. (2006). osebi sakartveloshi. miti da realoba. [The Ossetians in Georgia, the Myth and reality. Tbilisi, "Universal" Publishing House, pp. 28-33.] in Georgian
- Totadze A. (1993). sakartvelos demograpiuli portreti. [Demographic Picture of Georgia. Tbilisi, "Samshoblo" Publishing House, pp. 60-65.] in Georgian
- Totadze A. (1994). Naseleniye Abkhazii. Osetiny v Gruzii. [The Populations of Abkhazia and Ossetia in Georgia. Tbilisi, "Samshoblo" Publishing House pp. 9-12.] in Georgian
- Sakartvelos mosakhleobis erovnuli shemadgenloba (1991). [The Ethnic Makeup of the Georgian Population. Statistics. Tbilisi. "Center" Publishing House, pp. 5-12.] in Georgian
- sakartvelos mosakhleobis 2002 tslis pirveli erovnuli saqoveltao aghtseris shedegebi. [Results of the 2002 Census of the Georgian Population. V I, Tbilisi, 2003. "Center" Publishing House, pp. 100-111.] in Georgian
- Jaoshvili V. (1984) sakartvelos mosakhleoba XVIII- XX saukuneshi. [Georgian Population in XVIII-XX Centuries, Tbilisi, "Metsniereba" Publishing House, pp. 90-98.] in Georgian
- Jaoshvili V. (1996) sakartvelos mosakhleoba. [Population of Georgia. Tbilisi, "Metsniereba" Publishing House, pp. 80-92.] in Georgian
- Khmaladze M. (1995). sakartvelos mosakhleobis aghts'armoebis k'anonzomierebebi da ek'onomik'uri shedegebi. [The Principles of Reproduction of the Georgian Population and its Economic Effects. Tbilisi. Doctoral dissertation. pp. 161-377.] in Georgian

ლიტერატურა:

- ახალაია ნ. (2009). გორის მოსახლეობის სტატისტიკურ-ეკონომიკური კვლევა. თბილისი. გამომცემლობა „უნივერსალი“. გვ.120-127.
- ანთაძე კ. (1973). საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში. თბილისი. გამომცემლობა „განათლება“. გვ.83-139.
- თოთაძე ა. (1999). საქართველოს მოსახლეობა მეორე და მესამე ათასწლეულების მიჯნაზე. თბილისი. გამომცემლობა „სამშობლო“. გვ.215-274.
- თოთაძე ა. (2006). ოსები საქართველოში. მითი და რეალობა. თბილისი. გამომცემლობა. „უნივერსალი“. გვ.28-33.
- თოთაძე ა. (1993). საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი. თბილისი. გა-

- მომცემლობა. „სამშობლო“. გვ.60-65.
- Тотадзе А. (1994). Население Абхазии. Осетины в Грузии. Тбилиси. изд. Самшобло. стр.9-12.
 - საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა. (1991). სტატისტიკური კრებული. თბილისი. გამომცემლობა „ცენტრი“. გვ. 5-12.
 - საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები. ტომი I. (2003). თბილისი. გამომცემლობა „ცენტრი“. გვ. 100-111.
 - ჯაოშვილი ვ. (1984). საქართველოს მოსახლეობა XVIII- XX საუკუნეში. თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“. გვ. 90-98.
 - ჯაოშვილი ვ. (1996). საქართველოს მოსახლეობა. თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“. გვ. 80-92.
 - ხმალაძე მ. (1995). საქართველოს მოსახლეობის აღწერების კანონზომიერებები და ეკონომიკური შედეგები. სადოქტორო დისერტაცია. გვ.161-377.

ეთნოდემოგრაფიული პროცესები და ეთნოკონფლიქტები საქართველოში

მერაბ ხმალაძე

ასოცხებული პოფესორი
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
merab.khmaladze@tsu.ge

ქეთევან ჩიტადაძე

პოფესორის ასისტენტი
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ketevan.Chitaaladze@tsu.ge

1990-იანი წლების დასწყისში ხუსეთის მიეხ ინსპიჩიხებული ეთნოკონფლიქტები მიმახთუდი იყო საბჭოთა იმპეჩიიდან საქაჩთველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოყოფის და ჩამოყადიბების წინააღმდეგ. აღნიშნული ეთნოკონფლიქტების ნეგატიუჩი შედეგები დღესაც უაჩყოფით გავლენას ახდენს საქაჩთველოზე. აღნიშნული ნაშჩომის დაწეჩის მიზანი იყო გამოგვეკვლია, ხომ აჩ წაჩმოადგენდა საქაჩთველოში მიმდინაჩე ეთნოდემოგაფიული პროცესები კონფლიქტების ეჩთ-ეჩთ მიზეზს. ამ მიზნით, პრობლემასთან დაკავშირებულ ისტორიულ და თანამედეხოვე სტატისტიკუჩი ინფორმაციაზე დაყჩდნობით დავადგინეთ, ხომ XIX საუკუნიდან 1990-იან წლებამდე, საქაჩთველოში მიმდინაჩე ეთნოდემოგაფიული პროცესები აჩ შეიძლება გამხდაჩიყო ეთნოკონფლიქტების მიზეზი. ისტორიულად, აფხაზი და ოსი ეჩოვნებების მოსახლეობა ქაჩთველებთან შედაჩებით უკეთეს დემოგაფიულ ვითაჩებაში ცხოვრობდა. უკანასკნელი 1959-1979 წლების სტატისტიკით ქაჩთველებისთვის დამახასიათებელი იყო შობადობის დაბადი და მოკვდაობის მაღალი დონე აფხაზებთან და ოსებთან შედაჩებით, ჩაც განაპიჩობებდა ამ უკანასკნელთა მაღალ

ბუნებრივ მატებას ქაჩთვედებთან შედახებით. დემოგრაფიული ვითარებიდან გამომდინარე, საკონფლიქტო სიტუაცია უფრო ქაჩთვედებს გვექონდა. ცხადია, რომ აჩც აფხაზების, აჩც ოსების დემოგრაფიული განვითარების შეზღუდვა აჩ ხდებოდა. შესაბამისად, ეთნოდემოგრაფიული პირობები ვეჩ განხდებოდა ეთნოკონფლიქტების მიზეზი. აღნიშნული კონფლიქტები ეთნოკონფლიქტები აჩ იყო. ეს იყო ხუსეთის მიეჩ საქაჩთვედოს სახედმწიფოებჩივი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მიმარხთული აგხესია, ჩისთვისსაც გამოიყენეს აფხაზი და ოსი ეჩი, ხოლო 2008 წედს ხუსეთ-საქაჩთვედოს სამხედრო კონფლიქტის შემდეგ ღიად მოახდინეს აფხაზეთის და ცხინვადის ჩეგრონების ოკუპაცია, რომედც დღესაც გჩძედება ხუსეთის მიეჩ მავთუდხდაჩთების გავდებით.

საკვანძო სიგყვები: ეთნიკური სტატისტიკა, მოსახდეობის აღწეჩები, ბუნებჩივიმატება, ეთნოდემოგრაფიული პირობები, ეთნოკონფლიქტები.

JEL Codes: J11, J15, D74

ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა MISCELLANEOUS

წიგნის ფასი XI საუკუნეში*

(ავსტრიის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული ერთი ქართული ხელნაწერის (Vind.Georg.3) ანდერძ-მინაწერის მიხედვით)

თეიმურაზ ჯოჯუა

ასოციირებული პროფესორი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
teimuraz.jojua@iliauni.edu.ge

ხელნაწეხ წიგნს შუა საუკუნეების საქათველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკუხ უხითიეთობებში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა და შესაბამისად, ძადზედ მაღალი ფასიც ჰქონდა. სტატიაში წიგნის ფასის კუთხით პიხვედად ახის შესწავილი ავსტრიის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული ქათული ხელნაწეხის - 1042/1044-1066 წლების თებეხვის თვენის (Vind. Georg.3) ანდეძ-მინაწეხი, ხომედიც წიგნის მომგებლის, იეხუსადიმის ჯეხის მონასტეხში მოლვაწე ქათველი ბეხის - იოვანე ხახუდედის ხელითაა დაწეხილი. კვევის შედეგად, დადენილია, ხომ იოვანე ხახუდედმა თებეხვის თვენის, ანუ ეეხაგზე დაწეხილი, 25X19 სმ-ის სიეხდე-სიგანის მქონე 290 ფეხცდის შემცველი წიგნის გადაწეხისა და ყდაში ჩასმისათვის 20-25 ეხაჰკანი გადაიხადა (ეხაჰკანში ივედისხმება მუსლიმუხი ოქხოს დინაიხ ან ბიზანტიუხი ოქხოს ნომისმა). ამასთან, იოვანემ საკუთიივ ხელნაწეხის გადაწეხისათვის 18-22 ეხაჰკანი, ხოდო წიგნის ყდაში ჩასმისათვის 2-3 ეხაჰკანი გაილო. კვევამ აჩვენა, ხომ იოვანე ხახუდედის ანდეძ-მინაწეხი წაეხმოადგენს ჩვენამდე მოლწეული უძველეს ქათულ წეხილობით წყაეხოს, ხომედიც წიგნის ფასის შესახებ ხაიმე ცნობას ვვაწვდის. აქამდე ამ ტიპის ყვედაზე ადეუდ წეხილობით წყაეხოდ 1071-1080 წლებით დათაეილებული ნიკოეწმინდედის დაწეხილი ითვედობდა. სტატიაში იოვანე ხახუდედის ანდეძ-მინაწეხის შესწავდის საფუძვედზე, მილებულია მთედი ხიგი დასკვნები, ხომდებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს XI საუკუნის საქათველოში წიგნის ფასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისათვის.

* სტატია შესრულებულია შოთა რუსთაველის საქათველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული პროექტის (YS17_60) ფარგლებში.

საკვანძო სიტყვები: ხელნაწეხი, წიგნის ფასი, ღიაჰკანი, ანდუხდ-მინაწეხი, იოვანე ხახუდედი, თებეხვდის თვენი, იეხუსადიმის ჯჰის მონასტეხი, ნიკოხწმინდედის დაწეხიდი.

შესავალი

შუა საუკუნეების ქართულ წერილობით წყაროებში უმდიდრესი და მრავალფეროვანი ინფორმაციაა დაცული საქართველოს ეკონომიკური ისტორიის შესწავლისათვის. თავად ამ ინფორმაციაში ცალკე გამოიყოფა ის მონაცემები, რაც შუა საუკუნეების საქართველოში ფასების საკითხს ეხება. მხედველობაში მაქვს ცნობები ოქროს, ვერცხლის, სპილენძის, გლეხის, მიწის ნაკვეთის, ყანის, ვენახის, ხორბლის, ღვინის, ცხენის, ძროხის, ცხვრის, ხმლის, ჯაჭვის პერანგის, ჩაბალახის, უნაგირის, ჯვრის, ხატის, ქსოვილის, სამოსის, სამკაულისა და სხვათა ღირებულების შესახებ.

ფასების საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ხელნაწერი წიგნის ღირებულება. დღეისათვის დადგენილია, რომ შუა საუკუნეების საქართველოში წიგნის ფასი ძალიან მაღალი იყო და თავად წიგნსაც საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ურთიერთობებში, განსაკუთრებით კი, სასულიერო პირების და საეკლესიო კორპორაციების მატერიალურ ყოფაში, გამორჩეული ადგილი ეკავა. სამწუხაროდ, ჩვენამდე მოღწეულ ქართულ წერილობით წყაროებში წიგნის ფასის შესახებ მონაცემები მხოლოდ XI საუკუნიდან გვხვდება. ამასთან, საკუთრივ XI საუკუნის რეალიების შესახებ ცნობებს მხოლოდ ერთადერთ წერილობით წყაროში ვაწყდებით, რის გამოც ამ პერიოდში ფასების შესახებ ჩვენი ცოდნა ერთობ მწირი და ფრაგმენტულია.

შექმნილ ვითარებაში უდიდესი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს ისეთი წერილობითი წყაროების შესწავლას, რომლებიც XI საუკუნეში წიგნის ფასის შესახებ რაიმე ახალ, დამატებით ინფორმაციას გვანვდის. ამასთან, აღნიშნული ეხება არამხოლოდ იმ წერილობით წყაროებს, რომლებიც აქამდე უცნობი იყო და ბოლო დროს იქნა მიკვლეული თუ გამოვლენილი, არამედ იმ წერილობით წყაროებსაც, რომელთა არსებობა სამეცნიერო საზოგადოებისათვის ცნობილი იყო, თუმცა წიგნის ფასის კუთხით არასოდეს ყოფილა გაანალიზებული.

წინამდებარე სტატია სწორედ აღნიშნული მიმართულებით გადადგმულ ერთ-ერთ კონკრეტულ ნაბიჯს წარმოადგენს: სტატიაში წიგნის ფასის კონტექსტით პირველადაა შესწავლილი ავსტრიის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული ერთი ქართული ხელნაწერის ანდუხდ-მინაწერი, რომელიც წიგნის ფასთან დაკავშირებულ კვლევებში არასოდეს ყოფილა გამოყენებული.

ნიკორწმინდელის დაწერილის ცნობები XI საუკუნეში წიგნის ფასის შესახებ

დღეისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ ჩვენამდე მოაღწია XI საუკუნის ერთადერთმა ქართულმა წერილობითმა წყარომ, რომელიც წიგნის ფასის შესახებ რაიმე ცნობას გვანვდის. ეს არის ქვემო რაჭაში (დასავლეთ საქართველო) მდებარე ნიკორწმინდის მონასტრის ანანოში წინამძღვრის მიერ იმავე მონასტრისათვის მიცემული დოკუმენტი - ნიკორწმინდელის დაწერილი, რომელიც 1071-1080 წლებით თარიღდება.

ნიკორწმინდელის დაწერილში წიგნის ფასის შესახებ ორი ცნობაა დაცული. მოვიტან დოკუმენტის იმ ფარგმენტს, რომელშიც ეს ორი ცნობაა წარმოდგენილი:

„და მე დამხუდა იადგარი ნახევარწერილი ა (1) და გავასრულე ყ(ოვლ) ითავე სისრულითა, შევმოსე და მოვცუარე და შევჭედე და მისისა დაწერისა და შეკაზმვისათვის მივეც დრაჰკანი დუკატი იე (15).

და ვიყი[დე] წიგნი პარაკლიტონი ა (1) და მივეც ფასად ცხენისა ნახევარი“ (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი 1984, გვ. 43. შდრ.: ბერძნიშვილი 1962, 37).

როგორც ვხედავთ, ციტირებული ფარგმენტი მოგვითხრობს, რომ ნიკორწმინდის მონასტრის წინამძღვარმა დოკუმენტის შედგენის წინარე ახლოხანებში ნახევრადგადაწერილი ერთი წიგნის - იადგარის, ანუ ლიტურგიკული კრებულის ბოლომდე გადასაწერად და მოჭედილ ყდაში ჩასასმელად 15 დრაჰკანი დუკატი გადაიხადა, ხოლო მეორე, უკვე გადაწერილი ხელნაწერის - პარაკლიტონის, ანუ ჰიმნოგრაფიული კრებულის შესაძენად „ცხენის ნახევარი ფასი“, ანუ ცხენის საყიდლად საჭირო თანხის ნახევარი გაიღო.

აქვე შევნიშნავ, რომ ნიკორწმინდელის დაწერილში დადასტურებულია ტერმინი „დრაჰკანი დუკატი“, რომელთან დაკავშირებითაც ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ორი განსხვავებული მოსაზრებაა გამოთქმული: გოჩა ჯაფარიძე ფიქრობს, რომ ქართულ წერილობით წყაროებში დასახელებული „დრაჰკანი დუკატი“, უპირატესად, ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე X დუკას (1059-1067 წწ.) მიერ მოჭრილ ოქროს ფულს - 18 კარატიან (75%) ნომისმას აღინიშნავდა (ჯაფარიძე 1976, 91), ხოლო მამისა ბერძნიშვილი მიიჩნევს, რომ ნიკორწმინდელის დაწერილში დასახელებულ „დრაჰკან დუკატში“ ბიზანტიის იმპერატორ მიხეილ VII დუკას (1071-1073 წწ.) მიერ მოჭრილი ოქროს ნომისმაა ნაგულისხმევი (ბერძნიშვილი 1979, 23-30).

წინამორბედ მკვლევართა მიერ ნიკორწმინდელის დაწერილზე დაყრდნობით გამოთქმული მოსაზრებები XI საუკუნეში წიგნის ფასის შესახებ

ქართულ ისტორიოგრაფიაში წიგნის ფასთან დაკავშირებული საკითხები სისტემური სახით პირველად შეისწავლა ივანე ჯავახიშვილმა 1926 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“. მკვლევარმა აღნიშნული მიმართულებით მუშაობისას ნიკორწმინდელის დაწერილში შეტანილ ორ ცნობას შორის განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია პირველ ცნობას, რომელიც ნახევარადდაწერილი იადგარის ბოლომდე გადაწერისა და მოჭედილ ყდაში ჩასმის ამბავს გადმოგვცემს. მეცნიერმა ხსენებული ცნობის შესწავლის საფუძველზე, გაარკვია, რომ ნიკორწმინდელის დაწერილში დასახელებული იადგარის ფასი 20-24 დრაჰკან დუკატს შეადგენდა: „ვთქვათ, შეკაზმაში 3-5 დრაჰკანი მისცა, მაშინ ნახევარი წიგნის დაწერა 10-12 დრაჰკანი დუკატი დასჯდომია. მთელი წიგნი კი 20-24 დრაჰკანი დუკატი ღირებულა“ (ჯავახიშვილი 1996, 103).

საბოლოოდ, ივანე ჯავახიშვილმა ნიკორწმინდელის დაწერილში დასახელებული იადგარის ღირებულების გათვალისწინებით, გამოთქვა მოსაზრება, რომ XI საუკუნეში ერთი „მოზრდილი სამღვდელმსახურო“ წიგნის საშუალო ფასი 20 დრაჰკანი იყო: „იადგარის ღირებულების შესახები ზემომოყვანილი ცნობის მიხედვით... ერთი მოზრდილი სამღვდელმსახურო წიგნის ფასი საშუალოდ 20 დრაჰკანად [უნდა] ვიანგარიშოთ...“ (ჯავახიშვილი 1996, 103).

აქვე, შევნიშნავ, რომ ივანე ჯავახიშვილი „მოზრდილი სამღვდელმსახურო წიგნის“ საშუალო ფასზე საუბრისას გამოყენებულ ტერმინ „დრაჰკანში“ გულისხმობდა ზოგადად, ოქროს ფულს და არა კონკრეტულად, ნიკორწმინდელის დაწერილში დასახელებულ „დრაჰკან დუკატს“, რომელიც, თავის მხრივ, ან კონსტანტინე X დუკას ან კიდევ, მიხეილ VII დუკას მიერ მოჭრილ ოქროს ნომისმებს შეესაბამებოდა.

XI საუკუნეში წიგნის ფასთან დაკავშირებული საკითხები მამუკა წურწუმისა მიერ მოკლედ არის განხილული სტატიაში „XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის (ფასები ნიკორწმინდელის დაწერილის მიხედვით)“. მკვლევარმა ნიკორწმინდელის დაწერილზე დაყრდნობით, ფაქტის სახით აღნიშნა, რომ ამ დოკუმენტში დასახელებული იადგარის გადაწერის დასრულებისა და მოჭედილ ყდაში ჩასმის ღირებულება 15 ოქრო იყო. გარდა ამისა, მამუკა წურწუმია ნიკორწმინდელის დაწერილში დასახელებული მეორე ხელნაწერის - პარაკლიტონის ღირებულებასაც შეეხო და გამოთქვა მოსაზრება, რომ ამ წიგნის შესაძენად გადახდილი „ცხენის ნახევარი ფასი“ 3-4 ოქროს შეადგენდა: „ხელნაწერი წიგნი ყოველთვის ძვირი ჯდება. ასე იყო XI

საუკუნის საქართველოშიც, სადაც ნიკორწმინდის წინამძღვარი საგალო-ბელთა კრებულში – პარაკლიტონში ცხენის ფასის ნახევარს ანუ 3-4 ოქროს იხდის, იადგარის (ლიტურგიკული კრებულის) გადანერის დასრულება და მოჭედილი ყდით შემოსვა კი 15 ოქრო უჯდება“ (ნურნუმია, 2014, 146).

წიგნის ფასთან დაკავშირებული საკითხები საფუძვლიანად განიხილა აპოლონ თაბუაშვილმა 2019 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში (X-XVIII საუკუნეები)“. მკვლევარმა მართებულად მიიჩნია ივანე ჯავახიშვილის მიერ XI საუკუნეში წიგნის ფასის შესახებ გამოთქმული მოსაზრება და სურათის კიდევ უფრო ნათლად წარმოჩენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის მიერ დასახელებული ოქროს ფულები, ერთი მხრივ, 20-24 დრაჰკანი დუკატი, ხოლო, მეორე მხრივ, 20 დრაჰკანი, ვერცხლის გრამებში გადაიყვანა: „...24-კარატიანი ერთი ოქროს ნომისმა/დრაჰკანი საშუალოდ, 13 დრამის (დრამა = 3 გრ.) ტოლფასი იყო. კონსტანტინე X დუკას (1059-1067 წწ.) მოჭრილი ოქროს მონეტების სინჯი კი, რომელსაც საქართველოში დუკატს უწოდებდნენ, საშუალოდ 18 კარატას შეადგენდა. შესაბამისად, დრაჰკანი დუკატის შეფარდება 3-გრამიან ვერცხლის ფულთან იქნებოდა 1:11. თუ 20-24 დრაჰკანი დუკატის ვერცხლთან შეფარდებას მოცემული კურსით ვიანგარიშებთ, მივიღებთ დაახლ. 220-264 დრამას (3-გრამიანი დრამის პირობებში), ანუ საშუალოდ - 700-730 გრამ ვერცხლს. 20 სრულფასოვანი დრაჰკანი ვერცხლზე გადაყვანით (შეფარდება 1:13) უდრიდა 780 გრამს. ერთი სიტყვით... წიგნის საშუალო ფასი უტოლდებოდა 700-780 გრამი ვერცხლის ღირებულებას“ (თაბუაშვილი 2019, 168).

გარდა ამისა, აპოლონ თაბუაშვილმა სცადა, ეჩვენებინა, თუ, კონკრეტულად, რისი შეძენა შეიძლებოდა XI საუკუნეში საშუალო ზომის წიგნის ფასად და ამ მიზნით, წიგნის ღირებულება, ერთი მხრივ, გლეხის, ხოლო, მეორე მხრივ, ხორბლის ღირებულებას შეადარა: „...ნიკორწმინდელის დაწერილშივე დაცული ცნობის თანახმად, გლეხის ოჯახის ღირებულება უდრიდა 18 დრაჰკან დუკატს. ამდენად, ერთი „შეკაზმული“ წიგნი, ამ შემთხვევაში იადგარი, გლეხზე გაცილებით ძვირად ფასობდა... აღნიშნული ეპოქის საქართველოში იადგარის ფასად, იმდროინდელი ფასებიდან გამომდინარე, შესაძლებელი ყოფილა დაახლოებით 3500 კგ. ხორბლის შეძენა“ (თაბუაშვილი 2019, 168).

დასასრულ, აპოლონ თაბუაშვილი ნიკორწმინდელის დაწერილში დასახელებული მეორე ხელნაწერის, „ცხენის ნახევარ ფასად“ შეძენილი პარაკლიტონის ღირებულებასაც შეეხო და ამ წიგნის ფასი, მამუკა ნურნუმიასაგან განსხვავებით, არა 3-4 ოქროთი, არამედ, ბევრად უფრო მეტი თანხით - დაახლოებით, 7,5-12 დრაჰკანით განსაზღვრა: „რაც შეეხება ნიკორწმინდელის დაწერილში დასახელებულ პარაკლიტონს, რომლის შესაძენად „ცხენისა ნახევარი“ გადაუხდიათ, მისი ფასის დასადგენად

უნდა გავიხსენოთ ცხენის ღირებულება... დასახელებულ ეპოქაში საშუალო ღირსების ცხენის ფასი იყო 15-23 ოქროს დრაჰკანი, რაც 600-900 გრამი ვერცხლის ეკვივალენტი იყო. შესაბამისად, პარაკლიტონის ღირებულება გამოდის დაახლ. 7,5-12 დრაჰკანი“ (თაბუაშვილი 2019, 168-169).

ავსტრიის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული თებერვლის თვენი და მისი მომგებლის იოვანე ხახულელის ანდერძ-მინაწერი

დღეისათვის ავსტრიის ეროვნულ ბიბლიოთეკაში X-XIII საუკუნეების ხუთი ქართული ხელნაწერი წიგნი ინახება. ამ ხელნაწერებს შორის არის თებერვლის თვენი (Vind.Georg.3), რომელიც თებერვლის თვის დღეებისათვის განკუთვნილ საგალობლებს შეიცავს. თებერვლის თვენი გადაწერილია 1042/1044-1066 წლებში, იერუსალიმის ჯვრის მონასტერში მოღვაწე სახელოვანი ქართველი მწიგნობრის, ბერი იოვანე ხახულელის დაკვეთით, ვინმე უცნობი კალიგრაფის მიერ (ჯოჯუა 2019).

თებერვლის თვენს დართული აქვს იოვანე ხახულელის ხელით დაწერილი ვრცელი ანდერძ-მინაწერი, რომელიც საინტერესო ცნობებს გვაწვდის XI საუკუნეში წიგნის ფასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლისათვის.

მოვიტან იოვანე ხახულელის ანდერძ-მინაწერის ტექსტს:

„მე, გლახაკმან და უღირსმან იოვანე ხახულელმან, დავაწერიე ე[ს]ე თუე [ფებერვალი] [...].

მე გლახაკი ვიყავ და არა რაჲ მქონდა.

ვისითაცა საწმრითა ესე წიგნნი დანერილ არიან, შეუნდვენ ყოველნი ბრალნი მათნი.

ოდეს ამათ თუეთა წერად დავიწყებდი, მეგობარნი ჩემნი მეტყოდეს: „სად არის საწმარი“?

მე ოთხი დრაჰკანი მაქუნდა.

ესრე მარქუეს: „ცნობასა მისრულ ხარ, ბერო“?

და ოდეს გავასრულენ, წერთა და მოსითა, წინაშე ღმრთისმშობლისა ხატსა დავკრიბენ და მოუწმე მათ ბერთა: „ან, რაჲ სთქუათ, ძმანო“?

და ერთობით მადლი შევწირეთ ღმერთსა, ყოვლისა კეთილისა სრულმყოფელსა“ (ჯოჯუა 2019, 180-181).

როგორც ვხედავთ, იოვანე ხახულელი მოგვითხრობს, რომ როდესაც უცნობ მწიგნობარს თებერვლის თვენის გადაწერა დააწყებინა, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ბერები დაინტერესდნენ, თუ რა ოდენობის თანხით აპირებდა იგი ხელნაწერის გადაწერას. იოვანეს თქმით, იმხანად მას მხოლოდ 4 დრაჰკანი ჰქონდა. როცა ბერებმა ამის შესახებ შეიტყვეს, იოვანეს დაცინვით ჰკითხეს, სად გონებაზე იყო თუ არა. დაცინვის მიუხედავად, იოვანემ თებერვლის თვენი, ვინმე უცნობი დონატორების დახმარებით, ბოლომდე გადააწერინა და ყდამიც ჩაასმევინა. ამის შემდეგ მან

თავისთან მოუხმო იმ ბერებს, რომლებმაც ადრე დასცინეს და ნიშნის მოგებით ჰკითხა, ახლა რაღას იტყოდნენ მისი წამოწყების შესახებ. საბოლოოდ, იოვანემ ახლადგადაწერილი თებერვლის თვენი იერუსალიმის ჯვრის მონასტერს შესწირა და ამ სავანეში დასვენებული ღმრთისმშობლის ხატის წინაშე დააბრძანა.

აქვე, შევნიშნავ, რომ იოვანე ხახულელის ანდერძ-მინაწერში დადასტურებულია ტერმინი „დრაჰკანი“, რომელიც შუა საუკუნეების საქართველოში, ზოგადად, ოქროს ფულის აღსანიშნავად გამოიყენებოდა. ამასთან, XI-XIII საუკუნეების ქართულ წერილობით წყაროებში დრაჰკანი აღნიშნავდა როგორც მუსლიმურ დინარს, ისე ბიზანტიურ ნომისმას (ჯაფარიძე 1976, 84-85, 88). სამწუხაროდ, იოვანე ხახულელის ანდერძ-მინაწერიდან არ ჩანს, თუ, სახელდობრ, რომელი ოქროს ფული იგულისხმება ტექსტში დასახელებულ დრაჰკანში - მუსლიმური დინარი თუ ბიზანტიური ნომისმა. თუ ანდერძ-მინაწერში ბიზანტიური ნომისმა ნაგულისხმევი, მაშინ გამოდის, რომ იოვანე ხახულელს ხელთ ჰქონდა იმ დროისათვის მიმოქცევაში არსებული ორი ტიპის ნომისმადან ერთ-ერთი - ან სრულწონიანი ჰისტამენონ ნომისმა (4,40 გრ.) ან კიდევე, შემსუბუქებული წონის ტეტარტერონ ნომისმა (3,81-4,08 გრ.) (ჯაფარიძე 1976, 89). აქვე, აღვნიშნავ იმასაც, რომ თებერვლის თვენის გადაწერის პერიოდში ანუ 1042/1044-1066 წლებში აქტიურად მიდიოდა ბიზანტიური ნომისმების სინჯის დაცემის პროცესი: თუ 1030-იან წლებამდე ნომისმების სინჯი 24 კარატს შეადგენდა, 1070-იანი წლებისათვის ჰისტამენონის სინჯი 8 კარატამდე (33%), ხოლო ტეტარტერონის სინჯი 9 კარატამდე (38%) იყო დაცემული (ჯაფარიძე 1976, 89).

იოვანე ხახულელის ანდერძ-მინაწერის ცნობები XI საუკუნეში წიგნის ფასის შესახებ (ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი)

იოვანე ხახულელის ანდერძ-მინაწერზე ზედაპირული დაკვირვებითაც კი ნათლად ჩანს, რომ მისი ტექსტი რამდენიმე მნიშვნელოვან ცნობას გვანვდის XI საუკუნეში წიგნის ფასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ. ქვემოთ ამ ცნობებს სათითაოდ განვიხილავ.

დავიწყებ სტატისტიკური ხასიათის ინფორმაციით. აქამდე სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული იყო მოსაზრება, რომ ჩვენამდე მოღწეულ ქართულ წერილობით წყაროებს შორის წიგნის ფასის შესახებ ყველაზე უფრო ადრეულ ცნობებს 1071-1080 წლებით დათარიღებული ნიკორწმინდელის დაწერილი გვანვდის.

საკითხის შესწავლა აჩვენებს, რომ აღნიშნული მოსაზრება მართებული არ არის და წიგნის ფასის შესახებ ყველაზე ადრეული ცნობები არა ნიკორწმინდელის დაწერილში, არამედ იოვანე ხახულელის ანდერძ-მი-

ნაწერშია დაცული: ეს უკანასკნელი თებერვლის თვენი გადანერის დასრულებისთანავე ანუ 1042/1044-1066 წლებშია შესრულებული და ნიკონრწმინდელის დაწერილს, ქრონოლოგიურად, დაახლოებით, ორი-სამი ათწლეულით უსწრებს წინ.

გადავიდეთ იოვანე ხახულელის ანდერძ-მინაწერში დაცული კონკრეტული ცნობების ანალიზზე. განსახილველ ანდერძ-მინაწერში წიგნის ფასი პირდაპირ დასახელებული არ არის. სამაგიეროდ, ანდერძ-მინაწერი გვანვდის სამ ცნობას, რომლებიც საშუალებას გვაძლევს, გავარკვიოთ, თუ, დაახლოებით, რა ოდენობის თანხა გადაიხადა იოვანე ხახულელმა თებერვლის თვენი გადანერისა და ყდაში ჩასმისათვის. მოვიტან ამ ცნობებს.

1. ანდერძ-მინაწერი გვაუწყებს, რომ იოვანე ხახულელს თებერვლის თვენი გადანერის დაწყებისას ხელთ ჰქონდა 4 დრაჰკანი - ან მუსლიმური ოქროს დინარი ან კიდევ, ბიზანტიური ოქროს ნომისმა, რომლის სინჯიც, 1030-1070-იანი წლების რეალიების გათვალისწინებით, 24 კარატიდან 8-9 კარატამდე მერყეობდა.

2. ანდერძ-მინაწერი გვამცნობს, რომ ხსენებული 4 დრაჰკანი აღნიშნული დროისათვის ანუ 1042/1044-1066 წლებისათვის წიგნის გადასაწერად იმდენად მცირე ოდენობის თანხა ყოფილა, რომ როცა ჯვრის მონასტრის ბერებმა ამის შესახებ შეიტყვეს, იოვანე ხახულელს დაცინვა დაუწყეს.

3. ანდერძ-მინაწერიდან ჩანს, რომ ხსენებული 4 დრაჰკანი აღნიშნული დროისათვის წიგნის გადასაწერად მთლად უმნიშვნელო თანხასაც არ წარმოადგენდა: აღნიშნული ფულით ხელნაწერის გადანერის დაწყება და ამ საქმის გარკვეულ ეტაპამდე მიყვანა სავსებით შესაძლებელი იყო.

ამრიგად, იოვანე ხახულელის ანდერძ-მინაწერიდან ირკვევა, რომ იოვანემ თებერვლის თვენი გადანერისა და ყდაში ჩასმისათვის 4 დრაჰკანზე უფრო მეტი თანხა გადაიხადა.

იმავედროულად, განსახილველი ცნობების ურთიერთშეპირისპირება აჩვენებს, რომ იოვანე ხახულელის მიერ გაღებული თანხის ოდენობა, ვერაფრით ვერ იქნებოდა 8-10 დრაჰკანზე უფრო ნაკლები: საპირისპირო შემთხვევაში, გამოვა, რომ იოვანეს ხელნაწერის გადანერის დაწყების დროს უკვე ჰქონდა იმ თანხის თითქმის ნახევარი, რაც წიგნის გადანერისა და ყდაში ჩასმისათვის იყო საჭირო. ხელნაწერის შესაქმნელად საჭირო ფინანსების ნახევარი კი სულაც არ წარმოდგენდა იმდენად უმნიშვნელო მატერიალურ რესურსს, რომ ამის გამო ჯვრის მონასტრის ბერებს იოვანე სასაცილოდ აეგდოთ.

მეორე მხრივ, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ იოვანე ხახულელის მიერ წიგნის გადანერისა და ყდაში ჩასმისათვის გაღებული თანხის ოდენობა 35-40 დრაჰკანზე მეტი ყოფილიყო: ეს თანხა თითქმის ათჯერ აღემატება იმ 4 დრაჰკანს, რომელიც იოვანეს წიგნის გადანერის დაწყების დროს ჰქონდა. ხელნაწერის შესაქმნელად საჭირო ფინანსების მეთაფი

კი იმდენად უმნიშვნელო მატერიალური რესურსი იყო, რომ ძნელი წარმოსადგენია, იოვანეს ასეთი მცირე ოდენობის თანხით წიგნის გადაწერა დაეწყო.

შესაბამისად, ვფიქრობ, არ შევცდები, თუკი დავასკვნი, რომ იოვანე ხახულელმა თებერვლის თვენის გადაწერისა და ყდაში ჩასმისათვის 8-10 დრაჰკანზე უფრო მეტი და 35-40 დრაჰკანზე უფრო ნაკლები თანხა ანუ, საშუალო მაჩვენებლის გათვალისწინებით, დაახლოებით, 20-25 დრაჰკანი გადაიხადა. ამასთან, იოვანე ხახულელს დასახელებული 20-25 დრაჰკანიდან გარკვეული თანხა ანუ, დაახლოებით, 2-3 დრაჰკანი თებერვლის თვენის ყდაში ჩასმისათვის უნდა გაეღო, დანარჩენი თანხა კი ანუ, დაახლოებით, 18-22 დრაჰკანი უშუალოდ წიგნის გადაწერისათვის უნდა მოეხმარებინა.

მაშასადამე, იოვანე ხახულელის ანდერძ-მინაწერის ცნობების შესწავლის საფუძველზე, დგინდება, რომ 1042/1044-1066 წლებში გადაწერილი თებერვლის თვენის ფასი 18-22 დრაჰკანი იყო. აღნიშნული დასკვნა, ერთი მხრივ, მთლიანად ადასტურებს, ხოლო, მეორე მხრივ, ახალი, დამატებითი მასალით ამდიდრებს ივანე ჯავახიშვილის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ XI საუკუნეში საშუალო წიგნის გადაწერის საშუალო ფასი, დაახლოებით, 20 დრაჰკანი იყო. იმავედროულად, ირკვევა ისიც, რომ თებერვლის თვენის ფასი, ერთი მხრივ, თითქმის ზუსტად ემთხვევა ნიკორწმინდელის დაწერილში დასახელებული იადგარის ფასს - 20-24 დრაჰკან დუკატს, ხოლო, მეორე მხრივ, მნიშვნელოვნად აღემატება იმავე ნიკორწმინდელის დაწერილში დასახელებული მეორე წიგნის - პარაკლიტონის ფასს ანუ 3-4 ოქროსა (მამუკა წურწუშია) თუ 7,5-12 დრაჰკანს (აპოლონ თაბუაშვილი), რაც, სავარაუდოდ, იმით უნდა ყოფილიყო განპირობებული, რომ თებერვლის თვენი და იადგარი, პარაკლიტონთან შედარებით, უფრო დიდი მოცულობის წიგნებს წარმოადგენდა.

იოვანე ხახულელის ანდერძ-მინაწერი სხვა მხრივაც მნიშვნელოვანია XI საუკუნეში წიგნის ფასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლისათვის. ჩვენ უკვე ვნახეთ ზემოთ, რომ ივანე ჯავახიშვილმა XI საუკუნეში წიგნის საშუალო ფასი - 20 დრაჰკანი ნიკორწმინდის დაწერილში დასახელებული იადგარის ღირებულების დახმარებით განსაზღვრა. ამასთან, მკვლევარმა გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ხსენებული იადგარის იდენტიფიცირება და მისი ამჟამინდელი დაცულობის ადგილის დადგენა, შესაბამისი ინფორმაციის უქონლობის გამო, შეუძლებელი იყო და ამიტომ იადგარის მოცულობის დაკონკრეტებისაგან თავი შეიკავა. მან მხოლოდ ზოგადად აღნიშნა, რომ 20 დრაჰკანი „მოზრდილი სამღვდელმსახურო“ წიგნის ფასი იყო და აღარ დააზუსტა, თუ, სახლდობრ, რა მასალისაგან დამზადებულ, რა ფორმატისა და რამდენი ფურცლის შემცველ ხელნაწერს გულისხმობდა ამ „მოზრდილ სამღვდელმსახურო“ წიგნში.

იოვანე ხახულელის ანდერძ-მინაწერი საშუალებას გვაძლევს, ეს ბუნდოვანი საკითხი საბოლოოდ გავარკვიოთ. მართლაც, ანდერძ-მინაწერის შესწავლა აჩვენებს, რომ 18-22 დრაჰკანი, კონკრეტულად, თებერვლის თვენის მოცულობის წიგნის გადანერის ფასი იყო.

თავად თებერვლის თვენი ეტრატზეა დაწერილი. მისი ფურცლების ამჟამინდელი ზომა 24,9X18,9 სმ-ია. მართალია, ფურცლების კიდეები ხელნაწერის გვიანდელ რესატავრატორ-განმაახლებელთა მიერ არის შემოჭრილი, მაგრამ ეს შემოჭრა უმნიშვნელოა და ფურცლების თავდაპირველი ფორმატი დიდად არ არის შემცირებული. დღეისათვის თებერვლის თვენი 258 ფურცელს შეიცავს, თუმცა დადგენილია, რომ ხელნაწერის თავდაპირველ შედგენილობაში ცოტა უფრო მეტი, 288 ფურცელი იყო წარმოდგენილი (ჯოჯუა 2019, 166-168).

მაშასადამე, იოვანე ხახულელის ანდერძ-მინაწერის ცნობებიდან ირკვევა, რომ 1042/1044-1066 წლებში 18-22 დრაჰკანი შეადგენდა, კონკრეტულად, თებერვლის თვენის ზომის წიგნის ანუ ისეთი ხელნაწერის ფასს, რომელიც ეტრატზე იყო დაწერილი და 25X19 სმ-ის სიგრძე-სიგანის მქონე 290 ფურცელს შეიცავდა.

დასასრულ, აღვნიშნავ იმასაც, რომ იოვანე ხახულელის ანდერძ-მინაწერი კიდეც ერთი თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი XI საუკუნეში წიგნის ფასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლისათვის. ჩვენ უკვე ვნახეთ ზემოთ, რომ იოვანე ხახულელი იერუსალიმის ჯვრის მონასტერში მოღვაწეობდა. აქედან, ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ იოვანე ხახულელის მიერ თებერვლის თვენის გადანერისათვის გადახდილი თანხა - 18-22 დრაჰკანი სრულად შეესაბამებოდა იმ ფასს, რომელიც განსახილველი პერიოდის იერუსალიმში თებერვლის თვენის მოცულობის წიგნის გადანუსხვისათვის იყო დადგენილი.

თებერვლის თვენისა და ნიკორწმინდელის დაწერილში დასახელებული იადგარის ფასების, შესაბამისად, 18-22 დრაჰკანისა და 20-24 დრაჰკანი დუკატის, ერთმანეთთან შედარება აჩვენებს, რომ იერუსალიმის ჯვრის მონასტერში მოღვაწე იოვანე ხახულელმა 1042/1044-1066 წლებში, პრაქტიკულად, იმავე ოდენობის თანხა გაიღო თებერვლის თვენის გადანერისათვის, რა ოდენობის თანხაც 1071-1080 წლების წინარე ახლობანებში რაჭაში მდებარე ნიკორწმინდის მონასტრის კუთვნილი იადგარის გადანუსხვისათვის იყო გადახდილი.

მაშასადამე, იოვანე ხახულელის ანდერძ-მინაწერის ცნობებიდან ირკვევა, რომ XI საუკუნეში, უფრო ზუსტად კი, 1040-1070-იან წლებში წმიდა მიწასა და საქართველოში წიგნის ფასი, პრაქტიკულად, იდენტური იყო.

დასკვნა

წინამდებარე სტატიაში წიგნის ფასის კონტექსტით პირველად არის შესწავლილი ავსტრიის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ხელნაწერის - თებერვლის თვენის (Vind.Georg.3) მომგებლის იოვანე ხახულელის ანდერძ-მინაწერი. კვლევის საფუძველზე, მიღებულია შემდეგი ძირითადი დასკვნები:

1. დგინდება, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრება მართებული არ არის და ჩვენამდე მოღწეულ უძველეს ქართულ წერილობით წყაროს, რომელიც წიგნის ფასის შესახებ რაიმე ინფორმაციას გვანვდის, არა ნიკორწმინდელის დაწერილი, არამედ იოვანე ხახულელის ანდერძ-მინაწერი წარმოადგენს. კერძოდ, ირკვევა, რომ იოვანე ხახულელის მიერ 1042/1044-1066 წლებში შესრულებული ანდერძ-მინაწერი 1071-1080 წლებით დათარიღებულ ნიკორწმინდელის დაწერილს, ქრონოლოგიურად, დაახლოებით, ორი-სამი ათწლეულით უსწრებს.

2. დგინდება, რომ 1042/1044-1066 წლებში იერუსალიმის ჯვრის მონასტერში მოღვაწე ქართველმა ბერმა იოვანე ხახულელმა თებერვლის თვენის ანუ ეტრატზე დაწერილი, 25X19 სმ-ის სიგრძე-სიგანის მქონე 290 ფურცლის შემცველი წიგნის გადაწერისა და ყდაში ჩასმისათვის 20-25 დრაჰკანი გადაიხადა. გარდა ამისა, ირკვევა ისიც, რომ იოვანე ხახულელმა საკუთრივ ხელნაწერის გადაწერისათვის 18-22 დრაჰკანი, ხოლო წიგნის ყდაში ჩასმისათვის 2-3 დრაჰკანი გაიღო.

3. ირკვევა, რომ იოვანე ხახულელის მიერ მოგებული თებერვლის თვენის გადაწერის ფასი - 18-22 დრაჰკანი, თითქმის ზუსტად ემთხვევა ნიკორწმინდელის დაწერილში დასახელებული იადგარის გადაწერის ფასს, რომელიც ივანე ჯავახიშვილმა 20-24 დრაჰკანი დუკატით განსაზღვრა. გარდა ამისა, ირკვევა ისიც, რომ თებერვლის თვენის გადაწერის ფასი მნიშვნელოვნად აღემატება ნიკორწმინდელის დაწერილში დასახელებული მეორე წიგნის, სავარაუდოდ, ბევრად უფრო მცირე მოცულობის ხელნაწერის - პარაკლიტონის მთლიან ფასს, რომელიც მამუკა წურწუშიამ 3-4 ოქროთი, ხოლო აპოლონ თაბუაშვილმა 7,5-12 დრაჰკანით განსაზღვრეს.

4. ირკვევა, რომ იოვანე ხახულელის ანდერძ-მინაწერის შესწავლა, ერთი მხრივ, მთლიანად ადასტურებს, ხოლო, მეორე მხრივ, ახალი მასალით ამდიდრებს ივანე ჯავახიშვილის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ XI საუკუნეში „მოზრდილი სამღვდელმსახურო“ წიგნის გადაწერის საშუალო ფასი 20 დრაჰკანი იყო. უფრო მეტიც, იოვანე ხახულელის ანდერძ-მინაწერის შესწავლა მნიშვნელოვნად აზუსტებს ივანე ჯავახიშვილის მიერ გამოთქმულ ამ მოსაზრებას და აჩვენებს, რომ 20 დრაჰკანი არა, ზოგადად, „მოზრდილი სამღვდელმსახურო“ წიგნის, არამედ, კონკრეტულად, თებერვლის თვენის მოცულობის ხელნაწერის ფასს შეადგენდა.

5. დგინდება, რომ 1040-1070-იან წლებისათვის წმიდა მიწასა და საქართველოში წიგნის ფასი, პრაქტიკულად, იდენტური იყო. შესაბამისად, ირკვევა ისიც, რომ იერუსალიმის სანახებში მოქმედი ჯვრის მონასტრისა და ქვემო რაჭაში მდებარე ნიკორწმინდის მონასტრის ქართველი მოწესეები ერთსა და იმავე პერიოდში, ერთი და იმავე მოცულობის წიგნის გადასანერად ერთი და იმავე ოდენობის თანხას იხდიდნენ.

ლიტერატურა:

- ბერძენიშვილი მ. (1962). ნიკორწმინდის „დანერილი“ (ტექსტის გამოცემისათვის) || „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 34. გვ. 25-42.
- ბერძენიშვილი მ. (1979). მეთერთმეტე საუკუნის ქართული საისტორიო წყაროები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესახებ (ნიკორწმინდელის დანერილი). თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- თაბუაშვილი ა. (2019). ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში (X-XVIII საუკუნეები). თბილისი: გამომცემლობა „კოლორი“.
- ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი (1984). I. ქართული ისტორიული საბუთები. IX-XIII საუკუნეები. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- წურწუშია მ. (2013-2014). XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის (ფასები ნიკორწმინდელის დანერილის მიხედვით) || „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები“, VIII. გვ. 125-162.
- ჯავახიშვილი ივ. (1996). ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. IX, ნაკვ. პირველი, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- ჯაფარიძე გ. (1976). ოქროს მონეტის ტერმინოლოგია XI-XIII საუკუნეების საქართველოში || „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 3. გვ. 84-95.
- ჯოჯუა თ. (2019). იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ბერის იოვანე ხახულელის დაკვეთით გადაწერილი 1042/1044-1066 წლების თებერვლის თვენი (Vind. Georg.3) ავსტრიის ეროვნული ბიბლიოთეკიდან (კოდიკოლოგიური და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა) || „საისტორიო კრებული“, 7. გვ. 164-211.

References:

- Berdzenishvili M. (1962). nikortsmidis „datserili“ [The Nikortsminda “Deed” (Publication of the Text). «Materials for the History of Georgia and the Caucasus», vol. 34. pp. 25-42.] in Georgian.

- Berdzenishvili M. (1979). metertmete saukunis kartuli saistorio tsqaroebi sakartvelos sotsialur-ekonomikuri istoriis shesakheb [Georgian Written Sources of the Eleventh Century About Social and Economical History of Georgia (The Nikortsminda Deed). Tbilisi: Publishing House "Metsniereba".] in Georgian.
- Tabuashvili A. (2019). pasebi peodaluri epokis sakartveloshi (X-XVIII saukuneebi). [Prices in Feudal Georgia (10th-18th centuries). Tbilisi: Publishing House "Color".] in Georgian.
- kartuli istoriuli sabutebis korpusi (1984). I. kartuli istoriuli sabutebi. IX-XIII saukuneebi. [A Corpus of Georgian Historical Documents (1984). I. Georgian Historical Documents. 9th-13th Centuries. Compiled and prepared for publication by T. Enukidze, V. Silogava, N. Shoshiashvili. Tbilisi: Publishing House "Metsniereba".] in Georgian.
- Tsurtsunia M. (2013-2014). XI saukunis sakartvelos sotsial-ekonomikuri suratisatvis (pasebi nik'orts'midelis dats'erilis mikhedvit) [The Social and Economic Condition of Georgia in the 11th Century (Prices According to Nikortsminda Deed). Ivane Javakhishvilis sakhelobis Tbilisis Sakhelmtsipo Universitetis Sakartvelos Istoriis Institutis Shromebi, VIII. pp. 125-162.] in Georgian.
- Javakhishvili Iv. (1996). kartuli damtserlobatmtsodneoba anu paleografia [Studies in Georgian Script or Paleography. Works in Twelve Volumes, v. IX, part one, Tbilisi: Publishing House "Metsniereba".] in Georgian.
- Japaridze G. (1976). okros monetis terminologia XI-XIII saukuneebis sakartveloshi [Terminology of Gold Coin in 11th-13th Centuries Georgia. Sakartvelos SSR Metsnierebata Akademiis Matsne, The Series in History, Archaeology, Ethnography and Art History, 3. pp. 84-95.] in Georgian.
- Jojua T. (2019). ierusalimis jvris monastris beris iovane khakhulelis dakvetit gadatserili 1042/1044-1066 tslebis tebevliis tveni [The February Menaion (Vind.Georg.3) Copied in 1042/1044-1066 on the Commission of Iovane Khakhuleli, Now Held at the Austrian National Library (Codicological, Historical and Source Study Analysis). Saisitorio Krebuli, 7. pp. 164-211.] in Georgian

A Manuscript Cost in the 11th Century

**(Based on a Colophon from a Georgian Manuscript (Vind.Georg.3)
Held at Austrian National Library)**

Teimuraz Jojua

*Associate Professor of Ilia State University
teimuraz.jojua@iliauni.edu.ge*

Manuscripts in the Middle Ages were too expensive. They were essential to the practice of Christianity.

The large colophon found in a Georgian manuscript from the collection of Austrian National Library is studied for the first time from the viewpoint of a man-

uscript cost. This is the February Menaion (Vind.georg.3) copied in 1042/44-1066. The colophon was written by Ivane Khakhuleli, a Georgian monk who resided in the monastery of Holy Cross in Jerusalem. He had commissioned the manuscript.

The colophon written by Ivane Khakhuleli has never been used for the study of manuscript costs. At the first stage of my study I found out that Ivane Khakhuleli's colophon was to be considered the oldest Georgian written source which provides information about manuscript cost, and not the Nikortsminda deed of 1071-1080, as widely accepted prior to me.

Based on the analysis of Ivane Khakhuleli's colophon, I reached several conclusions which are of special importance for addressing the issue of a manuscript cost in the 11th century.

Namely, it was established that Ivane Khakhuleli paid 20-25 drahkans for copying and binding a manuscript which measures 25x19 cm, and contains 290 folios. 18-22 drahkans were paid for copying, and 2-3 drahkans for its binding.

On the one hand, the colophon under consideration corroborates consideration accepted in the scholarly literature about the manuscript cost in the 11th century, and on the other hand, it enriches our knowledge concerning prices, suggesting that 20 drahkans was not just an average price for copying large church books in general, but it was the price for copying a particular manuscript which contained 290 folios.

It was also established that in 1040s-1070s, the price for copying manuscripts in the Holy Land and in Georgia was practically the same.

Keywords: Manuscript, manuscript cost, drahkan, colophon, Iovane Khakhuleli, february menaion.

ერთი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური ტერმინის შესახებ*

მიხეილ ჯიბუტი**

პროფესორი

საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა

აკადემიის პრეზიდენტი

m_djibuti@yahoo.com

საქართველოში, საქართველოში, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, ეროვნულ ანგარიშთა სისტემის (SNA 1993) დანერგვისას, განხორციელდა შესაბამისი რეკომენდაციებისა და სტანდარტების თარგმნა ინგლისურიდან ქართულად. ამ დროს დამკვიდრდა ეროვნულ ანგარიშთა სისტემის უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური მაჩვენებლების – „Gross Domestic Product“ (შემოკლებით: GDP) და „Gross National Product“ (შემოკლებით: GNP) ქართულ შესატყვისად „მთლიანი შიდა პროდუქტი“ (შემოკლებით: მშპ) და „მთლიანი ეროვნული პროდუქტი“ (შემოკლებით: მეპ). ამ ფორმით ხდება დღემდე მათი ოფიციალურ სტატისტიკაში გამოყენება (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020).

თუმცა, აღნიშნული ტერმინების თარგმანის სისწორის შესახებ დღემდე გრძელდება აზრთა სხვადასხვაობა. განსაკუთრებით „არ გაუმართლა“ „მთლიან შიდა პროდუქტს“.

ჯერ იყო და საკამათო გახდა თუ რა არის სწორი - „შიდა“ თუ „შიგა“. სინამდვილეში, დღეისათვის სწორია ორთავე, რადგანაც ქართულ ენაში „შიდა“ და „შიგა“ სინონიმებია, თუმცა ნიუანსების დონეზე „შიდა“ უფრო მიესადაგება ტერიტორიას (ცოცანიძე და სხვ., 2014, გვ. 695). ზოგადად კი, მათი გამოყენება ხდება დაუნერეელი კანონზომიერებით, რომელიც დამკვიდრებული ფორმის გამოყენებაზე დამოკიდებული, თუმცა თავდაპირველად ამა თუ იმ ფორმის გამოყენება რასთან იყო დაკავშირებული - ძნელად დასადგენია. ეს ძნელი დასადგენია „მთლიანი შიდა პროდუქტთან“ მიმართებაშიც, თუმცა ის „ჩვენ თვალწინ“ წარმოიშვა და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დაკავშირებულია „შიდას“ გამოყენების პრაქტიკასთან, ყურს მიჩვეულ ჟღერადობასთან, საერთოდ და მათ შორის ეკონომიკის სფეროში (შიდა გადაზიდვები, შიდა აუდიტი, შიდა ვაჭრობა, შიდა ტერიტორია, შიდა აზომვითი ნახაზი ... შიდა ქართლი და სხვ. მსგავსი).

* სტატია იბეჭდება უცვლელად - სარედაქციო კოლეგია.

** პატივს ვცემთ პროფესორ მიხეილ ჯიბუტის ცალკეულ მოსაზრებებს. ამასთან, მიზანშეუწონლად მიგვაჩნია დისკუსიაში ჩაბმა, ბატონი მიხეილის წერილში, ჩვენი აზრით, არსებული ზოგიერთი ხარვეზისა და ბუნდოვნების მიუხედავად. - ვ.პაპავა, ა.სილაგაძე

ამასთან, არავითარი საფუძველი არ არსებობს იმის სათქმელად, თითქოს „XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, როცა ქართული პოლიტიკური ელიტისათვის უმთავრესი უცხო ენა იყო რუსული, ქართულ ენაში - ტერმინი „მთლიანი შიდა პროდუქტი“, დამკვიდრდა რუსული ენის ზეგავლენით, რადგანაც - „Gross Domestic Product(GDP)“, რუსულად თარგმნილია, როგორც „Валовый Внутренний Продукт (ВВП)“ (აქ შეცდომაა, უნდა იყოს: „**Валовой** Внутренний Продукт“ - მ.ჭ.). (პაპავა,სილაგაძე, 2019,გვ.181). მითითებული დროისათვის საქართველოში პოლიტიკური ელიტისათვის რუსული „უმთავრესი უცხო ენა“ კი არა, მშობლიურით „შინაური“ ენა იყო და რუსულიდან რომ ყოფილიყო თარგმნილი, მაშინ „შიდას“ ნაცვლად იქნებოდა „საშინაო“, „შინაგანი“ , ან მსგავსი რამ. საბჭოთა კავშირის დროიდან დღემდე ქართულ ეკონომიკურ ტერმინებზე რუსულის გავლების უარყოფაზე კი არა, არამედ ძლიერ გავლენაზე უნდა ვისაუბროთ. თუმცა, განსახილველ ტერმინი ის შემთხვევა არაა.

„შიდას“ ნაცვლად „შიგას“ გამოყენების არაერთი რეკომენდაციის მიუხედავად, ის ვერ დამკვიდრდა ვერც სალაპარაკო და ვერც ოფიციალურ ენაში. ეს არცაა საჭირო, გარდა იმ ერთადერთი შემთხვევისა, თუ დირექტიულად დადგინდება ქართული სალიტერატურო ენის სწორ ნორმად მხოლოდ „შიგას“ გამოყენება. მანამდე კი, „შიგას“ გამოყენების მსურველებისათვის შეიძლება შემამსუბუქებელი მნიშვნელობა ჰქონდეს იმას, რომ შემოკლებულ ვარიანტში ორთავე შემთხვევაში ერთი და იგივე - „მშპ“ აბრევიატურაა.

„მთლიანი შიდა პროდუქტის“ ინგლისურ ორიგინალთან ადეკვატურობის საკითხი ჯერ ცალ-ცალკე სხვადასხვა დროს, ხოლო ბოლოს (2019 წელს) ერთად დააყენეს კითხვითი ნიშნის ქვეშ აკადემიკოსებმა ვლადიმერ პაპავამ და ავთანდილ სილაგაძემ. მათ მიერ შემოთავაზებულ იქნა, რომ მაკროეკონომიკური მაჩვენებლის ინგლისური დასახელება - „Gross Domestic Product“ (შემოკლებით: GDP) ქართულად ითარგმნოს, როგორც „მთლიანი სამამულო პროდუქტი“ (შემოკლებით: მსპ), ნაცვლად დამკვიდრებული „მთლიანი შიდა პროდუქტისა“ (შემოკლებით: მშპ). (პაპავა,სილაგაძე, 2019, გვ.180).

სამწუხაროდ, ამ შემოთავაზების არანაირი მტკიცებულება წარმოდგენილი არაა, თუ არ ჩავთვლით ავტორების ემოციურ მითითებებს, რომ „ინგლისური ტერმინის „Gross Domestic Product“-ის არსებას (? - მ.ჭ.) ზედმინევნით ასახავს „მთლიანი სამამულო პროდუქტი“ (პაპავა, სილაგაძე, 2019, გვ. 180) და „დადგა დრო, როცა ყოველმხრივ გამართლებულია (? - მ.ჭ.), რომ ქართულ ენაში შესაბამისი ადგილი დაიმკვიდროს ტერმინმა - „მთლიანი სამამულო პროდუქტი“ (პაპავა,სილაგაძე, 2019, გვ. 181). ეს ვარიანტი 2017 წელს ა.სილაგაძემ, როგორც ქართული გამოცემის მთავარმა რედაქტორმა გამოიყენა მონოგრაფიის თარგმნისას (კრუგმანი და სხვ., 2017, გვ.1-სქო-

ლიო). ნათელია, რომ ავტორებს არაფერი სანინააღმდეგო არ აქვთ ტერმინის პირველ და მესამე სიტყვების თარგმანთან დაკავშირებით. მეორე სიტყვა - „Domestic“ მათ მიერ ნათარგმნია, როგორც „მამული“ - „სამამულო“. ამ სიტყვებს აქვს ემოციურ-პატრიოტული დატვირთვა.

არა ნიშნის მოგებით, არამედ შემხვედრი აზრის კარნახით, თუ თარგმანის დროს რუსული ენის გავლენაზე საუბარი, ჩემი აზრით, ეს სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც ქვეცნობიერის იმპულსს შეიძლება გამოეწვია მსგავსი შედეგი. ასეთი დასკვნა განაპირობა იმან, რომ გამახსენდა რუსულიდან ქართულში, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის პერიოდში დამკვიდრებული ცნებები „სამამულო წარმოება“, „სამამულო წარმოების პროდუქტი“. აზრობრივად მასთან ახლოსაა „ადგილობრივი წარმოება“. ინგლისურენოვანი შესატყვისი ესაა „Domestic Production“, რაც ძირითადად ადგილობრივი მოხმარებისათვის პროდუქციის წარმოებას ნიშნავს. (uis.unesco., 2020).

ვ.პაპავამ თავის დროზე „Gross Domestic Product“ თარგმნა, როგორც „ერთობლივი სამამულო პროდუქტი“ (პაპავა და სხვ., 1993, გვ.244), თუმცა შემდგომში „ერთობლივს“ „გაპარული უზუსტობა“ უწოდა (პაპავა, სილაგაძე, 2019, გვ.180).

ამ დროს, არააკადემიურ, მაგრამ მასობრივ და საზოგადოების აზროვნებაზე დიდი ზეგავლენის მქონე „ვიკიპედიაში“ ქართულ ენაზე რომელიღაც სახალხო ავტორის მიერ „მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ)“ და „ერთობლივი შიდა პროდუქტი (ეშპ)“ განხილულია სინონიმებად.

როგორც ვხედავთ, ყველა მსჯელობა და კამათი ეტიმოლოგიურ დონეზე მიმდინარეობს, ასეთმა მცდელობამ შეიძლება უფრო მეტი დაბნეულობა მოიტანოს, კამათი „შოფუთოს“ მეცნიერულობის ფორმით და რეალურად ხელშესახები, გამოსაყენებელი შედეგი არ დადგეს.

შესაბამისად, რადგანაც საკითხის გადაჭრა პრობლემის წარმოქმნის დონეზე შეუძლებელია, ანალიზი სხვა დონეზე უნდა გადავიტანოთ. უნდა განვიხილოთ არა მართო ის, თუ რას ეტიმი აქვს ამა თუ იმ სიტყვას, არამედ რა მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ტერმინს, თუ რა მნიშვნელობას დებდა ამა თუ იმ ტერმინში მისი გამომგონებელი მეცნიერი და რა აზრი დევს მასში დღეისათვის პრაქტიკაში გამოყენებისას- იქნება ეს ანალიზის, თუ კომუნიკაციის პროცესი.

საკითხის გარკვევისათვის დიდი დახმარების განევა შეუძლია მშპ-ს და მეპ-ის არსის, შინაარსის მიხედვით მსჯელობას. მთავარი განმასხვავებელი სხვა თანაბარ პირობებში ისაა, რომ ერთი (მშპ) მოცემული ტერიტორიის (სახელმწიფოს) ფარგლებში რეზიდენტი და არარეზიდენტი პირების საქმიანობის შედეგს, ხოლო მეორე (მეპ) მხოლოდ რეზიდენტი პირების საქმიანობის შედეგია ტერიტორიის (სახელმწიფოს) ფარგლებს შიგნით და გარეთ. ორთავე ესაა ბაზრო ფასებში გამოხატული პროდუქტების ღირ

რებულებათა ჯამი, ანუ მათი მთლიანი ღირებულება. მოვახდინოთ ნათქვამის კონვერტაცია პაპავა-სილაგაძის პოზიციით: გვექნება „მთლიანი სამამულო პროდუქტი“ და „მთლიანი ეროვნული პროდუქტი“. ამას სრულ აზრობრივ ანარქიასთან მივყავართ აღქმის თვალსაზრისით: კერძოთ, „სამამულოს“ და „ეროვნულის“ გაგების ხაფანგი ჩნდება: ეროვნული არაა სამამულო, თუ სამამულო არაა ეროვნული? სამამულო სხვაა და ეროვნული სხვა? და ა.შ. ანუ სიტყვების ემპირიული აღქმა ასეთ შემთხვევაში ისე დაშორდება მათ ემპირიული გამოყენების დროინდელ მნიშვნელობებს, რომ ყველა შემთხვევაში დაისმება კითხვა: რად გვინდა ეს? ამის რა საჭიროებაა? სადაა კართაგენი სიტყვაში „შიდა“, რისთვისაც ის აუცილებლად უნდა დაინგრეს? არსად.

„Gross Domestic Product“ (შემოკლებით: GDP)-ის თარგმანი ქართულად, როგორც „მთლიანი შიდა პროდუქტი“ („შემოკლებით: მშპ) ადექვატურია, მისი გამოყენება დამკვიდრებულია, ქართული ენისათვის მისაღება და ცვლილებას არ საჭიროებს.

აღნიშნულმა დასკვნამ კონკრეტულ შემთხვევაში, არ უნდა შექმნას იმის შთაბეჭდილება, რომ ქართულ ეკონომიკურ ტერმინებთან დაკავშირებით საქმე კარგად, ან თუნდაც დამაკმაყოფილებლად - ის უმწვავესად დგას. თავის დროზე, რუსულენოვან სივრცეში, ეს საკითხი ჩვენი მასწავლებლების თაობამ გადაჭრა. ინგლისურენოვან სივრცეში კი პრობლემა გადასაჭრელია. ჟურნალის „ეკონომიკა და ბიზნესის“ რედაქციის მიერ ტერმინებისადმი ყურადღების მიქცევა მისასალმებელია. კარგი იქნება, თუ რედაქცია გახდება ერთგვარი ცენტრი ამ საკითხებზე მსჯელობისათვის, მათ შორის მრგვალი მაგიდის ფორმატით.

როდესაც პაპავა-სილაგაძის სტატია წავიკითხე, ვფიქრობდი, რომ მას აუცლებლად გამოეხმაურებოდა ეკონომიკურ-ფინანსური სახელმწიფო ინსტიტუტები, ან თუნდაც ენის პალატა, ან პროფილური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და სხვ. მაგრამ ამაოდ. ესაა არა მხოლოდ ავტორებისადმი, არამედ მთლიანად მეცნიერებისადმი გულგრილი დამოკიდებულების მაგალითი. ამის საპირისპიროდ და ავტორების აზრისადმი პატივისცემის ნიშნად დაიწერა აღნიშნული სტატია - აქ მნიშვნელობა არ აქვს მათ პოზიციას ვეთანხმები თუ არა.

ლიტერატურა:

- პაპავა ვ.,სილაგაძე ა. (2019) ერთი საკვანძო ეკონომიკური ტერმინის - „Gross Domestic Product“ -ის ქართული სახელწოდების შესახებ „ ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, №1
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - <https://www.geostat.ge/media/29303/Mtliani-shida-produqtis-metodologia.pdf>. ბოლო ნახვა 19.02.2020

- ცოცანიძე გ.,ლოლაძე ნ.,დათუკიშვილი ქ. (2014) ქართული ლექსიკონი, თბ., ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა,
- <http://uis.unesco.org/en/glossary-term/domestic-production?wbdisable=true>. ბოლო ნახვა 19.02.2020
- პაპავა ვ., ახმეტელი რ., ლეიაშვილი პ., ულუმბერაშვილი ნ. (1993.) საბაზრო ეკონომიკის საფუძვლები (თეორიული ეკონომიკა). თბ., „მაცნე“
- https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98_%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90_%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98 ბოლო ნახვა 19.02.2020
- კრუგმანი პ.რ., ობსტფელდი მ., მელიტცი მ.ჯ., (2017) საერთაშორისო ეკონომიკა, ქართული გამოცემის სამეცნიეროდა მთავარი რედაქტორი ა.სილაგაძე. თბ., უნივერსიტეტის გამომცემლობა
- ჭიბუჭი მ. (1993). საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირველი ინდიკატური გეგმა 1993-1995 წწ. „ჭურნ. ეკონომიკა“, №12

Refernces:

- Papava V., Silagadze A. (2019) erti sakvandzo ekonomikuri terminis - „Gross Domestic Product“-is Kartuli sakheltsodebis shesakheb [One Key Economic Term - “Gross Domestic Product” the Georgian name. Journal. “Economics and Business”, №1.] in Georgian.
- <https://www.geostat.ge/media/29303/Mtliani-shida-produqtis-metodologia.pdf>. last seen 19.02.2020
- Tsotsanidze G., Loladze N., Datukishvili St. (2014) kartuli leksikoni [Georgian Dictionary Tb. Publishing House “Bakur Sulakauri”.] in Georgian.
- <http://uis.unesco.org/en/glossary-term/domestic-production?wbdisable=true>. last seen 19.02.2020
- Papava V., Akhmeteli R., Leiaashvili P., Ulumberashvili N. (1993.) sabazro ekonomikis sapudzvlebi [Fundamentals of Market Economics (Theoretical Economics). Tbilisi, “Matsne”] in georgian.
- https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98_%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90_%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98 (last seen 19.02.2020)
- Krugman P.R., Ostfeld M., Melitz M.J., (2017) saertashoriso ekonomika. [International Economics. Tr. from English. Scientific and editor-in-chief of the Georgian edition A. Silagadze. University Publishing House.] in Georgian.
- Jibouti M. (1993). sakartvelos respublikis sotsialur-ekonomikuri ganvitarebis pirveli indikaturi gegma 1993–1995 ww. [The First Indicative Plan for the Socio-Economic Development of the Republic of Georgia in 1993-1995. Tb. Journal “Economics”, №12.]

წარმოგიდგინთ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და სპეციალისტთა დასკვნებს ტერმინ „მთლიან სამამულო პროდუქტთან“ დაკავშირებით. ეს ტერმინი გაზიარებულ იქნა ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესის“ სარედაქციო კოლეგიის მიერ“.

სარედაქციო კოლეგია

გ ა მ ო ხ მ ა უ რ ე ბ ა

აკადემიკოსების ვლადიმერ პაპავასა და ავთანდილ სილაგაძის ერთი მნიშვნელოვანი ტერმინოლოგიური წინადადების შესახებ

თანამედროვე ქართულ ეკონომიკასა და პოლიტიკაში ერთ-ერთი ყველაზე აქტიურად გამოყენებული ტერმინოლოგიური შესიტყვებაა „**მთლიანი შიდა (ან - შიგა) პროდუქტი**“, რომლის სირთულე ჩვეულებრივი (არაეკონომისტი) მომხმარებლისათვის იმაში მდგომარეობს, რომ მას არ ახასიათებს სტრუქტურული გამჭვირვალობა, ანუ ამ რთული აგებულების ტერმინში ადეკვატურად არ იკითხება მისი შინაარსი.

უკანასკნელ ხანს ამ მნიშვნელოვან საკითხს ყურადღება მიაქცევს ცნობილმა ქართველმა მეცნიერებმა, აკადემიკოსებმა **ვლადიმერ პაპავამ და ავთანდილ სილაგაძემ**. მათ ამ ტერმინის დადგენის საკითხს ერთობლივი სპეციალური წერილიც მიუძღვნეს - „**ერთისაკვანძო ეკონომიკური ტერმინის – Gross Domestic Product-ის ქართული სახელწოდების შესახებ**“, რომელიც გამოქვეყნდა სამეცნიერო ჟურნალში „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2019, № 1 (გვ. 180-182).

უპირველესად, მისასალმებელია მათი ზოგადი მიდგომა, რომ „დღეს ქართველი ეკონომისტების ერთ-ერთი გამოწვევაა საბაზრო ეკონომიკის შესატყვისი ტერმინების ქართულ ენაზე ადეკვატურად თარგმნა“ და რომ „ასევე მნიშვნელოვანია (იქნებ – უფრო მნიშვნელოვანაც) ამა თუ იმ ქართული ტერმინის დადგენისას“ გავითვალისწინოთ ქართული სალიტერატურო ენის ბუნება და ტერმინოლოგიური გამოცდილება. ამ აზრის განზოგადება დღეს ყველა დარგსა და სფეროზე შეიძლება და ისიც ნათელია, რომ შესაბამისი დარგების სპეციალისტებს ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა ეკისრებათ.

მიზეზად დასახელებული მოუხერხებელი ქართული ტერმინის წარმოშობისა მითითებულია მისი პირდაპირი თარგმნა, როგორც ეს ხშირად ხდებოდა, რუსული ვერსიიდან - Валовой Внутренний Продукт. შესაბამისად, არსებით ამოცანად არის დასახული ზუსტი და ბუნებრივი ქართული ტერმინის შემუშავება.

პუბლიკაცია იმასაც წარმოაჩენს, რომ თანაავტორთა თვალსაზრისი იმთავითვე ერთგაროვანი არ ყოფილა და მას ურთიერთშეჯერებით გარკვეული ცვლილება განუცდია, რაც ასევე პროფესიული დამოკიდებულების ნიშნია. კერძოდ, 1993 წელს ვლ. პაპავას შემოუთავაზებია „ერთობლივი სამამულო პროდუქტი“, რაც, თავის მხრივ, ა. სილაგაძეს ერთ-ერთი ეკონომიკური სახელმძღვანელოს თარგმანში დაუზუსტებია - როგორც „მთლიანი სამამულო პროდუქტი“. მართალია, ერთეულები „ერთობლივი“ და „მთლიანი“ გარკვეულ სინონიმურ სიახლოვეს გვიჩვენებს, მაგრამ ამ ტერმინოლოგიურ კონტექსტში უფრო ზუსტი ეს უკანასკნელი ჩანს.

ვფიქრობთ, ცნება „სამამულოს“ შემოტანა მნიშვნელოვანი მიგნებაა ამ ტერმინოლოგიური შესიტყვების ქართულ ვერსიაში, რამდენადაც ის ბევრად უფრო ზუსტსა და ადეკვატურს ხდის მის შინაარსს, ზრდის ამ ტერმინის ცნებით ავტონომიურობას (განსხვავებით კომპონენტებისაგან „შიდა“ ან „ეროვნული“) და აადვილებს მის საზოგადო აღქმას.

ამდენად, მხარს ვუჭერთ უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური ტერმინის ქართული შესატყვისის ამ სახით დამკვიდრებას: **„მთლიანი სამამულო პროდუქტი“**.

ავთანდილ ახაბუდი

*საქაჩთვედოს მეცნიეხებათა ეხოვნუდი აკადემიის წევხი
თსუ ახნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიეხების ინსტიტუტის
მთავახი მეცნიეხი თანამშომედი
26 მაისი, 2020 წ.*

ა მ ო ნ ა წ ე რ ი ო ქ მ ი №3

თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2020 წლის 2 ივნისის სხდომისა.

მოისმინეს: ერთი ეკონომიკური ტერმინის საკითხის შესახებ.

ვაჟა შენგელია: როგორც მოგეხსენებათ, აკად. ვლ. პაპავამ და აკად. ა. სილაგაძემ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მომართეს წერილით, რომელშიც გვთხოვენ საბჭომ გამოთქვას თავისი თვალსაზრისი მათ მიერ შემოთავაზებული ტერმინის – **მთლიანი სამამულო პროდუქტის**, შესახებ. ადრე გამოყენებული ტერმინები – „მთლიანი შიდა პროდუქტი“ და „მთლიანი

შიგა პროდუქტი“, იყო თარგმანი სათანადო რუსული ტერმინისა. ახალი ტერმინი კი შესატყვისია ინგლისური ტერმინისა **Gross Domestic Product**.

ჩვენი წინადადებაა, მხარი დავეჭიროთ ორი ცნობილი მეცნიერის შემოთავაზებებს.

მსჯელობაში მონაწილეობა მიიღეს საბჭოს წევრებმა – ნ. მაჭავარიანმა, გ. გოგოლაშვილმა, მ. ჩუხუამ, თ. ვაშაკიძემ, თ. გვანცელაძემ, ლ. ქაროსანიძემ, აგრეთვე მ. ლლონტმა.

დაადგინეს: სამეცნიერო საბჭო მხარს უჭერს წინადადებას, რომ ინგლისური ეკონომიკური ტერმინის **Gross Domestic Product**-ის შესატყვისად ქართულში დამკვიდრდეს ტერმინი **მთლიანი სამამულო პროდუქტი**.

თავმჯდომარე: საქ. მეცნ. ეროვნ. აკად. წევრ-კორ. პროფ. **ვ. შენგელია**

მდივანი: ფილოლოგიის დოქტორი, **მაკა დაბაიჭყავა**

და ს კ ვ ნ ა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და თარგმნითი ლექსიკონების განყოფილებაში აკადემიკოსებმა ვლადიმერ პაპავამ და ავთანდილ სილაგაძემ სარეცენზიოდ წარმოადგინეს სტატია „**ერთი საკვანძო ეკონომიკური ტერმინის – Gross Domestic Product-ის ქართული სახელწოდების შესახებ**“, რომელიც ეძღვნება ეკონომიკის დარგისთვის ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი ტერმინის დაზუსტებას.

განსახილველი სტატია მეტად აქტუალურია, რადგან ტერმინოლოგიურ სისტემაში უკანასკნელ ხანს მოზღვავებული უცხოენოვანი ტერმინები მოითხოვს დაზუსტებასა და მოძველებული ტერმინების უფრო მარჯვე შესატყვისებით ჩანაცვლებას.

განსაკუთრებით საყურადღებოა პროფესორების, ვლადიმერ პაპავასა და ავთანდილ სილაგაძის მაღალი პროფესიონალიზმი, რომელიც განსაკუთრებით გამოვლინდა მათს ტერმინოლოგიურ საქმიანობაში. მეცნიერები ფიქრობენ არა მარტო თავიანთი დარგის განვითარებაზე, არამედ ქართული ენის დამცველებიც არიან და ზრუნავენ სრულყოფილი ეკონომიკის ტერმინოლოგიის შექმნაზე. სწორედ მათი მაღალი პროფესიონალიზმი და საქმის მიმართ პასუხისმგებლობა ჩანს ენათმეცნიერების ინსტიტუტში განსახილველად წარმოდგენილ სტატიაში, რომელიც ეხება ერთ-ერთ საკვანძო ტერმინოლოგიურ შესიტყვებას.

სტატიაში წარმოდგენილი ტერმინი „**Gross Domestic Product**“ რუსულის გზით შემოსული ტერმინია და მის ადრინდელ ქართულ შესატყვის ტერმინს „**მთლიანი შიგა (ან შიდა) პროდუქტი**“ ეტყობა კიდევ შუამავალი ენის გავლენა. მეცნიერებმა უპირატესობა მიანიჭეს ტერმინ **მთლიან სამამულო პროდუქტს**, რადგან ის უკეთ გადმოსცემს ცნების არსს და განსაზღვრავს შრომითა და ქონებით ერთ წელიწადში წარმოებულ პროდუქტს კონკრეტული ქვეყნის შიგნით (ქვეყნის ტერიტორიაზე), განსხვავებით **მთლიანი ეროვნული პროდუქტისაგან** (ინგლ. **Gross National Product**), რომელიც განსაზღვრავს წარმოებას რეზიდენტების მიხედვით, მათ შორის, საზღვრებს გარეთაც. ამასთან, **ტერმინი სამამულო პროდუქტი** მეტად აქტიურია დარგობრივ სამეცნიერო ლიტერატურაში, მაგალითად, **სამამულოსაქონელი**(Domestic Goods), **სამამულო პროდუქტი** (Domestic Product), **სამამულოწარმოება**(Domestic Production).

გარდა ამისა, მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობა გაჩნდა ასევე მსაზღვრელთან დაკავშირებითაც – ვლადიმერ პაპავამ ტერმინოლოგიურ შესიტყვებას შეესაბამა ტერმინი **ერთობლივი სამამულო პროდუქტი**, ავთანდილ სილაგაძემ კი არაზუსტად მიიჩნია **ერთობლივი**, რომელიც შეცვალა **მთლიანით** და **მთლიანი შიგა(შიდა) პროდუქტის** ნაცვლად უფრო ზუსტი და ცნების შესატყვისი ტერმინი შემოგვთავაზა – **მთლიანი სამამულო პროდუქტი**. ეს ტერმინი მისაღები აღმოჩნდა ვლადიმერ პაპავასათვისაც. ამ ორი მეცნიერის მიერ წარმოდგენილი ტერმინები განსხვავდებოდა მსაზღვრელით, ყურადღებას იპყრობს მცდელობაც, გაიმიჯნოს სინონიმები **მთლიანი** და **ერთობლივი**.

ტერმინოლოგიური სინონიმები ხშირად საკამათოა, შეიძლება თუ არა ისინი ჩაენაცვლოს ერთმანეთს, თუ შინაარსობრივად გაიმიჯნოს. ქველში მთლიანი განმარტებულია, როგორც 1. სრული, მთელი; 2. ერთიანი დაუნაწევრებელი; **ერთობლივი** კი – ერთად აღებული; შეერთებული; მთლიანი, ერთიანი. როგორც განმარტებიდან ჩანს, შინაარსით ისინი სინონიმებია და, ამდენად, ჩანაცვლებაც სავსებით შესაძლებელი. გარდა ამისა, ტერმინისათვის უპირატესობის მინიჭებისას გათვალისწინებული უნდა იყოს მათი გამოყენების სიხშირე ტერმინოლოგიურ შესიტყვებებში. ეკონომიკის ტერმინოლოგიაში კი არაერთ შესიტყვებაში დასტურდება **მთლიანი** მსაზღვრელად. **მაგალითად, მთლიანი ეროვნული პროდუქტი, მთლიანი შიგა პროდუქტი**. ასევეა წარმოდგენილი ეს ტერმინები ეკონომიკის ენციკლოპედიურ ლექსიკონშიც. ამდენად, მსაზღვრელ **ერთობლივის** ჩანაცვლება **მთლიანით**, სავსებით მართებულიად მიგვაჩნია, რადგან ის ზუსტად გამოხატავს და აკონკრეტებს ცნების არსს, რომელსაც ტერმინი გულისხმობს.

ამდენად, ვფიქრობთ, რომ მეცნიერთა მიერ წარმოდგენილი ახალი ტერმინი სავსებით შეესაბამება ცნების არსს და მისი დამკვიდრება ეკონომიკის ტერმინოლოგიაში შესაძლებლად მიგვაჩნია.

პატივისცემით,

სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და
თარგმნითი ლექსიკონების განყოფილების
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი,
ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი

მარინე ოსაძე

მეცნიერი თანამშრომელი

ნინო დათუშიძე

17 მარტი, 2020 წელი

ჩვენი იუბილარები ANNIVERSARIES

პროფესორი ნუგზარ პაიჭაძე 80 წლისაა



ნუგზარ პაიჭაძე დაიბადა 1940 წლის 22 ივნისს, სამტრედიის რაიონის სოფელ გამოჩინებულში, მარგალიტა და ნიკოლოზ პაიჭაძეების მრავალშვილიან ოჯახში. მან 1958 წელს წარჩინებით დაამთავრა ჩოხატაურის რ-ნის საჭამიასერის საშუალო სკოლა. აღსანიშნავია, რომ წარმატებულ სწავლას იგი შესანიშნავად უთავსებდა ფიზიკურ შრომას და თავისი წვლილი შეჰქონდა ოჯახის ცხოვრებაში. მან ასევე ღირსეულად მოიხადა ბელორუსიაში სამხედრო სამსახური, ლეიტენანტის წოდებით დაბრუნდა სამშობლოში და მაშინვე

თბილისის რკინიგზაზე დაიწყო მუშაობა მეისრედ. ამასთან, ჯარისკაცულ ცხოვრებასა და ფიზიკურ შრომაში გამონრთობილი ახალგაზრდის ურყევი სურვილი – მიეღო უმაღლესი განათლება, 1964 წელს აისრულა – დაძლია დიდი კონკურსი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის შრომის ეკონომიკის სპეციალობის სტუდენტი გახდა. მან აქაც თავი ისახელა მაღალი აკადემიური მოსწრებითა და ბეჭითი ქცევით. იგი თითქმის მთელი სტუდენტობის პერიოდში იყო ჯერ ჯგუფხელი და მერე ფაკულტეტის ახალგაზრდული ორგანიზაციის ერთდერთი წარმატებული ხელმძღვანელი. ნუგზარ პაიჭაძემ, როგორც უნივერსიტეტის სტუდენტური რაზმის ხელმძღვანელმა ყამირი მინების ათვისებაში, მრავალი უმაღლესი ჯილდო დაიმსახურა.

ნუგზარ პაიჭაძეს, კარგი სწავლით გამორჩეულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურად ჩართულ ახალგაზრდას, ჰქონდა ბედნიერება უშუალო კონტაქტი ჰქონოდა და მოესმინა საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერ-პედაგოგების, პროფესორების ნიკოლოზ ქოიავას, ირაკლი მიქელაძის, გივი ქანუყვადის, ვალერიან ბახტაძის, არჩილ ფანცხავას, ლუარსაბ კარბე-

ლაშვილის, გიორგი პაპავას, ედუარდ კოდუას, ბიძინა ლუტიძის და სხვების ლექციები.

ნუგზარ პაიჭაძე თავიდანვე აქტიურად ჩაება სტუდენტთა სამეცნიერო წრეების მუშაობაში. ჯერ კიდევ პირველი კურსის სტუდენტი იყო, როცა მისმა მოხსენებამ სტუდენტებისა და ლექტორების მოწონება დაიმსახურა და დაიბეჭდა უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კრებულში.

თსუ-ს წარმატებით დამთავრების შემდეგ ნუგზარ პაიჭაძე 1969–1972 წლებში, იქვე შრომის ეკონომიკის სპეციალობის ასპირანტია, ხოლო ასპირანტურის დასრულების შემდეგ, 1973 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

ნუგზარ პაიჭაძე 1972–1974 წლებში მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დარგობრივი ეკონომიკის ფაკულტეტის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის კათედრის უფროს მასწავლებლად, ხოლო 1974–78წწ. შრომის ეკონომიკისა და ორგანიზაციის კათედრის დოცენტად, 1978-1989 წლებში კი – საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის სამრეწველო ორგანიზაციისა და მართვის კათედრის დოცენტი.

1974 წლიდან დოც. ნ.პაიჭაძე საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანის მოადგილეა, ხოლო 1979 წლიდან 2005 წლამდე ფაკულტეტის დეკანი იყო, ანუ 26 წლის განმავლობაში, რაც უპრეცედენტოა თსუ-ს ისტორიაში. მან ეს დაიმსახურა ამ პოსტზე სტუდენტებისა და აკადემიურ პერსონალთან განუღი დაუღალავი, ნაყოფიერი და შემოქმედებითი საქმიანობით. იგი იყო ყველა სფეროში ობიექტური, მუდამ სტუდენტების გვერდში მდგომი, მათი სამართლიანი ინტერესების დამცველი, ყველა კოლეგისათვის პატივსაცემი, ჭეშმარიტად დემოკრატი და დიდსულოვანი, უკონფლიქტო ხელმძღვანელი.

ნუგზარ პაიჭაძე ფაკულტეტის დეკანის საპატიო და ფრიად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ღირსეულად მოღვაწეობასთან ერთად, მუდმივად ზრუნავდა სამეცნიერო და პროფესიული მომზადების დონის ამაღლებაზე. მან 1988 წელს ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი: „შრომის ნაყოფიერება და მისი ამაღლების პრობლემები წარმოების ინტენსიფიკაციის პირობებში“, რის საფუძველზეც ერთხმად მიენიჭა ძიებული ხარისხი. ნუგზარ პაიჭაძე თსუ-ს პროფესორია 1990 წლიდან.

1993–2007 წლებში ნუგზარ პაიჭაძე უნივერსიტეტთან არსებული სექტორული ეკონომიკის, შრომის ეკონომიკისა და დემოგრაფიის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეა. საქართველოში, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, XX ს. 90-იანი წლების პირველ ნახევარში სამეცნიერო საქმიანობის სფეროში მნიშვნელოვანი რეფორმა ჩატარდა – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან შეიქმნა სწავლულ ექსპერტთა საბჭო და ჩამოყალიბდა სადისერტაციო საბჭოები. ეკონომიკის დარგობრივი

სექციის თავმჯდომარედ დაინიშნა აკად. ლადო პაპავა, ხოლო წევრებად - თსუ-ს პროფესორები გიორგი ადუნიშვილი და ნუგზარ პაიჭაძე.

წარმატებული სამეცნიერო, სასწავლო და საზოგადოებრივი მუშაობისათვის, პროფ.ნუგზარ პაიჭაძე დაჯილდოებულია ღირსების ორდენითა და ივანე ჯავახიშვილის მედლით.

1998-2006 წლებში, ნუგზარ პაიჭაძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს როინ მეტრეველის ინიციატივით შექმნილ ეკონომიკური პროფილის ფაკულტეტების სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობაში, რომლის თავმჯდომარე იყო ცნობილი მეცნიერი აკად. ავთანდილ სილაგაძე.

2006 წლის სექტემბრიდან პროფესორი ნუგზარ პაიჭაძე თსუ-ს ასოცირებული პროფესორია. იგი 2019 წლამდე მუშაობდა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრაზე, 2019 წლის ნოემბრიდან კი გლობალურ გარემოში მენეჯმენტის კათედრაზე მოღვაწეობს.

სანგრძლივი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის განმავლობაში, გარდა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციებისა, პროფესორ ნუგზარ პაიჭაძეს შრომის ნაყოფიერების, დასაქმებისა და უმუშევრობის, ადამიანური რესურსების მართვისა თუ სხვა აქტუალურ ეკონომიკურ პრობლემებზე გამოქვეყნებული აქვს 150 და მეტი ნაშრომი, მათ შორის რამდენიმე მონოგრაფია, 10-მდე სახელმძღვანელო და დამხმარე სახელმძღვანელოა. უმეტეს მათგანზე ცნობილი მეცნიერდსპეციალისტთა მიერ გამოქვეყნებულია დადებითი რეცენზიები.

პროფ. ნ.პაიჭაძის ხელმძღვანელობით მომზადდა ორ ათეულზე მეტი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია, იყო მრავალი დოქტორანტის სადისერტაციო, მაგისტრანტისა და ბაკალავრის სადიპლომო ნაშრომების ხელმძღვანელი.

პროფესორი ნუგზარ პაიჭაძე საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის, ასევე, ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის წევრია.

ნუგზარ პაიჭაძე დიდი ოჯახის ერთგული წინამძღოლია. მისმა ღირსეულმა მეუღლემ ქ-მა მარინე ჯინიყაშვილმა, თავისი ერთგულებით და დაუღალავი შრომით, დიდი წვლილი შეიტანა მეუღლის შემდგომ წარმატებებში, მეცნიერულ და სამსახურებრივ წინსვლაში. მათ ჰყავთ ორი ვაჟი -კახა და ლაშა და ერთი ქალიშვილი - მაია (სამივე დაოჯახებული) და 7 შვილიშვილი. სასიხარულოა, რომ სამივე შვილი წარმატებულ შრომით საქმიანობას ეწევა ბიზნესის სხვადასხვა სფეროში.

ამ მოკლე ბიოგრაფიული მიმოხილვიდანაც ნათელია, თუ რაოდენ დიდია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ნუგზარ პაიჭაძის დამსახურება ქართული ეკონომიკური მეცნიერებისა და თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის წინაშე. ბატონი ნუგზარი, როგორც მრავალი ათეული წლის განმავლობაში, ამჟამადაც ჩვეული შემართებით ემსახურება სტუდენტი – ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს და კვლავაც აგრძელებს მეცნიერულ მოღვაწეობას.

დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ვულოცავთ საიუბილეო თარიღს ცნობილ მეცნიერს, პედაგოგს, სასიქადულო მამულიშვილს ბატონ ნუგზარ პაიჭაძეს და ჯანმრთელობას, ბედნიერებას და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ.

**აკადემიკოსები – ვადიმეხ პაპავა, ავთანდიდ სიღაგაძე,
პხოფესოხები – გიოხგი ლალანიძე, ეღუჯა მექვაბიშვიდი,
თეიმუხაზ ბეხიძე, ხევაზ გოგოხია, მიხიან გუხაშვიდი,
იუხი ანანიშვიდი, მიხონ გულუში.**

სსოვნა ნათელი BRIGHT MEMORY

დიდ მეცნიერთა ღირსეული მონაფე შტრიხები პროფესორ ლეო ჩიქავას პორტრეტისათვის *



ზოგი ქირი მარგებელიაო, უთქვამთ ჩვენს წინაპრებს. სამუშაოდან პირადი განცხადების საფუძველზე გავთავისუფლდი და ერთხანს უმუშევრად დავრჩი. ერთობ რთული, გაურკვევლობით, წინააღმდეგობებით აღსავსე დრო იყო. ყველას თავისი თავსატეხი ჰქონდა, არავის არავისთვის არ ეცალა. ამ დროს, თურმე, ჩემი ამბავი სრულიად შემთხვევით გაეგო პროფესორ ლეო ჩიქავას და მისსავე ახალდაფუძნებულ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად მიმიწვია.

სულ ცოტა ხანში ერთ-ერთი წამყვანი განყოფილების - ეკონომიკური სოციოლოგიის გამგედ დამაწინაურა. მერე, როდესაც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მაძიებლად ჩავირიცხე, მანვე ითავა ჩემი მეცნიერ-ხელმძღვანელობაც.

ბოლოს, ცხოვრება ისე აენყო, რომ მთელი 16 წელი ამ დიდებუებოვან ადამიანთან - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტთან, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის დამაარსებელსა და მის უცვლელ პრეზიდენტთან, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწესთან, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორთან, პროფესორ ლეო ჩიქავასთან ხანგრძლივმა შემოქმედებითმა თანამშრომლობამ არამარტო სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, არამედ, საერთოდ, დი-

* ეძღვნება პიოტ. ლეო ჩიქავას გახდაცვალებიდან მე-5 წლისთავს

დი ცხოვრებისული გამოცდილებაც შემძინა და თუ ამ ხნის განმავლობაში ოდნავ სასარგებლო რამე გამიკეთებია, ეს პირადად მისი დამსახურებაა...

პირველ ნაბიჯებს დგამდა ახლადფეხადგმული დამოუკიდებელი საქართველო. ქვეყანა ახალი ყაიდის ცხოვრების რელსებზე ათასი წინააღმდეგობის გადალახვით გადადიოდა. ამასთანავე, თანდათანობით უარესდებოდა მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა, ჩვეულებრივ ამბად იქცა უშუქობა, პურის გაუთავებელი რიგები, „ცეცხლი ეკიდა“ სურსათ-სანოვავის ფასებს, იმართებოდა საპროტესტო აქციები, ბოლო არ უჩანდა მომრავლებულ ე. წ. საძმოებს შორის სისხლიან გარჩევებს, სულ უფრო მწვავედებოდა კონფლიქტები აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, მძაფრ ხასიათს იძენდა უკომპრომისო ბრძოლა დაპირისპირებულ პოლიტიკურ ძალებს შორის.

ბატონ ლეოს თავის გარშემო შემოკრებილი ჰყავდა ცნობილი დემოგრაფები, სოციოლოგები, სხვა დარგების სპეციალისტები და, რაც მთავარია, შესანიშნავი, პერსპექტიული ახალგაზრდობა. მართალია, სიძნელეები თავსაყრელად გვქონდა, მაგრამ ყველაფერს ვურიგდებოდით: ფაქტობრივად, უხელფასოდ, როგორც იტყვიან, წმინდა წყლის ენთუზი-აზმზე ვმუშაობდით. ინსტიტუტს საკუთარი საოფისე ფართიც კი არ ჰქონდა და ხან სად ვიყავით შეკედლებული და ხან - სად. მიუხედავად ამისა, ბატონი ლეოს მეტაურობით თანდათანობით ვაგვარებდით პრობლემებს. კოლექტივში ნამდვილი შემოქმედებითი ატმოსფერო სუფევდა, აქტიური, შინაარსიანი ცხოვრებით ვცხოვრობდით, რომლის სული და გული ბატონი ლეო გახლდათ. ერთ მშვენიერ დღეს მან სიხარულით გვამცნო: საქართველოს პრეზიდენტმა ინსტიტუტს საოფისედ თავისუფლების მოედანზე მდებარე ყოფილი „ბავშვთა სამყაროს“ შენობა გამოგვიყო და ჩვენს წვალეებასაც ბოლო მოეღებო.

ინსტიტუტში, როგორც წესი, ოთხშაბათობით იმართებოდა საინტერესო დისკუსიები, რომლებსაც უშუალოდ ბატონი ლეო წარმართავდა და ახლა არ მახსენდება რომელიმე ასეთი შეკრება, ერთხელ მაინც რომ გაეცდინა. ხშირად სიცივეში, გაყინულ დარბაზში პალტონამოსხმულები ცხარედ ვკამათობდით აქტუალური სამეცნიერო პრობლემების გარშემო, ვიხილავდით საინსტიტუტო სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა გეგმით გათვალისწინებული თემების დამუშავების მიმდინარეობას, ვისმენდით განყოფილებათა ხელმძღვანელების, ცალკეულ მეცნიერ-თანამშრომელთა სამეცნიერო ანგარიშებს მათ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების შესახებ, ვეცნობოდით დემოგრაფიულ და სოციოლოგიურ მეცნიერებათა სიახლეებს, მეცნიერი თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობდნენ რესპუბლიკური, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებისა თუ სხვა თავყრილობების მუშაობაში და ა. შ.

სწორედ ასეთი შემოქმედებითი პაექრობისას წამოიჭრებოდა ამა თუ იმ აქტუალური პრობლემის კვლევის იდეა და ამავე აუდიტორიაშივე ხდე-

ბოდა სადისკუსიო საკითხებზე გამოსაქვეყნებლად მომზადებული სტატიების განსჯა-შეფასება. ასე დაინერა როგორც ჩემი, ასევე, ჩემი მრავალი კოლეგის ნაშრომები.

იმხანად ბატონი ლეო რუსეთის საერთაშორისო სამეცნიერო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალის „ობშესტვო ი ეკონომიკა“ სარედაქციო კოლეგიის წევრი გახლდათ და სწორედ პირადად მისი წარდგინებითა და რეკომენდაციით დაიბეჭდა ზემოხსენებულ სოლიდურ რუსულენოვან აკადემიურ გამოცემაში ჩემი ვრცელი ნაშრომი „დემოგრაფიული ფასეულობები: ცვლილებათა შედეგები და ტენდენციები (დემოსოციოლოგიური ანალიზი)“, რომელიც საქართველოში შექმნილ კრიზისულ ვითარებას შეეხებოდა.

ბატონი ლეო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა დისერტანტებთან, ასევე, ასპირანტებთან მუშაობას. იგი, როგორც წესი, სისტემატურად ინტერესდებოდა, რამე პრობლემები ხომ არ გვექონდა დისერტაციაზე თუ საინსტიტუტო საკვლევ თემაზე მუშაობისას.

ერთხელ, დისერტაციის ავტორეფერატზე მუშაობის დროს, სრულიად უმნიშვნელო საკითხის მოგვარებისას თითქმის გადაულახავ წინააღმდეგობას წავაწყდი. ინსტიტუტში, რომლის ხარისხის მაძიებელიც გახლდით, მომთხოვეს წინასწარ მიმეტანა ავტორეფერატის ერთ-ერთი პარაგრაფის ერთი-ერთნახევარგვერდიანი ტექსტი, რომელიც დისერტაციის სიახლეებს შეეხებოდა. რა თქმა უნდა, გავამზადე მასალა და მივუტანე ვისაც ჯერ არს, რომელმაც გადაიკითხა თუ არა, მაშინვე უკანვე დამიბრუნა და მირჩია, ასე და ასე გადაამუშავო. ვინ იცის, მერამდენედ გადავაკეთე ეს „დანყევლილი სიახლეები,“ მაგრამ მისი მოწონება ვერაფრით დავიმსახურე. ლამის ხელი მქონდა ყველაფერზე ჩაქნელი, როდესაც ბატონმა ლეომ მკითხა, როგორ არის საქმეო. სხვა რა გზა მქონდა, ყველაფერი ვუთხარი, როგორც იყო. არ ვიცი, ინსტიტუტში ვის, როგორ და რაზე ელაპარაკა, მაგრამ ფაქტი ის იყო, რომ ამ საკითხზე მეტად არავის შევუწუხებდით. მერე გავიგე, რომ, თურმე, ინსტიტუტის ხელმძღვანელობასთან ჩემს შესახებ საგანგებო საუბარი ჰქონია...

საოცრად ახარებდა, ეამაყებოდა თითოეული ჩვენგანის წარმატება. თავის პირად გამარჯვებად მიაჩნდა, თუ ვინმე ოთხშაბათობის შეკრებაზე საინტერესო სამეცნიერო მოხსენებას წაიკითხავდა, კარგ სტატიას გამოაქვეყნებდა რომელიმე სოლიდურ გამოცემაში, ან სამეცნიერო კონფერენციის მონაწილეთა ყურადღებას მიიპყრობდა თავისი მოხსენებით და ა.შ. არ იშურებდა საქებარ სიტყვებს, თუ რომელიმე ჩვენგანში, თუნდაც, იოტისოდენა მოსაწონს შეამჩნევდა. უყვარდა ნიჭიერი, იმედისმომცემი, პერსპექტიული, სიახლის მაძიებელი, შრომისმოყვარე, წარმატებული ახალგაზრდები, როგორც შეეძლო, ყველას ეხმარებოდა, ვისაც ხელის გამართვა სჭირდებოდა...

როგორც კი მცირე ბიზნესის კურსის სახელმძღვანელოზე მუშაობა დავამთავრე, ხელნაწერი ბატონ ლეოს გადავეცი. შეპირებული იყო, რომ მკითხველებს ნაშრომს თავად წარუდგენდა. სულ მალე წაეკითხა ხელნაწერი და წინათქმაც მოემზადებინა. გახარებულმა მითხრა: კაპიტალური გამოკვლევაა, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იგი მცირე მენარმეობისადმი მიძღვნილი ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომია, რადგანაც ამ პრობლემის თითქმისპექტს აშუქებს, თანაც, მაღალპროფესიულ დონეზეა შესრულებული.

რა თქმა უნდა, ასეთ აღმატებულ შეფასებას არ მოველოდი, ვგრძნობდი, რომ ბევრი საქებარი სიტყვა დიდსულოვანი მოძღვრის მიერ წინასწარ იყო ავანსად გაცემული ჩემს წასახალისებლად, თუმცა, სწორედ ბატონი ლეოს ეს შეფასება დაედო საფუძვლად თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეკომენდაციას, რომლის საფუძველზეც ჩემს ნაშრომს მიენიჭა დამხმარე სახელმძღვანელოს გრიფი ეკონომიკური პროფილის ფაკულტეტების სტუდენტებისათვის, რაც მცირე ბიზნესის კურსის სახელმძღვანელოს შექმნის პირველ ცდას წარმოადგენდა.

ბატონი ლეო თავისი ბუნებით, შინაგანი წყობით დემოკრატი, შესაშური ადამიანური თვისებებით შემკული პიროვნება იყო. შვენოდა ჩვეული ბუნებრივი უბრალოება და სისადავე, აკადემიურობა. მშვიდი, უკონფლიქტო, შრომისმოყვარე, კომუნიკაბელური ადამიანი გახლდათ, ამავე დროს, არც პრინციპულობა აკლდა მრავალმხრივ განსწავლულ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს. მუდამ განონასწორებული, მონესრიგებული იყო, გემოვნებით შემოსილი, გამორჩეული ინტელიგენტი.

არასდროს გვინახავს არც აღელვებული და არც გაჯავრებული, არ სჩვეოდა ხმაანული ლაპარაკი, ყველასათვის მუდამ ღია იყო მისი კაბინეტის კარი. მასთან შესვლაზე ნებართვას არავინ თხოვდა დირექტორის მდივანს. ყოველთვის ეცალა ყველასათვის ყურადღებით რომ მოესმინა, რჩევა-დარიგება მიეცა; თუ ოთახში მართო გახლდათ, ჩვეულებრივ, წიგნებში თავჩარგული იჯდა და თუ ოთახში ვინმე შემოიხედავდა, თავს მაშინ აწევდა.

დიდებული მოქართულე, საოცრად უფრთხილდებოდა ქართული სიტყვის სინმინდეს, მართლწერას, არავის აპატიებდა ქართული ენისადმი უდიერ, აგდებულ მოპყრობას. ჟამთააღმწერელივით აჩუქურთმებდა თითოეულ ასო-ნიშანს, ღრმად ფლობდა ლამაზად, გარკვევით წერის ხელოვნებას, სტამბაში დაბეჭდილი გეგონებოდათ მისი ხელნაწერი, სიტყვას ვერ ნახავდით მასში ჩასწორებულს. თუ ვინმე თავის ნაშრომს მიუტანდა და სთხოვდა, თვალი გადაეკლო, როგორი მოუცლელიც არ უნდა ყოფილიყო, უთუოდ დიდი გულისყურით წაიკითხავდა და თუ რამე ჩასასწორებელი იყო, ზედმინწვნიტ ზუსტად გამართავდა ფრაზას, შენიშვნებსაც

ფაქიზად, გასაგებად, აკურატულად ჩამოწერდა და თუ რამე არ მოეწონებოდა, ან სადმე რამე ლაფსუსს თუ შეცდომას იპოვიდა, ამაზე ისე წყნარად, მშვიდად, შეუმჩნევლად მიგანიშნებდათ, რომ იოტისოდენადაც არ შეგილახავდათ თავმოყვარეობას. თუ რომელიმე სიტყვის მართლწერა დააეჭვებდა, მორიდებით კოლეგებთან გადაამონებდა.

ასეთადაც ჩამრჩა სამუდამო მეხსიერებაში გამოჩენილი მეცნიერის, პედაგოგის, საზოგადო მოღვაწისა და დიდებული პიროვნების ნათელმოსილი, კეთილი, ფიქრიანი სახე, მის მიერ დათესილი სიკეთეები.

არასდროს გაგვიგია, რომ ბატონი ლეო ოდესმე ჯანმრთელობას უჩიოდა. არადა, უცებ, მოულოდნელად გახდა შეუძლოდ და რამდენიმე თვით ლოგინს მიჯაჭვული 2015 წლის 11 ივლისს მდუმარედ გამოეთხოვა ამქვეყანას. თითქმის ყოველდღე დავდიოდით საავადმყოფოში მოსანახულებლად, მაგრამ ერთხელაც ვერ შევძელი მასთან პალატაში შესვლა, არ მინდოდა მისი უმწეო მდგომარეობაში ნახვა.

ვინ იცის, როგორი გულნაკლული, ნანყენი წავიდა მავანსა და მავანზე, იმათზე, ვისაც სული მისდიოდათ მისი სავარძლის დაკავებაზე და პროვოკაციებს ხლართავდნენ მის გარშემო. ამას თვითონაც კარგად გრძნობდა, მაგრამ არასდროს იმჩნევდა, უკმაყოფილება არავისთან გამოუხატავს და არც არანაირი რეაქცია ჰქონია.

ბატონი ლეოს წასვლას მის მიერ დაარსებულ-ფეხზედაყენებული ინსტიტუტიდან არც ქვეყნისთვის და არც ვინმესთვის მოუტანია სიკეთე, პირიქით, მისი დირექტორობიდან განთავისუფლებით, ფაქტობრივად, ჩაქრა დემოგრაფიული მეცნიერების ერთადერთი ახლადგაღვივებული კერა, რომელიც ასე ჰაერივით სჭირდება დღეს გაეროს მიერ მომაკვდავ ერთა სიაში შეტანილ საქართველოს. მართალია, ვალის მოსახდელად კონკურსი ვითომცდა ჩაატარეს, „ინსტიტუტი“ მეცნიერ-თანამშრომელ-ტექნიკურპერსონალიანად ათი-თხუთმეტი კაცით დააკომპლექტეს და ორ თუ სამ ათეულ სამეცნიერო დანაყოფთან ერთად, ფაქტობრივად, ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის ქვეგანყოფილებად გადააქციეს, მაგრამ რა ძალუძს სხვის ჭერსა და კალთას შეფარებულ ასეთ მცირერიცხოვან ინსტიტუტს, როგორ შეძლებს იგი სრულფასოვან ფუნქციონირებასა და სერიოზული კვლევების ჩატარებას.

ბატონ ლეოს რომ გავფრთხილებოდით ისე, როგორც ეკადრებოდა და მისი ავტორიტეტით გვესარგებლა, იქნებ, ასეთ დღეში არ ჩავარდნილიყო ქვეყნისათვის ეს მეტად საჭირო სამეცნიერო ცენტრი, არ მიმოფანტულიყვნენ მის მიერ დიდი რუდუნებით შეკრებილ-გამოზრდილი ახალგაზრდა, პერსპექტული დემოგრაფები, სოციოლოგები, სხვა დარგების მკვლევარები. თუ ზოგიერთმა მავანმა და მავანმა შეძლო მეცნიერების საყოველთაოდ აბუჩად აგდების ხანაში თავისი ინსტიტუტის გადარჩენა, ეს მით უფრო იოლი იქნებოდა ბატონი ლეოსათვის. დარწმუნებული ვარ,

უთუოდ გაუნვდნენ ანგარიშს საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერის უზადო ავტორიტეტსა და დამსახურებას.

პროფესორი ლეო ჩიქავა წლების განმავლობაში იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ამ ხნის განმავლობაში არაერთგზის ჩატარდა აკადემიის ნამდვილი წევრების არჩევნები, მაგრამ არავის მოსვლია აზრად მისთვის აკადემიკოსის წოდება მიენიჭებინათ, პირიქით, ხელოვნური ბარიერი შეუქმნეს საყოველთაოდ აღიარებულ მეცნიერს, ვისაც ნამდვილად შეეძლო ქართული ეკონომიკური მეცნიერება ღირსეულად წარმოეჩინა ჩვენი ქვეყნის მეცნიერების უპირველეს ტაძარში!

ბატონი ლეო მეცნიერების ერთ-ერთი გამორჩეული ორგანიზატორი და პოპულარიზატორი გახლდათ, ამასთანავე, აქტიურ სამეცნიერო-პედაგოგიკურ საქმიანობას ეწეოდა. სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა ეკონომიკური პროფილის კათედრებს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, სათავეში ედგა თავისსავე დაარსებულ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტს, იყო საქართველოს ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი, მოსკოვისა და თბილისის ეკონომიკური ჟურნალების, სხვადასხვა სამეცნიერო კრებულების, კავკასიის დიდი მრავალტომეული ენციკლოპედიის სარედაქციო კოლეგიების წევრი და რედაქტორი, „ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის პალატის“ თავმჯდომარე და სხვ., დაჯილდოებული იყო მრავალი სახელწიფო ორდენით, მედლითა და საპატიო სიგელით.

ცალკე უნდა ითქვას ბატონი ლეოს მიერ დაფუძნებულ საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიაზე, რომლის პრეზიდენტიც სიცოცხლის ბოლომდე გახლდათ. ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის დაარსება მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო და არის არა მხოლოდ სწავლულ ეკონომისტთა, არამედ, საერთოდ, საქართველოს სამეცნიერო-კულტურულ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. იგი დაარსებისთანავე გახდა ერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო ცენტრი, რომელმაც თავის გარშემო შემოიკრიბა 60-ზე მეტი თვალსაჩინო ქართველი მეცნიერი-ეკონომისტი. აკადემიის წიაღში მუშავდებოდა და მუშავდება მეტად საყურადღებო რეკომენდაციები და წინადადებანი საქართველოს ეკონომიკური და სოციალურ-დემოგრაფიული განვითარების შესახებ, რომლებიც არაერთგზის იქნა წარდგენილი როგორც საქართველოს მთავრობაში, ისე საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიაში. სისტემატურად იმართებოდა და იმართება აკადემიის სამეცნიერო სესიები, პერიოდულად იბეჭდება აკადემიის სამეცნიერო შრომების კრებულები, სადაც აკადემიის წევრების საყურადღებო გამოკვლევები ქვეყნდება.

ბატონი ლეოს გამოქვეყნებული აქვს 160-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი, მათ შორის 17 მონოგრაფიული გამოკვლევა, სახელმძღვანელო და

ბროშურაა, რომელთა საერთო მოცულობა 300 ნაბეჭდ თაბახს აღემატება. ისინი შეეხება ეკონომიკური თეორიის, საქართველოს ეკონომიკისა და მისი ცალკეული დარგების განვითარების, ტერიტორიული სპეციალიზაციისა და ეკონომიკური ეფექტიანობის და სხვა აქტუალურ საკითხებს.

ნოვაციების მაძიებელი მკვლევარის კალამს ეკუთვნის ისეთი ორიგინალური მონოგრაფიული ნაშრომი, როგორცაა „ინოვაციური ეკონომიკა“ (452 გვ., 2006 წ.), რომლითაც მან ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებაში გზა გაუხსნა ინოვაციური, ანუ ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის პრობლემათიკას, სადაც ზოგად თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძვლებთან ერთად ფართოდაა გაშუქებული ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის არსი, ძირითადი ნიშნები, მაჩვენებლები, ფუნქციონირება-განვითარებისათვის დამახასიათებელი კანონზომიერებანი და ა. შ.

ქართული ეკონომიკური მეცნიერების ასეთივე ფასდაუდებელი შენაძენია ბატონი ლეოს უნიკალური ნაშრომი „დემოლოგია და მისი კანონთა სისტემა“ (582 გვ., 2008 წ.), რომლითაც მან ფაქტობრივად მყარი თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები ჩაუყარა ქართულ დემოგრაფიულ მეცნიერებას და განსაზღვრა მისი ცალკეული მიმართულებების განვითარების მონახაზები.

გასაოცარია, ასეთი მრავალმხრივი, უაღრესად მნიშვნელოვანი სამეცნიერო-პედაგოგიკური, საზოგადო, პირადი თუ ყოფითი-საოჯახო პრობლემებით დატვირთული მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე როგორ ახერხებდა ამდენი საქმისთვის თავის გართმევას, სად პოულობდა მუდამ მოუცლელი ადამიანი ამდენ დროს, ძალასა და ენერგიას ასეთი ფუნდამენტური ნაშრომების შესაქმნელად.

სანიმუშო იყო ბატონი ლეოს დამოკიდებულება, ურთიერთობა თავის სასიქადულო მასწავლებლებთან. უსაზღვრო მადლიერებით, პატივისცემით, მონივნებით ახსენებდა მათ სახელებს. მათგან, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს პაატა გუგუშვილსა და მის განუყრელ მეგობარს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ვასილ (ვასო) ჩანტლაძეს გამოარჩევდა. მადლიერებით ამბობდა, ჩემს მეცნიერ მუშაკად ჩამოყალიბებაში „ლომის ნილი“ სწორედ ამ ორ გოლიათზე მოდიოდაო.

მასწავლებლებმაც კარგად იცოდნენ თავიანთი მოწაფის ფასი. ეს კარგად ჩანს, გარდაცვალების წინ ბატონი ვასოს მიერ დატოვებული ბარათიდან: „მაგიდაზე დევს ბატონი პაატასა და ჩემს მიერ მომზადებული, მაგრამ დაუსრულებელი ხელნაწერი „ეკონომიკური ტერმინოლოგიისა.“ ტექსტის შევსება-დასრულებასა და გამოქვეყნების ორგანიზაციას, ვფიქრობ, ყველაზე უკეთ ჩვენი მოწაფე ლეო ჩიქავა შესძლებს. თუ ცოცხალს ვერ მომისწრო, გადაეცით ჩემი თხოვნა, რათა მიხედოს ამ ეროვნულ საქმეს.“

გოლიათები არც შემცდარან თავიანთი დიდი და ღირსეული მოწაფის შეფასებაში - ბატონი ლეოს ხელმძღვანელობით ლექსიკონის შემდგენელთა მიერ მომზადებულმა ტერმინოლოგიამ დადგენილი წესის თანახმად, წარმატებით გაიარა ექსპერტიზა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ტერმინოლოგიის განყოფილებაში და 2001 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ლეო ჩიქავას საერთო რედაქციითა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის გრიფით გამოვიდა 636-გვერდიანი რედაქტირებისას მასშტაბურად შევსებულ-გამდიდრებული (ავტორთა მიერ დატოვებული ტექსტის ნახევარზე მეტით გადიდებული) ეკონომიკური და დემოგრაფიული ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული), რომელიც 40 ათასზე მეტ ტერმინს მოიცავს ქართულ და რუსულ ენებზე და გამოცემის დღიდანვე ქართველ ეკონომისტთა ერთ-ერთ სამაგადო წიგნად იქცა.

მუდამ ასე უფასებდა თავის მასწავლებლებს ამაგს, პატივისცემას, სიყვარულსა და ერთგულებას მადლიერი მოწაფე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი ლეო ლეონტის ძე ჩიქავა.

ომახ შუხლაია

ეკონომიკის აკადემიუხი დოქტორი

გამოცემაზე მუშაობდნენ ნათია დვალი და ნინო ებრალიძე
Prepared for publication by Natia Dvali and Nino Ebralidze

დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობის სტამბაში

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14 Ilia Tshavtchavadze Avenue, Tbilisi 0179
Tel +995 (32) 225 04 84, 6284, 6278
www.press.tsu.edu.ge